

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

---

**Author:** Gamqrelize, Gela

**Title:** Weapons and Armor in Georgia (5th century BC - 4th century AD)  
: Tom I

---

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.


The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW



იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ.წ. IV საუკუნეების  
საქართველოში

Weapons and Armor in Georgia  
(5th century BC - 4th century AD)

გელა გამყრელიძე, ვახტანგ შატბერაშვილი,  
მარინე ფირცხალავა, მაია ჩარკვიანი

Gela Gamkrelidze, Vakhtang Shatberashvili,  
Marine Pirtskhalava, Maya Charkviani

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
ოთარ ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი



გელა გამყრელიძე, ვახტანგ შატბერაშვილი,  
მარინე ფირცხალავა, მაია ჩარკვიანი

## იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში

I

Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies

Gela Gamkrelidze, Vakhtang Shatberashvili,  
Marine Pirtskhalava, Maya Charkviani.

## Weapons and Armour in Georgia (5<sup>th</sup> century BC - 4<sup>th</sup> century AD)

I

თბილისი  
2018

პროექტის ხელმძღვანელი - ვახტანგ შატბერაშვილი. წიგნი დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (გრანტი - „საბრძოლო საქმე და შეიარაღება იბერია-კოლხეთში (კვლევა და კატალოგი)“ შიფრი FR/387/1-60/14). ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

Project director – Vakhtang Shatberashvili. The book is published by financing of Shota Rustaveli National Science Foundation (grant “Hostilities and weapons in Iberia- Colchis (Research and catalogue of artifacts)”, code FR/387/1-60/14. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

წიგნი და პროექტის ფარგლებში შესრულებული კატალოგი – „იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V – ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში II“ განთავსებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებ-საიტზე - [museum.ge](http://museum.ge).

The book and the catalogue “Weapons and Armour in Georgia (5<sup>th</sup> century BC - 4<sup>th</sup> century AD) II” are published on the website of Georgian National Museum - [museum.ge](http://museum.ge).

გრაფიკული ტაბულები — რუსუდან ბერიძე

დაკაბადონება და ფოტოები — გიორგი კაკაბაძე

ინგლისური თარმანი — ნინო ჯაფარიძე

ყდის დიზაინი — ნინო შატბერაშვილი

ISBN 978-9941-27-959-1

© გამყრელიძე, შატბერაშვილი, ფირცხალავა, ჩარკვიანი, 2018

## სარჩევი

წინასიტყვაობა	5
საომარ მოქმედებათა სარბიელი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)	7
სამხედრო ისტორიის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვა	14
სამხედრო-პოლიტიკური ვითარება იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში	24
იარაღ-საჭურველი	56
საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის შემცველი ანტიკური ხანის ძეგლები და საბრძოლო იარაღის ტიპოლოგიურ-სტატისტიკური მონაცემები	112
ძვ.წ. V – ახ.წ. IV საუკუნეების მეომართა სამარხები	140
ბოლოსიტყვაობა	145
დამოწმებული ლიტერატურა	149
ტაბულების აღწერილობა	168
შემოკლებათა განმარტება	170
ილუსტრაციები	246

## Contents

Foreword	171
Historical-Geographical Overview	172
Source Study of Military History	176
From the History of the Military and Political Situation in Georgia of the Classical Period (5 <sup>th</sup> cent BC - 4 <sup>th</sup> cent AD).	183
Weapons and Armor	195
Typological - Statistical Data of Archaeological Sites of 5 <sup>th</sup> cent. BC - 4 <sup>th</sup> cent. AD from Georgia	212
Graves of Warriors of 5 <sup>th</sup> cent. BC - 4 <sup>th</sup> cent. AD	232
Afterword	243
Bibliography	236
List of Figures	242
Figures	246

## წინასიტყვაობა

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით და მხარდაჭერით გამოცემულ წინამდებარე წიგნში ძვ.წ. V- ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული იარაღ-საჭურველი: შუბი, სატევარი, ცული, მშვილდ-ისარი, მუზარადი, ჯაჭვ-ჯავშანი, ფარი და სხვ. შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით; არქეოლოგიური მონაცემები შეჯერებულია წერილობით წყაროებთან; მოკლედაა მიმოხილული იარაღის შემცველი არქეოლოგიური ძეგლები. ასეთი მეთოდიკის გამოყენების შედეგად მივიღეთ საცნობარო-მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი ანტიკური პერიოდის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და საბრძოლო ისტორიის შესახებ. აღნიშნული ნაშრომის პარალელურად, შედგა არქეოლოგიური მასალის კატალოგი: „იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში II (ნაწ.), რომელიც ინტერნეტშია განთავსებული.

საქართველოს მინა-წყალზე ქართველების ისტორიულ-კულტურული განვითარების, სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობის ხანგრძლივი და თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. თანამედროვე საქართველოს გეზი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და ევროატლანტიკური ერთობისაკენ აქვს აღებული. ქვეყნის მყარი სახელმწიფოებრიობის, სტაბილურობის და წინსვლის მთავარ გარანტს მაღალი თავდაცვისუნარიანობა წარმოადგენს. ამიტომ, სამხედრო საქმის ისტორიული გამოცდილების შესწავლა-გააზრება პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველები განუწყვეტელ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. ამ ბრძოლებში ვითარდებოდა და იხვეწებოდა მათი სამხედრო გამოცდილება, სტრატეგია, ტაქტიკა და შეიარაღება. ანტიკურ ხანაში, ძველი საქართველოს ტერიტორიაზე, პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთის და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო. წინამდებარე წიგნში, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე, სწორედ ამ ეპოქის იბერია-კოლხეთის სამხედრო-პოლიტიკური ისტორია და იარაღ-საჭურველია განხილული.

ბოლო წლებში საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა საგრძნობლად გაფართოვდა. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში გამოჩნდა ახალი ნაშრომები, მიძღვნილი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის კონკრეტული ასპექტებისადმი, რაც ამ ეტაპზე საშუალებას იძლევა ანტიკური ხანის საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პერიპეტიებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ქრილში დავაკვირდეთ.

ძველი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის, კერძოდ საბრძოლო საქმის ისტორია-არქეოლოგიის საკითხები არაერთმა მეცნიერმა განიხილა, რომელთა ნაშრომებმა ფასდაუდებელი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოცემული პრობლემატიკის კვლევის საქმეში. ბუნებრივია, რომ წინამდებარე ნაშრომის ავტორები ვერ ავცდით გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხარვეზებს, შიგადაშიგ გამეორებასაც. სამწუხაროდ, წიგნში მოცემული თემატიკის ყველა საკითხი, მონაცემების ნაკლებობის გამო, თანაბრად არ არის წარმოდგენილი. იმედია, კეთილგანწყობილი მკითხველი ამას დიდსულოვნად მოგვიტევებს და სამაგიეროდ, მოგვანვდის საქმიან შენიშვნებს, რასაც მომავალში გავითვალისწინებთ.

\*\*\*

ნაშრომისთვის მასალების მოძიებისას გარკვეული დახმარება გაგვიწიეს კოლეგებმა: ვახტანგ ნიკოლაიშვილმა, ზურაბ ბრატვაძემ, ნინო სულავამ, ვახტანგ ჯაფარიძემ, გიორგი გოგოჭურმა, კახა კახიანმა, გურამ კვიციანიამ, დავით სულხანიშვილმა, შიო სიმსივემ, ერეკლე ქორიძემ, მინდია ჯალაბაძემ, გურამ ყიფიანმა, დავით მინდორაშვილმა, რომლებიც აქ მაღლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ.

ნიგნში გამოყენებული და გადამუშავებულია გამოქვეყნებულ ნაშრომებში მოცემული გრაფიკული გამოსახულებები და ფოტომასალა.



## საომარ მოქმედებათა სარბიელი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

გეოგრაფიული გარემოს (resp. ბიოგეოგარემოს) როლი ზოგადად საზოგადოებისა და კონკრეტულად სამხედრო საქმის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია. ამდენად, საომარ მოქმედებათა სარბიელის მიმოხილვის გარეშე შეუძლებელია სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა.

თანამედროვე საქართველო ტრანსკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველები (ქართველური ეთნოსი) განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებულები იყვნენ სამი მდინარის: მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზებში. ეს კი, ზოგადად, ვანის ტბიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. აქ სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებას საისტორიო წერილობითი წყაროები (იხ. ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ, კერძოდ: კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსინიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ.

**ანტიკურ ეპოქაში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე დაწინაურდა და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა ორმა ძველმა ქართულმა სახელმწიფომ - კოლხეთისა და იბერიის სამეფოებმა (ისევე, როგორც ბერძენთა სახელმწიფოებმა – ათენმა და სპარტამ). კოლხეთ-ლაზიკის, ანუ ეგრისის და იბერიის, ანუ ქართლის ადგილსა და საფუძველზე შემდგომ ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.**

ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა გეოგრაფიულმა გარემომ: რელიეფმა, ზღვამ, ტბებმა, მდინარეებმა, კლიმატმა, ნიადაგმა, მადნეულმა, ფლორამ და ფაუნამ. უპირატესად ამაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო-საწარმოო, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი, სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:6; Gamkrelidze 2008:144-158].

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით – კავკასიონის მაღალი ქედი; სამხრეთით – აჭარა-ლაზეთ-არსიანის მთიანეთი, ჯავახეთის ქედი, მდ. დებედას ხეობა; აღმოსავლეთით – მდ. აგრიჩაი-მინგეჩაურის აუზი; დასავლეთით – შავი ზღვა. მოცემულ ტერიტორიას ლიხის ქედი ყოფს. მის დასავლეთით მდებარეობს კოლხეთის დაბლობი მდ. რიონის აუზით, ხოლო აღმოსავლეთით – ივერიის ბარი მდ. მტკვრის აუზით. მთიანეთს შორის განლაგებულია შიდა და ქვემო ქართლის, ალაზნისა და კოლხეთის დაბლობ-ვაკეები. საქართველოს რელიეფი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. მთა-მთისწინეთი - კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია. აჭარა-მესხეთის მთიანეთი ორი ძირითადი ქედისაგან შედგება: ერთი არის მესხეთის, მეორე – შავშეთის ქედი. მათაც მრავალი განშტოება აქვს, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს ერთმანეთთან აკავშირებს ლიხის ქედი. დიდი და მცირე კავკასიონის მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-გზები, რომლებითაც ძველი მოსახლეობა დანარჩენ სამყაროს უკავშირდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ

გადასასვლელებს ახლაც იყენებენ. ესენია: ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის, დარიალის და სხვ.

მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი და იბერია თავისი რელიეფით - ქედებით, ზეგნებით, ხეობებით, სერებით, ტაფობებითა და ბორცვ-გორაკებით მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I საუკუნის რომაელი მხედართმთავრის, ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების თეატრის შეფასება: „მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მონინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ წავიდეს მთა-ხეობებისაკენ. განა ვერ ხედავთ, რომ მათ უკან (კავკასიონია) და იქით გადაშლილია უსაზღვრო უდაბნო-სტეპი (აქ იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები); აქვეა კავკასიონი მაღალი მთებით...“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე II ს-ის ავტორის, იმპერატორ ადრიანეს სამხედრო-ადმინისტრაციული წარმომადგენლის, ძველი საქართველოს ზღვისპირეთის თვითმხილველის ფლავიუს არიანეს აღწერითი მოხსენება. ის წერს: ფასისის „...ციხესიმაგრე მე მეჩვენება ძალიან მიუდგომლად და უსაფრთხოდ ბუნებრივი გარემოს გამო. ის მეტად მოხერხებულ ადგილზეა განთავსებული. ...კედლები აგურისგანაა გაკეთებული, საძირკველი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული.“ „აქაური ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარია ხომალდებისათვის...“ (არიანე, 9).

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევ მიდინარეების სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებულად გამოყენება, საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო. სამხედრო მოქმედებისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კლიმატს. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა“ (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (აპიანე, „მითრიდატე,“ 101).

საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი დასასახლებლად მოსახერხებელია, რადგან აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვიშა, ქვა.

საქართველო მდიდარია წიაღისეულით. მეტალურგიული ნედლეულის – სპილენძის, რკინის, კალის მოპოვების ძირითადი ადგილებია: რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, მდ. დიდი ლიახვის ზემო წელი, მდ. ძამას ხეობა. მდ. ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის, რიონისა და მაშავერას ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს I ს-ის ავტორი სტრაბონი (XI, II, 19): „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვრეტილი ვარცლებითა და ბენვიანი ტყავებით“. II საუკუნის ავტორი აპიანე აღნიშნავს: „კავკასიონიდან მომდინარე მდინარეებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ დალექილ ქვიშას“ (მი-

თრიდატეს ომები, 103). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუსი (NH,XXXIII): „კოლხეთის მეფე სამეუფეოში დიდძალ ოქროსა და ვერცხლს მოიპოვებდა...“. საყოველთაოდ ცნობილია ხალიბების, მოსუნიკების, მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. აქ მოსახლეობის მიერ მადნეულის დამუშავება-გამოყენებამ საზოგადოება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამდენად, სასარგებლო მადნეულის არსებობამ გამოიწვია პოზიტიური ძვრები წარმოების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, სამხედრო აღჭურვილობის გაუმჯობესებაში აისახა.

საქართველოს მათაა მყინვარებიდან გამოდინებული მდინარეების ნაწილი შავი ზღვის აუზს ეკუთვნის, ნაწილი - კასპიის ზღვისას. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავს რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურას, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ლალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს, მტკვარს, დიდ ლიახვს, ქსანს, არაგვს, იორს, ალაზანს, ხრამს. აქედან ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას, ჭოროხს და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილასა და მტკვარს სამდინარო-სატრანსპორტო გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო და საბრძოლო ნაგებობები დაცურავდნენ. წერილობით წყაროებში მდ. რიონის შუა და ქვემო წელი ხშირად მოიხსენება ფასისის სახელით, რომელიც პირველად ძვ.წ. VII ს-ის ჰესიოდეს თხზულება „თეოგონიაში“ ნახსენებია.

მდინარე რიონ-ყვირილა ანუ ფასისი და მდინარე მტკვარი ანუ კუროსი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა იყო. ცნობები მისი გამოყენების შესახებ სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი ასე აღწერს ამ გზას: „ფასისზე აღმა ცურვა შორაპანამდე შეიძლება. ამ სიმაგრეს მთელი ქალაქის მოსახლეობა შეუძლია დაიტიოს; შორაპანიდან საურმე გზით, ოთხ დღეში მისივლება მდ. მტკვრამდე“ (XI, II,17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი (XI, VII,3) ასე აგვიწერს: „...ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“. ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I საუკუნის ავტორი პლინიუსი სეკუნდუსი (VI, 52): „...პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა, მათ შეუძლიათ მიაღწიონ მდ. ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება“.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი - კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონისა და მინის ჭურჭელი. ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხეში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანებში, მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიდსა და ფოთთან, პალიასტომის ტბასთან, მდ. მტკვრის გაყოლებაზე კი: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩათეში, ძალისაში, ციხიაგორასთან, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინესა და მცხეთაში.

რიონ-ყვირილას ანუ ფასისის სავაჭრო გზის უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო პალიასტომის ტბასთან მდებარე ქალაქი. გეომორფოლოგიების აზრით, პალიას-

ტომის ტბა ძველად მდინარე რიონის ლაგუნა-ლიმანი იყო. ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ადგილას, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოდინდა-გადინდა [იხ. გამყრელიძე 2010:35].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი.“ „აქიდან შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ [ქ.ც. 1973:790]. აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება;“ „...ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიცურდნენ ქალაქთან“ (იხ. აგათია III, 5). არქეოლოგიის ცენტრის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბასთან, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში II-VII საუკუნეების ნამოსახლარს მიაკვლია. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვექონდეს პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ქალაქ ფასისის ნაშთებთან [იხ. გამყრელიძე 2010:37].

შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი გამაგრებული დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი გონიოსთან, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი ფოთთან, ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი ოჩამჩირესთან, დიოსკურია-სებასტოპოლისი სოხუმთან, ეშერა, პიტუნტი ბიჭვინთასთან, რომელთა ცხოვრების წესი ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ უცხოეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტი შავი და ხმელთაშუა ზღვების ქალაქებთან: მილეთთან, ათენთან, სინოპთან, ტრაპიზუნტთან, კ. ქიოსთან, კ. როდოსთან, რომთან (ოსტია), შემდგომ - კონსტანტინოპოლთან, გენუასთან, ვენეციასთან და სხვ.

შავი ზღვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვაში. ბოსფორის სრუტის უფინროესი ადგილი 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი სამხედრო-სტრატეგიული გადაკეტვა ადვილია. ვის ხელშიც ეს სრუტეები იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. შავი ზღვის საქართველოს ნაპირი ყველგან ერთნაირი არ არის. ის სამხრეთ და ჩრდილოეთის მონაკვეთზე მთიანია; სანაპირო ხაზზე გამოწეულია კონცხები - მწვანე კონცხის, ციხისძირ-ბობოყვათის, ანაკლიის, კოდორის, სოხუმის, ბიჭვინთის. ამ კონცხებთან შექმნილი ყურეები გარკვეულწილად მოსახერხებელია ნავსაყუდელების შესაქმნელად.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (I, III, 2) აღნიშნულია, რომ შავი ზღვისპირეთის „ხალხები დაცურავდნენ მეკობრეობის და ვაჭრობისათვის ...ნაპირ-ნაპირ“ ანუ კაბოტაჟურად. ზღვის სანაპიროებზე საომარი თავდასხმები ზღვისპირა ხალხების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს: „ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები“, ისინი „...ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით...“; გამოირჩევიან „...თავისი სიმდიდრით, ქვეშევრდომთა სიმრავლით, მინა-წყლის მოსავლიანობით...“ „მცხოვრებლები დაცურავენ ... და ვაჭრობიდან დიდი სარგებელი აქვთ“ (აგათია, III, 5).

შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების ყოფაზე. კოლხეთის ისტორიაში უარყოფითი როლი ნაპირის ცვალებადობამ ითამაშა. გეომორფოლოგების ვარაუდით, ძვ.წ. I ათასწლეუ-

ლის მეორე ნახევარში, ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია, ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ აინია ზღვის დონემ. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქდასახლებები წყლის ქვეშ მოექცა. წერილობით წყაროებში საქართველოს ზღვისპირეთში მოხსენიებული მთელი რიგი ქალაქების (ფასისი, გიენოსი, დიოსკურია-სებასტოპოლისი, პიტიუნტი, პეტრა, აფსაროსი) მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ სანარ-მოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა. სწორედ ეს იყო კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი. კოლხეთის დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ენერი ნიადაგებია. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემადღებული მონაკვეთი, ასევე, მთისწინეთის ბორცვ-გორაკებიანი ნაწილიც.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, II,17) დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: „ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი მასალა, რადგან მოზრდილი ფართობი უჭირავს ტყეს; ხის ძელები მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც გააქვთ“. ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები კვებავსო [იხ. Latyshev 1904:377]. საყურადღებოა VI ს-ის ბიზანტიელი მწერლის, პროკოპი კესარიელის (BG, VIII,14) წერილობითი ცნობა: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; იქ ღვინოც კარგი იცის და სხვა ნაყოფიც კარგად ხარობს...“. კოლხეთის ცენტრში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. შესაბამისად, აქაურებს საბრძოლო მოქმედებებისათვის კარგი რესურსებიც ექნებოდათ. კოლხეთის დაბლობი რომ დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც.

საქართველო მრავალფეროვანია მცენარეული საფარით. აქ დღესაც შევხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპური სარტყლის ქვემოთ მთა-მთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები: მუხა, რცხილა, ნაბლი, ნიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია, აგრეთვე, ლაფანი და ძელქვა. არის ბუჩქნარები - ბზა, წყავი, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით - სურო, ღვედეცი. მთა წინვთან მცენარეებს - ნაძვსა და სოჭს უჭირავს. ხის სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება. ძველი საქართველოს სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთ მცენარეებს, როგორიც იყო ხორბალი, ქერი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, ნაბლი, ღომის ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. საქართველოში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში თბილი ზამთარი და ხანგრძლივი, ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგრარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის.

ცხოველებიდან საქართველოში ადგილობრივის გარდა გავრცელებულია

ევროპული და მცირეაზიური სახეობები. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე, გარკვეულწილად, იყო დამყარებული ძველი მოსახლეობის გამოკვება და საბრძოლო მოქმედებებისას გარკვეული მარაგების შექმნა. ძველ საქართველოში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორცაა: არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღელი, ირემი, შველი და მურა დათვი; მგლის, დათვის, ტურას, მელას, ფოცხვრის ტყავს სამოსად იყენებდნენ. მდინარეებში იჭერდნენ კალმახს, ლოქოს, ორაგულს, წვერას. საკვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან მაშინაც გავრცელებული იყო გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი, ხობობი. ხობობის სახელი „ფასიანუს“ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის შესული.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ანუ ძვლის ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი საქართველოს მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ნადირობას, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში სამხედრო-საბრძოლო წვრთნა-მზადების ფორმაც ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში ხარის, ძროხის, თხის, ცხვრის ძვლები მრავლადაა დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჰგავს. საგულისხმოა, რომ არისტოტელე ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: „ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომლებიც ბევრ რძეს იწველიან...“ (III, 21). გამწევ-სატრანსპორტო პირუტყვიდან არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად, ხარისა და ცხენის ძვლები გვხვდება.

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს ჭაობებში ხის ... სახლები აქვთ“ („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ,“ 15). ასევე ახასიათებს კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII ს-ის იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტიც: „კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლისნაირი არსად არ არის. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები“ [იხ. ლამბერტი 1938:19].

დასავლეთ საქართველოს ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ ცნობებს გვანვდის XVIII საუკუნის მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „და არს ქუეყანა ესე ფრიად ტყიანი, ... ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა...“ [იხ. ქ.ც. 1973:743].

აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადი სამეურნეო-სამინათმოქმედო ფართობები განლაგებული იყო შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე, ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე. უწყლობის გამო რამდენადმე არანაყოფიერია ივრის ზეგანი და შირაქ-ელდარის ველები. აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა კოლხეთთან შედარებით მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათმოქმედებისათვის საჭირო იქნებოდა სარწყავი არხები. სტრაბონი იბერიის შესახებ გადმოგვცემს: „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით; იქ არის კრამიტისანი სახურავები, სახლები არქიტექტურულადაა მოწყობილი, ბაზრე-

ბი და სხვა... ქვეყანა კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ...არის ალაზანი, სანდობანი... ყველა ესენი სანაოსნონი არიან და უერთდებიან კასპიის ზღვას“ (სტრაბონი XI, III, 1,2).

იბერია-კოლხეთში სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებისას, ადგილობრივი მებრძოლები ფლობდნენ და კარგად იყენებდნენ რელიეფს, მთებს, ხეობების ჩამკეტ ვიწრო ადგილებს, მთა-გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, ხშირ გაუფალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. ფიზიკურგეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, იბერია-კოლხეთში თითქმის შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯვართ, მაგალითად, მაკედონური ფალანგით მოქმედება. აქ უფრო კარგად განვრთნილი, ადგილობრივ გარემოზე ინფორმირებული, მობილური მცირე რაზმებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. ადგილობრივი მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა კი, ძირითადად, სწორედ რელიეფის მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული [იხ. გამყრელიძე 2010:43].

ძველი კოლხეთისა და იბერიის გეოგრაფიული გარემოს მიმოხილვიდან ჩანს, რომ გარემომ წამყვანი როლი ითამაშა მათი ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ ზღუდეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერიაში - მდ. მტკვარზე ჩამოყალიბდა ერთობ თავისებური ისტორიულ-კულტურული არე. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. ანტიკური ხანის კოლხეთსა და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა და შეჯახებაც.

## სამხედრო ისტორიის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვა

საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური პერიოდის [ტერმინის შესახ. იხ. გამყრელიძე 1985;123-129] სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის სრული რეკონსტრუქციისათვის მონაცემთა ბაზა, სამწუხაროდ, მცირეა. აქ უპირველესი მნიშვნელობა არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებს (ქართულ და უცხოურ საისტორიო-ლიტერატურულ და ეპიგრაფიკულ ძეგლებს) ენიჭება. მათი მონაცემების ურთიერთშედარების და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მოცემული პერიოდის აღდგენა.

იბერიულ-კოლხური ხანის სამხედრო-საბრძოლო ისტორიის შესწავლა უპირატესად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეა შესაძლებელი, რადგან ამ პერიოდის წერილობითი წყაროები მწირეა და ხანდახან წინააღმდეგობრივი. საბრძოლო იარაღის და თავდაცვითი ნაგებობების შესახებ კი წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები დაგროვდა.

მნიშვნელოვანია არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული მასალა - შეიარაღება (სატყვრები, შუბები, საბრძოლო ცულები, მშვილდ-ისრები, შურდულები, ქვის ყუმბარები, მუზარადები, ჯაჭვ-ჯავშნები, ფარები, ცხენის აღკაზმულობები) და ფორტიფიკაცია — (ციხე-ქალაქები - თავდაცვითი თხრილები და კედლები, კოშკები, კარიბჭეები და სხვ). ეს არქეოლოგიური მონაცემები სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის გამოყენებით შეისწავლება [იხ. გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005; გამყრელიძე 2010; Gamkrelidze 2008:144-158].

არქეოლოგიური მასალა რომ წყაროდ იქცეს (ჩვენს შემთხვევაში - შეიარაღება), ამისათვის ის შეისწავლება ცალ-ცალკე კომპონენტებად: შეიარაღება - არტეფაქტი, სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება და კლასიფიკაცია, აღმოჩენის ტოპოგრაფია, თარიღი, გავრცელების არე. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ცალკეული არქეოლოგიური მონაცემი შეჯერდეს წერილობით წყაროებთან, თუ კი მოცემული ეპოქისათვის ის გაგვანია. არქეოლოგიური წყარო-მონაცემების შესახებ დაწვრილებით იხ. მომდევნო თავებში.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიისათვის და კერძოდ, მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის ძირითად ქართულენოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნაწილი - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომლის შემდგენელ-გადამწერია ქართველი სწავლული ლეონტი მროველი [ქ.ც. 1955:3-138]. ის, თავის მხრივ წინამორბედთა მრავალფეროვანი წყაროებით სარგებლობდა, რომლებსაც ტექსტში ასახელებს - „წიგნი ბერძენთა,“ „მოქცევაი ბერძენთა,“ „ცხოვრება სპარსთა“, აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი“ და სხვ. ლეონტი მროველი ქართულად და უცხოურად დაწერილი სხვადასხვა თხზულებებით სარგებლობდა, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა ფარნავაზიანთა ეპოქის დროინდელიც კი იყო. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში ...“ მოყვანილი ცნობების (პერსონალიების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღესოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები - ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზი, შორაპანი, დიმნა; ისტორიული პირები - არტაგი (არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (მიჰრდატი), ამაზასპი და სხვ.



„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრავალგზის აღინიშნება და აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში: იბერიის მეფე არტაგას (არტოკეს) ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს - აპიანე (მითრიდატიკა, 103, 117), დიონ კასიუს კოკეიანოსი (რომის ისტორია XXXVII,1); მეფე ფარსმანს და მეფე მითრიდატეს ახსენებს დიონ კასიუსი (რომის ისტორია XLIX, 24; LVIII, 26); მეფე ფარსმანს - ტაციტუსი (ანალები, VI, 33, 34), დიონ კასიუსი (რომის ისტორია LVIII, 26); მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე (პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო, 11), დიონ კასიუსი (რომის ისტორია LXX,2), აელიოს სპარტიანეს ადრიანოსი [Latyshev 1904:293], იული კაპიტოლინი [Latyshev 1904:294].

წერილობით წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლში სამხედრო საქმის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებული სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის (ქართლის) სამეფოს - „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განანესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“ [ქ.ც. 1955:24, 6-8]. შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განავრცეს.

ძველი ქართული საისტორიო წყარო „ქართლის ცხოვრება“ ძირითადად სანდოდ მიიჩნიეს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილმა ევროპელმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა - ჟ. სენ-მარტინმა და მარი ბროსემ [Brosset 1858:24]. XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსებისათვის „ქართლის ცხოვრება“ ძირითადი წყარო იყო საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რეკონსტრუქციისათვის (იხ. ბაგრატიონი თ., „ისტორია ივერიისა,“ 1848, ს-პეტერბურგი; ბარათაშვილი ს., საქართველოს ისტორია, I, ქუთაისი, 1895, რუსული გამოცემა 1865, ს-პეტერბურგი; ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889). „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ-კრიტიკული შესწავლის და ახალი არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა მართებული თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრებაზე,“ როგორც საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ნარატიულ წყაროზე [წერეთელი 1942:1-83; მელიქიშვილი 1978:54; მუსხელიშვილი 1986:57; ალექსიძე 1984:152; ბარამიძე 1992:3; ხოშტარია-ბროსე 1996:4; ქავთარია 1999:64,125; Ачбаძე 1990:10-32; გამყრელიძე 1985:86-97 და მათში მითითებული ლიტ].

„ქართლის ცხოვრების“ ნაწილის - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ - ერთად იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა „მოქცევაი ქართლისაი“ [იხ. ძველი ქართული...1963:81-163].

მასში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თხზულების პირველი ნაწილი, სადაც მოკლე ქრონიკის სახით ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიაა გადმოცემული. აქვე მოთხრობილია იბერიის მეფეების ფორტიფიკაციის - ზღუდე-ციხეების მშენებლობის ამბები. „მოქცევაი ქართლისაიში“ მოყვანილი ისტორიული ცნობების რეალობა ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“ არქეოლოგიური, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროებით და ეპიგრაფიკული მონაცემებით დასტურდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ შედგენილია V ს-ში [Обращение Грузии 1989:14]. შესაძლებელია, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ ავტორი ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“ იბერიულ-კოლხური ხანის შესახებ ჩვენამდე მოუღწეველი ისტორიული თხზულებებით სარგებლობდა.

ამდენად, ამჟამად, მხოლოდ ამ ორ ქართულენოვან თხზულებაში – „ქართლის ცხოვრებაში“ და „მოქცევაი ქართლისაი-ში“ არის შემონახული ფასდაუდებელი მეცნიერული ინფორმაციის მქონე ცნობები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც საქართველოს იბერიულ-კოლხური ხანის ისტორიის, ასევე კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური საკითხების კვლევისას.

ქართულთან ერთად იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებისას გამორჩეული მნიშვნელობა ბერძნულ-ლათინურენოვან წერილობით წყაროებს ენიჭება.

საყურადღებო ცნობებს გვანვდის წარმომავლობით მცირეაზიელი, ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიული მეცნიერების დამფუძნებლად აღიარებული ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425 წწ.), რომელიც კოლხეთშიც იყო ნამყოფი. ჰეროდოტემ თავის თხზულებაში „ისტორია“ [ჰეროდოტე 1975; 1976] ძირითადად, ძვ.წ. V ს-ის ამბები აღწერა. თხზულებაში ის, ნანახის გარდა, იმ დროისათვის არსებულ წყაროებსაც იშველიებს. მონაცემები, რომლებიც ჰეროდოტეს „ისტორია-შია“ შემონახული, კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ძირითადად სანდოდაა მიჩნეული. ჰეროდოტემ მიზნად დაისახა ბერძენ-ირანელთა ომების აღწერა და ამ ომების (ძვ.წ. 500-449 წწ.) მიზეზების კვლევა. ცნობები ქართველური მოსახლეობის შესახებ საერთო სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ფონზეა მოცემული. ის მოგვითხრობს ქართველური მოსახლეობის ირანის ჯარში სამსახურის და მათი სამხედრო აღჭურვილობის შესახებ. მაგ. „... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ; გამოუქნელი ტყავის მცირე ფარები ჰქონდათ და მოკლე შუბები; აგრეთვე დანები“ (ჰეროდოტე, ისტორია, VII, 79).

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს წარმოადგენს ბერძენი ავტორის ქსენოფონტის (ძვ.წ. 435-355 წწ.) „ანაბასისი“ [მიქელაძე 1967]. ქსენოფონტი ირანელი უფლისწულის, კიროსის არმიაში დაქირავებულ ბერძენ მეომართა ერთ-ერთი მეთაური იყო მეფე არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ანაბასისი“ არის თვითმხილველის დღიური, რომელსაც ომიდან 10.000 მეომართან ერთად შინ მიმავალი ქსენოფონტი წერდა. ქსენოფონტის ჯარს ქართველური მოსახლეობის (კოლხების, ხალიბების, მოსინიკების, ტიბარენების, ტაოხების და სხვ.) ტერიტორიებზე გავლამ მოუწია. ის აღწერს მათ სამხედრო აღჭურვილობას და გამაგრებულ-საფორტიფიკაციო ნაგებობებს. იძლევა აგრეთვე სამხედრო-ფსიქოლოგიურ შეფასებებს. მაგ.: მამაცნი, უმამაცესნი, თავისუფალნი, საშიშნი, სწრაფ-მარდები და ა.შ. ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ქმედებების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ძვ.წ. I ს-ის ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის თხზულებაში - „ისტორიული ბიბლიოთეკა“ [ყაუხჩიშვილი 1976:37-117]. იგი წინამორბედთა (აპოლოდოროსს, ევოროსს, აგათარქიდესს, არტემიდოროსს და სხვ.) თხზულებებს იმონებს.

ძვ.წ. I ს-ის ავტორის, მემნონის „ჰერაკლეს ისტორია“ [ყაუხჩიშვილი 1962:137-194] პონტო-რომის ომების ისტორიას გადმოგვცემს. იგი აქვე მითრიდატე ევპატორის დასავლეთ კოლხეთში მოქმედების და იბერთა მეფესთან სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმება-ხელშეკრულებაზე მოგვითხრობს [იხ. გამყრელიძე 1985:50].

ისტორიოგრაფიაში სანდო ავტორადაა მიჩნეული ბერძენი მწერალი სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24 წწ.). სტრაბონს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირა და ბევრს მოგზაურობდა. ივარაუდება, რომ ის კოლხეთშიც არის ნამყოფი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომი „გეოგრაფია“ [იხ. ყაუხჩიშვილი 1957], რომლის წერისას ის იყენებს სხვადასხვა დღევანდლამდე მოუღწეველ წყაროებს -

პოსეიდონოსს, თეოფანე მიტილენელს, ჰიფსიკრატეს, აგრეთვე ევრიპიდეს და სხვ. სტრაბონის „გეოგრაფია“ იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შედარებით ვრცელი წყაროა. ჩვენთვის საყურადღებოა მასში მოცემული სამხედრო-პოლიტიკური მონაცემები. კერძოდ, სამხედრო-საზღვაო მოქმედების: საბრძოლო ნაგებობის, კამარებისაგან შემდგარი ფლოტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად კოლხეთიდან აჰყავდათ საზღვაო ძალებში სამსახურისათვის ხალხი. კოლხეთიდან გაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული - გემთსაშენი მასალა (ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი). სტრაბონის მიხედვით იბერია-კოლხეთში იყო გამაგრებული ციხე-ქალაქები - სარაპანა (შორაპანი), ჰარმოზიკე (არმაზციხე), სევსამორა (წინამური), იდეესა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა დასახელებული გამაგრებული პუნქტები.

სტრაბონი მოგვითხრობს იბერიის სამეფოს სამხედრო ფენასა და მათ ხელმძღვანელებზე; მამაც და ძლიერ სვანებზე, რომელთაც საომრად 20.000-იანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლიათ. იხსენიებს სპეციფიკურ იარაღს - შხამიან ისრებს, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგეები სწრაფად კვდებოდნენ. აქვე ცნობებია მთიელი მებრძოლი იბერების შესახებ, რომლებსაც ომიანობის დროს „მრავალი ათასი“ მეომრის გამოყვანა შეუძლიათ; იბერები შეიარაღებულები არიან ტყავის აბჯრებით, შუბებით, მშვილდებით და სხვ. სტრაბონთან მოთხრობილია მითრიდატე ევპატორის, პომპეუსის, ფარნაკეს, მითრიდატე პერგამონელის ბრძოლების შესახებ.

სტრაბონი XI,III,6 თავში დასძენს, რომ იბერიის სამეფო სოციალურ-იერარქიულად სტრატეგიციურებულია [იხ. ვაშაკიძე 1991:134]. იერარქიული კიბის თავში გამაერთიანებელი ხელისუფალი, მეფე იდგა. მას მოსდევდა არისტოკრატია, „მოსამართლეები, სარდლები, ქურუმები“, შემდეგ „მეომრები და მიწათმოქმედები.“ სტრაბონის მრავალმხრივი ცნობები ძირითადად უტყუარი წყაროა იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

საინტერესო ცნობები აქვს ბერძენ ავტორს პლუტარქეს (46-120 წწ.) იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის თხზულებაში „პარალელური ბიოგრაფიები“ [პლუტარქე 1975], რომლებიც ძირითადად „ლუკულუსის“, „პომპეუსის“ და „ანტონიუსის“ ბიოგრაფიების თხრობისას გვხვდება. პირველ ორ თხზულებაში აღწერილია რომაელი სარდლების ლუკულუსის და პომპეუსის ომები მითრიდატე ევპატორთან. ამ ომებში ჩართული იყო იბერია და კოლხეთი. პლუტარქე მოგვითხრობს იბერების სპეციალური შუბოსანი რაზმის შესახებ. ისინი, მისი აზრით, საუკეთესო და სანდო მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული. აქვე აღწერილია პომპეუსის საბრძოლო მოქმედებები იბერიის სამეფოს და შემდგომ, კოლხეთში, სადაც, მდ. ფასის-რიონის ზღვასთან შერთვის ადგილას, მას სერვილიუსი თავისი სამხედრო ფლოტით ელოდებოდა.

მნიშვნელოვანი მონაცემები მოეპოვება ძველი საქართველოს და, კერძოდ, ჩვენი შესასწავლი თემის შესახებ, რომაელ ისტორიკოსს, კორნელიუს ტაციტუსს (50-117 წწ.). მას გარკვეულ პერიოდში აზიის პროვინციის პროკონსულის თანამდებობაც ეჭირა. კორნელიუს ტაციტუსი თავის თხზულებებში ეყრდნობა პირველწყაროებს. მას ხელი მიუწვდებოდა რომის სენატის სხდომების ოქმებზე, სახელმწიფო დოკუმენტებზე, სასამართლოს ოქმებზე და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს ტაციტუსი „ანალებში“ გადმოგვცემს [იხ. გამყრელიძე აღ. 1973], სადაც ძირითადად აღწერს თანადროულ მოვლენებს და მათ კრიტიკულად განიხილავს. ზოგიერთი ცნობა ძველი

საქართველოს შესახებ მხოლოდ ტაციტუსის თხზულებებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსის თხრობის მთავარი ობიექტი რომაული სამყაროა, მცირე აზია-კავკასიის ამბებს მაინც საკმაო ადგილი ეთმობა. იბერია-კოლხეთში მიმდინარე მოვლენები ტაციტუსთან მოცემულია რომი-პართიის ურთიერთჭიდლის ფონზე. „ანალებში“ მოიპოვება ცნობები მცირე აზია-კავკასიაში რომაელთა ლეგიონების განლაგების; კორბულონთან ერთად იბერების ბრძოლის; კავკასიონის ქედზე სტრატეგიული გადასასვლელების; იბერიელთა მეფის ძმის მითრიდატეს ქ. რომში ყოფნის; იბერიის მიერ არმენიის ქალაქ არტაქსატას (არტაშატის) აღების; პართელთა და იბერიელთა, მეფე ფარსმანის და სარდალ ოროდის ურთიერთბრძოლის შესახებ. აქვე აღნიშნულია იბერიელი მეომრების ამტანობის, მამაცობის და ბრძოლის ასპარეზის კარგად ცოდნის; იბერიის მეფე ფარსმანის ბრძოლის წინა სიტყვიერი მიმართვა-მოწოდების; იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე პართიის მეფის არტაბანის სამხედრო ბრძოლა-ოპერაციების შესახებ.

ტაციტუსის თხზულებაში ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ისტორია. ანიკეტი ადრე სამეფო ფლოტის მეთაური და გავლენიანი პირი იყო. მან მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის (შესაძლოა ქართველურის) გადაბირება, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და იქ რომაელთა კოჰორტა გაჟლიტა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების გადასამოწმებლად სხვა წყარო არ გავაჩნია.

მოცემული თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული რომაელი ისტორიკოსის აპიანეს (90-170 წწ.) თხზულებაში „რომის ისტორია,“ განსაკუთრებით საყურადღებოა XII წიგნი – „მითრიდატიკა“ [აპიანე 1959], რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორის ომების ისტორიას გადმოგვცემს. ამ მონაკვეთის მიხედვით სამეფო არა მხოლოდ ტერიტორიულად იყო ახლო იბერია-კოლხეთთან, არამედ ძირითადად ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული.

აპიანეს წყაროებად მიჩნეული არიან: პოლიბიოსი, დიონისიოსი, ფაბიუს პიქტორი, ტიტუს ლივიუსი, იულიუს კეისარი, პლუტარქე, დიოდორე, სალუსტიუსი. აპიანე ინფორმაციას გვანვდის მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლებზე; დასავლეთ კოლხეთში მითრიდატეს მოქმედებების და დიოსკურიაში (სოხუმში) გამოზამთრებაზე; იბერიის მეფის არტოკეს 70.000 მეომრიან ჯარზე; პომპეუსის და იბერიის მეფე არტოკეს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყართან ბრძოლებზე; პომპეუსის ტრიუმფის შესახებ რომში, სადაც ნახსენებია კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე და იბერთა სამი მეთაური; პომპეუსის მიერ კოლხეთში გამგებლად დანიშნული არისტარქესა (აღმოჩენილია არისტარქეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები) და იბერიელთა აღჭურვილობისა და საომარი ტაქტიკის შესახებ და სხვ.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს და მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მონაცემებია შემონახული არიანეს თხზულებაში – „შავი ზღვის გარშემო პერიპლუსი“ [ფლავიუს არიანე 1961], რომელიც იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ სამხედრო-სამსახურებრივ ანგარიშს წარმოადგენს. კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) 131-137 წლებში კაპადოკიაში რომის იმპერატორის ლეგატი იყო და ამ პროვინციას სამხედრო-ადმინისტრაციულად მართავდა. „პერიპლუსი,“ არიანეს მიერ, მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საინსპექციო დათვალიერება-საქმიანობის ანგარიშია, რომელიც გაეგზავნა იმპერატორ ადრიანეს. არიანემ ქ. ტრაპეზუნტიდან ქ. სებასტოპოლისამდე (დღევანდელი სოხუმში) პირადად მოიარა შავი ზღვის სანაპირო და ზოგიერთი გამაგრებული პუნქტი დაწვრილებით აღწერა. არიანეს „პერიპლუსის“ დიდი ღირსებაა ის, რომ ავტორი თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც მოგვითხრობს. არიანეს

მიხედვით, აფსაროსი (დღევანდელი გონიო) იმპერიის სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი ყოფილა, სადაც კარგად აღჭურვილი ხუთი კოჰორტა იყო განლაგებული. აფსაროსის ციხესიმაგრეს თხრილებით გამაგრებული, მტკიცე კედლები ჰქონია, იქვე სამხედრო ჰოსპიტალი და სურსათის სტრატეგიული მარაგის შესანახი ნაგებობები იყო.

არიანე, ფასისის (ფოთის) ციხესიმაგრეზე საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს გვანდის [იხ. გამყრელიძე 2002:70-110]. ის ციხესიმაგრის მოხერხებულ-მიუდგომელ თავდაცვით განლაგებაზე მიუთითებს. მოიხსენიებს საფორტიფიკაციო კედლებს და კოშკებს, რომლებზედაც „სამხედრო მანქანებია განლაგებული.“ აღნიშნავს ციხესიმაგრის კედლებთან ორმაგი თავდაცვითი თხრილის არსებობას. აქვე მიუთითებს ციხესიმაგრის დამცველი ოთხასი რჩეული მეომრის და თადარიგში გასული მეომრების შესახებ. არიანე მოგვითხრობს, აგრეთვე ადგილობრივ მებრძოლთა რაზმებზე, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდნენ ქალაქ ფასისში გამაგრებულ რომაელებს. არიანეს ხელმძღვანელობით ციხესიმაგრე ფასისში სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩატარებულა.

სებასტოპოლისის (სოხუმი) ციხესიმაგრეში ყოფნისას არიანე აღწერს ჯარის მდგომარეობას; ციხესიმაგრის ფორტიფიკაციას; მებრძოლთა სურსათით და იარაღ-საჭურვლით მომარაგების მდგომარეობას და სხვ. არიანე გადმოგვცემს: „იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცებისათვის გასამრჯელოს მიცემა, ცხენების და საჭურვლის დათვალიერება, ცხენოსნების ვარჯიში; დაჭრილ-ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება; ციხესიმაგრის კედლისა და თხრილის შემოვლა-დათვალიერება“ (ფლავიუს არიანე, „პერიპლუსი ...“ 10).

არიანეს თხზულებაში „აღანთა წინააღმდეგ“ დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა კოლხთა სამხედრო რაზმის შესახებ - „ჰოპლიტთა შემდეგ მოკავშირეთა ჯარი დაეწყო. ისინი, რომლებიც მცირე არმენიიდან არიან, ჰოპლიტები ტრაპეზუნტიდან; კოლხები და რიზელი შუბოსნები“ (არიანე, „აღანთა...“ 7).

ისტორიოგრაფიაში დიონ კასიუსი (კასიუს დიონ კოკეიანუსი 153-235 წწ.) ძირითადად სანდო ისტორიკოსადაა მიჩნეული. იგი მცირე აზიის ქალაქ ნიკეიდან იყო; დაიბადა და აღიზარდა წარჩინებული სენატორის ოჯახში, მიიღო კარგი განათლება, იყო კონსული და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება.

დიონ კასიუსის თხზულებებიდან მხოლოდ „რომის ისტორია“ შემორჩა, რომელიც ძირითადად რომის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას მოიცავს, სადაც ყურადღება, უპირატესად ფაქტების გადმოცემაზეა გამახვილებული, ხოლო მოვლენების ახსნა-განმარტებები შედარებით უკანა ადგილზე დგას.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა დიონ კასიუსის თხზულების ის მონაკვეთები, სადაც ტრანსკავკასიაში რომის სამხედრო მოქმედებებია აღწერილი. მათში განსაკუთრებით ვრცლად რომი-პონტოს სამეფოს მესამე ომი, ლუკულუსისა და პომპეუსის ბრძოლებია გადმოცემული. აქვეა იბერიაში და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის ამბები. დიონ კასიუსს, სხვა ავტორებთან შედარებით, ვრცლად აქვს მოცემული პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი და პერიპეტიები; იბერიის მეფე არტოკესთან ომი და შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკება. დიონ კასიუსი ასახელებს იბერიის რამდენიმე მეფეს. აქვე, იბერიის მეფის, არტოკეს ჯარის საომარი ტაქტიკაა აღწერილი. დიონ კასიუსს მოეპოვება საყურადღებო ცნობა იბერიის მეფე ფარსმან ქველზეც: „... როცა ფარსმან იბერიელი ცოლთან ერთად რომში ჩავიდა (იმპერატორმა) გაუფართოვა, განუვრცო სამფლობელო, პატივი დასდო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეენირა; მისი ცხენზე მჯდომი ქანდაკება ენიალიონზე დადგა და მისი ვაჟკაცის და სხვა შეჭურვილი წარჩინებული

იბერების სამხედრო-საბრძოლო ვარჯიშებს უცქერდა-აკვირდებოდა“ (დიონ კასიუსი, LXX,2,3).

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიის და კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შესახებ მოკლე, ირიბ ცნობებს გვანვდიან სხვა ავტორებიც. კერძოდ: ჰიპოკრატე, არისტოტელე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, პოლიბიოსი, ჰეკატეოს მილეთელი, პავსანია, ნიკოლოზ დამასკელი, სკიმნოს ქიოსელი, პომპონიუს მელა, იოსებ ფლავიუსი, კლავდიოს პტოლემეაიოსი, დიონისიოს პერიგეტი, ლუკიანე სამოსატელი, ალკიფრონი, პომპეიუს ტროგუსი, გაიუს პატერკულუსი, მარკუს მანილიუსი, ლუციუს სენეკა, კვინტუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, გაიუს სვეტონიუს ტრანკვილი [იხ. Latyshev 1904; ყაუხჩიშვილი თ. 1962, 1965, 1969], მოვსეს ხორენაცი [ხორენაცი 1984] და სხვ.

იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში საომარი მოქმედებების, საჭურველ-იარაღის და ფორტიფიკაციის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წერილობით წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. მათში, ზოგჯერ ძნელი გასარჩევია ნამდვილი და გამოგონილი, მითიური, ხოლო ნაწილში კი ცნობათა უმრავლესობა ერთიდაიმავე წყაროდან მომდინარეობს და მეორდება.

წყარო-მონაცემთა შორის ეპიგრაფიკულ მასალას თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნია. ჩვენ თემატიკასთან დაკავშირებული წარწერები უმეტესად შესრულებულია ქვაზე ან ლითონზე და უმეტესად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული.

ემერის ძვ.წ. III-ი სს. ნაქალაქარის (ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე) მონუმენტური ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები აღმოჩნდა, რომელზედაც ბერძნულად შესრულებული წარწერაა. იგი პალეოგრაფიულად ძვ.წ. III ს-ით თარიღდება. მისი ფრაგმენტულობის გამო, ძალიან ძნელია შინაარსის გაგება. იკითხება შემდეგი სიტყვები, რომელთა თარგმანი ასეთია - „სამხედრო ძალა ...; შეძლება ...; სამეფო ხელისუფლება ...; აღება-დაუფლება ...; ქალაქი ...; საბრძოლო წყობა ...; წარმართვა ...; პირდაპირი ...; მამაცი ...“. შინაარსი შეიძლება ასე აღვადგინოთ: საბრძოლო მოქმედებების შედეგად, მომხდურმა მტერმა აიღო ქალაქი („ემერი“). შემდგომ ქალაქის მამაცმა მებრძოლთა რაზმებმა შეძლეს, სამეფო ხელისუფლების სამხედრო დახმარებით, დაებრუნებინათ და აღედგინათ ქალაქი. შესაძლოა, რომ სწორედ ამ მოვლენის, ქალაქის აღება-აღდგენის აღსანიშნავადაა ეს წარწერა შექმნილი [შეადარე, იხ. Каухчишвили 1985:218; Инадзе 1988:148].

მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მდ. მტკვრის მარჯვენა, არმაზციხე-ბაგინეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, 75 წლით დათარიღებული ბერძნულენოვანი ე.წ. ვესპასიანეს წარწერა აღმოჩნდა. მასში ნახსენებია - იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.), მისი შვილები ტიტე (იმპერატორი 79-81 წწ.), დომიციანე (იმპერატორი 81-96 წწ.). აქვე აგრეთვე ნახსენებია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმან მეფის შვილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ვესპასიანეს წარწერის“ ბოლო ნაწილი; კერძოდ: „... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მომხრეს, და ხალხს (იბერიელებს) ეს კედლები გაუმაგრეს“ [იხ. წერეთელი 1958:14, ტაბ. I]. როგორც ჩანს, მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო აღმშენებლობაში ეხმარება და თავდაცვით კედლებს უმაგრებს, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეულ თანხებს იხდის.

ე.წ. ვესპასიანეს წარწერა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლო-

მატიურ ურთიერთ ინტერესს, რომელიც რომს და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა ახ.წ. I ს-ში, პარტიის სახელმწიფოს და მისი მომხრე არმენიის სამეფოს საპირისპიროდ. წარწერა, როგორც ჩანს, არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობაში, შესაძლოა კარიბჭეში იყო ჩამონტაჟებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო.

თურქეთის ქ. ანკარასთან ძვ.წ. II ს-ის, კიბელას სახელზე აგებული ტაძრის კედელზე შემორჩენილია მონუმენტური წარწერა, რომელიც „მონუმენტუმ ანკურანუმის“ სახელითაა ცნობილი. წარწერა ახ.წ. 14 წლისაა, ინტერიერში ლათინურად და ექსტერიერში კი პარალელური - ბერძნულადაა ამოკვეთილი. იგი 35 ნაკვეთისაგან შედგება და წარმოადგენს იმპერატორ ოქტავიანუს ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) მოღვაწეობის და ომების ამბების აღწერას. 31-ე მონაკვეთში, ჩვენი თემის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული თარგმანში, კერძოდ - „ჩვენი (რომაელების) მეგობრობა მოითხოვეს ელჩების მეშვეობით... ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, რომლებიც ტანაისის გამომღმა და გაღმა არიან; ასევე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა“ [Latushev 1904:41; ყაუხჩიშვილი 1976:240]. წარწერა მიგვანიშნებს იმაზე, რომ I ს-ში რომსა და იბერიის სამეფოს შორის ურთიერთმომგებიანი რაღაც ხელშეკრულება იყო დადებული. პომპეუსის იბერია-კოლხეთში 65 წელს ლაშქრობის შედეგად რომაელებმა ტრანსკავკასიაში მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ამას აგრეთვე რომის პართიასთან ქიშპობაც უშლიდა ხელს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იბერიის სამეფო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ მიდიელებთან ერთად, ერთ კონტექსტშია მოხსენიებული.

რომში აღმოჩნდა სამარხის სტელა, რომელზედაც ბერძნულად ამოკვეთილია 12 სტრიქონიანი ეპიტაფია; თარგმანი ასეთია - „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მინა არის კასპიის კართან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მისული პართელებთან საბრძოლველად, მიიცვალა უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს, ძლიერ ხელს, მტრის სისხლში შუბის, მშვილდისა და მახვილის პირზე; ქვეითიცა და მხედარიც იყო...“ [ყაუხჩიშვილი 1976:245]. ამ წარწერიდან ჩანს, რომ II ს-ის პირველ ნახევარში რომსა და იბერიის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობაა, იბერიის სამეფო პრორომაული ორიენტაციის სახელმწიფოა და რომს ეხმარება პარტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ. წარწერის მიხედვით, იბერიელთა ლაშქარი, იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით, რომაელების მხარეზე პართელების წინააღმდეგ იბრძვის.

იტალიაშივე, რომის სანავსადგურო ქალაქ ოსტიაში, მდ. ტიბრის შესართავის მარცხენა ნაპირზე - მარმარილოს ბრტყელ, დაზიანებულ ფილას, რომელზეც ლათინურად დანერილი შვიდი სტრიქონია შემორჩენილი. ასოების ამოკვეთილი მოხაზულობა I-II სს-ის ასომთავრულისათვის არის დამახასიათებელი. თარგმანი ასეთია - „...სიანუს ... ფაბიანუს ... ფარსმანი (მეფე იბერთა) ... ით და მეუღლით ფრ... მისცა აპრილის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი ... დღით ადრე გლადიატორთა ... [იხ. გამყრელიძე აღ. 2008:122-128]. წარწერაში ნახსენებია იბერიის მეფე და სამხედრო ხელმძღვანელი ფარსმან II (ქველი), რომელიც წერილობით წყაროებში კარგ, მორჭმულ სახელმწიფო მოღვაწედ არის შეფასებული. ეს ფარსმანივეა ნახსენები არმაზის ცნობილ ბილინგვის წარწერაში [წერეთელი 1942:23].

მცხეთაში, არმაზიხეში პიტიახშთა სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლი-

სას ბაზალტის ქვის სტელა აღმოჩნდა, რომელზედაც ეპიტაფია ბერძნულ და ე.წ. არმაზულ-არამეული დამწერლობით არის შესრულებული და სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვის“ სახელითაა [იხ. წერეთელი 1942:1-84; ყაუხჩიშვილი 1951:250; წერეთელი 1992:3-48]. ჩვენთვის საყურადღებო ნაწყვეტი ქართულად ასეა - „... ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, (რომელიც) იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე ჩადენილ საგმირო საქმეებს, (და არის) ეზოსმოძღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა (რომელმაც) სძლია მძლეველნი, რაც **ფარნავაზმა** (ან წინა ფარნავაზიანებმა) ვერ დაასრულა...“ [სრული თარგმანი იხ. გიორგაძე 1986:159; წერეთელი 1992:48].

ამ წარწერიდან უპირველეს ყოვლისა ფრიად საყურადღებოა, რომ არამეული ტექსტის აქამდე გაუშიფრავი მერვე სტრიქონი ამოიხსნა, სადაც აღმოჩნდა, რომ ნახსენებია იბერიის მეფის, ქართლში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების გამტარებლის, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზის სახელი [იხ. გიორგაძე 1986:151]. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში მოხსენიებულია იბერიის მეფე ფარსმან II ქველი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია „ქართლის ცხოვრებიდან“, „მოქცევაი ქართლისაიდან“ და დიონ კასიუსის თხზულებიდან. ამგვარად ეს ბილინგვა მნიშვნელოვანი წყაროა იბერიის სამეფოს I-II სს-ის სამხედრო-პოლიტიკური იერარქიის და სახელმწიფო წყობილების შესასწავლად.

„არმაზის ბილინგვის“ გარდა აქ აღმოჩნდა ე.წ. № 1 წარწერად წოდებული მონოლინგვა, ე.წ. არმაზულ-არამეული წარწერით, რომელიც მთლიანად დღემდე გაუშიფრავია. ამ ტექსტის შესახებ სპეციალისტებს გამოთქმული აქვთ ზოგადი შენიშვნები. მათი აზრით, წარწერა I საუკუნისაა და ეხება მიჰრდატ (მითრიდატე) იბერიის დიდი მეფის პიტიახშის სამხედრო გამარჯვებებს, რომელიც მან იბერიის სამეფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე მოიპოვა.

წარწერაში გამაგრებული ადგილები და ციხესიმაგრეებია დასახელებული. ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მეფე მითრიდატე, ისევე როგორც მამამისი ფარსმანი, არმენიის სანინაალმდეგოდ რომსა და პართიას შორის ომში იყო ჩაბმული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ტექსტში მოყვანილ გამაგრებულ ადგილთა და ციხესიმაგრეთა სახელების დამაჯერებელი და საბოლოო ამოკითხვა ვერ ხერხდება [იხ. გიორგაძე 1999:186].

ქალაქ სოხუმში (სებასტოპოლისში) 132 წლით დათარიღებული ლათინურ წარწერიანი ფილა აღმოჩნდა - HADR (ადრიანეს დროს) PER. FL(avium) A (trianum). (ლეგატი კაპადოკიის) - რომელზეც ნახსენებია რომის იმპერატორ ადრიანეს, კაპადოკიის ლეგატი, სამხედრო-ადმინისტრაციული კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95-175 წწ.). ჩანს, ეს წარწერა, არიანეს სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში წარმატებული სამხედრო-საფორტიფიკაციო საქმიანობის აღსანიშნავად არის ქვის ფილაზე ამოკვეთილი [იხ. Ломоური 1981:25 და იქ დასახ. ლიტ.].

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა რომაული სამხედრო შენაერთების არქეოლოგიურად დადასტურებული დამლები. ეს სამხედრო ნაწილები ადგილობრივ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად შავი ზღვისპირეთში, კოლხეთში იყვნენ განლაგებული. კერძოდ, ბიჭვინტა-პიტუნტში, სოხუმ-სებასტოპოლისში, ფოთ-ფასისში, ციხისძირ-პეტრაში, გონიო-აფსაროსში და ა.შ.

პიტუნტის კასტელუმის ტერიტორიაზე, II ს-ის ფენაში აღმოჩნდა თიხის ფილის ფრაგმენტი, რომელზეც ოთხკუთხა დამლა - GXV. კასტელუმის დასავლეთ კარიბჭესთან დადასტურდა მეტად დაზიანებული მეორე დამლა. ეს დამლე-



ბი ანალოგიების მიხედვით შესაძლოა ასე გაიშიფროს - LEG(IO) XV(Apollinaris). ამ ლეგიონის ძირითადი დისლოცირების ადგილი იყო სატალა [იხ. Кигурадзе, Лордкиपანიძე, Тодუა 1987:88]. პიტიუნტ-ბიჭვინთაშივე, ინკიტის ტბასთან მდგარ საფორტიფიკაციო კოშკში, II-III სს-ის ფენაში გაითხარა თიხის ფილა, რომელზე-დაც ოთხკუთხა დამლა - LEG(IO) [იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1963:105].

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. მოედნის ნამოსახლარზეც ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილაა აღმოჩენილი — LEG [იხ. გამყრელიძე, თოდუა 2006]. ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილა დადასტურებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისძირის ციხესიმაგრის III-IV სს-ის ფენის გათხრისას – VEX.FA; VEX(illatio) FA(siana), რომელსაც ქალაქ ფასისის ციხესიმაგრისათვის დამზადებულად მიიჩნევენ [იხ. შპაიდელი 1985:134; გამყრელიძე 2002ა:86 და იქ დასახ. ლიტ.].

გონიო-აფსაროსში, ციხესიმაგრის ცენტრალურ ნაწილში, მოზრდილ ნაგებობაში არქეოლოგიურად გაითხარა დამლიანი აგურები. ერთზე იკითხება COH(ors) II; ხოლო მეორეზე (C) OH (ors) II. ისინი შეიძლება გაიშიფროს - Cohors II claudiana. აქვე აღმოჩნდა აგურის ნატეხი, რომელზედაც იკითხება Sagi(taria), რომელიც მშვილდოსანთა კოჰორტას უნდა უკავშირდებოდეს. აფსაროსის ციხესიმაგრის ერთ-ერთი კოშკის გათხრისას დადასტურდა სანათურ-ჭრაქი. მის ქვედა ფრიზზე ამოტვიფრულია ლათინური წარწერა – C.COH.AVR.C.R. წარწერა შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად - C – სახელის შემოკლება; COH(ors) – კოჰორტას აღნიშნავს; AVR(elius) – რომის იმპერატორ ავრელიუსს (161-180 წწ.); C(ivium) R(omanorum) — რომის მოქალაქე [იხ. მამულაძე, კახიძე, ხალვაში 2001:163].

იბერია-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიის და კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად საყურადღებო წყაროა ე.წ. „შაპურის წარწერა.“ იგი სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ძველ პერსეპოლისში (თახთაჯემშიდი; ამჟამად ქ. ისთახართან), ქ. შირაზიდან 50 კმ-ზე, ზოროასტრული რელიგიის „ზოროასტრის ქააბის,“ მთავარი ტაძრის კედელზე აღმოჩნდა. წარწერა შესრულებულია პართულ-ფალაურ, სასანურ-ფალაურ და ძველ ბერძნულ ენებზე [Sprengling 1953:25; ყაუხჩიშვილი თ. 1976:255 და იქ დასახ. ლიტ.]. „შაპურის წარწერაში“ მოთხრობილია სასანური ირანის მეფის შაპურ I-ის (240-272 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. აქ ნახსენებია მის სამეფოში შემავალი ქვეყნები; მის მიერ წარმოებული ძლევამოსილი ომები და სხვ. აქვე ნახსენებია იბერია, რომელიც პროსასანიდურ ქვეყნად ჩანს; აღნიშნულია იბერიის მეფე ჰამაზასპის შესახებ. კონტექსტის მიხედვით, მეფე ჰამაზასპი სასანური ირანის ხელმწიფის მოკავშირე გავლენიანი პირი ყოფილა. ჰამაზასპი (ამაზასპი), რომელიც პროსასანური ორიენტაციისაა, ვიცით „ქართლის ცხოვრებიდანაც,“ სადაც იგი მოხსენიებულია ძლევამოსილ მეფედ, კარგ სამხედრო მოღვაწედ. მას მის დიდ პაპას, ფარსმან ქველს ადარებენ. ამაზასპი რომაელებს ებრძოდა და მათთან ომში ბრძოლის ველზე დაეცა. სწორედ ეს, „იბერთა დიდი მეფე ამაზასპე“ მოიხსენიება 1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში [იხ. ყაუხჩიშვილი 1998:12].

ამრიგად, ასეთია ის მცირე წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომელთა ინტერპრეტაციას და კრიტიკულ განხილვას, იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია ეყრდნობა.

## სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ისტორიიდან იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში

ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნებისათვის, როგორც კოლხეთი და იბერია იყო, სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია იბერია-კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახსნელად. სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. კონსტრუქციულია, მაგალითად, სამეურნეო-კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია - საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლების და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა.

ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა [Claessen, Skalnik 1978:620]. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში „საომარი ფაქტორი“ დადებით – ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო-კომუნიკაციური მშენებლობა ან უარყოფით – სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკური ზარალი – შედეგს იწვევდა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე ძველი საქართველო (იბერია-კოლხეთი) სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ბერძნულ-რომაული სამყაროს საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო. ასეთ გარემოცვაში მყოფი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს [იხ. Меликишвили 1954] აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საომარ ფაქტორს, შემდგომში, კოლხეთის და იბერიის სამეფოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში, საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა.

დაახლოებით ძვ.წ. 720 წლიდან წინა აზიაში კიმერიულ-სკვითური ტომების (შესაძლოა, ერთი მოდგმისანი არიან) პერმანენტული შემოჭრა იწყება. ეს ნომადური, მეომარი ტომები ცხენების მეშვეობით, მთელი ჯალაბობით და ქონებით სწრაფად გადაადგილდებოდნენ. კიმერიულ-სკვითების საომარი ტაქტიკის ძირითადი საფუძველი იყო - მსუბუქად შეიარაღებული სწრაფი ცხენოსნები, რომლებიც ელვისებურად მოქმედებდნენ; მათი დიდი რაოდენობა (ყველა მამაკაცი მოლაშქრე იყო); რკინის შეიარაღება (მშვილდ-ისრები, სატევრები, ცულები და სხვ.). კიმერიულ-სკვითების ნომადური, აგრესიული ტომობრივი გაერთიანებები სამხრეთ რუსეთის ტრამალებიდან შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასავლეთი სანაპიროს გაყოლებით ბრძოლებით მოძრაობდნენ. ისინი ბოსფორ-დარდანელის სრუტის გადმოლახვით შეიჭრნენ წინა აზიაში [იხ. კვირკველია 1985:111] და იმ დროის მდიდარ, მონინავე ქვეყნებს დაერივნენ. კიმერიულ-სკვითების გაერთიანებებმა დაარბიეს და დააქციეს მთელი რიგი ქვეყნები,

ბრძოლებით გაიარეს წინა აზია და აქ გეოპოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეცვალეს.

ქართველური მოსახლეობით დასახლებული ტრანსკავკასიის ტერიტორიაზე მისვლისას მათი საომარ-აგრესიული პოტენციალი, პერმანენტული ბრძოლების შედეგად, უკვე მნიშვნელოვნად დასუსტდა. შესაძლოა, რომ ამ დროისათვის კიმერიელ-სკვითების ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში ასიმილირდა. ნაწილი კი ადგილობრივ ხელისუფალთა სამსახურში ჩადგა - მაგალითად, ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ.წ. 685-645 წწ.) ჯარში კიმერიელებიც იბრძოდნენ [Меликишвили 1954: 364].

კიმერიელ-სკვითთა დიდი ლაშქრობები არ შეხებია ტრანსკავკასიას. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში არ ჩანს კიმერიულ-სკვითური ტომების პირველი ტალღის დამადასტურებელი არტეფაქტები. აქ ზოგადად ძვ.წ. VII ს. ბოლოთი და VI ს. დათარიღებული ე.წ. სკვითური მატერიალური კულტურის ელემენტები მცირე რაოდენობით ფიქსირდება (აკინაკები, ქარქაშის ბუნიკები, ცულები, ცხენის ლაგმები). იხ. არქეოლოგიური არტეფაქტები - სოფ. კოლხიდიდან, ყულანურხვიდან, ჩობანლუკიდან, გუადიხუდან, წითელი შუქურიდან, სოხუმიდან, მერხეულიდან, პალურიდან, ნიგვზიანიდან, ბრილიდან, თლიადან, როკიდან, დვანიდან, წინამურიდან, სამთავროდან, ხოვლედან, დილმიდან, ბეშთაშენიდან, კუმისიდან, შულავერიდან, მელაანიდან [დანვრილებით იხ. ფირცხალავა 1978:31-52, ტაბ. 9-14]. საყურადღებოა აგრეთვე, რომ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებში არ ჩანს ე.წ. სკვითების რაიმე საომარი მოქმედების კვალი. თუმცა არქეოლოგიური მასალიდან ისიც ირკვევა, რომ ადგილობრივი კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად, ზოგიერთ სამარხში, იშვიათად, ე.წ. სკვითურისათვის მიკუთვნებული ესა თუ ის ნივთიც ჩნდება. ამდენად, მათი მცირე ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია არ არის გამოსარიცხი. ალბათ, ეს სწორედ ის ნაწილია, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობას, სამხედრო საქმის თვალსაზრისით, ახალი, მსუბუქად შეიარაღებული, ცხენოსან-მეომართა ტაქტიკა და იარაღი გააცნო.

ძვ.წ. VI საუკუნეში ქართველური ხალხით დასახლებულ ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის მეზობლად აქემენიდური ირანის იმპერია ჩამოყალიბდა, რომელმაც ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე და სპარსეთის ყურიდან არალის ზღვამდე ტერიტორიები გააერთიანა [Дандамаев 1985]. ამ უზარმაზარმა იმპერიამ, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა ტრანსკავკასიის ქვეყნების განვითარებაზე. აქემენიდებმა ტრანსკავკასიის სრული დამორჩილება ვერ შეძლეს, ალბათ რთული რელიეფის და გეოპოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ სამხრეთ ტრანსკავკასიაზე კი განავრცეს თავისი ზეგავლენა, იმპერიის XIX სატრაპიაში შეიყვანეს და წლიურად 300 ტალანტს ოქროთი ახდევინებდნენ (ჰეროდოტე, ისტ. III, 94).

ძვ.წ. 400-410 წლებისთვის აქემენიდებს კოლხები, მოსინიკები და ხალიბები აღარ ემორჩილებოდნენ (ქსენოფონტი, ანაბასისი, VII, 8, 25). მეფე არტაქსერქსე II-ს (ძვ.წ. 404-359 წწ.) აუმხედრდა ძმა - კიროსი, რამაც განაპირობა აქემენიდიანთა გავლენის ერთგვარი დასუსტება იმპერიის პერიფერიებში, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაშიც.

ძვ.წ. 401 წელს კაპადოკიისა და ლიდიის (მცირე აზიაში) მმართველმა უფლისწულმა კიროსმა ირანის მეფე არტაქსერქსე II-ს წინააღმდეგ სამეფო ტახტის წასართმევად ომი წამოიწყო. როგორც ზემოთაღნიშნულ ვახსენეთ, ამ ომში ბერძენი

დაქირავებული მეომრების ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი, რომელმაც აღწერა ბრძოლები და ის ტერიტორიები, სადაც ქართველური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. ქალაქ ბაბილონთან მომხდარი ბრძოლის შედეგად უფლისწული კიროსი დაიღუპა, ხოლო მისი ჯარი დაიშალა; დაქირავებული, ომებში გამობრძმედილი დაახლოებით 10.000 მეომარი ბერძენი გაემართა სამშობლოში. გზად მათ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაზე გაიარეს, სადაც ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობასთან, უმეტესად ბრძოლით, ზოგჯერ მოლაპარაკებებით, მძიმედ და რთულად იკაფავდნენ გზას. 10.000-იან ჯარს დიდი რაოდენობით სურსათი დასჭირდებოდა, რაც ბერძენი მეომრების ადგილობრივებთან ბრძოლის ძირითადი მიზეზი იყო. ზოგ გამაგრებულ ქალაქს, რომელიც მოიცავდა სიმაგრეთა მთელ სისტემას, ბრძოლებით, შტურმით იღებდნენ, ზოგს კი ვერ იღებდნენ და ამიტომ გვერდს უვლიდნენ. ბერძენმა მეომრებმა მრავალი გამაგრებული ქალაქი გაიარეს, რომელთა გამაგრების სისტემა ქსენოფონტის გადმოცემით სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, მათ ვერ შეძლეს ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის აღება: „როდესაც ბერძენები ამ მთიან ქვეყანაში მივიდნენ (ადგილობრივმა მცხოვრებლებმა) ... გადანვეს და მიატოვეს თავისი სიმაგრეები, რომლებიც ადვილად ასაღებად ეჩვენებოდათ...“. „... ერთი ციხე-სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო...“, „... მას გარშემო ღრმა თხრილი ჰქონდა და ამიტომ მისადგომად სახიფათო იყო. ჰოპლიტმა მეომრებმა ... იერიში მიიტანეს ციხე-სიმაგრეზე. მათ უკან მისდევდნენ მეთაურები, რომლებიც სურსათს და სხვა ქონებას აგროვებდნენ.“ ... „როცა ბერძენებმა საბრძოლო იერიშით ვერ შეძლეს ციხე-სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული; მათზე კი ხის კედლები და მრავალი კოშკი იყო აღმართული, გადანყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს; მაგრამ ადგილობრივები თავს დაესხნენ ბერძენებს. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან სიმაგრიდან ხრამის გადალახვა მხოლოდ სათითაოდ შეიძლებოდა.“... „... სიმაგრე სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალა და არც აქედან უკან დახევვა ადვილი, რადგან (დამცველები) სწრაფად გამოვარდებიან ხოლმე ციხე-სიმაგრიდან და ხელჩართულ ბრძოლას გვიმართავენ.“ ამ ბრძოლებში ბერძენთა რაზმები უკუიქცნენ, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა (ანაბასისი, V, 2, 3-7).

ქსენოფონტის, რომელიც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე იყო, ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში მცხოვრები ქართველური მოსახლეობა კარგად ფლობდა მაშინდელი სამხედრო საქმის ძირითად ელემენტებს. კერძოდ, მათ ჰქონდათ სასიმაგრო-ფორტიფიკაციული სპეციალური ნაგებობები – თხრილები, ხის სასიმაგრო კედლები, კოშკები, შიდა ციხეები, მიწაყრილები; გააჩნდათ იმ დროისათვის მოწინავე რკინის იარაღები – შუბი, სატევარი, ცული, მშვილდ-ისარი; ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები - ფარი, მუზარადი, ჯავშანი; ფლობდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს - სწრაფი იერიში, გადაჯგუფება, რელიეფის მოხერხებულად გამოყენება; იყვნენ ბრძოლაში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი (იხ. ანაბასისი III-V).

ძვ.წ. 401 წელს კოლხთა და ბერძენთა ჯარის შერკინების შესახებ, რომელიც კოლხეთის სამფლობელოების საზღვართან, მალლობზე მომხდარა, რომლის ბერძნული ფალანგით აღება რთული, მთაგორიანი რელიეფის გამო მარტივი არ იქნებოდა. მთაგორიან ადგილზე ფალანგის ქვეითთა მწკრივები უთუოდ აირეოდა და დამარცხდებოდა. ამიტომ ბერძენთა ჯარის სარდლობის (სტრატეგოსები: ქსენოფონტი, ხეირისოფოსი, ესქინე აკარნანელი, კლეანორე ერქომენელი) გა-

დანყვეტილებით „ფალანგა“ დაყვეს ცალ-ცალკე ასეულებად – ლოხებად (დაახლოებით 80-მდე) და ისინი ფრონტალურად ცალ-ცალკე დაანყვეს მონინალმდეგის განლაგების მთელ პერიმეტრზე. ეს მოხდა იმდაგვარად, რომ კოლხების წყობის ხაზს სჭარბობდა, რაც შემდგომ ფლანგებიდან შეტევის საშუალებას მისცემდათ. ლოხების ერთი მეორისაგან დაცილებული მწკრივის წინ განალაგეს სამი (თითოეულში 600-მდე მსუბუქად შეიარაღებული მეომარი - პელტასტი) მობილური, სწრაფი დანაყოფი. ამ ჭარბმა ძალამ იერიში მიიტანა მალლობზე მდგარ კოლხთა განლაგებაზე და შეუპოვარი ბრძოლის ფასად სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე აიღო. ამ ბრძოლის შედეგად ბერძნები კოლხების ქვეყანაში შეიჭრნენ და შავი ზღვისაკენ გზა გაიკაფეს. შემდეგ ისინი სანაპიროზე, კოლხების ქვეყანაში, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ ტრაპეზუნტში შევიდნენ (იხ. ანაბასისი IV-VIII, 17-19, 22).

კოლხეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ეტყობა დაზვერვის ცნობები ჰქონდა ბერძენთა საომარი გადაადგილების შესახებ. ამიტომ კოლხთა ლაშქარი საბრძოლველად მზად იყო და კოლხების საზღვართან სტრატეგიულ მალლობებზე იდგა. ეს ადგილი აღმოსავლეთ პონტოს და ლაზეთის მთიანეთში უნდა ყოფილიყო (ახლა მდებარეობს თურქეთში). კოლხები მართებულად მოიქცნენ, როცა სტრატეგიულ სიმაღლეზე განალაგეს თავისი მხედრობა. კოლხთა ძირითადი დანაყოფის სპეციალურ წყობას, სამხედრო საქმის კარგმა მცოდნემ, ბერძნების მხრიდან ამ ბრძოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა „ფალანგა“ უწოდა (იხ. ანაბასისი IV, VIII, 17) ანუ „კოლხური ფალანგა“ [ამის შესახებ იხ. ლორთქიფანიძე გ. 1979:98]. ბერძენთა ჯარის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ჩათვალა კოლხთა ლაშქრის ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია და ტაქტიკური წყობა. ამის გამო ბერძნებმა ბრძოლის ტრადიციული ტაქტიკა შეცვალეს. ეს კი იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ „კოლხური ფალანგა“ საკმაოდ საშიში ძალა იყო.

ბერძენულ-დორიულ ფალანგას [იხ. ЖМОДИКОВ 1998:89] მიმედ შეიარაღებული (მახვილებით, შუბებით, ფარებით, მუზარადებით, საბარკლულებით, ლითონის ჯავშნებით) მეომრების - ჰოპლიტების მწკრივებად (დაახლოებით 15) დალაგებულ მწყობრს უწოდებდნენ, რომელიც მთელ საბრძოლო ხაზზე იყო განლაგებული. ფალანგა ბერძენთა ჯარის ძირითადად ტაქტიკურ დანაყოფს წარმოადგენდა და სწორ რელიეფზე მოქმედებისას შემჭიდროვებულ დამრტყმელ ფრონტის ხაზს ქმნიდა, რაც მას მრისხანე ძალად აქცევდა [Connolly 1988:41-51]. ფალანგის მწკრივების სისწორისათვის აუცილებელი იყო ფეხანყობილი სიარული, რაც მკაცრი წვრთნით, დისციპლინით და მუსიკის ხმაზე ტაქტის დაცვით მიიღწეოდა. ბერძენულმა სამხედრო წყობამ - ფალანგამ, იმ ეპოქაში არაერთხელ ნათელყო უპირატესობა ცალკეულ ჯგუფებად მოქმედ მეომრებთან შედარებით.

ძვ.წ. 401 წელს მომხდარი ბრძოლის დროს, როგორც ამას ბერძენთა ერთ-ერთი სარდალი - ქსენოფონტი გადმოგვცემს, კოლხების ფალანგა ბერძნების შეტევისას სწრაფად, მწყობრად ორად გაიყო. ამის შედეგად ფალანგის ერთი ნაწილი მარჯვნივ, ხოლო მეორე მარცხნივ გადაჯგუფდა. ამ ქმედებით კოლხების ხელმძღვანელობამ გარკვეული მანევრი ჩაატარა. მათ ფალანგის ცენტრალური ნაწილის გახსნით ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ბერძნები შეეცაყუებინათ და შემდგომ ფლანგებიდან აპირებდნენ შეტევას. მოცემული მანევრით კოლხებმა თავიდან აიცილეს ბერძნების ლოხებისაგან გარშემოვლის საშიშროება. კოლხებმა ტაქტიკურად სწორი მანევრი განახორციელეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ბერძენთა მებრძოლების რიცხოვნობა სიმრავლემ ითამაშა, ისინი 10.000-მდე იყვნენ [იხ. გამყრელიძე 2010:62].

ზემოხსენებული, კოლხთა ფალანგის მანევრი, მათი წინასწარ სტრატე-

გიულ სიმალეზე განლაგება, იმის მაჩვენებელია, რომ კოლხებს სამხედრო საქმე არც თუ ცუდად ჰქონდათ დაყენებული. ჩანს, ისინი ბერძნულ, იმ დროისათვის მოწინავე სამხედრო ხელოვნებასაც კარგად იცნობდნენ. კოლხების და ბერძნების ბრძოლის ამბავს ქსენოფონტი მოკლედ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როდესაც მოწინააღმდეგე (ბერძენი მეომრები) შენიშნა; ისინი (კოლხი მეომრები) გამოემართნენ მათკენ და ამის მერე გაიშალნენ ნაწილი მარჯვნივ, ხოლო ნაწილი - მარცხნივ; ამგვარი გადაჯგუფებით თავისი ფალანგის ცენტრში ფართე დერეფანი შექმნეს“ (ანაბასისი, IV, VIII, 17).

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კოლხებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წ. ზემოხსენებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, ე.წ. ქიმიური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს [იხ. გამყრელიძე 2010:64]. კერძოდ, როცა ბერძენმა ჯარისკაცებმა აიღეს კოლხების დასახლებული პუნქტები და იქ შევიდნენ, ადგილობრივებმა იქ დატოვეს სპეციფიკური თაფლი. ბერძენ „მეომართაგან ყველამ ვინც კი თაფლის ფიჭა შეჭამა, გონება დაკარგა, აღებინა, კუჭი აეშალა და არც ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ისინი ვინც ცოტა ჭამა მაგრად მთვრალეებს ჰგვანდნენ, ხოლო ვინც ბევრი - შეშლილებს ან მომაკვდავებს. უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე“ (ანაბასისი IV, 8, 20-21). კოლხი მეზობლების ამ ტაქტიკურმა ფანდმა ბერძენი მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა და მათი შეტევა რამდენიმე დღით შეაჩერა.

სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში აგრეთვე ძვ.წ. I ს-შია დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იგივე ადგილებში მოხდა. კერძოდ, რომაელ სარდალს პომპეუსს „... ამოუწყვიტეს სამი სპეირა (დაახლოებით 350 მეომრიანი რაზმი - გ.გ.), რომლებიც მოძრაობდნენ ამ მთებში. მათ (მეომრების) გზებზე კრატერებით (სპეციფიკური ფართოპირიანი ჭურჭელი) დადგეს შერეული გამაცოფებელი თაფლი,“ რომაელმა მეომრებმა „... შეჭამეს ის და გაცოფდნენ; მაშინ მათ თავს დაესხენ და ადვილად დახოცეს“ (სტრაბონი XII, III, 18). ასევე ე.წ. ქიმიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკური შხამიანი ისრები. კერძოდ, სპეციალური მომწამვლელი ნივთიერებით დაფარული ისრისპირები, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგის მეომრები მცირე ჭრილობითაც სწრაფად იღუპებოდნენ - მაგ.: „სვანები ისრისპირებისათვის სანამლავს ხმარობენ ...“ (იხ. სტრაბონი XI, II, 19).

კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა „მედეას ზეთი“-ნავთობი [დანვრილებით იხ. გამყრელიძე 2001:26-32] და სხვა კომპონენტები, რომელიც თანამედროვე „ნაპალმს“ ჰგავდა თავისი მოქმედებით. კერძოდ, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღწერს კოლხეთში ქ. ფასისიდან სამხრეთით ციხე-ქალაქ პეტრასთან (დღევანდელი ციხისძირი ქ. ქობულეთთან) 550 წელს რომაელებისა და ირანელების ბრძოლას, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას - „მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი სანამლავით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ელინები კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომლებიც თითქმის უმეტესობა დაწვეს“, „... მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამას; ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი მოედებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა, თუ ის მაშინვე არ იყო უკუგდებული,“ „ცეცხლი ავარდა, მოედო და კოლხი მედეას სახელით ცნობილი ზეთისა და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა წყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი სპარსი მეომრები გადაწვა“ (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 11, 36-40).

სამხედრო საქმის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს ალბათ ისიც,

რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. 400 წლებში მოიხსენიებიან ქართველური წარმომავლობის მეომრები, რომლებიც აქემენიდთა ირანის სახელმწიფოს ჯარში მოქირავნეებად მსახურობდნენ - „... ტირიბაზს ყავს ჯარი და მოქირავნეები: ხალობები და ტაოხები“ (ანაბასისი, IV, 4, 18). ისინი ომობდნენ გასამრჯელოსათვის, კონდოტიერების მსგავსად და, ბუნებრივია, პროფესიონალი მეომრები იყვნენ, ისევე, როგორც ქსენოფონტის ბერძენი მეომრები, რომლებიც უფლისწულმა კიროსმა დაიქირავა. შესაძლოა მოქირავნეებზეა ლაპარაკი ჰეროდოტესთანაც, როცა ის აღწერს ირანის მეფე ქსერქსეს მიერ, ძვ.წ. 480 წელს საბერძნეთში ლაშქრობას (ჰეროდოტე, ისტორია VII, 53-79). დაქირავებული მეომრები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე, შემდეგ, მითრიდატეს და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრებიც, რომლებიც ომობდნენ „საჩუქართა მიღების სურვილის გამო“ (პლუტარქე, „ლუკულუსი“ 26). იქვე აღნიშნულია, რომ „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა. ჯარს წინ ცხენოსანი მშვილდოსნები - მარდები და შუბოსანი იბერები (სპეციალური დანაყოფი) უძღოდნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მეომრებს...“ (პლუტარქე, „ლუკულუსი“ 30) სარდლობა სწორედ მათ უცხადებდა.

ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარში წინა აზიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. აქემენიდთა ირანის იმპერია ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა ძლიერ არმიასთან ბრძოლებში დაემხო. ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 356-323წწ.) სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის შედეგად ხმელთაშუაზლიდან მდ. ინდამდე სამყარო შეიცვალა [იხ. Шахермайр 1986; Левек 1989; Шлюмберже 1985; Эллинизм 1990]. აღმოსავლეთის ქვეყნები ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არეში მოექცა. ალექსანდრე დიდის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიისათვის დამახასიათებელი იყო – მონინააღმდეგის რესურსების და სამხედრო ძალების წინასწარი ყოველმხრივი შესწავლა-დაზვერვა; ახალი სამხედრო ტაქტიკა (ე.წ. მაკედონური ფალანგა) და ტექნიკა (ინდივიდუალური შეიარაღება და საალყო მანქანები); ზურგის საიმედო მომარაგების და კომუნიკაციების უზრუნველყოფა; მონინააღმდეგის მთავარი ძალის განადგურებისაკენ სწრაფვა; სტრატეგიული ჩანაფიქრის სისტემური, თანმიმდევრული და მიზანსწრაფული განხორციელება.

ძვ.წ. 334 წელს მცირე აზიაში ომისთვის ალექსანდრე მაკედონელს კარგად ორგანიზებული და მკაცრად დისციპლინირებული 48.000-იანი რეგულარული არმია ჰყავდა მომზადებული (იხ. პლუტარქე, ალექსანდრე მაკედონელი, 15). მისი არმია შედგებოდა - შეიარაღების მიხედვით: მძიმე, საშუალო და მსუბუქი ქვეითებისაგან და მხედრებისაგან. ამგვარი, ახალი ორგანიზაციული დაყოფა, მთლიანობაში არმიის ტაქტიკური მანევრების საშუალებას მკვეთრად ზრდიდა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითები და მხედრები ელიტურ დანაყოფებს წარმოადგენდნენ. ალექსანდრეს არმიის მთავარი დანაყოფი „მაკედონური ფალანგა“ იყო, რომელიც 15-დან 20-მდე მწკრივისაგან შედგებოდა. პირველი მწკრივის მეომრების შუბებს უკანა მწკრივის გრძელი შუბებიც ემატებოდა. ამგვარად, შუბის წვერების მრისხანე კედელი იქმნებოდა. ფალანგის წინ მსუბუქად შეიარაღებული მობილური ჯგუფები მიდიოდნენ, ხოლო ფალანგებს მძიმედ შეიარაღებული მხედრები უმაგრებდნენ; არიერგარდში მსუბუქად შეიარაღებული მხედრები მოძრაობდნენ [იხ. Connolly 1988:64-83].

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რაოდენობის და ტაქტიკური დანაწილების არმიისათვის, ალბათ, ძნელი იქნებოდა მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში წარმატებული მოქმედება (მაგ. კავკასიაში). აქ, შესაძლოა, მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთმა ქართველური

გაერთიანების (მაგ. არიან ქართლის) ხელმძღვანელმა, პატრიკმა აზონმა ილაშქრა – „შემდგომად ამისა გაძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა (ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ მაკედონელების მიერ მხარდაჭერილი, პატრიკი-აზონი); და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ - ნუნდა, ხერთუისი მტკურისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ლადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქუიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი, და დედა-ციხე სიმშუილდე, და მტუერის ციხე, რომელს არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი; და განუყო ლაშქარი თუისი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თუით დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ, და თუით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქუიან ნასტაკისი“ [ქ.ც.1955:17-18]. აქ დასახელებული ციხე-ქალაქების უმეტესი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად სადღეისოდ დოკუმენტურად არის დადასტურებული.

მოქცევაი ქართლისაი გადმოგვცემს „... თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო(ნი), ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი და ეგრის წყალი...“ [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. 1963:81]. ციხე-ქალაქ სარკინეს ალებით ქართველური მოდგმის გაერთიანებებს შორის ქიშპობა დასრულდა. ქართლში მაკედონელთა მიერ აღზევებულმა აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება [ქ.ც. 1955:17-19]. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართლში აზონის მიერ განსხვავებული წესრიგის დამყარება დაიწყო და მმართველობის ახალი ფორმები შემოვიდა (პრობერძნულ-მაკედონური). აზონის ხელისუფლებას „ასი ათასი კაცი“ [იხ. ქ.ც. 1955:18] იცავდა. ქართლის (იბერიის) სამეფოს კონსოლიდაციის პროცესი ჩანს მტკივნეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და მთელი ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ დაუნდობელ ბრძოლებში ხან ბუნთურქებს (ალბათ კიმერიელ-სკვითებს), ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. რალაც ეტაპზე პატრიკოსმა (მამაუფალმა) აზონმა ბერძენ-მაკედონელთა დახმარებით იმძლავრა. თავისი ძალაუფლების გასამაგრებლად აზონმა ცალკეულ წარჩინებულთა და მათ მხარდამჭერთა მიმართ უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა [იხ. ქ.ც. 1955:20].

აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით, რომელიც აგრეთვე გარკვეულწილად უცხო ძალას დაეყრდნო. ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ფარნავაზს შეუკავშირდა კოლხეთის (ეგრისის) გავლენიანი წარჩინებული პირი – ქუჯი და აზონის წინააღმდეგ საომარი სამზადისი დაიწყო. ალბათ მათ აზონის მკაცრი პოლიტიკით უკმაყოფილო სხვა წარჩინებული მხედრებიც მიიმხრეს და უცხო ტომის ხალხსაც უხმეს; ამით „განიმრავლეს სპანი“ და „ეგრისით შეკრიბეს ურიცხვინი სპანი და მომართეს აზონს“ [ქ.ც.1955:23]. ჩანს, კოლხეთი ფარნავაზის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აზონის და ფარნავაზ-ქუჯის შეიარაღებულ მომხრეთა შორის შეტაკება - საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მოწმობაა ალბათ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ძვ.წ. IV ს-ის მინურულის გადამწვარი ნამოსახლარები. ასეთი დანგრეულ-გადამწვარი ნამოსახლარები არქეოლოგების მიერ შესწავლილია - სოფ. მთისძირში, ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლო [გამყრელიძე 2002ა:111-121]; სოფ. ვარციხეს-



თან ვარდიგორა [ჯაფარიძე 1977:43-50]; ვანის ნაქალაქარზე - ე.წ. თეთრი შენობა და 211, 193 ნაკვეთების ძეღურბათქაშიანი ნაგებობა; სამადლოს [Гагошидзе 1979], ციხიაგორას [Шкитишвили 1976:60-65], ურბნისის [ჭილაშვილი 1964: 35-37] გადამწვარი სასიმაგრო ნაგებობები [იხ. გამყრელიძე 2002:37-38, 111-121].

ბრძოლებში დამარცხებული აზონი კლარჯეთისკენ (სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში) იხევს და იქ თავის სამემკვიდრეო მამულში მაგრდება. ფარნავაზს და აზონს შორის გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ არტაანთან (მდებარეობს მდ. მტკვრის ზემო დინებაზე, ახლა თურქეთში - ქ. არდაჰანი) მოხდა. აქ „... იქმნა ბრძოლა დიდძალი; და მოსწდეს ორგნითვე ურიცხუი; ხოლო იძლივნეს ბერძენნი (აღბათ აზონის დამხმარე ძალები - გ.გ.) ფარნავაზისგან. ილტვოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნნეს“ [ქ.ც.1955:23]. წერილობით წყაროებში ასახულ ამ საომარ პერიპეტებში ამკარად ჩანს ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა იმპერიის და მისი მემკვიდრეების აგრესიული ინტერესები კავკასიაში. ამ ინტერესებს ისინი ადგილობრივი წარჩინებულის, კლარჯი აზონის ხელით ახორციელებდნენ.

ძვ.წ. 323 წლიდან, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მის სარდლებს შორის დაიწყო ომები, რაც საბოლოოდ იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე სახელმწიფოს წარმოშობით დასრულდა. იბერია-კოლხეთის მეზობლად სელევკიდების ვრცელი სამეფო აღმოჩნდა [Бикерман 1985]. ქართლის (იბერიის) გაერთიანებისათვის და მასში პირველობისათვის ადგილობრივ წარჩინებულთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლები. ეს ის პერიოდია, როდესაც ომებმა ალექსანდრეს მემკვიდრეებს შორის იმპერიის განაწილებისათვის კულმინაციას მიაღწია. აზონიც და ფარნავაზიც ურთიერთქიშპისას იყენებდნენ გარეშე სამხედრო ძალებს (ე.წ. საგარეო ფაქტორი). როგორც ჩანს, ალექსანდრეს სარდლები აქტიურად ერეოდნენ იბერიელ წარჩინებულთა პირველობისთვის ბრძოლებში. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავისი ზეგავლენა წინა აზიის უკიდურეს ჩრდილოეთით – ტრანსკავკასიაში გაეგრძელებინათ.

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი ქართლის და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სამეფოს სამხედრო-ორგანიზაციის რეფორმებს. მეფე ფარნავაზმა სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციულ პროვინციებად (საერისთავოებად) დაყო, რომელთა სათავეში საერო და სამხედრო ხელისუფლებით აღჭურვილი, ერთგული წარჩინებულები დააყენა [ქ.ც. 1955:24-26].

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ეგრისმა (კოლხეთმა) და ქართლმა (იბერია) რთული ისტორიული გზა განვლეს. ეგრისის სახელით ქართულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ მთელი დასავლეთ საქართველო აღინიშნება - „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ ... სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ [ქ.ც. 1955:5]. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგრისს გარკვეულ პერიოდში აღმოსავლეთით საზღვრავს ლიხის ქედი; დასავლეთით - ზღვა, ჩრდილოეთით - კავკასიონის მთები, რომელიც აღწევს ზღვამდე მდ. ფსოუსთან; ხოლო სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთიანეთი - „მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანთგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ [ქ.ც. 1955: 24]. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების შედარებისას ეგრის-ქართლის კონკრეტული საზღვრები ძნელად გასარკვევი ჩანს.

ეგრისი უმეტესად იხსენიება, როგორც საერისთავო – „და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ [ქ.ც. 1955:24].“ და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“ [ქ.ც. 1955:23-24]. ეგრისი ჰერეთისნაირი სტატუსის მქონე ოლქად არის ნახსენები – „და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი“ [ქ.ც. 1955:136]. ანდა „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ [ქ.ც. 1955:65; შეად. ჯანაშია 1952:307].

გარკვეული დროიდან სახელი ეგრისი დასავლეთ საქართველოს კრებითი სახელია (ისეთივე, როგორც ბერძნულ-ლათინური წყაროების „კოლხიდა“). ის ხან დიდი ტერიტორიის მომცველია (მთელი დასავლეთ საქართველო), ხან კი მცირე. მაგ., ეგერ-სვანები [იხ. Бузанд 1953:15] ან „ქართლის ცხოვრების“ „შიდა ეგრისი“ [ქ.ც. 1955:185], ანდა კიდევ, კლავდიოს პტოლემეაიოსის ეკრიტიკე [ლომოური 1955:45], რომელსაც ეგერ//ეგრისის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევენ [ჯავახიშვილი 1960:404]. „სომხურ გეოგრაფიაში,“ რომელიც ადრინდელი, ბერძნული გეოგრაფიების გავლენითაა დაწერილი, ეგრისის ტერიტორიაზე აღინიშნება ოთხი მხარე - „კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტოს ზღვის აღმოსავლეთით .... საზღვრავს იბერიას. ეგერი იყოფა ოთხ მხარედ: მანრილი, ეგრისი-ეგრევიკა, ლაზეთი, ჭანივი რომელიც არის ქალდეა. აქ არის ბევრი მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, სოფლები და სავაჭრო ადგილები“ [Армянская география 1877:38].

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება [Меликишвили 1959:290]. ამ დროისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ველარ უძლებს, ერთი მხრივ, მთიდან, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთიდან შემოსევებს. იგი თანდათან კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის პოლიტიკური გავლენა.

ზემოსხენებულს მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები; ძვ.წ. III საუკუნეში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში [ლორთქიფანიძე 1972:40]. ამ პერიოდში შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურა იბერიულ გავლენას განიცდის. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში - ესაა ქვევრსამარხები. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ.წ. IV ს-ის მინურულიდან, იბერიიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება ადრე არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე [ლორთქიფანიძე 1972:40]. ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები უმეტეს შემთხვევაში მცირერიცხოვანია და ღარიბული. საბრძოლო იარაღი მათში იშვიათად გვხვდება.

შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში [ნადირაძე 1975:99], ითხვისში [აბრამიშვილი 1963:7] და ვანში [ლორთქიფანიძე 1977:20] წითლად მოხატული იბერიულის ნაირი კერამიკის გაჩენით აღინიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა მსხლისებურტანიანი, ბრტყელ-

ძირა, ცალყურა, პირგადაძლილი და წითელი საღებავით გაფორმებული დოქების აღმოჩენა. წითლად მოხატული ამგვარი ჭურჭელი სრულიად უცხოა ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ბევრია დადასტურებული - ციხიაგორას დაჭრილების სამაროვანი [ნაკაიძე 1980:28], თეთრინყარო [ბოხოჩაძე 1963:27], თბილისი [ქორიძე 1958:47], ასურეთი [Куфтин 1948:8] და ა.შ. ამგვარი ჭურჭლის პირველი, მოყვითალოდ ანგობირებული ნიმუშები (ვანის №9 სამარხი და ითხვისის №2 სამარხი) იბერიიდან არის შეტანილი. შემდგომში ამგვარი ფორმის და გაფორმების კერამიკა (უანგობო), ადგილობრივ დამზადებული, უკვე მრავლად გვხვდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებში.

ცვლილება შეიმჩნევა კოლხური ხელოსნობის ისეთ მკვეთრად გამოხატულ დარგში, როგორიც ოქრომჭედლობაა. ძვ.წ. V-IV სს. ოქროს და ვერცხლის ნივთების დამზადებაში შეიმჩნევა გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედი, რომბი, კონუსი, წრე) და გაფორმების ტექნიკის (ცვარა, დაკეჭვნა, გრეხვა) მდგრადობა. გავრცელებულია რომბიანი დიადემები, სხივანა საყურეები, ჭვირულბურთულებიანი საყურეები, ყელსაბამები, სასაფეთქელები - ვანი, ითხვისი, მთისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ბრილი, საირხე, სოხუმი, ზუგდიდი და ა.შ. [დანვრილებით იხ. ჭყონია 1981:6]. კოლხური ოქრომჭედლობა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან გარკვეულ კრიზისს განიცდის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სამხედრო მოქმედებების შედეგად ქვეყნის ეკონომიკის დაცემით. ძვ.წ. III საუკუნიდან იცვლება ფორმები და გაფორმების ხერხები, შემოდის ახალი სიუჟეტები.

დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, შიდა კოლხეთის არქიტექტურულ მასალაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად - საირხეში, ვანში, მთისძირში. მსგავსება შეიმჩნევა იბერიის - არმაზციხე, წინამური, ლართისკარი [Апакидзе, Николаишвили 1985:44], ციხიაგორა [Цкитишвили 1976:60], სამადლო [Гагошидзе 1979:62], უფლისციხე [ხახუტაიშვილი 1970:22] და კოლხეთის სამშენებლო წესებში (აღიზის აგურის და ქვათლილების გამოყენება; ქვათლილების მშრალი წყობა და ერთმანეთთან დაკავშირების წესი). ფორმის მხრივ გარკვეული სიახლოვე აღინიშნება სამადლოს და ვანის კრამიტს შორის [Гагошидзе 1979:62]; ვანის, სოფ. მთისძირის, ციხიაგორას, სამადლოს და მცხეთის კრამიტების ნიმუშებშიც თითქოს მსგავსება აღინიშნება. საინტერესო ფაქტია, რომ რიყის ქვით საძირკვლის გაკეთება აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულია დედოფლის მინდორზე, ურბნისში, საყარაულო სერზე, ხოლო კოლხეთში ის მხოლოდ ძვ.წ. III ს-ში გვხვდება. ანგარიშგასანწევია მსგავსება სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასებზე დაგეგმარებაში. სამადლოს ზოგიერთი სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მოიპოვება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისის მახლობლად. აქ ახლაც ამუშავებენ ეკლარის ქვის საბადოებს. ამ კარიერზე უფრო ახლო სამადლოსთან ამგვარი ჯიშის ქვა არ მოიპოვება (ანალიზები ჩაატარეს გეოლოგებმა მ. ხუჭუამ და თ. ქუთათელაძემ; იხ. Гагошидзе 1979:53).

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან აღარ იჭრება კოლხური თეთრი, რომელიც აქამდე მთავარი მონეტაა კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში [იხ. Дундуа 1987:9]. იბერია-სა და შიდა კოლხეთში ძვ.წ. III ს-დან ძირითადად ვრცელდება ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სახელზე მოჭრილი მონეტები. შემდგომში ამ სტატერების მინაბაძების ადგილობრივი ნიმუშები საკმაო რაოდენობით გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

ძვ.წ. IV ს-ის მინურულის საომარი მოქმედებების შედეგად, დაინგრა ვარციხის „გიორგობიანების გორის,“ ვანის ნაქალაქარის და სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები. სამწუხაროდ, შიდა კოლხეთში ამ პერიოდის სხვა ნაგებობები ჯერჯერობით ცოტაა მიკვლეული და გათხრილი. სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“ აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში [ჯაფარიძე 1977:43]. ამავე დროსაა გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე (ნაკ. 211 და 193) გათხრილი ძეგურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ძვ.წ. IV საუკუნის მინურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ძეგურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული) [იხ. გამყრელიძე 1982:56-63, 93].

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამონვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც ქართლის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება.

არიან-ქართლიდან, ანუ ირანის ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ჭოროხისა და არაქსის სათავეების ახლომახლო ტერიტორია – იხ. ჰეროდოტე, III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ, ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი, ცენტრი - მცხეთის ტერიტორია დაიმორჩილა, ხოლო შემდგომ ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული სხვა მხერეებიც დაიქვემდებარა. ერთგვარად აზო ქართველურ ენაზე მოლაპარაკეთა გამაერთიანებლად გვევლინება: „და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი...“ [ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1963:81].

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოა აზოს დროინდელი ქართლის (იბერიის) დასავლეთი საზღვრის დადგენა. ამ მხრივ გასარკვევია, თუ დასავლეთ საქართველოს რომელ მდინარეს ეწოდებოდა „ეგრის წყალი.“ ქართული ისტორიოგრაფიაში ეგრისწყლის მდებარეობის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება [იხ. ბერაძე 1967:131]. შესაძლოა, რომ ეგრისწყალში იგულისხმებოდეს დღევანდელი ერისწყალი [იხ. ლომოური, 1981:31]. „მოქცევაი ქართლისაის“ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ეგრისის დასავლეთ საზღვრად ეგრისწყალია დასახელებული. აქ ნახსენები არ არის ზღვა, რომელიც აქვე ახლოა და ისეთი ბუნებრივი საზღვარია, რომ მისი აღუნიშნაობა გარკვეულ ახსნას მოითხოვს. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორმა ალბათ რაიმე რეალური მიზეზი იცოდა, რის მიხედვითაც კოლხეთის ზღვისპირეთი არ შევიდა აზო-ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ამის ასახსნელად ფრიად საინტერესოა არქეოლოგიური მონაცემები, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. III ს. ზღვის სანაპიროს და შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში აღინიშნება მკვეთრი განსხვავება [იხ. ლორთქიფანიძე 1972:40]. „მოქცევაი ქართლისაის“-ზე უფრო გვიანდელი წერილობითი წყარო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაში“ აზოს სამფლობელოს დასავლეთ საზღვრად ზღვაა დასახელებული [იხ. ქ.ც.1955:19].

მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა კლარჯეთში გაქცეული აზო საბოლოოდ დაამარცხა, იგი უკან, ქართლში მობრუნდა და დაიწყო ადმინისტრაციული რე-

ფორმების ჩატარება [ქ.ც. 1955:23-24]. ფარნავაზმა ქუჯის საერისთავოდ დაუმტკიცა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე მდებარე ტერიტორია. აქვე აღნიშნულია, რომ ეგრისწყლის იქით, ზღვამდე მონაკვეთი, ეგრისის საერისთავოს აღარ ეკუთვნის - „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. ... და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ [ქ.ც. 1955:24].

ზღვისპირეთში, მდ. რიონსა და ეგრისწყალს შუა მდებარე მონაკვეთის გარდა, აზო-ფარნავაზის ეპოქაში კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, საფიქრებელია, ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და იბერიას შორის ბუფერული „ქალაქ-პოლისები“ წარმოიშვა. მათ გაჩენაში გარკვეული როლი ითამაშა კოლხურ დასახლებებთან „ბერძნული კოლონიზაციის“ შედეგად წარმოქმნილმა სავაჭრო ემპორიონებმა, რომლებიც კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლისური ტიპის დასახლებებად. ამის თაობაზე საინტერესოა ქალაქ ფასისის შესახებ ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის სახელმწიფო წყობის (პოლიტიის) შესახებ. სპეციალისტ წყაროთმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ „პოლიტიების“ შემუშავების თარიღი ძვ.წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა ასახავდეს [დანვრ. იხ. ყაუხჩიშვილი 1969:189].

ზღვიდან მთამდე და რიონიდან ეგრისწყალამდე ტერიტორია ეგრისის საერისთავოს ეკუთვნოდა. ფარნავაზ მეფის სიძემ, ეგრის-სვანეთის ერისთავმა აქ, სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას, მდ. ტეხურის შუა წელზე, ააგო ციხე-გოჯი [ქ.ც. 1955:24]. წერილობითი და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ციხე-გოჯი დამაჯერებლადაა გაიგივებული მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ნოქალაქევთან. სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარის შიდა ციხეში მიკვლეულია ფარნავაზის დროინდელი კულტურული ფენა (სადაც აღმოჩნდა - კრამიტები, პირამიდისებური სანაფები, ადგილობრივი ამფორები და სხვ. [იხ. გრიგოლია, ფხაკაძე, ბარამიძე, ლორთქიფანიძე, 1973:17-38] და გალავნის გადაღმა გათხრილი ამავე პერიოდის ქვევრსამარხები და ორმოსამარხები [Гвинчидзе 1978]. ციხე-გოჯი, ერთი მხრივ, სამდინარო გზით უკავშირდებოდა მდ. რიონს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალს, ხოლო მეორე მხრივ, ეგრისის ქედის იქით სვანეთსაც აკონტროლებდა (მდ. ენგურის და მდ. ცხენისწყლის აყოლებით).

ციხე-გოჯის გარდა, დასავლეთ საქართველოში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს შორაპნის და დიშნის ციხეები: „ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ(რ)ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა“ [ქ.ც. 1955:24]. შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიშნი სოფ. ზედა დიშის ნაციხართან არის გაიგივებული [იხ. ცქიტიშვილი 1964:71; ჯაფარიძე 1990; ბრავაკაძე 1990:137].

აზო-ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული [იხ. გამყრელიძე 1985:86]. როგორც ჩანს, კოლხეთში იმხანად იმძლავრა ცალკეული სკეპტუხების გათიშულობა-დაპირისპირებამ, ხოლო ქართლში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ძლიერი ცენტრალიზებულ ხელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. ქართლის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა [დანვრილებით იხ. გამყრელიძე 1985:87-89]. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა

დაახლოებით ძვ.წ. II-I სს. მიჯნამდე, ვიდრე კოლხეთის გარკვეული ნაწილი მითრი-დატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა.

კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები - დიოსკურია [არქეოლოგიური მასალა სოხუმიდან იხ. Трапш 1969; Шамба 1980; Воронов 1980], გიენოსი [არქეოლოგიური მასალა ოჩამჩირიდან იხ. Качарава 1972], ფასისი [არქეოლოგიური მასალა ფოთის მი-დამოებიდან იხ. გამყრელიძე, 2002; Gamkrelidze 1990:223], ქობულეთ-ფიჭვნარი [არქეოლოგიური მასალა იხ. კახიძე 1971], ხოლო შიდა კოლხეთი (resp. ეგრი-სი) იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა [დანვრილებით იხ. გამყრელიძე 1985:86-97]. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრაბონისეული (იხ. XI, II, 18) სკეპტუხიები (resp. საერისთაოები) – საირხე [იხ. ნადირაძე 1990], ქუთაისი [იხ. ლანჩავა 1975; ჯიქია 1977], ნოქალაქევი [იხ. ზაქა-რაია 1981, ლომოური 1981:18], ვანი [არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი,“ 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983] და სხვები გარკვეული დამოუკიდე-ბლობით სარგებლობდნენ [იხ. გამყრელიძე 2002:27-58]. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომი-კურ-კომუნიკაციური და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დანიშნულა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. შემდგომ სწორედ ეს ცენტრები დაედო საფუძველად სკეპ-ტუხიებად დანაწილებას. ეტყობა, იმიტომაც აგებდა იბერია შორაპნის და დიმნის ციხე-ფორპოსტებს, რომ ეს სეპარატისტული გამოვლინებები დაეთრგუნა.

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ფრი-ად ცოტა წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემი მოგვეპოვება. ამ კუთ-ხით საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემო-ნახული ცნობა: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა...“ „...შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონ-დათ ზომიერი ძალაუფლება“ (სტრაბონი, XI, II,18). როგორც სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებუ-ლია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველებზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დანიშნურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან შემდგომ ზოგიერთი უფრო დანიშნულა და ჩამოყალიბდა გარკვეულ რეგიო-ნად საქალაქო ცენტრით. ასეთებია, მაგალითად, „ვანი,“ „ქუთაისი,“ „საირხე“ და სხვ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დაანაწილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილებოდა სამხედრო-ადმინის-ტრაციული მართვა, ხოლო მეორე მხრივ, მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაცი-ისათვის მიეღწია [იხ. ინაძე 1961:783].

საფიქრებელია, რომ პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრა-ტიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტ-კიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ ალბათ ისეთივე რეფორმე-ბი ტარდება, როგორიც შემდგომ ქართლში გაატარა მეფე ფარნავაზმა [იხ. ქ.ც. 1955:24]. დროთა განმავლობაში კოლხეთის საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა

გარკვეული დიფერენციაცია, რადგან აქაური რეგიონული ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც, როგორც ჩანს, ადრეც ფლობდა კოლხეთის ნაწილ ტერიტორიას. ახლა ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული უფლებებიც უბოძა; და გააყოლა ცოლად და ამით სამეფო დიდმოხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენიებული [ქ.ც. 1955:24]. ქუჯი წარმომავლობით ძველი არისტოკრატიული გვარიდან იყო და ქართლის მეფის კოლხეთში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილი მიუძღოდა. საფიქრებელია, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ძვ.წ. V ს-ის კოლხეთში, სადაც ადმინისტრაციული რეგიონების სათავეში მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები რჩებიან, რომელთაც სახელმწიფო მოხელის ფუნქციაც აქვთ. ამდაგვარი უნდა ყოფილიყო კოლხეთში ის იერარქიული კიბე, რომლის თავშიც გამაერთიანებელი ხელისუფალი - მეფე იდგა, ხოლო მას დიდმოხელე სამხედრო არისტოკრატები მოსდევდნენ. ეს, მაშინ ხდება, როდესაც არისტოკრატია არცთუ ისე ძლიერია და მათი სოციალური სტატუსიც ჯერჯერობით მკვეთრად არ არის გამოხატული. სტრაბონის თქმით, ქვეყანაში მათ „ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (სტრაბონი, XI, II, 18). შემდგომში, როცა ისინი მომძლავრდნენ, ცალკეული სკეპტუხიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა დაიწყო, რაც ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტება-დაშლით დამთავრდა და სკეპტუხიები ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფორმალურად დამოკიდებულ ერთეულებად გარდაიქმნენ. ეტყობა, სწორედ ამის მერე კოლხეთში ჯერ აზომ, ხოლო შემდეგ ქუჯის, ადგილობრივი ერთ-ერთი ძველი სკეპტუხიის არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის, საშუალებით ქართლის მეფე ფარნავაზმა იმძლავრა.

ძვ.წ. II-I სს. მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე, ახალი საგარეო-საომარი ფაქტორი, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტო-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა [ისტორიოგრაფია იხ. Reinach 1890; Манандян 1940:89; Максимова 1956; Инадзе 1968; Лордкипანიძე Г. 1970; Молев 1976; Ломоури 1979; Шелов, 1980:28-43; Немировский, 1980:154; Дундуа, Лордкипანიძე 1985:601; სანიკიძე 1956; გოზალიშვილი 1965; დუნდუა 1974:146; გამყრელიძე 1989:59-69 და მათში მითითებული ლიტერატურა].

ძველი საქართველოს ზღვასთან ახლო მდებარე რეგიონებში მცხოვრებლებს, სახმელეთო ბრძოლების გარდა, საზღვაო ბრძოლების გამოცდილებაც ჰქონდათ. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა ჯარს საომარი ოპერაციების დროს ერთ-ერთმა ქართველურმა მოსახლეობამ – მოსინიკებმა ე.წ. საზღვაო სადესანტო მხედრობა მიაშველეს. კერძოდ: „... გამოგიგზავნოთ ნავები და მებრძოლები, რომელნიც თქვენთან ერ-

თად იომებენ...“, „... ისინი (მოსინიკები) მოვიდნენ მთლიანი მორისაგან გამოთ-  
ლილი სამასამდე ნავით. ყველა ამ ნავში სამ-სამი მეტრძოლი იჯდა; ორი ამათ-  
განი იარაღს ისხამდა და ნაპირზე გადმოდიოდა, ხოლო ერთი კი რჩებოდა ნავში;”  
„... ნაპირზე გადმოსულები (დესანტირებულები) დაენწყენენ ამგვარად: დაიყვნენ  
ასეულებად ცალკეული დანაყოფების მსგავსად, მწყობრად“, „...ყველას ხელში  
ექჩირა სუროს ფოთლის ნაირი ფარი, ... შუბი.“ „...მათ ემოსათ მკვრივი ტილოს  
ქიტონები, ... თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ“ ... „მათ ჰქონდათ აგრეთვე  
რკინის ორლესული საბრძოლო ცულები; როცა მწყობრად დაენწყენენ ერთ-ერთმა  
მათგანმა სიმღერა წამოიწყო, სხვებმა (ამ სიმღერას) ტაქტს ფეხი აუწყეს და გაე-  
მართნენ საბრძოლველად“ (იხ. ანაბასისი V, IV, 9-14). ჰიპოკრატეც აღნიშნავს, რომ  
მდ. რიონის (ფასისის) ქვემო ნელზე ადგილობრივი მცხოვრებლები „დაცურავენ  
აღმა-დაღმა მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რადგან აქ არხები ბევრია“  
(ჰაერთა, წყალთა... 15). კოლხების სამხედრო ფლოტილიის შესახებ ცნობა მოი-  
პოვება, აგრეთვე, ძვ.წ. III ს. ავტორ აპოლონიოს როდოსელთანაც [არგონავტიკა,  
II, 1090; IV, 235]. აქვე აღსანიშნავია, რომ სოფ. ყოლოთოში აღმოჩენილ ძვ.წ. III ს.  
ბრინჯაოს ინტალიოზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში, ინვ.  
№ 696) გამოსახულია ნიჩბებიანი კატარღა, რომელიც შესაძლოა ნავ-კამარა იყოს.

კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომე-  
ლიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილო შავიზღვის-  
პირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად  
ბუნებრივია, რომ მითრიდატემ, დაიკავა რა კოლხეთი (დასავლეთი კოლხეთი),  
მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა  
მონეტის მოჭრის უფლება [მონეტების შესახებ იხ. Лордкипанидзе Г. 1970:18].  
სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (სტრაბონი,  
XI, II, 18). სწორედ აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში, დაიზამთრა პომპეუსისგან  
დევნილმა მითრიდატემ (აპიანე, 101).

ზღვის სანაპიროს დაკავების დროისათვის პონტოს სამეფო სამხედრო-ეკო-  
ნომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, ალბათ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ  
იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (იხ. მემნონი, 30) გაჩუმდა და მითრიდა-  
ტემ კოლხეთის სანაპირო ქალაქები შეიერთა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ  
კი შიდა კოლხეთი დარჩა [დან. იხ. გამყრელიძე 1985:86-97].

ანგარიშგასანევია, აგრეთვე, პლუტარქეს ცნობა: „იბერები პონტომდე აღწე-  
ვენო“ და იბერები ალბანებთან ერთად „ყველაზე უფრო უდიდესნი“ არიანო (პომ-  
პეუსი, 34). მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირეებად შეიამხანა-  
გა პართები, მიდიელები, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს,  
რომ მითრიდატეს და იბერთა მეფეს შორის ადგილი ჰქონდა რალაც მოლაპა-  
რაკება-შეთანხმებას. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა კოლხეთში პონტო-რომის  
პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძ-  
ნეთში. აქ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს  
მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყე-  
ბულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ გაამწესა შვილი - მითრიდატე ფი-  
ლოპატორი ფილადელფი. ამ აჯანყება-არეულობაში, სავარაუდოა, რომ იბერიის  
ხელისუფალთა ხელიც ერია; ისარგებლეს რა მითრიდატეს წარუმატებლობებით,  
ისინი შეეცადნენ დასავლეთ კოლხეთში მისი გავლენა დაესუსტებინათ და ამით  
თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. ძვ.წ. 85 წ. დარდანოსის ზავის  
შემდეგ მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის  
საწინააღმდეგო ინტრიგებში (კოლხეთში მითრიდატეს მონინააღმდეგეები; იბე-




რიის სამეფოს პოლიტიკა) ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უნინდელი მდგომარეობა აღადგინა (იხ. აპიანე, „მითრიდატე“, 64).

რომთან ომების დროს, ბუნებრივია, მითრიდატე ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა. ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა ხელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას, ხან სამოკავშირეო ხელშეკრულებას უდებდა (იხ. მემნონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა (აპიანე, „მითრიდატე.“ 64), ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (აპიანე, მითრიდატე.“ 101). გაუმართლებლად გვეჩვენება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ - მითრიდატეს დამარცხების შემდეგ რომი ჩვენ მოგვადგებო, და მხოლოდ ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს. პონტო-რომის პირველი ომის დროს იბერია რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ ექცეოდა.

პონტო-რომის მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიდის ქალაქ სინორიაში (სინორეგა), რათა სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუვსოს (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“ 101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის - ტიგრანისკენ გაემართა, „მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა“ (პლუტარქე, „პომპეუსი,“ 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიუს კოკეიანოსი – „თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ...“ („რომის ისტ.“, XXXVI,50). მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭოროხ-ოლთუ) და იქიდან მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). სერვილიუსს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო [აფსაროსის ვიწრო გასასვლელის შესახებ იხ. Latyshev 1904:447] ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა.

მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე, „მითრიდატე.“ 101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობაში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე, „მითრიდატე.“, 101). ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა, და გაემართა „მეფისწყაროს“ გადასასვლელისაკენ (შესაძლოა, აგრეთვე, რომ მითრიდატე გადავიდა ზეკარის გადასასვლელზე და შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიაღწა „ვანს“). ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება. იგი არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ (ამ გზაზე სოფ. სულორთან „საკაკილეში“ ძვ.წ. IV-1 სს.; მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან „მსხალთაში“ ძვ.წ. III-1 სს. არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული [იხ. გამყრელიძე 1982:32], ამ ადგილებზე მიუთითებს ალბათ სტრაბონი, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცაო“ (იხ. სტრაბონი, XII, III,28).

მითრიდატეს ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებდა თავში (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“, 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს გზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (ვანი) მდებარეობდა (ვანი-სურის შესახებ იხ. [Хоштариа 1960:47; ყაუხჩიშვილი 1987:131], პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავს: „... ფასისს, რომელსაც ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი



ბრძოლები  
Battles

პომპეუსი  
Pompey

ფარნაკე  
Pharnaces

მითრიდატე  
Mithridates


სერვილიუსი  
Servilius

(ცხენისწყალი, გ.გ.) და კიანეოსი, ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის, რომელთანაც მდებარეობს (ეტყობა მდ. სულორი, გ.გ.). ეს მდინარე ფასისს ერთვის იქ, სადამდეც შეიძლება ნავებით ნაოსნობა“ [იხ. Latyshev 1904:178]. ვანის ნაქალაქარის, საერთოდ და კონკრეტულად მისი საფორტიფიკაციო სისტემის, თავდასხმების შედეგად დანგრევის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი [იხ. Хоштариа 1960:47; კაკაბაძე 1959:35; Лордкиპანიძე Г. 1970:129; Дундуа 1987:127; Тодуа 1990:68; გამყრელიძე 1989:66; ლორთქიფანიძე ოთ. 1968:133; შეადარე, Лордкиპანიძე 1972:106-125; ინაძე 1986:32-53; გამყრელიძე 1989:59-69].

ვანის ნაქალაქარზე (ახლანდელ ქ. ვანთან) აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს. საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალი-ზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. რაც მთავარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას და სამშენებლო-საინჟინრო ცოდნას; სატევრები, შუბები, საბრძოლო ცულები, ისრის პირები, ჯავშნის ფირფიტები, ფარები, ცხენის აღკაზმულობა, ქვის ყუმბარები, შურდულის ქვები, ურნალის თავი და სხვ. (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი,” 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1983). ეკონომიკურად ძლიერი იყო ქალაქი „ვანი“. აქ, ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები - დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, გაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი „საკაკილე,” ძულუხი, ბზვანი და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა.

მთების გადალახვის შემდეგ („მეფისწყაროს“ ან „ზეკარის“ გადასასვლელი) სამი ათას ერთგულ მეომართან ერთად, მითრიდატემ (აპიანე, „მითრიდატ.“, 101; სტრაბონი, XII, III, 28) დაარბია და გაძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქალაქი ძვ.წ. I ს. შუა ხანებში დანგრეულია, ძირითადად, ორჯერ [იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1968:141]. საფიქრებელია, რომ პირველად ის დაანგრია და გაძარცვა მითრიდატემ, ხოლო მეორედ პომპეუსმა, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე არტოკი და შეიჭრა კოლხეთში. პომპეუსმა ქალაქის მიმართ „იმოქმედა დაშინებით“ (იხ. დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3) და ბრძოლით. ის „კოლხეთში შეიჭრა“ (პლუტარქე, „პომპეუსი,” 34). პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან ... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება...“ (იხ. აპიანე, „მითრიდატეს ომები,” 114). მეორე ნგრევის კვალიც ვანის ნაქალაქარზე კარგად ჩანს. პირველი ნგრევის ფენაში ძირითადად გვხვდება არქიტექტურული დეტალების ნატეხები, კერამიკული მასალა, მონეტები. პონტოს მონეტები, ეტყობა, მითრიდატეს მეომრებისაა.

მითრიდატე, ქალაქის გაძარცვის შემდეგ, თავისი მეომრებით გადავიდა მდ. ფასისზე (რიონი) და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ. მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (იხ. აპიანე, „მითრიდატ.“ 101), ხოლო შემდეგ „ხმელეთის გზით“ წავიდა ბოსფორში (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული. „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა“ (იხ. პლუტარქე, 1957:117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და



ვანის ნაქალაქარის რეკონსტრუქცია.

Vani, reconctruction of ancient town.

ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე (აპიანე, „მითრიდატ.“ 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaces) იბერთა სამხედრო რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომაელი ავტორი ვალერიუს ფლაკუსიც [იხ. Latyshev 1904: 210]. შესაძლოა აქ ერთიდაიმავე სამხედრო პირზე იყოს საუბარი. მითრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვის და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა ალბათ დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახელდახელო აღდგენა-გამაგრება. პომპეუსს არ გასჭირვებია მითრიდატეს მიერ გაძარცული ქალაქის აღება. მეორე ნგრევის კვალი მხოლოდ ზოგიერთ არქეოლოგიურ უბანზე დასტურდება [იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1968:141]. ქალაქი არსებობას პომპეუსის დალაშქვრის შემდეგაც აგრძელებს, მაგრამ მისი ეკონომიკური საყრდენი უკვე მოშლილია.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნი (ლოდსატყორცნი), ონაგრის ან ბალისტას ტიპის მანქანებს როგორც თავდამსხმელები, ასევე ქალაქის დამცველები იყენებდნენ. თავდამსხმელები ყუმბარებით ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურებს ყუმბარებით სააღყო მანქანა-მონყობილობებს უზიანებდა. ქვის ყუმბარები, უმეტესწილად, ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლის და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარსატყორცნი მანქანები ალბათ, ძირითადად გალავანთან იყო განლაგებული, რათა მონინაალმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლო ყოფილიყო. ყუმბარსატყორცნიდან ნასროლი ჭურვი მონინაალმდეგეს 150-200 მ-ზე წვდებოდა და აზიანებდა. ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების, ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო. ასეთი, სპეციალურად, მრგვალად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები უფრო ჩვეულებრივ, არა მრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდ. რიონის ქალებიდან მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალავანზე და კოშკებზე იყო განთავსებული. მათ გვერდზე ყუმბარების მარაგი ენყო. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვალად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. საერთოდ, ყუმბარსატყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი გარკვეულ სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში ყუმბარმტყორცნელთა ანუ არტილერიისტთა სპეციალურად განვრთნილი მეომრები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი და მისი გამომყენებელი მეზრძოლები, მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებს და სახელმწიფოებს ჰქონდათ [დანვრილებით იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976:170; ახვლედიანი 2003:7].

ტრანსკავკასიაში ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გნეუს პომპეუსს მაგნუსის ხელმძღვანელობით. რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი სავაჭრო გზების და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. ფრიად საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე (პლინიუსი, VI, 50). ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პართიის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები [იხ. Саникидзе 1953:5].

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირე-

ბისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელი. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაენია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის [ჯანაშია 1952:181]. ამასთანავე, პომპეუსს პირადი პატივმოყვარული ინტერესებიც ამოძრავებდა: მან აღმოსავლეთში შეუზღუდავი, ერთპიროვნული ძალაუფლება მიიღო და ამ პროვინციებში მყოფი ყველა ლეგიონი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დაიქვემდებარა. პომპეუსს თავისი შეხედულების მიხედვით შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა მმართველები, ენარმოებინა ომები, დაედო ზავი. აქამდე რომის რესპუბლიკაში ასეთი დიდი ძალაუფლება არავის მიუღია (აპიანე, 97).

აღმოსავლეთის ქვეყნებში პომპეუსის ჩასვლის დროისათვის ლუკულუსს მითრიდატე ევპატორთან ომი თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი. პომპეუსს კი დიდებულ-სახელისათვის და მომავალი ტრიუმფებისათვის ახალ-ახალი ომები სჭირდებოდა. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობა, რასაკვირველია, მხოლოდ მითრიდატე ევპატორის დევნითა და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების ნყურვილით არ აიხსნება, თუმცაღა ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო. პომპეუსი შეიჭრა მეფე არტოკეს სამფლობელოში. იგი მალევე მიადგა სატახტო ქალაქ მცხეთას. არტოკემ, ეტყობა, ვერ მოახერხა თავისი ძალების სწრაფად მობილიზება მტრის წინააღმდეგ და გაცლა არჩია. მცხეთის აკროპოლისი მიატოვა, გადავიდა მტკვარზე და ხიდი დანვა (დიონ კასიუსი, XXXVII, 1, 2). არტოკე, რომელმაც ადრე პომპეუსს „მეგობრობა“ შესთავაზა და თვითონ კი პირველმა დაიხყო საომარი მზადება, ალბათ, დაზვერვის შედეგად საქმის კურსში იყო რომაელების საომარი გადაადგილების თაობაზე. მიუხედავად ამისა, არტოკემ, ბუნებრივია, იმდროინდელი უძლიერესი სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული და განვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის განევა ვერ მოახერხა. ამიტომ იგი ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ გზას - დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა, რადგან მიხვდა, რომაელებთან პირდაპირ შეჯახებაში მათი გამკლავება გაუჭირდებოდა. ბრძოლებში ცხრა ათასი იბერიელი დაიღუპა (პლუტარქე, პომპეუსი, 34). ბოლოს არტოკემ პომპეუსს ზავი შესთავაზა. პომპეუსმა შეატყო, რომ იბერებთან პარტიზანული ხასიათის გაუთავებელი ბრძოლები მოელოდა, რაც საომარ კამპანიას გააჭიანურებდა და უარყოფითად იმოქმედებდა ლეგიონერების საბრძოლო განწყობილებაზე, და ამიტომ ზავზე დათანხმდა. იბერია „რომის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა. ამგვარად, იბერია რომის მიმართ ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ქვეყანა გადარჩა სრულ დარბევას და არტოკემ სამეფო ტახტი შეინარჩუნა.

იბერიასთან მოგვარებული ურთიერთობების შემდეგ პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და „კოლხეთში შეიჭრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). როგორც ჩანს, ძლიერ ციხესიმაგრე შორაპანს [არქეოლოგიური მასალა იხ. ჯაფარიძე 1990:6] არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისათვის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის შორაპანი, ეტყობა, არტოკეს ექვემდებარებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სტრაბონი სარაპანისის (შორაპნის) შესახებ გადმოგვცემს: „სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“ (XI,II,17); „კოლხეთიდან იბერიაში შესავალი დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობებით“-ო (XI,III,4). რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად. საფიქრებელია, რომ მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა, სეპარატისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ., „ვანის“ სკეპტუხია, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთ

ძლიერ რეგიონს წარმოადგენდა). მითრიდატე ევპატორის მოხელეს – მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI, II, 18).

პომპეუსი რომ მარტო მშვიდობიანი გზით არ მოქმედებდა კოლხეთში, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა, რომ პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება...“-ო (აპიანე, „მითრიდატეს ომები,“ 114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი („მითრიდატეს ომები,“ 40) პომპეუსმა „დაამარცხა კოლხები“-ო [Latyshev 1904:258).

რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც, რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია „კოლხების სკეპტუხი ოლთაკე“ (აპიანე, 117). შესაძლებელია, რომ ოლთაკე „ვანის“ სკეპტუხთა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პომპეუსს [იხ. ინაძე 1987:59] (გავიხსენოთ ვანის ნაქალაქარის მეორე ნგრევის კვალი). აპიანე (მითრიდატეს ომები, 117) ტრიუმფის მონაწილეებს იერარქიული თანამიმდევრობით ჩამოთვლის; აქ ამკარად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ ძველი კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებსა და მათ შვილთა შორის არის დასახელებული [ყაუხჩიშვილი 1976:188]. ასეთი წარმომავლობა, საფიქრებელია, მას აძლევდა უფლებას, რომ ცალკე, არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ, კიდევ გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების დაცვა. რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვცემს რომაელი ავტორი ფლორუსი (იხ. „მითრიდატეს ომები,“ X, 28) [იხ. Latyshev 1904:258; The loeb classical library 1957:186-188]. ოროზი, ჩანს, კოლხეთის რომელიღაც მხარის წინამძღოლ-მმართველი იყო, დაახლოებით ოლთაკესნაირი, რომელიც არ დაემორჩილა რომაელებს.

მითრიდატე ევპატორს დასავლეთ კოლხეთში მოაფერნე ჰყავდა მმართველად დაყენებული. მას კი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად დაიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ გაიქცა. პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩადის ზღვამდე (ეტიკობა ქ. ფასისში), სადაც მას სერვილიუსი ფლოტით შეეგება (პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის, მითრიდატე ევპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით აღარ წავიდნენ, რადგან შესაძლებელია, რომ მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა. სოხუმის (დიოსკურიის) არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ.წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. ზღვამდე მისულმა პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, „ბოსფორისა და მეოტიდის მახლობლად მცხოვრებ ტომებში თავშეფარებული მითრიდატეს დევნა ფრიად დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, პომპეუსს აუწყეს: ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). პომპეუსს „სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა ამოდ. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატეს ომთან იყო დაკავშირებული და დროს აჭიანურებდა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 41).

მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა ამჯობინა. როგორც

ჩანს, მან მითრიდატეს შვილთან ფარნაკესთან კავშირი გააბა და მისი ხელით მოუსწრაფა სიცოცხლე. პლუტარქე აღნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ფარნაკემ მიისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა – „ყველაფერი ეს ჩემთვისა და რომაელებისათვის მივიღეო“ (იხ. პლუტარქე, პომპეუსი, 41). მამის „მკვლელი“ ფარნაკე პომპეუსმა „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და უბოძა ბოსფორის მეფობა...“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 113). ნავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით გაურჩეული ალბანელების დასამოშმინებლად (დიონ კასიუსი, XXXVII,3; პლუტარქე, პომპეუსი, 35), კოლხეთის გამგებლად არისტარქე დატოვა (აპიანე, 114). პომპეუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი, მეფური გვარის, წარმომავლობის, რომ კოლხ სკეპტუხებს ელიარებინათ მისი სუზერენობა და ამიტომ ამჯობინა არ გაელიზიანებინა ისინი. საფიქრებელია, ამიტომ, არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ ჯდება, არამედ დიოსკურიას ირჩევს მთავარ რეზიდენციად, რომელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. ქალაქი სანაპიროზე კომუნიკაციური თვალსაზრისით არისტარქესთვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგად შეიძლება იხილოს, ერთი მხრივ, კოლხეთის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი. არისტარქეს რეზიდენციის (დიოსკურია) სანაპიროზე მდებარეობის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ თვითონ სახელი არისტარქე – ბერძნულია. ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბე კი ძირითადად ზღვის სანაპიროსთვის იყო დამახასიათებელი. შესაძლოა, რომ არისტარქე წარმოშობით რომელიმე სანაპირო ქალაქის არისტოკრატიული გვარიდან იყო და ამიტომ, ბუნებრივია, აქ უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ექნებოდა [გამყრელიძე 1985:95]. საინტერესოა, რომ ამავე ეპოქის კოლხი სკეპტუხი ოლთაკეს სახელი ბერძნული არაა. სამწუხაროდ ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება, ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარებოდა მას, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრეთვე, უცნობია, არისტარქეს მმართველობა ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა. საგულგებნელია, რომ არისტარქე ძვ.წ. 48 წლამდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს დასავლეთ კოლხეთში შემოჭრამდე მმართველობს (იხ. სტრაბონი XI, II,17).

ცნობილია, რომ რომაელები ექსპანსიის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო-კანონმდებლური აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ [იხ. Ранович 1949:70]. ისინი, ასევე მოიქცნენ კოლხეთში [Ломоури 1981:116]. მათ მმართველად დანიშნეს არისტარქე და მას საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, მითრიდატესნაირი, ალბათ კოლხეთის მმართველის რეზიდენციად იგივე დარჩა, მითრიდატესეული - დიოსკურია. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიზე) არისტარქეს ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში რომის რესპუბლიკაში შიდა პოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია [იხ. Утченко 1965:51]. პომპეუსის დამარცხების შემდეგ ძალაუფლება გაიუს იულიუს კეისარმა იგდო ხელთ. ძვ.წ. 44 წელს იულიუს კეისარი მოკლეს. ამის შემდეგ შეიქმნა ტრიუმვირატი - ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი. მალე ტრიუმვირებიც ერთიმეორეს დაერივნენ. გახანგრძლივებულმა შიდაპოლიტიკურმა ბრძოლებმა დაასუსტა რომის ძალაუფლება პერიფერიაში. თავი წამოყვეს სეპარატისტულად განწყობილმა ხელისუფლებმა. შექმნილი მდგომარეობის



გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფემ ფარნაკემაც. მან გადანყვიტა პონტოს სამეფოს მამისეულ ფარგლებში აღდგენა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: „როგორც ნათქვამი იყო, მან (ფარნაკემ) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა სწორედ კეისრისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს, რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული“ (XLII,45). ნავიდა რა მამამისის ყოფილი აზიური სამფლობელოებისაკენ, ფარნაკეს, ბუნებრივია, თუ ზღვით არ ნავიდოდა, უმოკლესი გზით, კოლხეთზე უნდა გაეგლო.

ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა, უცნობია. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ „ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წააქეზაო“ (იხ. კეისარი, 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ლევკოთეას სამლოცველო. სხვა არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ფარნაკეს ბრძოლებს ეხება, ლევკოთეას გაძარცვის შესახებ არაფერს ამბობს (იხ. დიონ კასიუსი, პლუტარქე, აპიანე). სტრაბონთან აღნიშნულია, რომ - „... ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო ...; ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“ (XI, II,17). სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ჩანს, რომ ლევკოთეას სამისნო მოსხების ქვეყანაში ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის საომარი მოქმედებების ასპარეზზეა საძებნელი. ეს ასპარეზი კი ფარნაკესთვის ძირითადად უნდა ყოფილიყო ბითვინია, კაპადოკია და ზღვისპირა ქალაქები (პლუტარქე, კეისარი, 50; აპიანე, 120).

ძვ.წ. 47 წელს ქალაქ ზელასთან (აღმოსავლეთ ანატოლია) იულიუს კეისარმა სასტიკად დაამარცხა ფარნაკე (იხ. პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიუსი, XLII, 47; აპიანე, 120). დამარცხებული ფარნაკე ზღვისკენ ნავიდა ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეებრძოლა და დაამარცხა (აპიანე, 120; დიონ კასიუსი, XLII, 47). ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს კეისარმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამონელს უბოძა. მაგრამ ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ხმლით უნდა მოეპოვებინა (დიონ კასიუსი, XLII, 48). დაიძრა რა მითრიდატე პერგამონელი საბრძოლველად ბოსფორისაკენ, გზად კოლხეთზე გაიარა (სტრაბონი, XI, II, 17). ასანდრმა მითრიდატე პერგამონელი დაამარცხა ბოსფორში ლაშქრობისას (სტრაბონი, XIII, IV,3).

რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია [გამყრელიძე 2005:108]. ერთადერთი ცნობა ამის შესახებ არის ლევკოთეას სამლოცველოს დარბევა (სტრაბონი, XI, II,17). ცნობების უქონლობა ამ ბრძოლების შესახებ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კოლხეთი, დასავლეთ კოლხეთი, ამ ომებში მხოლოდ სტრატეგიული მხარეა, სადაც უმოკლესი გზა გადიოდა ბოსფორიდან მცირე აზიისაკენ. საყურადღებოა, რომ ბოსფორსა და მცირე აზიის ბრძოლების აღწერას კი საისტორიო წყაროებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი სკეპტუხიების ამხედრება ამ შემთხვევაში არ შედიოდა მეომარი მხარეების ინტერესებში. ბუნებრივია, არც ერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა ზურგში აჯანყებულები დაეტოვებინა, მით უმეტეს, რომ ცნობილია, მარტო ერთმა – ასანდრის აჯანყებამ, ბოსფორში როგორი ტრაგიკული შედეგები გამოიწვია ფარნაკესათვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ შიდა კოლხეთის „სამთავროები“-„სკეპტუხიები“ მთელი ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლო-

ბას ინარჩუნებდნენ.

ოქტავიანე ავგუსტუსის დროს რომის აღმოსავლური პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური და მოქნილი გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემდეგ რომის ფაქტიური ძალაუფლება აღედგინა (დიონ კასიუსი, IV, 24,4). დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე ავგუსტუსის დასტურით შეუერთა პონტოს. სტრაბონი გადმოგვცემს: „პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა (ძვ.წ. 8 წ.) მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა კოლხეთს...“ (XI, II, 18). სამწუხაროდ, პოლემონის მოქმედების შესახებ კოლხეთში არავითარი წერილობითი ცნობა არ არსებობს.

შავიზღვისპირეთს რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, სელი, ღვინო (იხ. სტრაბონი, XI, II, 17). I ს-ის რომაელი ავტორი მარკუს მანილიუსი აღნიშნავს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასიისის ქალები (V, 376). დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ ავგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი, მართალია, უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში მაინც ექცევა. ამ ხანებში რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგნენ [გამყრელიძე 2010:111].

რომის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო აღმოსავლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტიურად მასზე დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელისაღწევა რომი სასაზღვრო რეგიონებში სათავისო პოლიტიკას გაატარებდა [Ломоури 1980:136]. ერთ-ერთი ასეთი სამეფო პოლემონის პონტო იყო, რომელშიც ზღვისპირა კოლხეთის ნაწილიც შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი – ქალაქი ტრაპეზუნტი ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა მასთან. რომმა მიუხედავად ძლევამოსილებისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა – ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი ბიოგეოგრაფიით - ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით - ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავროები - სკეპტუხიები და მთის მეომარი მოსახლეობა. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის განევენას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, შედარებით ძლიერი იყო ანტიკური სამყაროს სამეურნეო-კულტურული გავლენა [შეადარე, Ломоури 1981:296]. ზღვისპირეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად მცირე აზიასა და ბოსფორში.

ამრიგად, თვალშისაცემია, რომ საომარი ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობდა კოლხეთ-იბერიის ისტორიული განვითარების

პროცესში. იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ დაშლა და პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსიაც, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად უნდა დაზარალებულიყო. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის და შემდეგ იბერიის განვითარების პროცესზე [იხ. Zerbin, Gamkrelidze, Todua 2012; Gamkrelidze 2014] ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა – ზღვის-პირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი, რომაელთა მოქნილი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (მაგ., სანიგეთი, მაკრონეთი, ჰენიოხეთი, ლაზეთი, აფსილეთი, აბასკეთი; იხ. არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო,“ 11). მეორე მხრივ, რომმა - იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა მონინავე სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლი ითამაშა; კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ახლო გაცნობო იმ დროისათვის მონინავე რომაულ კულტურას; სანაპირო ქალაქებში რომაული სავაჭრო კაპიტალი გამოჩნდა; გაეცნენ ახალ საომარ ტექტიკას და ტექნიკას.

ძვ.წ. I ს-ის მინურულიდან იბერიის სამეფოს აღმავლობის და ძლიერების ხანა დაიწყო. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. იბერიის ხელისუფლება რომის და პართიის ურთიერთნააღმდეგობას თავის სასარგებლოდ მოხერხებულად იყენებდა. I ს-ის პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები და ზღვის სანაპიროზე გავიდა [იხ. Ломоури 1981:152].

პართიის სახელმწიფოს არშაკიანთა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში, რომელსაც თავდაპირველად კასპიის ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეჭირა, ხოლო შემდეგ, ძვ.წ. II-I ს-ში ის ამუდარიიდან ევფრატამდე გაფართოვდა. სატახტო ქალაქი იყო ქტეზიფონი მდ. ტიგროსზე. პართია აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. პართიის ასეთი გაძლიერება რომის ამბიციებს აღმოსავლეთში საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც მათი საბრძოლო-პოლიტიკური შეტაკება გარდაუვალი გახდა. კავკასიისათვის პართიისა და რომის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ახ.წ. 35 წელს პართიის ხელისუფლებამ რომაელთა არმენიის ხელში ჩაგდება სცადა. იმპერატორმა ტიბერიუსმა ამ ბრძოლაში ურთიერთობის მოგვარება და მხარდაჭერა „მეგობარს“, იბერიის მეფე ფარსმანს სთხოვა.

ფარსმან I-მა სარმატთა (ჩრდილო კავკასიური ტომი) და ალბანელთა დახმავით მდ. არაქსისპირეთში პართელებთან საომრად გაემართა. მონინააღდგის ჯარს პართიის მეფის შვილი ოროდი სარდლობდა. პართელთა დიდი ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. იბერიის მეფის ჯარი ამ დროისათვის კი ძლიერ ქვეითთა ლაშქარს და ცხენოსანთა სწრაფ რაზმებს ფლობდა. ამას აგრეთვე იბერიის მიერ დაქირავებული სარმატი და ალბანელი მეომრები ემატებოდნენ. იბერთა მეფემ ფარსმან I-მა ჩინებულად გამოიყენა ადგილობრივი გარემო-პირობები და ბრძოლის ნაცადი ხერხები. პართიის ცხენოსანი ჯარი კი ასეთ მთავორიან გარემოში მოქმედებას მიუჩვეველი იყო. იბერიელთა ცხენოსნებმა

ჯერ ისრები სტყორცნეს პართელებს, ხოლო შემდეგ ქვეითმა ჯარმა მწყობრად მიიტანა იერიში, რამაც პართელების სრული მარცხი განაპირობა (იხ. ტაციტუსი, ანალები, IV,33-35). ბრძოლის პირველ ეტაპზე ფარსმანმა ალყა შემოარტყა მტრის საგუშაგოებს და ხელთ იგდო სტრატეგიული – საკვების, ფურაჟის და სხვა მარაგი. ტაციტუსი გადმოგვცემს – ფარსმანი „... ამხედრებული მიადგა (პართელთა სამხედრო) ბანაკს, დაარბია ფურაჟის საცავები და ალყა შემოარტყა გამაგრებულ საგუშაგოებს...“ ბრძოლის წინ ფარსმანმა სიტყვით მიმართა თავის მხედრობას: „პართელების ბატონობა არ გვინგნევია, თუ ცდას არ დავაკლებთ, დიდ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ (მტერს) ზურგი ვუჩვენებთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებით... აქ ვაჟკაცი მხედრობაა, იქ კი საშოვარიო“ (იხ. ტაციტუსი, ანალები, VI, 34). ამ ბრძოლაში იბერთა მეფე ფარსმანი ჯარს პირადად მიუძღოდა. მან სწორად გათვლილი მანევრით მოახერხა პართელების დამარცხება. ამის შემდგომ პართელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს იბერებთან შებმა, მაგრამ კვლავ მარცხი იწვინეს.

ახ.წ. 50-იან წლებში მეფე ფარსმან I-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს გნეუს დომიციუს კორბულონს, რომელიც სამხრეთ ტრანსკავკასიაში პართელებს ეომებოდა. სამაგიეროდ, იბერიამ მდ. არაქსამდე მიწები შემოიმტკიცა (იხ. ტაციტუსი, ანალები, XIV, 23). II ს. პირველ ნახევარში, იბერიის სამეფო ტახტზე ფარსმან II ქველი ავიდა (იხ. მოქცევაი ქართლისაი, სტრ. 36). ფარსმანის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ მიგვითითებს: „... ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო...“ [იხ. ქ.ც. 1955:51].

მეფე ფარსმან II, უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია, თავისი ინტერესების დაცვისათვის გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა.

რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. აფაქიძე და სხვ., 1955), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მეზრძოლთა რაზმი უბოძა [იხ. Latyshev 1904:293]. ახ.წ. 140 წელს ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზემოთ შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, LXX,2) [გამყრელიძე აღ., 1959:135].

იბერიის სამეფომ მოქნილი პოლიტიკის (რომსა და პართიას შორის ლავირება) და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა. ქვეყანაში დიდძალი სიმდიდრე შემოვიდა, რამაც ეკონომიკური წინსვლა და წარმოების სწრაფი ტემპით განვითარება გამოიწვია. ახ.წ. II-III საუკუნეებში პართია შინაგან წინააღმდეგობათა და განუწყვეტელი საგარეო ომების გამო იმდენად დასუსტდა, რომ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება არამყარად აღმოჩნდა და ეს უკიდევანო ქვეყანა მრავალ სამეფოდ დაიყო.

პართიის დაქუცმაცებული სახელმწიფოს ხელახალი აღზევება ფარსის რეგიონიდან დაიწყო, რომელიც ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სპარსეთის ყურის სანაპიროსთან მდებარეობდა. ირანის სახელმწიფოს გამაერთიანებელი გახდა წარჩინებული ქურუმის, სასანის ოჯახის წევრი არტაშირი. მან ჯერ ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება ფარსში, ხოლო მოგვიანებით მთელი პართია დაიმორჩილა. ბოლოს არტაშირმა ბრძოლაში დამარცხა პართიის არშაკიანთა მეფე არტავანი. ამ გადაწყვეტი გამარჯვების აღსანიშნავად არტაშირმა კლდეზე თავისი რელიეფი ამოაკვეთინა, სადაც ის ცხენზე ამხედრებულია გამოსახული და ღმერთი სამეფო გვირგვინს ადგამს. შემდეგ მან პართიის სატახტო ქალაქი ქტეზიფონი აიღო. ამით კი ირანის ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც სასანიანთა ირანის სახელითაა ცნობილი. ამჯერად რომს დაუპირისპირდა სასანიანთა ირანი, რომელმაც არშაკიანთა პართიის საგარეო პოლიტიკა გააგრძელა. სასანიანებს სურდათ ხმელთაშუა და შავ ზღვაზე გასულიყვნენ და კავკასიის ქვეყნები თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ. ამის გამო რომსა და ირანს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხარე ესწრაფოდა ტრანსკავკასიის ხელში ჩაგდებას. კავკასიას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თანაც მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო მეზობელი მხარეებისათვის. ვინც ტრანსკავკასიაში გაბატონდებოდა, მის ხელთ იქნებოდა ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი კავკასიონის მთიანეთის ბუნებრივი, ადვილად ჩასაკეტი გადასასვლელები. აქ, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამი მნიშვნელოვანი საულელტეხილო გადასასვლელი იყო: არაგვ-დარიალის, რიონ-მამისონისა და კოდორ-ქლუხორის. ვინც ხეობებში გამავალ, ბუნებრივად დაცულ ამ გადასასვლელებზე მოიპოვებდა კონტროლს, ის სურვილისამებრ ჩაკეტავდა და გააღებდა მათ და ჩრდილო კავკასიის მომთაბარე-ნომადურ მეომარ ტომებსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. სწორედ ამიტომ რომი და ირანი გადასასვლელების დაუფლებისათვის იბრძოდნენ [იხ. გამყრელიძე 2010:66-67].

სასანიანთა ირანსა და რომის იმპერიას შორის მიმდინარე ომების დროს ცვლილებები მოხდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებაში. თანდათან შეიცვალა მეურნეობის წარმოების წესი და ტექნოლოგიები. მიმდინარეობდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი. ამ პერიოდში რომის იმპერიასა და კავკასიაში ქრისტიანული იდეოლოგია დამკვიდრდა, ირანულ სამყაროში კი ხელახლა განმტკიცდა მაზდეანობა ანუ ზოროასტრიზმი. ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კრიზისმა IV ს-ის რომის იმპერიაში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. იმპერიის სხვადასხვა ნაწილში გახშირდა აჯანყებები. ხშირი იყო მომთაბარე ტომების თავდასხმებიც. ამის გამო 395 წელს რომის იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად გაიყო. 410 წელს გუთებმა აიღეს და გაძარცვეს ქალაქი რომი. რომისა და სასანიანთა ირანის იმპერიებს შორის ომების შედეგად IV საუკუნეში უპირატესობა ირანის მხარემ იგდო ხელთ. ამ დროისათვის მდ. არაქსისპირეთი, იბერიის სამხრეთი და აღბანეთი ირანის გავლენის ქვეშ მოექცა.

ფარნავაზიანთა ეპოქის ქართლის ანუ იბერიის სამეფოს, რომელშიც კოლხეთის ნაწილიც შედიოდა, სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. როგორც ჩანს იბერიელები ინფორმირებულები იყვნენ ბერძენთა, ირანელთა და რომაელთა მონინავე სამხედრო ხელოვნების შესახებ. ისინი ამ ცოდნას მოხერხებულად უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

ომის დროს ქვეყანას დაახლოებით 50.000 ქვეითის და 20.000 ცხენოსნის მობილიზება შეეძლო (იხ. სტრაბონი XI, IV, 5). სტრაბონი გადმოგვცემს, რომ - „დაბლობზე იბერთაგან უმეტესად მინათმოქმედები სახლობენ, ესენი... მიდიელთა ნაირად იცვამენ


(იჭურვებიან). უფრო დიდ ნაწილს, რომლებიც მეომარი ბუნების არიან, უკავიათ მთიანი მხარე ... მისდევენ მიწათმოქმედებასაც; როცა შფოთი და ომიანობაა ... თავისი სახსრებით მრავალი ათასი (მეომარი) გამოჰყავთ“ (სტრაბონი XI, III, 3). მეფეს, აგრეთვე, მომთაბარე მთიელების, ჩრდილო კავკასიური დაქირავებული რაზმები ჰყავდა. სტრაბონივე აღნიშნავს, რომ ალბანელებს - „ომის დროს ეხმარებიან მთის ნომადური (მომთაბარე) მოსახლეობა ... ისევე, როგორც იბერებს“ (იხ. სტრაბონი XI, IV, 5; ქ.ც. 1955:23). ამრიგად, როგორც ჩანს იბერიის მეფეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი შეეძლო საომრად გამოეყვანა. ამ ჯარის ნაწილი კარგად განვრთნილი იყო და ფრიად მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

პომპეუსთან ომის დროს იბერიას აპიანეს მონაცემებით შემდეგი რაოდენობის მებრძოლი ჰყავდა – „... არტოკე [არტაგი; იხ. ქ.ც. 1955: 30], იბერთა მეფე 70.000 მებრძოლით შეებრძოლა (პომპეუსს)... მდინარე კირნოსთან (მტკვართან)“ (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 103). მაშინ, როდესაც იმ დროისათვის რომის უძლიერეს, პომპეუსის არმიას, მახლობელ აღმოსავლეთში მითრიდატესთან საომრად და წესრიგის დასამყარებლად 120.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი და 25 მალალი რანგის სარდალი ჰყავდა (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 94). იბერიის სამეფოს უმაღლესი მთავარსარდალი მეფე იყო, რომლის ხელშიც სახელმწიფოებრივი მართვის მთავარი სადავეები იყრიდა თავს. მეფეს მთელი სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა ემორჩილებოდა. ხშირად, ბრძოლის დროს მეფე ჯარს თავად მიუძღოდა. სტრაბონის მონაცემებით, მეფის შემდეგ მეორე პირი მხედართმთავარი იყო, რომელიც სამეფო გვარიდან ინიშნებოდა (იხ. სტრაბონი XI, III, 6). ასეთივე, მთავარი სამხედრო პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყანაში სამხედრო საქმეს, ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაშიც“. იქვე აღნიშნულია, რომ მას ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მხარეების ხელმძღვანელები – ერისთავები ექვემდებარებოდნენ. თავის მხრივ ერისთავებს ექვემდებარებოდნენ ათასისთავები [იხ. ქ.ც. 1955:24-25] და ასისთავები. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯარი, პირობითად, ასეულებად და ათასეულებად იყო დაყოფილი.

მეფის შემდეგ მეორე პირის არსებობა, რომელსაც სამხედრო უწყება ებარა, იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოში უპირველესი მნიშვნელობა სამხედრო საქმეს ენიჭებოდა. მთავარსარდალი, ერისთავთ-ერისთავი განაგებდა ამ უწყებას და ევალებოდა სამეფოს შეიარაღებული ძალების მართვა. ის, აგრეთვე, პასუხს აგებდა ჯარის მობილიზებაზე, მონინააღმდეგის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაზე და საბრძოლო წრთვან-მზადყოფნაზე. ასეთივე მოვალეობები ეკისრებოდათ გარკვეული ტერიტორიების მფლობელ ერისთავებს, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებს და აქედან გამოსულ მებრძოლებს ხელმძღვანელობდნენ.

სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ სამხედრო წრთობას, რადგან მომავალში, ეს მათი ძირითადი საქმე და მოვალეობა იყო. აღზრდა-წვრთნაში წამყვანი ადგილი ნადირობას ენიჭებოდა. ნადირობა ომისათვის მზადების საუკეთესო ხერხი იყო და სამხედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსურ საშუალებას წამოადგენდა. ის მომავალ მეომარს იარაღის ხმარებას - შუბის და ისრის მიზანში ტყორცნის უნარს, ცხენოსნობას; სხვადასხვა საბრძოლო ხერხს, სწრაფ მანევრირებას, მამაცობას, ფიზიკურ გამძლეობას უვითარებდა და აჩვენებდა. ყოველივე ამას ნადირობისას სწავლობდნენ, რაც შემდგომ, ომებში, თავის გამოჩენის და მეფის კარზე დანიშნაურების საშუალებას აძლევდათ [იხ. გამყრელიძე 2010:1712].

იბერიის სამეფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი [იხ. ქ.ც. 1955: 24]. მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარ-



მცხეთა

Mtsketa.

მომადგენლები, ერისთავები მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები სკეპტუხებად ან პიტიასხებად მოიხსენებს (იხ. სტრაბონი, XI, II, 18) [წერეთელი 1943: 37-43]. ერისთავი, მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, სამეფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი იყო. იგი აქ საჯარო და სამხედრო ხელისუფლებას ახორციელებდა; ომის დროს სარდლობდა საერისთავოდან გამოსულ ლაშქარს. ერისთავის ინსიგნიებს, რომელსაც ის მეფისაგან იღებდა, წარმოადგენდა - კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი, შეიარაღება და სხვ. ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში; იხ. მაგ. მცხეთაში აღმოჩენილი პიტიასხების სამარხები [აფაქიძე და სხვ., 1955].

იბერიის სამეფოს სახელმწიფო აპარატის მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი სამხედრო კონტინგენტის (თავისუფალი მეთემეების, სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილების, მეზობელი ქვეყნებიდან პოლიტიკური მოკავშირეების, დაქირავებული პროფესიონალი მეომრების) შევსება იყო.

მეფეს მუდმივი, ძირითადი სამხედრო რაზმები და პირადი მცველი რაზმი ჰყავდა. ეს რაზმები დაკომპლექტებული იყო სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილებით (შუა საუკუნეების ტერმინოლოგიით მათ აზნაურებს უწოდებენ) და დაქირავებული პროფესიონალი მეომრებით. ისინი მეფის სამსახურისათვის მაღალ გასამრჯელოს და მიწის ფართობებს იღებდნენ. ამათგან შედგებოდა სამეფოს მართვის რეპრესიული ძალები. მათი ხელით ხდებოდა გადასახადების ამოღება და ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. ამ კატეგორიის მეომრები უფრო სწრაფად წინაურდებოდნენ. ამის მთავარი პირობა კი იყო - დამსახურება სამხედრო სარბიელზე, ომიანობის დროს თავის გამოჩენა და მეფის კარზე ერთგული სამსახური. ომის დროს ძირითადად ისინი აკომპლექტებდნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებს, რომელთაც შეეძლოთ სწრაფი მანევრირება. ამათგან შედგებოდა საშუალო და უმცროსი ოფიცრობა, კერძოდ, ათასისთავები და ასისთავები. მათი ნაწილი მშვიდობიან პერიოდში სამოქალაქო ფუნქციას ასრულებდა და გარკვეულ მცირე ტერიტორიულ ერთეულებს განაგებდა. ომის დროს კი მეთაურობდნენ ამ საგამგებლოებიდან მობილიზებულ სამხედრო რაზმებს, რომლებიც მეთემეებისაგან კომპლექტდებოდა. სტრაბონი ამ მეთემეებს „მეომართა და მიწათმოქმედთა“ (იხ. სტრაბონი XI, III,6) ფენას უწოდებდა. ეს, იბერიის სამეფოს მიწათმოქმედი მეთემეების ის სოციალური ფენაა, რომელიც საომარი საფრთხის შემთხვევაში, სამხედრო სამსახურს ეწეოდა და კოლექტიურად იცავდა თავის კარ-მიდამოს და მთლიანად სამეფოს.

სწორედ ამ საგვარეულო თემებიდან გამოჰყავდათ ხალხი, რომელიც საომრად თავისი შეიარაღებით მიდიოდა და სახელმწიფო ჯარის უმეტეს მასას წარმოადგენდა. ამათგან ძირითადად კომპლექტდებოდა მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქარი. ასეთი კატეგორიის მეთემეები ომის დასრულების შემდეგ უბრუნდებოდნენ თავის კარმიდამოს და სამიწათმოქმედო საქმიანობას.

იბერიის სამეფოს შეიარაღებული ძალების იერარქიული სტრუქტურა ზოგადად ასეთი უნდა ყოფილიყო: უმაღლესი მთავარსარდალი – მეფე; მთავარსარდალი – სამეფო სამხედრო უწყების უშუალო ხელმძღვანელი, ერისთავთ-ერისთავი; დღევანდელი ტერმინოლოგიით უფროსი ოფიცრობა – უმაღლესი სარდლობა, ტერიტორიული ერთეულებიდან გამოსული მეომრების სარდლები, ერისთავები; საშუალო და უმცროსი ოფიცრობა – ათასისთავები, ციხისთავები (სამეფო სიმაგრეების გარნიზონის ხელმძღვანელები), ასისთავები (არისტოკრატიული გვარის უმცროსი შვილები), დაქირავებული პროფესიონალი სამხედროები (მეზობელი



ქვეყნებიდან); ჯარისკაცები – ომის შემთხვევაში მობილიზებული მეთემეები, ადგილობრივი და უცხოელი ე.წ. კონდოტიერები [იხ. გამყრელიძე 2010:174].

იბერიის სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III,3; XI, IV,5; აპიანე, მითრიდატიკა, 103; ქ.ც. 1955:24-25; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) ძირითადად, ქვეითი და ცხენოსანი დანაყოფებისაგან შედგებოდა. ესენია: მეფის მცველი მძიმედ შეიარაღებული და კარგად განვრთნილი რაზმი. ისინი შეიარაღებული იყვნენ - შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით (დანვრილებით იხ. მომდევნო თავები); ცხენოსანთა და ქვეითთა კარგად შეიარაღებული ასეულები. ამ ორივე გვარეობის ჯარის შეიარაღებაც ალბათ, ძირითადად მეფის რაზმისნაირი იყო. მათ შეიარაღებაში საბრძოლო ეტლები და ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებიც ჰქონდათ; ქვეითთა მსუბუქად, დამცავი ჯაჭვ-ჯავშნის გარეშე, შეიარაღებული ლაშქარი ძირითადად, შუბებით, შურდულებით, მშვილდ-ისრებით და ხის ფარებით იბრძოდა. ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ.

იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო აგებული. ასეთები იყო, მაგალითად: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიშნა და სხვ. განსაკუთრებით კარგად სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან, არმაზციხესთან ერთად სხვა მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემაც იყო აგებული. საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ-გადაკეტილი იყო აგრეთვე ზოგადად ქვეყანაში შემომავალი გზები. ბუნებრივია, ციხესიმაგრეებსა და ციხე-ქალაქებში მეციხოვნეთა გარნიზონები იდგა. ამ ციხე-ქალაქების თავდაცვითი სისტემა ანუ ფორტიფიკაცია მოიცავდა სქელ კედლებს, კოშკებს, კურტინებს, კარიბჭეებს, ცალკეულ საგუმბაგოებს, რაც მაშინდელი სამშენებლო საქმისა და რელიეფის გამოყენების კომპლექსური გააზრების ნაყოფი იყო [გამყრელიძე 2010:171].

წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ იბერიის სამეფოს სამხედრო ძალები კარგად ფლობდნენ მაშინდელი საომარი საქმის ძირითად ელემენტებს. მათ იცოდნენ და წარმატებით იყენებდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს – სწრაფ იერიშს, გადაჯგუფებას, რელიეფის მოხერხებულად გამოყენებას, ე.წ. პარტიზანული ბრძოლის ელემენტებს (იხ. დიონ კასიუსი, XXXVII, 1, 2; აპიანე, მითრიდატიკა 103; პლუტარქე, პომპეუსი, 34; ქ.ც. I:28). ისინი ომში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი იყვნენ. ამის განსახორციელებლად კი მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მონინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ.

## იარაღ-საჭურველი

ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან საქართველოს ტერიტორიაზე რკინის საბრძოლო, შეტევითმა იარაღმა ბრინჯაოს იარაღი ხმარებიდან თითქმის მთლიანად გამოდევნა. შეტევითი იარაღის ისეთი სახეობები, როგორცაა შუბები, ცულები და სატევარ-მახვილები უკვე მხოლოდ რკინისაგან მზადდებოდა, რამაც მათი საბრძოლო თვისებები მკვეთრად გააუმჯობესა. ბრინჯაოს იყენებდნენ თავდაცვითი საჭურველი-სა (ფარი, მუზარადი, ჯავშანი, სანვივები) და ისრებისათვის, აგრეთვე ისეთი იარაღისათვის, რომელსაც საბრძოლო ფუნქციის გარდა, ინსიგნიის დანიშნულებაც ქონდა (მაგ. ლახტისთავები).

ქვემოთ, სათითაოდ განვიხილავთ საქართველოს ძვ.წ. V-ახ.წ. IV საუკუნეებით დათარიღებული ძეგლებიდან მომდინარე იარაღ-საჭურველის თითოეულ სახეობას.

### შუბი

ძვ.წ. V-ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იარაღი შუბი იყო, რასაც არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ნერილობითი წყაროებიც ადასტურებს. ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონისა და პლუტარქეს ცნობების მიხედვით შუბი კოლხების, ხალიბების, მოსხებისა და იბერებისთვის ძირითადი იარაღი იყო (იხ. ჰეროდოტე, VII, 78, 79; ქსენოფონტი „ანაბასისი“ V, 2,22; V, 4,12; V, 4,25; სტრაბონი XI, 4,5; პლუტარქე, ლუკულუსი 31).

ნერილობით წყაროებთან ერთად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები, რომლებზედაც იმ დროინდელი მეომრები და მათი აღჭურვილობაა გამოსახული. კერძოდ კი სამადლოსა და ციხიაგორაზე აღმოჩენილ წითლად მოხატულ ჭურჭლებზე ბრძოლისა და ნადირობის სცენებია გამოსახული (ტაბ. II,1-2). ნადირობის სცენებში ყველა მონადირეს სატყორცნი შუბი, იგივე ხელშუბი უკავია. ნიშანდობლივია, რომ სამადლოს ქვევრებზე კარგად ჩანს განსხვავება მხედრებისა და ფეხოსნების აღჭურვილობას შორის – მხედრები შუბებით არიან შეიარაღებულები, თავზე კონუსური ქუდები, შესაძლოა მუზარადები ახურავთ და თითქოს ჯავშანიც აცვიან; ფეხოსნები კი მახვილებით, ფარებით (შუბი ერთ მეომარს უპყრია) და კონუსური მუზარადებით არიან აღჭურვილები [იხ. Гагошидзе 1979:94, ტაბ. XV, XVI].

ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეების სასმისზე სოფ. გომიდან გამოსახულ ბრძოლის სცენაზე მარცხნიდან პირველ მეომარს, ზეანეულ ხელში, წვერით ქვემოთ, საძგერებლად გამზადებული შუბი უჭირავს. შუბი მოკლეა და რომბისებური პირი აქვს; ასეთივე შუბით იბრძვის მეოთხე მეომარიც [გომის სასმისის შესახებ დანვრილებით იხ. გამყრელიძე 2002] (ტაბ. II,3). მეომრების პოზა და მტერთან უშუალო კონტაქტი, აგრეთვე შუბის წვერით ქვემოთ დახრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბები საძგერებელია და არა სატყორცნი. ამდაგვარი შუბიანი მებრძოლია გამოსახული იმპერატორ კონსტანტინეს ტრიუმფალურ თაღზე ქ. რომში [Велишский 2000: სურ. 279]. დედოფლის გორის I ს-ის სასახლეში აღმოჩენილია ფირფიტები გრავირებული გამოსახულებებით, აქედან 24-ზე იარაღის სახეობა იკითხება: 12-ზე მხედრებს მოკლე, სატყორცნი შუბები უჭირავთ [გაგოშიძე 2004:119], ერთ ფირფიტაზე კი, რომელზეც ორთაბრძოლის სცენაა გამოსახული,


მეომარს გრძელი შუბი ორივე ხელით უპყრია [იხ. Gagoshidze 2008: 99] (ტაბ. II,4).

საინტერესოა ქართულ წერილობით წყაროებსა და ზეპირსიტყვიერებაში შემონახული განსხვავებული სახელები შუბებისა. მაგ., გრძელი, საძგერებელი შუბის სხვადასხვა, ხშირად გაურკვეველი ტიპებია – გეონი, ლახვარი და სხვ.; მოკლე, სატყორცნი შუბისა — ზუფანი, შუბაკი, ხელშუბა, სათხედი და სხვ. ზემოთხსენებული ტერმინების ხმარება, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის (ძვ.წ. V - ახ.წ. IV ს.ს.), ამჯერად მიუღებელი გვგონია, რადგან საუკუნეთა განმავლობაში ტერმინი მნიშვნელობას ხშირად იცვლიდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აკინაკი, განმარტებულია, როგორც ოროლი, შუბი [იხ. სულხან-საბა 1991]; არქეოლოგიაში კი ეს ტერმინი ორპირლესული მახვილის სპეციფიური ტიპის განმსაზღვრელია (იხ. ქვემოთ, მახვილები და სატყვერები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვიყენებთ ქართულ არქეოლოგიაში შეთანხმებულ ტერმინებს შუბსა (საძგერებელი იარაღი) და ხელშუბს (სატყორცნი იარაღი). ქვემოთ ჩვენ ერთად მიმოვიხილავთ სატყორცნი და საძგერებელი შუბების ტიპოლოგიას და ამათუიშ ტიპისა ან ცალკეული ეგზემპლარის საბრძოლო დანიშნულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევებში გავამახვილებთ ყურადღებას, როდესაც იგი ეჭვს არ იწვევს.

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, რაოდენობით პირველ ადგილზე დგას, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა.

**შუბების კლასიფიკაცია:** შუბი შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. შუბის კლასიფიკაციისას ამოსავალია შუბისპირი, რადგან მისი ტარი, როგორც წესი, შემორჩენილი არ არის. თავის მხრივ, შუბისპირი შედგება მასრისაგან, რომელიც უზრუნველყოფს შუბისპირის ტარზე მორგებას და ორლესული საძგერებლისაგან, რომელსაც აქვს წვერი, გვერდები და მხრები – მასრიდან საკუთრივ პირზე გარდამავალი მონაკვეთი.

შუბის აღწერისათვის გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: პირის ფორმა-მოყვანილობა და მასრაზე გადასვლის კონტური, პირის განივკვეთი, მასრის ფორმა, თანაფარდობა მასრისა და პირის სიგრძეს შორის, მათ სიგანეს შორის; ამ პარამეტრების მიხედვით ნებისმიერი ტიპის შუბისპირი შეიძლება იყოს: **გრძელმასრიანი**, რაც ნიშნავს, რომ მასრა შუბის საერთო სიგრძის ნახევარზე მეტია; ხოლო, თუ პირის სიგრძე ორჯერ აღემატება მასრის სიგრძეს, ეს გვაძლევს **გრძელპირიან** შუბისპირს; ფართოპირიანია შუბისპირი, რომლის უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს, ხოლო ვიწროპირიანია იმ შემთხვევაში, როცა მისი უდიდესი სიგანე ტოლია ან



ოდნავ აღემატება მასრის სიგანეს. ამ ნიშნების საფუძველზე საქართველოს ძვ.წ. V-ახ.წ. IV საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოიყო 8 ტიპი:

**I ტიპი** (ტაბ. III,1-24) – **ვინროპირიანი** შუბისპირი, რომელსაც აქვს ვინრო და გრძელი პირი, წვერისკენ თანაბრად დავინროებული გვერდები, კონუსური, გახსნილი მასრა, თანდათან გადამავალი ვინრო პირში და მისი სიგანე ცოცხათი თუ აღემატება მასრის სიგანეს.

**II ტიპი** (ტაბ. V,12-21) – **რომბისებურპირიანი** შუბისპირი, რომლისთვისაც დამახასიათებელია წაგრძელებული რომბის მოყვანილობა, მკაფიოდ გამოკვეთილი, გრძელი ან საშუალო ზომის, ზემოთ აწეული მხრები, კონუსური, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი მასრა. გვხვდება გრძელმასრიანი და მოკლემასრიანი, ქედიანი და უქედო ნიმუშები.

**III ტიპი** (ტაბ. VI,1-25) – **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** შუბისპირი, რომელსაც აქვს გრძელი და ვინრო, წაგრძელებული სამკუთხედის ფორმის პირი, სწორი გვერდები, ოდნავ აწეული ან ჰორიზონტული მხრები, კონუსური, გახსნილი მასრა. გვხვდება მოკლემასრიანი და გრძელმასრიანი ნიმუშები.

**IV ტიპი** (ტაბ. IV,1-26) – **მომრგვალებულმხრებიანი** შუბისპირი, რომელსაც აქვს მომრგვალებული მხრები, სწორი, წვერისკენ თანდათან დავინროებული გვერდები. მასრა კონუსური და გახსნილია. ეს ტიპი ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „ფოთლისებური“.

**V ტიპი** (ტაბ. V,1-11) – **მომრგვალებულგვერდებიანი** შუბისპირი: მასრა თანდათან გადადის პირზე, რომელიც წვერისკენ ჯერ ფართოვდება, უდიდეს სიგანეს შუა ნაწილში აღწევს, ბოლო მესამედში კი ვინროვდება. ეს ტიპი ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „ლანცეტური“, ან სხვაგვარად, როგორც „დაფნის ფოთლისებური“.

**VI ტიპი** (ტაბ. VII,1-4) – **ისრისპირისებური**, მხრებდაშვებული შუბისპირი. მას აქვს სამკუთხა პირი, რომლის ქვედა გვერდის კუთხეები წვეტების სახით ეშვება ქვემოთ და დიდი ისრის იერს აძლევს; მასრა გრძელი, ვინრო და გახსნილია და ქედიან პირს მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი უერთდება. ლიტერატურაში ამ ტიპის შუბისპირებს „ხელშუბის პირებად“ მოიხსენიებენ.

**VII ტიპი** (ტაბ. VII,10-11) – იშვიათი ტიპის შუბისპირებია, რომელთაც აქვთ მოკლე, რომბული, ქედიანი პირი და გრძელი მასრა, რომელიც პირს ვინრო და გრძელი, განივკვეთში ოთხკუთხა „წელით“ უკავშირდება; მასრა კონუსურია, გახსნილი.

**VIII ტიპი** (ტაბ. VII, 5-7, 12-13) – ამ იარაღს შუბი არც ეთქმის, ეს არის სატყორცნ-საძვერებელი იარაღის „ხიშტისმაგვარი“ სახეობა, რომელსაც აქვს ოთხწახნაგა, გრძელი პირი და პირისაგან ყელით გამოყოფილი, გახსნილი მასრა.

ცალკე დგას რომაული სატყორცნი შუბი – **პილუმი**. საქართველოში ასეთი იარაღის ერთადერთი ნიმუში, ვანის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი.

**პირველი ტიპის, ვინროპირიანი შუბისპირების** (ტაბ. III,1-24) აღმოჩენა საქართველოს წინარეანტიკური ხანის ძეგლებზე არცთუ იშვიათი მოვლენაა. რაც შეეხება ანტიკურ ხანას, ასეთი შუბისპირები ფიქსირდება: ნითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის, ძვ.წ. V საუკუნის № 1 სამარხში (5 ცალი). ისინი მოკლე, გახსნილმასრიანები და ქედიანებია; უდიდესის სიგრძე - 40 სმ-ია, უმცირესისა - 26 სმ [Трапш 1969:268-269, ტაბ. XXXVI, 7,9,10, 11, 12], (ტაბ. III,1-2); ახულ აბაას № 5 სამარხში [Воронов 1991:225, სურ. 2.15-18]; ვანის ნაქალაქარზე, № 9, ე.წ. მეომრის ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის სამარხში (8 ცალი, სიგრძე — 32, 35, 40, 50 სმ.) [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ.1972:203, 211, სურ. 175,1-

4], (ტაბ. III, სურ. 3-4); დაბლაგომის კრამიტით გადახურულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, 2 ასეთი შუბისპირია (სიგრძე — 33, 37 სმ) [თოლორდავა 1976: 76, ტაბ. 117], (ტაბ. III, 5-6); სოხუმის მთაზე, ძვ.წ. III-II სს-ის №№ 2 და 6 სამარხებში განსახილველი ტიპის სულ 6 ნიმუშია, აქედან 5 № 2 სამარხიდანაა (შუბისპირების სიგრძე 24,5-დან 34 სმ-მდეა [კალანდაძე 1954:29, ტაბ. VIII<sub>3-7</sub>, IX<sub>19</sub>], (ტაბ. III, 7-9); ვანის კარიბჭის კომპლექსთან, წრიული კოშკის ნანგრევების თავზე, შემთხვევით აღმოჩენილი კიდევ ერთი ეგზემპლარი გვხვდება [ლორთქიფანიძე 1976:181-182, სურ. 137-6]. ასევე შემთხვევითი აღმოჩენებია და ზოგადად ანტიკური ხანით თარიღდება ახალი ათონისა (2 ც. გრძელმასრიანები, სიგრძე - 24,5-27 სმ., ინვ. № 12-02/2459), (ტაბ. III, 10-11) და მახვანის (1 ც., სიგრძე - 25,1 სმ., ინვ. № 8-31:3) ეგზემპლარები.

აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ V-III საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე ვიწროპირიანი შუბისპირები აღმოჩენილია - სოფ. ჩხიკვათაში (ძვ.წ. V-IV სს.) — 1 ც. [კვიციანიძე 1975:ტაბ. XXVIII, 6], (ტაბ. III, 12); ვარსიმაანთკარის სამაროვანზე (ძვ.წ. V-IV სს.) 3 ცალი, რომელთაგან ერთი ძალზე მოკლეა და ძეგლის შემსწავლელის მიერ ხელშუბადაა განსაზღვრული [მუხიგულაშვილი 2015:71 ტაბ. I, სურ. 2, №№ 75, 105], (ტაბ. III, 13); ეცოს სამაროვანზე ძვ.წ. IV-III სს-ის № 96 სამარხში 1 ვიწროპირიანი, უქედო, გრძელმასრიანი ეგზემპლარია, რომლის სიგრძე - 14,5 სმ-ია და შესაძლოა სატყორცნი შუბის პირი იყოს [შატბერაშვილი 2005, ტაბ. XXXIV<sub>12</sub>], (ტაბ. III, 14); სხალთაში, ძვ.წ. IV-III სს-ის №№ 20, 36 და 37 სამარხებში ამ ტიპის 3 იარაღია, რომელთა სიგრძე 19,5-27 სმ-ს შორის მერყეობს [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI, 1, 3], (ტაბ. III, 15); მცხეთიჯვრის ნაურიალის სამაროვანის ძვ.წ. IV-III სს-ის № 14 სამარხში - 1 ცალი, ქედიანი, გრძელმასრიანი, 30 სმ-ის სიგრძის შუბისპირია [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010:55], (ტაბ. III, 16); შავსაყდარა I-ის (ძვ.წ. IV-III სს.) №№ 16 და 34 სამარხებში თითო, მოკლემასრიანი, 45 და 48 სმ-ის სიგრძის (ტაბ. III, 18-19), № 26 სამარხში კი გრძელმასრიანი, 16,5 სმ-ის სიგრძის ეგზემპლარია (ტაბ. III, 17), რომელიც შესაძლოა სატყორცნი იარაღი იყოს [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 88, 96, ტაბ. CIX<sub>5</sub>, CXVIII<sub>5</sub>, CIX<sub>3</sub>].

ვიწროპირიანი შუბისპირები მოგვიანო ხანაშიაც აგრძელებენ არსებობას. ჩხორონყუში ახ.წ. II-III საუკუნის სამარხში აღმოჩენილია რკინის, ვიწროპირიანი, დიდი ზომის (სიგრძე - 43 სმ.), მასრაგახსნილი შუბისპირი, რომლის მხრები ოდნავ გამოკვეთილი და მომრგვალებულია, რითაც მომრგვალებულმხრებიან ტიპს ნააგავს [Хоштариа 1941:81, ტაბ. VIII, 2; ფუთურიძე, 1959:57-58], (ტაბ. III, 24). ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. II ს-ის № 492 სამარხში აღმოჩენილია რკინის, ვიწროპირიანი, მახვილწვერიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი შუბისპირი (31 სმ.) [ჩიხლაძე 2015:33]. ახ.წ. III-IV საუკუნეების ძეგლებზე, კერძოდ კი ნებელდის სამაროვნებზე ვიწროპირიან შუბისპირებს მრგვალგანივკვეთიანი ან რომბულგანივკვეთიანი ქედი ახასიათებს (ტაბ. III, 20-23). ისინი ნაპოვნია აბგიძრახუს № 9 (2 ც., მოკლე მასრით, მრგვალგანივკვეთიანი ქედით, სიგრძე - 39 სმ) [Трапш 1971:29, 31, 150, ტაბ. V-10, 11], № 54 (2 ც., სიგრძე - 35,5 სმ, 32,2 სმ) [Трапш 1971:83, ტაბ. XXXI-14] და № 58 სამარხებში (სიგრძე - 26 სმ). [Трапш 1971:86]. ახიაცარახუს № 6 სამარხში აღმოჩენილ ეგზემპლარს რომბულგანივკვეთიანი პირი, ოდნავ კუთხოვანი მხრები და გრძელი მასრა აქვს (სიგრძე - 36 სმ) [Трапш 1971:92, 150, ტაბ. XXXIV-9], ასეთივეა აუახუამახუს № 4 სამარხის ვიწროპირიანი შუბისპირიც (სიგრძე - 29 სმ) [Трапш 1971:104].

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური ხანის საქართველოში ვიწროპირიანი შუბისპირები ძირითადად გავრცელებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებში,

თუმცა ისინი ოდნავ სახეცვლილი ფორმით, მოგვიანო, კერძოდ კი ახ.წ. II-IV საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზეც გვხვდება.

**მეორე ტიპის, რომბისებურპირიანი** შუბისპირები (ტაბ. V,12-21) შეიძლება ორ ქვეტიპად – **ა** და **ბ** – დაიყოს. **ა. ქვეტიპის** შუბისპირები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია განიერი პირი და ფართო, კარგად გამოკვეთილი მხრები (ტაბ. V,12-14,17); **ბ. ქვეტიპის** შუბისპირები ერთგვარად მსგავსია წაგრძელებულ-სამკუთხა პირიან შუბისპირებსა და **ა.** ქვეტიპისაგან შედარებით დაბალი მხრებით გამოირჩევა, ზეანული მხრებით კი წაგრძელებულსამკუთხა ტიპის შუბისპირებისაგან იმიჯნება (ტაბ. V,15,16,18-21).

**ა. ქვეტიპის,** რომბისებური შუბისპირები აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: ვარსიმანთკარის სამაროვანზე (ძვ.წ. V-IV სს.) 2 ეგზემპლარია, რომლებსაც ქედანი პირი და გრძელი, გახსნილი მასრა აქვს (31 და 32 სმ.) [მუხიგულაშვილი 2015:70, ტაბ. I, სურ. 1, №№ 208, 309]; ასეთივე შუბისპირებს ვხვდებით ეცოს სამაროვანზე, №№ 55 (ძვ.წ. IV-III სს.), 82 და 94 (ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი) სამარხებში. № 55 სამარხის შუბისპირი უქედო და მასრაგახსნილია (სიგრძე - 20,4 სმ) [შატბერაშვილი 2005, ტაბ. XII<sub>55-2</sub>], დანარჩენი ორი კი მაღალქედანი და მასრაგახსნილია (სიგრძე - 23 და 22,5 სმ) [იხ. შატბერაშვილი 2005, ტაბ. XIX<sub>82-2</sub>, XXI<sub>94-2</sub>]; თითო ასეთი იარაღი გვხვდება სხალთას № 13 სამარხში [Shatberashvili, Nikplaisvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI,4] და წინანდლის 1958 წელს მოპოვებულ, სავარაუდოდ ძვ.წ. IV საუკუნის მასალაში (სიგრძე - 30,5 სმ. ინვ. № 19-58:2.); ვანის ნაქალაქარის გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშალის ქვეშ, ა ქვეტიპის 2 შუბისპირი (გრძელ და შეკრულმასრიანი, მრგვალგანიკვეთიან ქედანი) არის მოპოვებული, ორივეს სიგრძე - 21 სმ-ია [ლორთქიფანიძე 1976:182; სურ. 138,7; თავაძე და სხვ., 1976:215, სურ. 155,2, 3].

**ბ. ქვეტიპის,** დაბალმხრებიან, რომბისებურ შუბისპირებს შორის გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელმასრიანი ეგზემპლარები. შესაძლოა სატყორცნი იარაღი - ხელშუბი იყოს ყანჩაეთში [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,36], შავსაყდარა I-ის № 13 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 86, ტაბ. CXCV<sub>5</sub>, CVII<sub>3</sub>] და ეცოს სამაროვანზე, ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის ან ძვ.წ. IV-III სს. მიჯნის № 41 სამარხში [შატბერაშვილი 2005, ტაბ. IX<sub>41-5</sub>] აღმოჩენილი მოკლე და რომბისებურპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირები (ტაბ. V, სურ. 18-19).

ვარსიმანთკარში აღმოჩენილ **ბ.** ქვეტიპის 4 შუბისპირს, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნის კომპლექსებიდან მომდინარეობს, რელიეფური ქედი, პირზე ოდნავ მოკლე, გახსნილი მასრა ახასიათებს და განსხვავებული სიგრძისაა - 22, 22,5, 35 და 37 სმ [მუხიგულაშვილი 2015:72, ტაბ. II, სურ.1, 367,106ა, სურ. 3, 378, 379]. ასეთივეა ითხვისის ძვ.წ. IV საუკუნის № 2 სამარხში (3 ცალი, სიგრძე 21,2 — 23,5 სმ.) [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე. 2006:44, სურ. 9, ფოტო 33] და კამარახევის ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 131 სამარხში აღმოჩენილი (მიახლოებითი სიგრძე - 30 სმ.) [ჯღარკავა 1982:179, სურ. 1385] შუბისპირებიც. ამავე ქვეტიპს მიეკუთვნება აბელას სამაროვანზე ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 21 სამარხში (19 სმ) [კვიციანიძე 1975:13-14, ტაბ. VI], ასურეთის სამაროვანზე, სამაროვნის დაზიანებულ ნაწილში (22,5 სმ.) [კვიციანიძე 1975:27, ტაბ. XIV], ქარსაანთ მიწების, ძვ.წ. V საუკუნის № 28 სამარხში [ბერაძე 1980:24, ტაბ. XXIII,6] აღმოჩენილი გრძელმასრიანი, მასრაგახსნილი შუბისპირებიც, რომელთა სიგრძე, შესაბამისად, 19, 22,5 და 25,5 სმ-ია. კიკეთში, ძვ.წ. V საუკუნის სამარხში გვხვდება **ბ.** ქვეტიპის მოკლემასრიანი ეგზემპლარი (სიგრძე - 17,4 სმ) [დავლიანიძე 1983:39, ტაბ. VI,13], (ტაბ. V,15).

დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან რომბისებურპირიან შუბისპირებს ვხვდებით ახულ აბაას ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის № 1 სამარხში (სიგრძე ≈ 15 სმ) [Воронцов 1991:225], ბზიფში (ინვ. № 1-36:151), გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №8 სამარხში, ძვ.წ. IV ს. [Трапш 1969:249, ტაბ. XXXIII, 9]. ვანის № 9 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) ასეთი 2 იარაღია (სიგრძე - 22,5 და 28 სმ), რომლებსაც გრძელი, კონუსური, გახსნილი მასრა აქვთ [ლორთქიფანიძე და სხვ., 1972:203, 211, სურ. 175-5,6]. ზემოთჩამოთვლილი შუბისპირებიდან ყველა ბ ქვეტიპს მიეკუთვნება.

როგორც ვნახეთ, რომბისებურპირიანი შუბისპირების ორივე ქვეტიპი ძირითადად გავრცელებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებში, ა. ქვეტიპის ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ბ. ქვეტიპისა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გვხვდება.

**მესამე ტიპი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** შუბისპირებია, რომელთაგანაც შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ქვეტიპი:

ა. ქვეტიპის შუბისპირებს **ვინრო და გრძელი პირი, დაკუთხული მხრები, მაღალი ქედი და მოკლე მასრა** ახასიათებთ (ტაბ. VI, 1-6). ისინი აღმოჩენილია ენაგეთის №№ 1 და 13 სამარხებში (ძვ.წ. IV ს.) [მარგიშვილი 1992: 28-29, 68, ტაბ. XXI; მარგიშვილი 2004:62, ტაბ. CVII]; ეცოს სამაროვანზე, ძვ.წ. IV საუკუნის № 72 სამარხში [შატბერაშვილი 2005, ტაბ. XVI<sub>72-2</sub>]; შავსაყდარა I-ის № 15 სამარხში (ძვ.წ. IV ს., სიგრძე - 29 სმ.) [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 87, ტაბ. CIX<sub>4</sub>]. ქვემო ქართლის ამ სამი ძეგლიდან მომდინარე შუბისპირების სიგრძე 29 სმ-დან 48 სმ-მდე მერყეობს. სამი ცალი, ამავე ქვეტიპის შუბისპირები ვარსიმანთკარშიცაა აღმოჩენილი (სიგრძე - 52, 56 და 64 სმ) [მუხიგულაშვილი 2015:70, ტაბ. I, სურ. 1, №№ 222, 193, 143]. დასავლეთ საქართველოდან ასეთი შუბისპირი წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხშია (ძვ.წ. V ს.) აღმოჩენილი. აღწერილი შუბისპირებისაგან იგი შედარებით ვინრო მხრებითა და პირით გამოირჩევა (სიგრძე - 62 სმ) [Трапш 1969:269, ტაბ. XXXVI, 13]. აღნიშნულ ქვეტიპში ცალკე ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ვარსიმანთკარის № 106 სამარხში აღმოჩენილი 80 სმ-ის სიგრძის, ვინრო და გრძელპირიანი, რელიეფურქედიანი, მოკლე, ოვალურგანივკვეთიან მასრიანი (პირის სიგრძე მასრისას რამდენიმეჯერ აღემატება) შუბისპირიც, რომელიც თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით [მუხიგულაშვილი 2015:70 ტაბ. I, სურ. 1, №149], (ტაბ. VI, 5). როგორც ვნახეთ, ზემოთაღწერილი, მესამე ტიპის ა ქვეტიპის შუბისპირები დიდი ზომით გამოირჩევა. აღსანიშნავია მათი ფართო მასრებიც, რაც, თავისთავად, მსხვილ ტარზე მიგვითითებს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი საძგერებელ შუბისპირებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ვარსიმანთკარის № 106 სამარხის დიდი ზომის შუბისპირს, იგი, წარჩინებული მხედრის საკუთრებას წარმოადგენდა (რასაც სამარხეული ინვენტარი ადასტურებს) [იხ. მუხიგულაშვილი 20015:70] და სავარაუდოდ, ორი ხელით დასაჭერი, მძიმე საძგერებელი შუბი უნდა ყოფილიყო.

ბ. ცალკე ქვეტიპად შეიძლება გამოიყოს ვარსიმანთკარის, ძვ.წ. V საუკუნის №№ 105, 107, 117 სამარხებში (რომლებიც ასევე წარჩინებული მხედრების განსასვენებლადაა მიჩნეული) [იხ. მუხიგულაშვილი 2015:70] აღმოჩენილი სამი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, ვინრო და გრძელპირიანი, რელიეფურქედიანი, ოვალურმასრიანი შუბისპირი (სიგრძე - 33, 42, 43 სმ), რომელთა მხრები მთავრდება მცირე ნიბოთი, და გვერდთან შეჭრილ კუთხეს ქმნის [მუხიგულაშვილი 2015:70, ტაბ. I, სურ. 1, №164, 172, 28]. ეს შუბისპირებიც, სავარაუდოდ, საძგე-

რებელი იარაღის პირებს წარმოადგენდა (ტაბ. VI,7-8).

გ. ვინროპირიანი, ქედიანი, **გრძელი, გახსნილმასრიანი** შუბისპირები (ტაბ. VI,9-14) გვხვდება ვარსიმაანთკარში, 4 ეგზემპლარი (სიგრძე 23-39 სმ) [მუხიგულაშვილი 2015:70, ტაბ. II, სურ. 1, № 161, სურ. 3, № 268]; 3 ასეთივე შუბისპირია წინანდალში (სიგრძე 30, 32.5 სმ., ინვ. № 11-25:1, 13, 16); ახულ აბაას № 1 სამარხში (სიგრძე — 22.8 სმ.) [Воронов 1991:225]. ვანის № 14 სამარხში (ძვ.წ. III ს.) აღმოჩენილ შუბისპირსაც იგივე მახასიათებლები აქვს [ხოშტარია 1972:89, სურ. 5,4; ლორთქიფანიძე 1976:181, სურ. 137,4]. 10 ასეთი იარაღი აღმოჩნდა წითელი შუქურას სამაროვანზე, უფროსი ჯგუფის №№ 7, 11, 28 და 88 სამარხებში (ძვ.წ. VI-V სს.). ყველას აქვს გრძელი, კონუსური, გახსნილი მასრა, მათი სიგრძე კი 18-45 სმ-ს შორის მერყეობს [Трапш 1969:85-87, 89, 91, 106, 140, ტაბ. VI,13, XXI,14, 10]. სოხუმის მთაზე, ძვ.წ. IV-III სს-ის № 12 სამარხში აღმოჩენილ შუბისპირს მკვეთრად გამოხატული, თითქმის ჰორიზონტული მხრები, გრძელი, გახსნილი მასრა აქვს და პირის მთელ სიგრძეზე ქედი გასდევს. სიგრძე - 29 სმ [კალანდაძე 1954:51, ტაბ. X,3]. გრძელი, გახსნილი მასრა აქვს თელავში შემთხვევით აღმოჩენილ, მცირე ზომის 4 შუბისპირსაც (სიგრძე 19.2-23 სმ., ინვ. № 2-60-1, 3, 27). აღსანიშნავია ასეთი იარაღის აღმოჩენა ახ.წ. I საუკუნის ძეგლებზეც, კერძოდ კი დედოფლის გორის № 11 სათავსოში [Gagoshidze 2008:138].

დ. ვარსიმაანთკარსა [მუხიგულაშვილი 2015:72 ტაბ. II, სურ. 3, №11] და წინანდალში (ინვ. №№ 11-25:3,18, 21) 7 წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, რელიეფურქედიანი, **საშუალო სიგრძის მასრიანი** (პირის სიგრძე მასრისას თითქმის ორჯერ აღემატება) ეგზემპლარებია აღმოჩენილი (ტაბ. VI,15-16). მათი სიგრძე 22-26 სმ-ს შორის მერყეობს. ასეთივე 1 იარაღი აბულმუგის № 19 სამარხშიცაა დაფიქსირებული (სიგრძე - 30,7 სმ.) [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:75]. საშუალო ზომის, გახსნილი მასრები აქვთ გუაღიხუს უმცროსი ჯგუფის ძვ.წ. IV ს-ის №№ 8 და 38 სამარხებში (4 ც., სიგრძე — 24.5 სმ) [Трапш 1969:249, 261, ტაბ. XXXIII,8] და უფროსი ჯგუფის ძვ.წ. VI-V სს-ის № 13 სამარხში (1 ცალი, შემორჩენილი სიგრძე — 18.5 სმ) [Трапш 1969:33, სურ. 6,6] აღმოჩენილ ეგზემპლარებსაც. მოგვიანო ხანის, კერძოდ კი ახ.წ. I-II საუკუნეების ძეგლებიდან ასეთი იარაღი გვხვდება კლდეეთის № 4 სამარხში [ლომთათიძე 1957:140, სურ. 29დ, ტაბ. XXI,2ბ]. მისი მასრა და პირი თანაბარი ზომისაა (მთლიანი სიგრძე — 30.7 სმ), (ტაბ. VI,17).

წინანდალში აღმოჩენილი, ჰორიზონტულ მხრებიანი, ქედიანი, მასრაშეკრული, სამანჭვლე ნახვრეტიანი, 17,4 სმ-ის სიგრძის შუბისპირი (ინვ. № 11-25:15), თითქოსდა წაგრძელებულსამკუთხა ტიპს ეკუთვნის, ამავე დროს, იგი აღწერილი ტიპის იარაღისაგან მკვეთრად განსხვავდება (ტაბ. VI,18). ასეთივეა წითელი შუქურას № 4 სამარხში აღმოჩენილი ეგზემპლარიც [Трапш 1969: 85-87, ტაბ. VI,13].

ნებელდაში - აბგიძრახუს, ალრახუს და ახაჩჩარხუს ახ.წ. III-IV საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვნებზე წაგრძელებულ სამკუთხაპირიან შუბისპირებს მრავლად ვხვდებით. ისინი ერთგვარად განსხვავდებიან ზემოაღწერილი ტიპის შუბისპირებისაგან. მათი გვერდი წვერისაკენ ოდნავ მორკალულია, რითიც მეხუთე ტიპის შუბისპირებს წააგვანან, მაგრამ გამოკვეთილი მხარი წაგრძელებულ სამკუთხა შუბისპირების მსგავსია. აღნიშნულ ძეგლებზე გვხვდება გრძელ ან/და მოკლე პირებიანი, აგრეთვე როგორც მოკლე, ისე გრძელმასრიანი ეგზემპლარები (ტაბ. VI,19-25). ისინი აღმოჩენილია აბგიძრახუს №№ 12 (2 ც.), 13 (2 ც.), 27 (2 ც.), 31, 41(2 ც.), 43 (2 ც.), 44, 47 (2 ც.), 57 სამარხებში (სიგრძე 21-დან



36.5 სმ-მდე მერყეობს) [Трапш 1971:35, 51, 64, 66, 70, 50,151, ტაბ. VI-1, VII-12, 13, XI-18, 19 XIV-9, XX-11, 12, XXI-5,6, XXII-15, XXV-7,8, XXXIII-3]; აუხაზუამახუს № 2 სამარხში (სიგრძე - 28,5 სმ) [Трапш 1971:102]; ალრაზუს №№ 3 (2 ც.) და 8 სამარხებში (30-34 სმ) [Трапш 1971:109, 114, ტაბ. XLI-2]; ახაჩარხუს №№ 32 (2 ც.),10 (2 ც.),14, 15 (2 ც.), 24 (2 ც.) [Шамба 1970:41-42, ტაბ. XIV-8,9].

**მეოთხე ტიპის, მომრგვალებულმხრებიან** შუბისპირებს შორის შეიძლება გამოიყოს ფართომხრებიანი და ვიწროპირიანი ქვეტიპები, რომლებსაც თავისი ვარიანტები აქვთ:

**ა. მომრგვალებულმხრებიან, ფართომხრებიან** შუბისპირებს შორის გხვდება შემდეგი ვარიანტები:

**ა. 1. გრძელპირიანი, მოკლემასრიანი** შუბისპირები (ტაბ. IV,1-3, 23) აღმოჩნდა: კამარახევის, ძვ.წ. IV-III სს-ის №№ 6 (1976-77 წწ.) და 24 (1976-77) სამარხებში (სიგრძე - 25 სმ.) [ჯღარკავა 1982:144,148, სურ. 951, 1008]; გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. VI-V სს-ის №№ 2 და 7 სამარხებში (სიგრძე — 42, 27 სმ) [Трапш 1969:2126, 63, ტაბ. II,1 სურ. 6,1]. კამარახევისა და გუადიხუს ეგზემპლარებს მსხვილი მასრა აქვთ. დაბლაგომში, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის მდიდრულ სამარხში 1 მოკლემასრიანი შუბისპირია აღმოჩენილი [თოლორდავა, 1976:76, სურ. 117,3]. ახალ ათონში, შემთხვევით აღმოჩენილ 2 შუბისპირს მოკლე მასრები აქვს (სიგრძე - 32 სმ; ინვ. № 12-02/2458). ასეთივეა მახვანში (სიგრძე - 27 სმ; ინვ. № 8-31:2), ზედა გორაში (ახ.წ. I-II სს., სიგრძე - 40 სმ) [ხარაბაძე 2003:164, ტაბ. I,] და ბანძაში (ახ.წ. II ს., სიგრძე - 32 სმ) [ფუთურიძე 1959:76, ტაბ. V,3] აღმოჩენილი ქედიანი და მასრაშეკრული თითო შუბისპირი.

**ა. 2. ფართომხრებიანი** შუბისპირი, რომლის **მასრისა და პირის ზომა თითქმის თანაბარია, ან მასრა პირზე ოდნავ მოკლეა** (ტაბ. IV, 4, 5, 20, 26) აღმოჩნდა აბულმუგის სამაროვანზე, № 2 სამარხში (სიგრძე - 26 სმ) [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:23]; ანთოკში (სიგრძე — 27.8 სმ, ინვ. № 2-21:12); ბეშთაშენის №№ 2 და 36 სამარხებში [მენაბდე, დავლიანიძე 1968:119,132, ტაბ. XI,345; ტაბ. XIV,466]; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №№ 8 და 39 სამარხებში, 4 ცალი. ძვ.წ. IV ს. [Трапш 1969:249, 263, ტაბ. XXXIII,10]; თაშბაშის ძვ.წ. IV ს-ის № 3 სამარხში (სიგრძე - 22,8 სმ) [გაგოშიძე, 1982:57, 59, ტაბ. VIII<sub>III-1</sub>]; შავსაყდარა I-ის ძვ.წ. IV-III სს-ის, № 39 სამარხში (სიგრძე - 35 სმ) [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 98, ტაბ. CXX<sub>3</sub>]; ყანჩაეთში (სიგრძე - 28,5 სმ) [გაგოშიძე 1964:52, ტაბ. XI,34]; შაშიანში (ძვ.წ. IV-I სს., სიგრძე - 29,5 სმ., ინვ. № 17-57:1); ბეშთაშენის № 35 სამარხში (სიგრძე - 15,3 სმ) [მენაბდე, დავლიანიძე 1968:131, ტაბ. XIV,462]; სამი ასეთი შუბისპირი დაფიქსირდა ვანის თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან „საგანძურში,“ რომელიც ძვ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული [ფირცხალავა, ყიფიანი 1986:75, სურ. 55, 1-3]; დუისში, 2 ცალი (სავარაუდოდ I-II სს., სიგრძე — 26, 31.7 სმ.; ინვ. №10-54:1,2); ბეჟანბალის II საუკუნის სამარხში (23 სმ.) [მამაიაშვილი 1980:119, ტაბ. XXXII,1], აგრეთვე აბგიძრაზუს ახ.წ III-IV საუკუნეების № 35 სამარხში [Трапш 1971:54, 150; ტაბ. XV-15].

**ა. 3. ფართომხრებიანი, გრძელპირიანი, გრძელმასრიანი** შუბისპირი (ტაბ. IV,8-9, 15-17) აღმოჩნდა ეცოს სამაროვანზე, № № 80 (ძვ.წ. II ს.) და 120 (ძვ.წ. III ს.) სამარხებში (19.5-22 სმ) [შატბერაშვილი 2005:ტაბ. XVIII<sub>80-9</sub>, XXVI<sub>120-1</sub>]; დიდი ლილოს № 1 სამარხში, სიგრძე - 30 სმ. (ინვ. № 180-1970:7); ვარსიმანთკარის ძვ.წ. V-IV საუკუნეების სამაროვანზე (სიგრძე — 26 და 41 სმ.) [მუხიგულაშვილი 2015:71, ტაბ. I, სურ. 2, № 116. 532]; ვანის № 9 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) ორი ასეთი შუბისპირია (სიგრძე — 33 და 41 სმ) [ლორთქიფანიძე

და სხვ., 1972:203, 211, სურ. 175-7]; წინანდალში (ინვ. № 11-25:12); დაბლაგომში, ქვევრსამარხების ტერიტორიაზე, დარღვეულ ქვევრსამარხთან აღმოჩენილია 2 ასეთივე შუბისპირი, რომელთა ზოგადი თარიღია ელინისტური ხანა (სიგრძე 23, 34 სმ.) [Куртин1950:36, ტაბ. 11-5]; საირხეში, გულიაშვილების უბანში (ძვ.წ. III-II სს.), სიგრძე - 31 სმ [მახარაძე, წერეთელი 2002:66]. გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე ისინი გვხვდება ჟინვალის ახ.წ. II ს-ის №№ 277 და 282 სამარხებში (თითო ეგზემპლარი, სიგრძე — 34, 36 სმ) [ჩიხლაძე 2015:22, 25, ტაბ. VIII,352, XI,382]; ჩხორონყუს ახ.წ. II-III სს-ის სამაროვანზე [Хоштариа 1941:81, ტაბ. VIII,4; ფუთურიძე 1959:57-58] და ციხისძირის ახ.წ. IV ს-ის, № 1 სამარხში [ინაიშვილი 1993:83, ტაბ. XXXII,6].

**ა. 4. ფართომხრებიანი, მოკლეპირიანი, გრძელმასრიანი** შუბისპირი (ტაბ. IV,10-12, 22) დაფიქსირებულია ბეთაშენის № 7 სამარხში (სატყორცნი იარაღია) [მენაბდე, დავლიანიძე 1968:121, ტაბ. XI,357]; დიდი ლილოს № 1 სამარხში (ინვ. № 180-970:21, სიგრძე - 17 სმ); ნაურიალის ძვ.წ. V ს-ის № 76 სამარხში [დავითაშვილი და სხვ. 2010:52-53; დავითაშვილი 2002:37, სურ. 112]; შავსაყდარა I-ის ძვ.წ. IV-III სს-ის, № 60\* სამარხში (სიგრძე - 22 სმ.) [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 110, ტაბ. CXXXII,7]; ღრმახევისთავის №№ 71, 93, 108 სამარხებში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:150, 66, 189, სურ. 141, 160, 178]; ზედა გორაში (ახ.წ. I-II სს., სიგრძე - 20,5 სმ.) [ხარაბაძე 2003:164, ტაბ. 1,2].

**ბ. მომრგვალებულმხრებიან, ვიწროპირიან** შუბისპირებს ასევე რამდენიმე ვარიანტი აქვს:

**ბ. 1 ვიწროპირიანი, გრძელმასრიანი** შუბისპირები (ტაბ. IV,13, 24) აღმოჩენილია გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. VI-V სს-ის №№ 23 (2 ც.) და № 30, სამარხებში (სიგრძე — 22, 28 სმ.) [Трапш 1969:21, 3963, სურ. 3,2; ტაბ. II,2,3]; მცხეთიჯვრის „ნაურიალის“ სამაროვნის № 104 სამარხში (ძვ.წ. VI-V სს) [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010:53-54]; ქასრაანთ მიწების ძვ.წ. VI-IV სს-ის № 28 სამარხში (სიგრძე - 23,4 სმ) [ბერაძე 1980:20, ტაბ. XXIII,7]; აბულმუგში, ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 22 სამარხში (სიგრძე — 26.8 სმ) [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:86]; მახვანში (სიგრძე - 26,6 სმ. ინვ. № 8-31:1); სოხუმის მთის, ძვ.წ. III-II სს-ის №№ 6 (3 ც.), 8 და 12 (ძვ.წ. IV-III სს.) სამარხებში (სიგრძე 25 დან 42 სმ-მდე) [კალანდაძე 1954:33,34, 51, ტაბ. IX,3, 16-18; X,3]. ამ ქვეტიპის შუბისპირები გვიანანტიკურ ხანაშიაც გვხვდება, კერძოდ, კლდეეთის, ახ.წ. II საუკუნის № 4 სამარხში, 3 ცალი,(სიგრძე - 35,5-42 სმ) [ლომთათიძე 1957:140, 142, სურ. 29ა,ბ,გ ტაბ. XXI,2ა,დ,გ]; ჟინვალის, ახ.წ. II ს-ის № 574 სამარხში (სიგრძე - 26 სმ) [ჩიხლაძე 2015:34, ტაბ. XVI,1]; რგანის, ახ.წ. III-IV ს-ის № 2 სამარხში [ბრაგვაძე 2000:108, სურ. 24].

**ბ. 2. ვიწროპირიანი, მოკლე ან საშუალო ზომის მასრიანი** შუბისპირები (ტაბ. IV,25) აღმოჩენილია გომარეთის № 7 სამარხში, სიგრძე - 35,3 სმ [დავლიანიძე 1983:132, ტაბ. XVI,2]; შედარებით მცირე ზომისაა ეცოს ძვ.წ. III ს-ის № 23 კომპლექსიდან [მატბერაშვილი 2005: ტაბ. VI<sub>23-11</sub>] და წყნეთის ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხიდან (№ 6-23:1) მომდინარე თითო და სარკინეს ორი ეგზემპლარი, რომლებიც ძვ.წ. II-ახ.წ. II სს-ის რკინის გამოსადნობ სახელოსნოში აღმოჩნდა [აფაქიძე 1963:209, სურ. 107, 111].

**ბ. 3. ვიწროპირიანი, ფართომასრიანი** (ტაბ. IV,14, 18). დედოფლის გორაზე, № 7 სათავსოში აღმოჩენილ 2 ფართომასრიან შუბისპირს, მასრის ძირზე გასამაგრებელი რგოლი შემოუყვება (31 სმ) [Gagoshidze 2008:138]. მსგავსი ფორმის, შედარებით მომცრო, 19 სმ-ის სიგრძის იარაღი აღმოჩენილია სტირფაზის

სამაროვანზე, № 49 სამარხში (ახ.წ. I-II სს.) [Гаглюев 1984:31, სურ. 28,1]. სამი ვინროპირიანი, გრძელ და ფართო მასრიანი, მასრაშეკრული შუბისპირი აღმოჩნდა ჩხარშიც, ახ.წ. II-III სს-ის „ოქონის გორის“ სამაროვანის №№ 8, 13, 14 სამარხებშიც (25-30 სმ) [ბრაგვაძე 1997:12-14 30-32, ტაბ. XIX,2, XXIV,1, XXVI,2].

ცალკე გამოვყოფთ აღწერილი ტიპის ისეთ შუბისპირებს, რომლებსაც **მასრაზე მიმაგრებული დეზი** აქვთ (ტაბ. IV,19, 21). ვინროპირიანი, ფართომასრიანი ეგზემპლარი მასრაზე დეზით, დაფიქსირებულია რგანის ახ.წ. III-IV ს-ის პირველი ნახევრის, № 31 სამარხში (სიგრძე — 33 სმ, მასრის დმ — 3 სმ.) [ბრაგვაძე 2000:112, სურ. 127]; მოდინახეს სამაროვანზე 2 ცალი: ერთს ფართო მხრები და გრძელი პირი აქვს (სამარხი № 10), მისი სიგრძე — 60 სმ, მასრის დმ — 3,5 სმ-ია, ხოლო მეორე (სამარხი № 21) - შედარებით მომცრო და ვინროპირიანია [ბრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002:94, სურ. 61].

მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირების ერთი ნაწილი, დაზიანებების გამო, ქვეტიპების მიხედვით ვერ დალაგდა. ესენია: წინამური III-ის № 6 [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995:64, სურ. 443, 446] და კამარახევის № 19 [რამიშვილი, 1959:20, ტაბ.VIII,3] სამარხებში აღმოჩენილი მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები; ახალი ათონის ერთი ეგზემპლარი (ინვ. № 12-02/2461); კირცხის 1 შუბისპირი (ინვ. № 1-60-2); წინანდლიდან მომდინარე ოთხი, სხვადასხვა ზომის შუბისპირი (ინვ. №№ 11-25:20, 24; №№ 19-58:3,7) და სხვ.

როგორც ვხედავთ, მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები მთლიანად მოიცავს საქართველოს ტერიტორიას და ძვ.წ. V საუკუნიდან ახ.წ. IV საუკუნის ჩათვლით გვხვდება, ხშირია მათი აღმოჩენის ფაქტები წინარეანტიკური ხანის ძეგლებზეც. ბრინჯაოს მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები გვიანბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი, დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული და ტრანსკავკასია ამ მხრივ გამოჩვენებს არ წარმოადგენს. ზოგიერთი მოსაზრებით, რკინის ეგზემპლარები გენეტიურადაა დაკავშირებული გვიანბრინჯაოს ხანის ამავე ფორმის იარაღთან [სახაროვა 1973:87, სურ. 32; დავლიანიძე 1983:45].

**მეხუთე ტიპის, მომრგვალებულგვერდებიან** შუბისპირებს (ტაბ. V,1-11) შორის შეიძლება გამოიყოს **ა.** ვინროპირიანი და **ბ.** ფართოპირიანი ქვეტიპები, რომლებსაც თავისი ვარიანტები აქვთ:

**ა.1.** მომრგვალებულგვერდებიანი, ვინროპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირები (ტაბ. V,1-2) აღმოჩენილია ახულ-აბაას სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის № 4 სამარხში (4 ცალი, სიგრძე 24,6 - 32,4 სმ) [Воронов 1991:225-226, სურ. 5.2,3,12]; გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. IV ს-ის № 7 და ძვ.წ. VI-V სს-ის №№ 10 და 23 სამარხებში (22- 28 სმ) [Трапш 1969: 26, 31, 39, სურ. 3, 4, 36, ტაბ. II,2]; გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. V ს-ის №№ 7 და 19 სამარხებში (22-34 სმ) [Трапш 1969:26, სურ. 6,3, ტაბ. II,10], აგრეთვე სოხუმის მთის, ძვ.წ. V-IV სს-ის № 9 სამარხში (22 სმ) [კალანდაძე 1954:34, ტაბ. IX,8].

**ა.2.** მომრგვალებულგვერდებიანი, ვინროპირიანი, მოკლემასრიანი შუბისპირები (ტაბ. V,5-7) აღმოჩნდა სოხუმის მთის, ძვ.წ. V-IV სს-ის № 9 სამარხში, 2 ც., სიგრძე - 40, 30 სმ, თან ახლდათ ბუნიკები [კალანდაძე 1954:34, ტაბ. IX,7,9]; ნითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის, ძვ.წ. V ს-ის №№ 1 და 18 (2 ც.) და უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. VI-V სს-ის № 4 სამარხებში [Трапш 1969:269, 280, ტაბ. XXXVI,8]; ვანის გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშაღის ქვეშ, 2 ც., სიგრძე - 21 სმ [ლორთქიფანიძე 1976:82; სურ. 138, 5,6; თავაძე და სხვ. 1976:216, სურ. 155, 1, 4]; ეშერის ნაქალაქარზე [Шамда 1980: 48, LXIV, 2].

**ბ.1.** მომრგვალებულგვერდებიანი, მოკლე, ფართო პირიანი, გრძელი, გახსნილი,

**კონუსურმასრიანია** შუბისპირები (ტაბ. V,3, 8) - გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. V-IV საუკუნეების №№ 1, 8, 11, 29 და 31 სამარხებიდან [Трапш 1969:29, 43 244, სურ. 6,5 ტაბ. II,4]; ახულ-აბაას სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის № 4 სამარხიდან 4 ცალი (დიდი ზომის, 33,6- 49,2 სმ) [Воронов 1991:225-226, სურ. 5.6, 7,8, 9, 10]; აგრეთვე სოხუმის მთის სამაროვნის №№ 3 (ძვ.წ. III-II სს.) და 11 (ძვ.წ. IV-III სს.) სამარხებიდან (სიგრძე 22 - 27 სმ) [კალანდაძე 1954:32,51, ტაბ. VIII,12, X,4].

**ბ.2.** მომრგვალებულგვერდებიანი შუბისპირები **გრძელი, ფართო პირით, მოკლე, გახსნილი, კონუსური მასრით**, სუსტი ქედით (ტაბ. V,9) აღმოჩენილია გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №№ 8, 38, 39 სამარხებში (ძვ.წ. IV ს.) [Трапш 1969:249, 263, ტაბ. XXXIII,5].

**ბ.3.** მომრგვალებული გვერდები, **გრძელი, ფართო პირი და გრძელი, კონუსური მასრა** (ტაბ. V,3) აქვს ვანის, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის № 9 სამარხში აღმოჩენილ 2 ცალ შუბისპირს (39-45 სმ.) [თავაძე და სხვ. 1976:216, 217, სურ. 155-11, 12] და ძვ.წ. III ს-ის № 2 სამარხის 2 ცალ შუბისპირს (33-36 სმ.) [ხოშტარია 1972:89, სურ. 5.4,5; ლორთქიფანიძე გ. 1976:181, სურ. 137.4,5].

ნებელდაში, კერძოდ კი აბგიძრახუს №№3 და 6 (2 ცალი), ახაჩჩარხუს № 12 და ახიაცარახუს № 11 (2 ცალი) სამარხებში აღმოჩენილია ფართოპირიანი და გრძელმასრიანი, მასრაშეკრული, ქედიანი, მომრგვალებულგვერდებიანი შუბისპირები (24-32 სმ), ახ.წ. III-IV სს. [Трапш 1971:24, 96-97, 150, ტაბ. II-10, XXXVI-7,8], (ტაბ. V,10-11). ისინი ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებულია ზემოთაღწერილი შუბისპირებისაგან, თუმცა ერთგვარად მათ ფორმას იმეორებენ.

**მომრგვალებულგვერდებიანი** შუბისპირების ერთი ნაწილი ნაკლებია და მათი ზუსტი მონაცემების დადგენა შეუძლებელია. ასეთია გუადიხუს უფროსი ჯგუფის № 32 სამარხში (2 ც.) [Трапш 1969:45], გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №№ 7 და 48 სამარხებში [Трапш 1969:247,266], ვანის „საგანძურში“ და გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშალის ქვეშ [ფირცხალავა, ყიფიანი 1986:75, სურ. 55-3] აღმოჩენილი იარაღი. რამდენიმე შემთხვევაში, დაზიანების მიუხედავად შესაძლებელია მათი მიკუთვნება ფართოპირიანი (ვანის გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშალის ქვეშ [ლორთქიფანიძე 1976:182; სურ. 138,4]), ან ვიწროპირიანი ნიმუშებისათვის (ახულ აბაას № 4 სამარხში [Воронов 1991:225-226, სურ. 5.1,4]).

როგორც ზემოთ ვნახეთ, მომრგვალებულგვერდიანი შუბისპირები დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. V-III საუკუნის ძეგლებზე გვხვდება. მოგვიანებით, ახ.წ. III-IV საუკუნეებში, მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ნებელდის სამაროვნებზეც.

**მეექვსე ტიპის, ისრისპირისებურ, მხრებდაშვებულ შუბისპირებს**(ტაბ. VII,1-4), როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ლიტერატურაში „ხელშუბის პირებად“ მოიხსენიებენ. ამ ტიპის ეგზემპლარების სიგრძე 21-27 სმ-ს შორის მერყეობს, ფრთებშორისი მანძილი საშუალოდ 5 სმ-ია, პირის სიგრძე - 13-14 სმ, მასრის სიგრძე - 13 სმ-სა და 17 სმ-ს შორის ვარირებს. ისინი აღმოჩენილია სოხუმის მთის №№ 2 და 5 კომპლექსებში, თითო ცალი [კალანდაძე 1954 ტაბ. VIII, 8, 22], ვანის № 2 სამარხში, 4 ცალი [Хоштариа 1979:115; ლორთქიფანიძე გ. 1976:181, სურ. 137,1-3], დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, 4 ცალი [თოლორდავა 1976:76, სურ. 117], კირცხში, 1 ცალი (ინვ. № 1-60-3).

დაბლაგომის მდიდრული სამახრი, რომელშიც ისრისებურპირიანი შუბებია, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [თოლორდავა 1976:76-77]. ძვ.წ. III ს-ით თარიღდება ასევე ვანის № 2 სამარხი [Хоштариа

1979:115; ლორთქიფანიძე გ. 1976:181].

ისრისებურპირიანი ფორმის შუბისპირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. IV-III სს-ში დნეპრისპირეთის დიდ ყორღანებში [Петренко 1967:49, ტაბ. 36-ის 16-22; ლორთქიფანიძე გ. 1976:181].

საყურადღებოა, რომ ვანის № 2 სამარხში ისრისებურპირიანი შუბი აღმოჩენილია რკინის ჯავშნის ფრაგმენტებთან ერთად, რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ სამარხი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანს ეკუთვნოდა [ლორთქიფანიძე გ. 1976:181]. გარდა ამ ტიპის შუბისპირებისა, ამავე სამარხში იყო ორი ე.წ. ვინროპირიანი შუბისპირიც. ეს ფაქტი სოხუმის მთის № 2 და დაბლაგომის მდიდრულ სამარხშიც ფიქსირდება - ერთდროულად ერთ სამარხში რამდენიმე შუბისპირია - ვინროპირიანი, სამკუთხაპირიანი რომბული და ისრისებურპირიანი.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ითქვა, ისრისპირისებურ შუბის-პირებს ხელშუბისპირებად მიიჩნევენ. რთული განსასაზღვრია, თუ რომელია „მძიმე საძვერებელი“ ან „მსუბუქი სატყორცნი“ შუბი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ერთსა და იმავე კომპლექსში განსხვავებული ტიპის შუბისპირების აღმოჩენა მათ გარკვეულ ფუნქციონალურ დატვირთვაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ისრისებურპირიანი შუბები დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი ძვ.წ. IV-III საუკუნეებში და ვინროპირიანი და რომბისებრი შუბების პარალელურადაა ხმარებაში.

**მეშვიდე ტიპის შუბისპირებს** (ტაბ. VII,10-11) აქვთ მოკლე, რომბული პირი, გრძელი მასრა, რომელიც პირს ვინრო და გრძელი, განივკვეთში ოთხკუთხა „წელით“ უკავშირდება; ყველა ქედიანია, მასრა კონუსურია, გახსნილი. ისინი სოხუმის მთის № 8 სამარხშია აღმოჩენილი, სიგრძე - 43, 40, 41 სმ. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1954: 32,34-35, ტაბ. VIII<sub>18</sub>, IX,4-6, სურ. 12].

**მერვე ტიპის, ხიმტისებურ შუბებს** (ტაბ. VII,5-9,12-13) აქვს პირისაგან ყელით ოთხნახნაგა, გრძელი პირი და გამოყოფილი გახსნილი მასრა. ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ასეთი შუბისპირი მომდინარეობს წინანდლიდან (ინგ. № 11-25:17) (ტაბ. VII,5), ასევე შავსაყდარა I-ის, ძვ.წ. IV-III სს-ის № 16 სამარხიდან [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 88 ტაბ. CIX<sub>5</sub>], გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. VI-V სს-ის № 13(55) სამარხიდან (21 სმ) [Трапш 1969:ტაბ. II, 5], სოხუმის მთის №№ 4 (50 სმ) და 9 (23 სმ) სამარხებიდან [კალანდაძე 1954:32, 35 სურ. 10, 13, ტაბ. VIII<sub>18</sub>] (ტაბ. VII, სურ. 6,7). მოგვიანო ხანის ძეგლებიდან, ასეთი იარაღი აღმოჩენილია წებელდაში, ახ.წ. III-IV სს-ის, აბგიძრახუს № 14 (42 სმ) [Трапш 1971:37, ტაბ. VIII-2], ახიაცარახუს № 6 (30 სმ) [Трапш 1971:92-93, 150; ტაბ. XXXIV-10], აუახუამახუს № 2 (32,5 სმ.) [Трапш 1971:102], ახაჩარახუს №№ 32 და 43 [Шамба 1970:42, ტაბ. XIV-7, XV-3, XXI-6] სამარხებში (ტაბ. VII,12-13).

ფიჭვნარის კოლხური ნეკროპოლის, ძვ.წ. V საუკუნის № 158 სამარხში აღმოჩნდა რკინის 3 შუბისპირი, რომლებსაც ხიმტისებური პირი აქვს (ერთის სიგრძე — 44 სმ., ორის — 47 სმ), თითოეული ბოლოვდებოდა რკინის ცილინდრული ბუნიკით (სიგრძე — 14-15 სმ) [Кахидзе 1981:54, ტაბ. XXXI,2]. ეს შუბისპირები სხვა ხიმტისებური ნიმუშებისაგან განსხვავდება ოდნავ მომრგვალებული გვერდებითა და პირის ტარზე მორგების ხერხითაც, მათ მასრასთან ერთგვარი შემსხვილება აქვთ (ტაბ. VII,9). აღსანიშნავია, რომ სამარხში შუბები მიცვალებულის გვერდზე იდო, ნაწილობრივ შენარჩუნებული იყო ხის

ტარიც, რის საშუალებითაც განისაზღვრა იარაღის სიგრძე - დაახლოებით 2 მეტრი (ტაბ. VII,8).

**პილუმი** სატყორცნი შუბი იყო, რომელიც რომელი ლეგიონერების შეიარაღებაში შედიოდა. იგი შედგებოდა ხის ტარისაგან და რკინის ნვერისაგან, რომელიც შუბის ტარს უტოლდებოდა. პილუმის სროლისას მონინალმდევე ან კვდებოდა ან ფარში ისე ღრმად ესობოდა, რომ მეომარი იძულებული იყო ფარის გარეშე გაეგრძელებინა ბრძოლა. საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ცალი პილუმის ფრაგმენტი აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. I ს-ის ნგრევის ფენაში. იგი წარმოადგენს რკინის მრგვალგანივკვეთიან ლეროს, რომელსაც აქვს ოთხნახნაგა, პირამიდული პირი, აკლია მასრიანი ბოლო ნაწილი. შემორჩენილი სიგრძე - 32 სმ, პირის სიგრძე - 4,5 სმ, ლეროს დმ. - 7 მმ. სავარუდოდ, იგი მომხდურის საკუთრება უნდა ყოფილიყო [ლორთქიფანიძე 1976:178, სურ. 136, 8].

**ხელშუბები:** ხელშუბი მცირე ზომის, სატყორცნი შუბია, რომელიც შუბისაგან მხოლოდ ზომით განსხვავდება. ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების განმავლობაში ხელშუბი როგორც ფეხოსანთა, ისე ცხენოსანთა შეიარაღებაში შედიოდა. ანტიკურ საბერძნეთში იგი პელტასტების (მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები, რომლებიც ბრძოლისას დამხმარე როლს თამაშობდნენ) მთავარ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ აქემენიდური ირანის ჯარის შეიარაღებაში ეს იარაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა — მაგალითად, გავგამელას ბრძოლაში ქვეითების უმრავლესობა მსუბუქად იყო შეიარაღებული და მათი ამუნიცია შედგებოდა მსუბუქი ჯავშნის, მშვილ-ისრისა და ხელშუბებისაგან. ხელშუბებს იყენებდნენ რომაულ არმიაშიც, სადაც ხელშუბის გრძელი მასრა ტყვიით იყო დამძიმებული, იმისათვის, რომ ფრენისას მას წონასწორობა შეენარჩუნებინა (ასეთ იარაღს რომაულ სამყაროში პლუმბატას უწოდებდნენ).

როგორ ითქვას, საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ხშირად შეუძლებელია ხელშუბისა და შუბის გარჩევა, რადგანაც ხის ტარები თითქმის არაა შენარჩუნებული და შესაბამისად, იარაღის საერთო სიგრძეზე წარმოდგენა არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვყოთ ხელშუბის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რითაც იგი შუბისაგან განსხვავდება. შუბს, როგორც საძეგრებელ იარაღს, მსხვილი ტარი ჭირდება, რათა იგი ძეგრებისას არ გადატყდეს, ამიტომაც მას საკმაოდ ფართო მასრა უნდა ქონდეს. შესაბამისად, ის იარაღი, რომელსაც წვრილი მასრა აქვს, ხელშუბისპირად უნდა ჩავთვალოთ. ვარსიმანთკარის სამაროვანზე, სადაც რამდენიმე სამარხში, რომლებიც სრულიად სამართლიანად, მაღალი რანგის მეომრების განსასვენებლადაა მიჩნეული, სხვა საბრძოლო იარაღთან ერთად გვხვდება როგორც დიდი ზომის შუბისპირები (60-80 სმ-ის სიგრძისა), ასევე მცირე ზომის, სხვადასხვა ფორმის ხელშუბები (13-20 სმ-ის სიგრძისა) [მუხიგულაშვილი 2015:71-72, ტაბ. II, სურ. 3, № 248; ტაბ. III, სურ. 5, № 201, 271]. ასეთივე სურათია ვანის № 9 სამარხშიც. ასე რომ, ხელშუბის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი ზომა, თუმცა საშუალო ზომის, მაგალითად 20-25 სმ-ის სიგრძის იარაღის დანიშნულების გარკვევა ჯერჯერობით შეუძლებლად მიგვაჩნია.

მცირე ზომის სატყორცნი იარაღი – ხელშუბი, ყველაზე უკეთ თელავის რკინის განძის შემადგენლობაშია წარმოდგენილი და სავარაუდოდ, ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნით ან ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება. იგი 85 ხელშუბს შეიცავს. ამ მასალაში გვხვდება როგორც შედარებით მოზრდილი ეგზემპლარები (20-27 სმ), ისე ძალზე პატარა (10-13 სმ) ზომის იარაღი.

**მუჯირა (ბუნკი, სათიხარი).** საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ

ძეგლებზე ხშირად გვხვდება შუბისპირები, რომლებსაც ახლავს ნაწვეტებული, მომრგვალებული ან მართკუთხა ფორმის ბუნიკები. ისინი შუბის ხის ტარის ქვედა ბოლოზე იყო მიმაგრებული. მათ შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული ქსენოფონტს: „მოსინიკებს ეკავათ ... მარჯვენა ხელში ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო“ (V, 4-12). ასეთ იარაღს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ბუნიკს, სათიხარს ანდა მუჯირას უწოდებენ. ქვემოთ ჩვენ მას მოვიხსენიებთ, როგორც მუჯირას.

ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მუჯირა, იგივე მუჟირა წარმოადგენს შინდის ხის კეტს, რომლის სიგრძე 150 სმ-მდეა (დმ -3 სმ-მდე). ერთ ბოლოში დამაგრებულია რკინის „წვეტი“ (საკუთრივ მუჟირა), ხოლო მეორე ბოლოში ხელის მოსაკიდებელი ქანჩა აქვს გაკეთებული. იგი გამოიყენებოდა მთაში და ტალახიან ადგილებში სასიარულოდ, ნადირობისას და სასროლადაც [ქმკელ 2011].

მუჯირა, როგორც ცალკე საბრძოლო იარაღი არქეოლოგიურ ლიტერატურაში ნაკლებად განიხილება. საბრძოლო იარაღად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ბოლონაწვეტებული მუჯირები. ისინი ღრუმასრიანია და კონუსური ფორმა აქვს, პირი, უმეტეს შემთხვევაში ოვალურგანივკვეთიანია, თუმცა გვხვდება ოთხკუთხა ან სამკუთხაგანივკვეთიანიც (ტაბ. IX, 1-6). საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე მუჯირა ხშირად იმ კომპლექსებშია, სადაც შუბისპირებია აღმოჩენილი, თუმცა გვხვდება ისეთი კომპლექსები, სადაც მხოლოდ მუჯირებია აღმოჩენილი. ასეთი სამარხები, როგორც წესი, მასალის სიუხვით არ გამოირჩევიან და სავარაუდოდ, დაბალი სოციალური წარმოშობისა და ნაკლებად შეძლებული ადამიანების განსასვენებელი უნდა იყოს. მხოლოდ რკინის მუჯირებით შეიარაღებული მიცვალებულები არიან დაკრძალულნი შავსაყდარა I-ის №№ 4 და 14 [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 82, 87, ტაბ. CXC<sub>V</sub>, CII, CXC<sub>V</sub>, CVIII], პაპიგორას №№ 26 და 68 [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:44, 60, ტაბ. XXXII<sub>5</sub>, XLIII<sub>3</sub>], აბულმუგის № 16 [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:66] სამარხებში.

როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოში, ანტიკური პერიოდის განმავლობაში, ძირითადი საბრძოლო იარაღი შუბი იყო. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ სხვა იარაღთან შედარებით შუბისპირები რიცხობრივად პირველ ადგილზეა. ამასვე გვიდასტურებს წერილობითი წყაროები - ანტიკური ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე, სადაც კი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების ხსენებაა, ყველგან ფიგურირებს შუბი. ძვ.წ. V ს-ში, ჰეროდოტესა და ქსენოფონტის ცნობების თანახმად, შუბები აქვთ კოლხებს, სასპერებს, მოსხებს, მოსინიკებს, ხალიბებს (ჰეროდოტე, VII, 76, 78, 79; ქსენოფონტი, IV, 3-4, IV, 7, 15-16, IV, 8-7, V, 2, 22, V, 4, 12-14, V, 4, 25). სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. I ს-ში, იბერები შუბოსნები არიან (სტრაბონი, XI, 4-5). შუბოსან იბერებს, როგორც განსაკუთრებით ძლიერ მებრძოლებს, ახსენებს პლუტარქე ძვ.წ. I საუკუნის მოვლენებთან კავშირში (ლუკუსი, 31).

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში რამდენიმე შუბი იდება ერთად, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც სამარხებში უმეტესწილად, თითო ან, იშვიათად, ორი შუბია წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ კომპლექსში შუბის სამარხში ჩატანების გარკვეული წესი შეინიშნება. მაგალითად, ვანის №9 სამარხში მეომარს სამი მხრიდან ჰქონდა შემონაცობილი 53 შუბი, ხოლო №2 სამარხში შუბები წვერებით ერთ მხარეს – დასავლეთისაკენ იყო მიმართული [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:202; Хоштариа 1979:116]; ვარსიშაანთკარის №3 სამარხში შუბი ვერტიკალურად იყო ჩარჭობი-

ლი [წითლანაძე 1983:54], ხოლო გუადიხუს უფროსი ჯგუფის № 19, ვარსიმა-ანთკარის, არღუნის, წინანდლის, ყანჩაეთისა და სხვა მრავალ სამარხულ კომპლექსში საგანგებოდ მოღუნული შუბისპირები დაფიქსირდა, რაც დაკრძალვის თავისებური რიტუალითაა ახსნილი [გაგაშიძე 1964: 52]. ეს ფაქტი თრიალეთში გვიანბრინჯაოს ხანაშიცაა ცნობილი [Куфтин 1941: 66], სამთავროს სამაროვანზე კი ძვ.წ. VIII-VII სს. კომპლექსებშიც გვხვდება [აბრამიშვილი 1961:140]. შუბები დამტვრეული სახით თავსდებოდა ყუბანისპირეთში გათხრილ სამარხებშიც [Хазанов 1971:45]. ეს რიტუალი ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდისათვისაცაა დამახასიათებელი და გვხვდება პშევორის და ჩერნიახოვის კულტურებში, სკანდინავიურ სამარხებში და სხვ. [იხ. Казанский 2015 და იქ მითითებული ლიტერატურა].

როგორც ზემოთაც ითქვა, ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტიპის შუბის თანაარსებობა ერთსა და იმავე ხანაში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ერთ სამარხში ერთი ტიპის, მაგრამ მკაფიოდ განსხვავებული ზომის შუბისპირების არსებობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ, ვანის № 9 სამარხი (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი), სადაც სახეზეა განსხვავებული ზომის, ვინროპირიანი და წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირები. მსგავს მოვლენას ვხვდებით სოხუმის მთის № 6 სამარხშიც (ძვ.წ. IV-III სს.), წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში (ძვ.წ. V ს.), დაბლაგომში (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი), ვარსიმაანთკარში (ძვ.წ. V-IV სს.). ის, რომ ერთ მეომარს რამდენიმე სახის შუბს ატანდნენ სამარხში, გვაფიქრებინებს შუბების განსხვავებულ ფუნქციაზეც. შედარებით მსუბუქი შუბები სატყორცნი შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა – საძგერებელი. არის აზრი, რომ ვინროპირიანი შუბები გამიზნული იყო აბჯრის გასარღვევად და ქვეითი ლაშქრისთვის მოსახერხებელი იქნებოდა შეჯავშნულ ცხენოსანთან შესაბამელად [Хазанов 1971:48].

შუბების მრავალფეროვნებაზე მოგვითხრობენ წერილობითი წყაროებიც. ჰეროდოტე და ქსენოფონტი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების აღწერასაც გვთავაზობენ. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხებს ჰქონდათ „მოკლე შუბები“ - ხოლო მოსხების „შუბის წვერები გრძელი იყო“ (VII, 78-79), ხალიბებში კი „თითოეულს ორი შუბი ეპყრა...“ (VII, 76). იგივე ხალიბებს, ქსენოფონტის მიხედვით, „ეკავათ ... ხუთი წყრთის სიგრძის შუბები, რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ“ (IV, 7, 15-16). ამ ცნობაში ხაზგასმულია განსხვავება ბუნიკიანი შუბისაგან, რომელიც ქსენოფონტს ხვდება პირიქითეულ მოსინიკებთან – მათ ეკავათ „მარჯვენა ხელში ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო“ (V, 4-12). თუ გავითვალისწინებთ, რომ წყრთა 45 სმ ტოლია [მიქელაძე 1967:28], ეს ყოფილა 2,70 მ სიგრძის შუბი, რომელსაც თავში აქვს შუბისპირი, მეორე ბოლოზე კი სფერული ბუნიკი.

მოსინიკების შეიარაღებაში, როგორც თვითმხილველი, ქსენოფონტი, მკვეთ-რად მიჯნავს სატყორცნ შუბს საძგერებლისაგან და ასე ახასიათებს მას – მოწინააღმდეგემ მათ „...დაუშინა შუბები. სხვებსაც ჰქონდათ შუბები, მაგრამ იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას. ამ შუბებით ცდილობდნენ ისინი ელინების მოგერიებას ხელჩართულ ბრძოლაში“ (V, 4-25). ძვ.წ. V საუკუნისათვის, წყაროების ზემომოტანილი ცნობების დროისათვის, ჩვენ გვაქვს შემდეგი ტიპის შუბისპირების – ვინროპირიანი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, რომბისებრი, მომრგვალებულმხრებიანი, მომრგვალებულგვერდიანი, ისრისპირისებური, ყუნწიანი, ხიშტისებური - ნიმუშები. ჩამოთვლილ ნი-



მუშთაგან ყველაზე გავრცელებული ჩანს მომრგვალებულმხრებიანი შუბები, რომელთა სხვადასხვა ვარიანტები მთელი ანტიკური ხანისათვისაა დამახასიათებელი.

### საბრძოლო ცული


შეტევითი შეიარაღების სახეობას განეკუთვნება რკინის საბრძოლო ცული, რომელიც ხელჩართული ბრძოლისას გამოიყენებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი, ანტიკური ხანით დათარიღებული რკინის ყველა ცული მსუბუქია, მისი გამოყენება ცალი ხელითაა შესაძლებელი და იგი, როგორც მხედრების, ისე ფეხოსნების შეიარაღებაში შედიოდა. ასეთი იარაღით მეომარს შეეძლო მტრისათვის მიეყენებინა ფართო და ღრმა ჭრილობა, დაებლოკა მისი დარტყმები ან ფარი გაეგდებინა. შესაძლო იყო ცულის ტყორცნაც. აღსანიშნავია, რომ რკინის საბრძოლო ცულს, როგორც მოსინიკების შეიარაღების კომპონენტს, ქსენოფონტი „ანაბასისში“ (V, IV, 13) ახსენებს.

საბრძოლო ცულს, სავარაუდოდ, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ტარით ქვემოთ ატარებდნენ. ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ქვის ქანდაკებაზე, მეომარს ცული მარჯვენა გვერდზე ჰკიდია და ქამარზეა მიმაგრებული ტარით ქვემოთ [იხ. Мелюкова 1952:126, 128, სურ. 39]. აფხაზეთში, სამარხებში ცულები ფიქსირდება მიცვალებულის მარცხენა მხართან, შუბისპირებთან ერთად (იშვიათად მარჯვენა მხართან). ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აღმოჩნდა მიცვალებულის საქამრე ნაწილიდან მარცხნივ ან მარცხენა ბარძაყთან, ყუით ქვემოთ [ანჩაბაძე 2015:32; Воронов, Шенкао 1982:128].

ხის ტარზე დაგებული საბრძოლო ცული შედგება ყუისაგან, სატარე ხვრელი-სა და პირისაგან. მისი კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ცულის სეგმენტების მოყვანილობა, განივკვეთი და პროპორციები. მისი აღწერისას გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: ცულის ყუა შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი, ოთხკუთხა ან მრგვალ განივკვეთიანი; ყუისთავი დაბრტყელებული ან გამობერილი; სატარე ხვრელი – ოვალური ან მრგვალი; სატარეს პროფილი გვერდიდან შესქელებული, მკაფიოდ გამოყოფილი, კუთხოვანი. ცულის პირი სიმეტრიულია, რაც ნიშნავს, რომ სატარედან თანაბრად ფართოვდება ორივე მხარეს, ან ასიმეტრიული, ანუ პირი სატარედან არათანაბრად ფართოვდება. ცულის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა საერთო სიმაღლესა და პირის უდიდეს სიგანეს შორის, რის მიხედვითაც ცული ფართოპირიანია – როცა პირის სიგანე უახლოვდება ცულის სიმაღლეს, ან ვიწროპირიანი, როცა პირის სიგანე საერთო სიმაღლეზე ნაკლებია ორჯერ ან მეტჯერ.

რკინის საბრძოლო ცულები ტრანსკავკასიაში ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ადრეულ ნიმუშებს ახასიათებს მაღალი ყუა, ვიწრო პირი და ნაგრძელებული პროპორციები. ასეთებია სამთავროს, თლიას, ბრილის, ყულანურხვას, დვანის და ა.შ. რკინის ცულები [Квирквелия 1981:7]. მოგვიანოდ კი, ანტიკურ ხანაში პროპორციები იცვლება და განსხვავებული ფორმები ყალიბდება.

ზემოთხსენებული მახასიათებლების მიხედვით,



საბრძოლო ცული  
Battle axe

საქართველოს ანტიკური ხანით დათარიღებულ ძეგლებზე გამოიყოფა საბრძოლო ცულების სამი ტიპი:

**I ტიპი**, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლე, ოთხნახნაგა ყუა – ე.წ. ჩაქურჩისებრი, დაბრტყელებული ყუისთავი, ოვალური სატარე ხვრელი, ასიმეტრიული, ნაგრძელებული პირი.

პირველი ტიპის ცულებს შორის გამოიყოფა სამი ქვეტიპი:

**ა.** (ტაბ.VIII,1) ყუა კარგად გამოკვეთილი და ოდნავ შემალღებულია, მისი მთავარი მახასიათებელი კი ასიმეტრიული, ოდნავ მოხრილი პირია. ამ ქვეტიპის ცულები ძვ.წ. VI-V საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში: აბანოს №2 [ნუცუბიძე 1968:61-73] და მცხეთიჯვრის „ნაურიალის“ № 24 სამარხებშია აღმოჩენილი [დავითაშვილი ამ. დავითაშვილი ქ. 2010:54, ტაბ. II,29].

**ბ.** (ტაბ.VIII, 2-4) ყუა გამოკვეთილი და ოდნავ შემალღებულია, ყუისთავი დაბრტყელებული, სიმეტრიული ან ასიმეტრიული პირი კი თანდათანობით ფართოვდება მჭრელი ბოლოსაკენ. ასეთი ცულები გვხვდება აბულმუგის ძვ.წ. IV-III საუკუნეების №№ 18 და 24 სამარხებში [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:71,92], ბეშთაშენის ძვ.წ. IV საუკუნის № 49 სამარხში [მენაბდე, დავლიანიძე 1968:136, ტაბ. XIV,505], სხალთას ძვ.წ. IV-III საუკუნეების №18 სამარხსა და დანგრეული სამარხიდან მომდინარე მასალაში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2010:444, ტაბ. III], შორის ძვ.წ. V საუკუნის №6 სამარხში [ტყეშელაშვილი 1969:48, ტაბ. V,140], ეცოს ძვ.წ. IV და IV-III საუკუნეების მიჯნის №№ 72, 69, 95, 107 სამარხებში [მატბერაშვილი 2005:XVI<sub>72-3</sub>, XV<sub>69-9</sub>, XXI<sub>95-3</sub>, XXIII<sub>107-4</sub>], მცხეთიჯვრის „ნაურიალის“ ძვ.წ. V ან IV ს-ის პირველი ნახევრის №25 სამარხში [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010:54, ტაბ. II,31; დავითაშვილი 2002:32, სურ. 35], გუადიხუს უფროსი ჯგუფის №№ 1, 2, 8, 13, 31, 32 სამარხებში [Трапиш 1969:20-21,38, 44-45, ტაბ. II, 9, 12, სურ. 4, 1-2,5], ნითელი შუქურას უფროსი ჯგუფის №№ 4 და 38 სამარხებში [Трапиш 1969:183, ტაბ. XIX,10-11], სოხუმის მთის №№ 10 და 12 სამარხებში [კალანდაძე 1954: ტაბ. IX,13, XI,1], ემერაში [Шамна 1980:ტაბ. LXII,4]. როგორც ვხედავთ, ამ ქვეტიპის ცულები გავრცელებულია ძვ.წ V-III საუკუნეების როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

**გ.** (ტაბ.VIII,5-6) ძირითადი მახასიათებელი დაბალი ყუაა დაბრტყელებული ყუისთავით, სიმეტრიული ან ასიმეტრიული პირი კი თანდათანობით ფართოვდება მჭრელი ბოლოსაკენ. ასეთი ცულები აღმოჩნდა ასურეთის ძვ.წ. IV საუკუნის № 25 სამარხში [კვიციანიძე 1975:42, ტაბ. XXIII], გომარეთის ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 1 სამარხში [დავლიანიძე 1983:132, ტაბ. XVI,6], მანგლისის ძვ.წ. IV საუკუნის № 3 სამარხში [დავლიანიძე 1983:50, ტაბ. XVI], სანთას ძვ.წ. IV საუკუნის № 2 სამარხში [გაგოშიძე 1982:44], შავსაყდარა I-ის ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 15 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 87, ტაბ. CIX<sub>6</sub>]. ოდნავ განსხვავებული პროპორციებით, კერძოდ კი, შედარებით ვიწრო პირით გამოირჩევა ითხვისის, ძვ.წ. IV საუკუნის №21 სამარხში აღმოჩენილი ცული [გაგოშიძე, გოგობერიძე, მახარაძე 2006:57, სურ.48]. როგორც ვნახეთ, ასეთი ცულები ძირითადად ძვ.წ. V-III საუკუნეებშია გავრცელებული, თუმცა ისინი მოგვიანო ხანაშიაც, კერძოდ, ახ.წ. I-II და II საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზეც – კლდეეთსა [ლომთათიძე 1957:15, ტაბ. XXI,1დ] და ზედა გორაზე [ხარაბაძე 2003:164, ტაბ. 1<sub>4</sub>] გვხვდება. კლდეეთის ცული ამ ქვეტიპის ტიპური ნიმუშია, ხოლო ზედა გორას ეგზემპლარის პირი ოდნავ მოხრილია, რითიც, ნაწილობრივ ა. ქვეტიპის ცულს ემსგავსება. აქვე შეიძლება განვიხილოთ ლიას ახ.წ. I-II საუკუნეების № 1 სამარხში აღმოჩენილი ცულიც [ჯაფარიძე 2006:161, ტაბ. CXX,2ბ].

მცხეთიჯვრის „ნაურიალის“ ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებულ №103 სამარხში აღმოჩენილი რკინის ცული (ტაბ.VIII,7) წაგრძელებული პროპორციებით გამოირჩევა: მას აქვს ვიწრო და მაღალი, ჩაქურჩისებრი ყუა, რომელიც ყუისთავთან ფართოვდება, ყუისთავი დაბრტყელებულია, სატარე ხვრელი ოვალურია, პირი ასიმეტრიულია, სატარე პირს ვიწრო და გრძელი ყელით უერთდება, სატარეს მიმართ პირიცა და ყუაც ოდნავ დაშვებულია. სიგრძე - 20 სმ [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010:53, ტაბ. II,26; დავითაშვილი 2002:39, სურ. 129]. ამ მახასიათებლებით იგი უფრო ადრეული ხანის იარაღს ემსგავსება, თუმცა კომპლექსის თარიღის გათვალისწინებით მას მაინც ანტიკური ხანის იარაღთან ერთად განვიხილავთ და I ტიპის ცულებს მივაკუთვნებთ.

რაც შეეხება პირველი ტიპის ცულების შემცველი კომპლექსების თარიღს - გუადიხუს, წითელი შუქურას და ბეშთაშენის კომპლექსები ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [Квирквелия 1981:6; დავლიანიძე 1983:114]. გომარეთის ცული თითქმის იმეორებს ბეშთაშენისა და მანგლისის, ასურეთის, სანთის ცულების ფორმებს, მაგრამ შედარებით გვიანი ხანით თარიღდება პარალელური მასალით - ძვ.წ. IV-III სს. ასეთივეა ეცოს რკინის ცულებიც, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია აღმოჩენილი [მატებრაშვილი 2003:125]. ამ ცულებს შორის ერთს, № 72 სამარხისას, უკვე ემჩნევა ძვ.წ. III-II სს-ის ცულებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია - მოკლე, ვიწრო ყუა, ასიმეტრიულად გაფართოებული პირი, დავინროებული წელი.

ითვლება, რომ ე.წ. ჩაქურჩისებრყუიანი საბრძოლო ცულის ჩვენს მიერ განხილული ტიპი ე.წ. ბრინჯაოს კოლხური ცულის ერთ-ერთი ტიპის განვითარების შედეგად მიღებული ფორმაა [Трапш1969:58]. საქართველოს გარეთ მსგავსი ცულები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ნესტოროვოს სამაროვნის სამარხში [Крупнов 1960:277, სურ. 45; 21, 7].

**II ტიპი**, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლე ყუა, დაბრტყელებული ან გამობერილი ყუისთავი, ოვალური სატარე ხვრელი, გვერდიდან მკვეთრად გამოყოფილი, განიერი პირი სატარეს ვიწრო ყელით უერთდება, არის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ პირიანი ნიმუშები. ამ ტიპის ცულების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სატარე ხვრელთან ჰორიზონტალური გაზიდულობანი ჩნდება. ამ დეტალით ცული ტარზე მორგებულია და მდგრადობას იარაღი ტარიანად უკეთ ინარჩუნებს. ესაა დიზაინის ერთგვარი სიახლე ცულის ტექნოლოგიური სრულყოფის გზაზე. სწორედ ეს ნიშანი განაპირობებს ამ ტიპის თავისებურებას, ვიწრო წელთან და განიერ პირთან ერთად.

მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ქვეტიპები:

**ა.** ქვეტიპის ცულები მოკლე ყელით გამოირჩევა, ფართო პირი სიმეტრიული ან ასიმეტრიულია. სიმეტრიული პირი აქვს სოხუმის მთის ძვ.წ. III-II საუკუნეების № 2 სამარხისა [კალანდაძე 1954:28, ტაბ. VIII,1] და ყანჩაეთის ძვ.წ. IV საუკუნის სამარხის [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,33] ცულებს (ტაბ. VIII,8-9). ასიმეტრიულპირიანი ნიმუშები (ტაბ. VIII,10-12) დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი: სოხუმის მთის ძვ.წ. III-II სს-ის № 6 სამარხიდან [კალანდაძე 1954:33, ტაბ. IX,15], ახულ აბაას, ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის № 5 სამარხიდან [Воронов 1979:225, სურ. 2-14], გუადიხუს უმცროსი ჯგუფის, ძვ.წ IV და IV-III სს-ის №№ 1, 7, 8 და 38 სამარხებში [Трапш 1969:266, 242, 249, ტაბ. XXXIII,7, 11], ეშერას ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის ორ კომპლექსში [Шамба 1980:47-48, ტაბ. LXII,1, 4].

**ბ.** ქვეტიპის ცულების (ტაბ.VIII,13) მთავარი მახასიათებელი გრძელი და ვიწრო, ოთხკუთხაგანიკვეთიანი ყელია. ასეთი ცულები გუადიხუს უმცროსი ჯგუფის,

ძვ.წ. IV-III საუკუნეების №49 სამარხშია დაფიქსირებული [Трапш 196:266, ტაბ. XXXIII, 6], აგრეთვე სოხუმის მთის, ძვ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებულ №№3, 4, 6, 8 სამარხებში [კალანდაძე 1954:31-33, ტაბ. VIII,11,17, 20].

როგორც ვნახეთ, ამ ტიპის ცულები ძირითადად დასავლეთ საქართველო-სათვისაა დამახასიათებელი [იხ. კალანდაძე 1954:ტაბ. VIII,1, 10, 11, 17, 20, IX,1, 15; Трапш 1969:242, 247, 260, ტაბ. XXXIII,6, 7; Шамба 1980:47, ტაბ. LXII-LXIII; ლორთქიფანიძე გ. 1976:182, სურ. 140, 1]. ასეთი ტიპის რკინის სიმეტრიულპირიანი ცული აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ყანჩაეთის სამარხშია აღმოჩენილი [გაგოშიძე 1964:52, ტაბ. XI,33].

ამ ტიპის ცულების დათარიღება შესაძლებელია სოხუმის მთის №2 კომპლექსში აღმოჩენილ შავლაკიანი სკიფოსით - ძვ.წ. V-IV სს. [კალანდაძე 1954:27, ტაბ. XI,1]. ანალოგიური შავლაკიანი სკიფოსი ოლინთოდან და აპოლონიიდან ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Robinson 1950:302, 308, № 575, 576, 580; Иванов 1963:202-203, ნახ. 78, 498]. სოხუმის მთის №3 კომპლექსში აღმოჩენილია კანთაროსი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება ათენის აგორასა და აპოლონიის ნეკროპოლის ანალოგიების საფუძველზე [Thompson 1934:315, 319; სურ. 5.A.29; Иванов 1963:196, ნახ. 77, № 480]. გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №№ 1, 38 და 39 სამარხებში აღმოჩენილი ცულები ატიკური შავლაკიანი კოტილეს მიხედვით ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [Трапш 1969:242, 260]. ეშერის სამარხის მიხედვით, სადაც ამფორა და ამფორისკია დამათარიღებელი, ამ ცულების თარიღად ძვ.წ. III-II სს. მიიჩნევა [Квирквелия 1981:7].

შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტიპის ცულები, როგორც ასიმეტრიულ, ისე სიმეტრიულპირიანები, ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნაზე ჩნდება და ძვ.წ. III-II სს-ის ჩათვლით არსებობს.

ჩვენს მიერ განხილული I და II ტიპის რკინის ცულები უკვე ის ეტაპია მათ განვითარებაში, როცა ყუა მოკლდება, პირი ფართოვდება და სატარეს გვერდითი მხარე ფორმირდება. ამავე დროს, I ტიპში გაერთიანებული ცულები ბრინჯაოს კოლხური ცულის ერთ-ერთი ტიპის განვითარების შედეგად მიღებულ ფორმად და მიჩნეული. იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში - ძვ.წ. VII ს-ის პირველ ნახევარში - „ბრინჯაოს კოლხური ცულიდან“ განვითარებული რკინის ცულის ყუა ჯერ დაგრძელდა რკინის „ჩაქუჩისებურყუიანი საბრძოლო ცულების“ სახით, ხოლო შემდეგ, ძვ.წ. VI-V სს-ში დამოკლდა. იქნებ, გრძელყუიანი რკინის ცულები დამოუკიდებელი ფორმაა, ხოლო ძვ.წ. VI-V სს-ის დაბალყუიანი რკინის ცულები, რომლებიც ბრინჯაოს კოლხურ ცულებსა ჰგვანან, სწორედ რომ ბრინჯაოს კოლხური ცულების ნიადაგზეა შექმნილი? ამაზე თითქოს მიგვანიშნებს ერგეტის ძვ.წ. VII ს-ის № 4 სამარხის ინვენტარი, სადაც ბრინჯაოს ცულების გვერდით წარმოდგენილია რკინის მსგავსი ცულები [პაპუაშვილი 1998:13]. რკინის ეს ცულები სწორედაც რომ შეიძლება მივიჩნიოთ I ტიპის ცულთა წინამორბედ ფორმად.

**III ტიპი** (ტაბ. VIII, 14-17). ამ ტიპის ცულები საქართველოს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „ნებელდური“ ცულები, რაც არცთუ სწორი ტერმინი უნდა იყოს, რადგან მათი გავრცელების არეალი გვიანრომაული ხანისა და ადრეშუასაუკუნეების პერიოდის თითქმის მთელ ევროპას მოიცავს. დასავლურ არქეოლოგიაში ასეთ იარაღს „წვერებიან ცულს“ უწოდებენ, რაც უფრო მართებული ჩანს.

ამ ტიპის ცულებისათვის დამახასიათებელია გრძელი ან ოდნავ შესამჩნევი, მილისებრი სატარე, განიერი, ასიმეტრიული პირი, რომელიც სატარეს ყელით უერთდება. პირი ტარის მხარეს მკვეთრადაა განეული და ოდნავ მოკაუჭებუ-

ლიც, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს: შედარებით მსუბუქი ყუა და მძიმე, ფართო პირი დარტყმისას განიერი და ღრმა ჭრილობის მიყენების საშუალებას იძლევა, აგრეთვე იგი მოსახერხებელია მტრის ფარის ჩამოსაწეად და მახვილის გასაგდებინებლად.

საქართველოში მათი გავრცელების საზღვრები შემოიფარგლება ძირითადად ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი რაიონებით. ცულის ეს ტიპი ამ რეგიონის სპეციფიკური იარაღია. თრაფშის ნაშრომში [Трапш 1971], რომელიც ნებელდის არქეოლოგიური ძეგლების (ახაცარახუ, ალრახუ, ახაჩარხუ, აბგიძრა-ხუ, აუხუამახუ) შესახებ დანვრილებით ინფორმაციას გვანვდის, ნარმოდგენილია „ნებელდური“ ცულების 16 ერთეული, მაგრამ ამავე დროს, ადრე მოპოვებული და მუზეუმებში დაცული ნიმუშების გათვალისწინებით ამავე სამაროვნებიდან სახელდება ამ ტიპის 40 საბრძოლო ცული. გარდა ამისა, ცნობილია პუნქტები, სადაც მსგავსი ცულები შემთხვევით არის აღმოჩენილი: თითო ნიმუში მერხეულიდან, განახლებიდან, ატარადან, ბიჭვინთიდან, რამდენიმე - გაგრიდან, 2 - ხაშუფსედან [Трапш 1971:148, სქ. 60], 8 - ოლგინსკოედან [გძელიშვილი 1947:93]. ამ ცულების ძირითადი ნაწილი ნებელდაში III-IV სს. კომპლექსების შემადგენლობაში გვხვდება, აქედან აუახუამახუს № 3 სამარხის და ალრახუს № 8 სამარხის [Трапш 1971:103, 114, ტაბ. XXXIX-2] ცულებს მ. თრაფში კომპლექსების მიხედვით ახ.წ. V საუკუნით ათარილებს [Трапш 1971:148]. ალრახუს №8 სამარხის კომპლექსის ილუსტრაცია მოტანილი არ არის, ხოლო აუახუამახუს № 81 სამარხის ინვენტარი არაფრით განსხვავდება სხვა, ამ ტიპის ცულების შემცველი, III-IV საუკუნეებით განსაზღვრული კომპლექსებისაგან. ამიტომ მათ თარიღად ახ.წ. III-IV საუკუნეებს ვტოვებთ.

აფხაზეთში სულ ნაპოვნია დაახლოებით 160 „ნებელდური ტიპის“ ცული (რაც ამ ტიპის იარაღის საერთო რაოდენობის დიდ უმრავლესობას ნარმოადგენს), აქედან 25-30% შემთხვევითი აღმოჩენაა. სამარხებში, როგორც წესი, ისინი სხვა იარაღთან ერთად გვხვდება [იხ. ანჩაბაძე 2015:32].

დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე ასეთი ცულები ცნობილია ჯიეთის სამაროვნის №27 (II-III სს.) სამარხიდან [სონლულაშვილი 2006:83], ურეკიდან (2 ცალი) (ზოგადად გვიანანტიკური ხანა) [Хоштариа 1955:63], ნოქალაქევიდან [Леквинадзе, Хведелидзе 1981: 144, таб. LI,5], ციხისძირის № 1 სამარხიდან (ახ.წ. IV ს.) [ინაიშვილი 1993:54, ტაბ. XXXII,7], ფიჭვნარიდან (ახ.წ. IV-V სს-ის სამარხებიდან) [კახიძე, ვიკერსი 2004:128].

მოგვიანოდ, კერძოდ კი V-VII საუკუნეებში, წვერებიანი, იგივე ნებელდური ცულები არაერთ ძეგლზე გვხვდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნიბილიუმის ციხესიმაგრის VI ს-ის კულტურულ ფენაში [Воронов, Шенкао 1982:127], მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხუტიაში, ახ.წ. IV-VI სს-ით დათარიღებულ დარღვეულ სამარხებში [ჩართოლანი, ცინდელიანი 2010:14], ლენჯერისა და ხოფურის ახ.წ. V ს-ის სამარხებში [ჩართოლანი, ცინდელიანი 2010:10], ვარდციხის V-VI სს-ის ფენაში [ჯაფარიძე 1989:107,108], სოფ. მახარიაში (ინახება ზუგდიდის მუზეუმში) [ანჩაბაძე 2015:32] მიკვლეული ცულები. ასევე არსებობს სხვა ზეპირი ცნობებიც მათი აღმოჩენის შესახებ: რაჭა-ლეჩხუმში, ძვერში, გოგნაში (დაცულია ჩხარის სასკოლო მუზეუმში), აჯამეთში [ჯაფარიძე 1989:107,108]. აგრეთვე აღსანიშნავია 2017 წელს, ციხისძირში, დავით მინდორაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი ასეთი იარაღი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აფხაზეთის გარეთ, დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ე.წ. ნებელდური (წვერებიანი) ცულები არაერთ

ძეგლზეა აღმოჩენილი. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ეს ტიპი დამახასიათებელი იყო მთელი დასავლეთ საქართველოს III საუკუნისა და მომდევნო ხანის ძეგლებისათვის.

ბ. კუფტინმა ნებელდური ცულების პარალელები გერმანიასა და ბოჰემიაში აღმოჩენილ გვიანრომაული ხანის ცულებთან გაავლო [იხ. Куптин 1949:93]; ქალაქ მაინდეს (გერმანია) მუზეუმის ფონდებში ინახება „ნებელდურების“ მსგავსი წვერებიანი ცულები [ჯაფარიძე 2006:178,179]. აღსანიშნავია ნებელდური ცულების მსგავსება ადრეშუასაუკუნეების „ფრანცისკებთან“ და ვიკინგურ ცულებთანაც.

III საუკუნის შუახანებიდან კავკასიის შავიზღვისპირეთის სანაპირო გოთების საზღვაო თავდასხმებს განიცდიდა, რასაც, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, მატერიალურ კულტურაში გერმანული გავლენა მოჰყვა [იხ. Казанский 2015:33 და იქ მითითებული ლიტერატურა]. სწორედ გერმანული ტომების გავლენას მიენერება შეიარაღების გარკვეული ტიპების გავრცელება. კაზანსკის მოსაზრებით, ე.წ. ნებელდური ცულები ამ პროცესის შედეგია, რაც ამ იარღის რომაულ-გერმანული აღჭურვილობიდან გადმოღებაში გამოიხატება [Казанский 2015:38].

## ჩუგლუგი

ანტიკური ხანის საქართველოში შეტევითი კატეგორიის შეიარაღების ერთ-ერთი სახეობაა ჩუგლუგი – ტარზე დასაგები რკინის პირნამახული იარაღი, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ჩულ-წერაქვად“ ან პირნამახულ ცულად მოიხსენიება ნაწვეტებული პირის გამო. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩუგლუგი არის „წერაქვი ხელთ საპყრობი საომრად“ [სულხან-საბა ორბელიანი 1993:371]. ვფიქრობთ, ასეთი პირნამახული იარაღისთვის გამართლებული იქნება ქართული ტერმინის – ჩუგლუგის დამკვიდრება. შეიარაღების ამ სახეობაში ერთიანდება ნაწვეტებული პირის მქონე, ყუიანი, ტარზე დასაგები საბრძოლო იარაღი. მისი, როგორც სახეობის განმსაზღვრელი სწორედ ნაწვეტებული პირია, ხოლო ყუა მოყვანილობის მიხედვით სხვადასხვა ვარიანტებს იძლევა, რამდენადმე განსხვავებულია თვით ნაწვეტებული პირის ფორმაც.

ამ სახეობის იარაღი აღმოჩენილია ზესტაფონში, ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ დარღვეულ სამარხში: სატარე ხვრელი ჩუგლუგის შუა ნაწილშია მოთავსებული, შესაბამისად, ყუა გრძელია, ამასთან, ნახნაგოვანი, ყუისთავი – დაბრტყელებული. ამ ნიმუშის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მისი პირიცა და ყუაც სატარეს მიმართ ოდნავ დაშვებულია, ხოლო პირი სატარეს ვიწრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება და ერთი შეხედვით მისი მოხაზულობა შუბისპირს მოგვაგონებს (ფოტო 116) [ფირცხალავა, ლანჩავა 2013:106-107, სურ. 31]. ეს ნიშანი უფრო მკაფიოდაა გამოხატული ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცულ, უცნობი წარმომავლობის რკინის ჩუგლუგზე (ტაბ. IX,7). ნივთს აქვს დაბალი, ნახნაგოვანი ყუა და ფართო კონუსურთავიანი ყუისთავი ცენტრში რელიეფური კოპით. რაც შეეხება ჩუგლუგის ნაწვეტებულ პირს, ისიც, ზესტაფონის ნიმუშის მსგავსად, მოყვანილობით შუბისპირს მოგვაგონებს, ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს პირზე არსებული ქედიც. ამავე დროს, სატარედან პირიც და ყუაც შესამჩნევადაა დაშვებული იმდენად, რომ იარაღის კონტური მორკალულია. ზე-

მოთაღწერილი ნივთის ზუსტი ანალოგია სოფ. სიმონეთში შემთხვევით მოპოვებული ორი ჩუგლუგი (ფოტო 110-11), რომელიც ქუთაისის მუზეუმში ინახება; ასეთივე ჩუგლუგები სოფ. ბუკისციხიდან ჩოხატაურის მუნიციპალურ მუზეუმში ინახება; ამავე ტიპისა უნდა იყოს ნაკლული ჩუგლუგი ნარეკვავის ძვ.წ. VI საუკუნის მინურულითა და V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული № 43 სამარხიდან – მას აქვს ნახევარსფეროს ფორმის ყუისთავი და როგორც შემორჩენილი ფრაგმენტიდან ჩანს, მორკალული მოყვანილობა უნდა ჰქონოდა; ნანვეტებული პირი ქედიანია (ტაბ. IX,9), [დავლიანიძე, სადრაძე 1993:36].

ჩუგლუგის კიდევ ერთ ნაირსახეობას ვხვდებით ბრილის სამაროვანზე გამოვლენილ ძვ.წ. VI-V საუკუნეების რკინის იარაღს შორის – მას აქვს ვიწრო, რომბულგანივკვეთიანი, წვეტით დაბოლოებული პირი, ხოლო ყუა ცულის გაფართოებული პირის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც მორკალული მოხაზულობა აქვს, სატარეს მიმართ პირიცა და ყუაც დაშვებულია, სატარე მრგვალია და იარაღის შუა ნაწილშია მოთავსებული [გობეჯიშვილი 1952:167, XLV, 1].

განხილული სახეობის იარაღი უკვე წინარეანტიკური ხანიდანაა ცნობილი. ერთი ნიმუში აღმოჩენილია დვანის ნეკროპოლის № 2 სამარხში, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [მაკალათია 1948:29]. მას აქვს ვიწრო და გრძელი, კონუსისებრთავიანი ყუა, მრგვალი სატარე და სამკუთხა პირი, წვეტით დაბოლოებული, სწორტანიანია. როგორც ჩანს, მორკალული ტანი მომდევნო საფეხურია ამ ტიპის იარაღის განვითარებაში. ასევე, შუბისპირის მსგავსი პირი აქვს თლიას ძვ.წ. VII-VI საუკუნეების №№ 258 და 143 სამარხების ჩუგლუგის მსგავს ორ იარაღს [Техов 1980:56-57, სურ.19, 4].

ყველა ზემომოტანილი ჩუგლუგი დიდ სიახლოვეს ავლენს ჩრდილო კავკასიაში, ნიჟნი ჩეგემის სამაროვნის ძვ.წ. VI-V საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილ რკინის პირნამახულ იარაღთან: სრული თანხვედრაა საქართველოს უცხოები წარმომავლობის რკინის ჩუგლუგსა და ნიჟნი ჩეგემის კონუსურ ყუისთავიან ჩუგლუგს შორის [Виноградов 1972:126-127, სურ. 29,1]; ასევე, ბრილის ნიმუშს, რომელსაც ერთი მხარე ნანვეტებული აქვს, მეორე კი ცულის გაფართოებული პირის ფორმისაა, ნიჟნი ჩეგემის ჩუგლუგებს შორის ეძებნება ანალოგიები [Виноградов 1972:126-127, სურ. 29, 4, 6].

იარაღის ეს სახეობა სათავეს იღებს ბიმეტალური ჩუგლუგებიდან, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრიდან ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე – ითვლება, რომ ისინი ტაგარის კულტურის არეში გაჩნდა (მინუსინის ქვაბულსა და სამხრეთ ციმბირში), სადაც მათ ბრინჯაოს პროტოტიპები ეძებნებათ; შემდეგ ეს სახეობა გავრცელდა დასავლეთით ანანინოს კულტურის წრეში, არალისპირეთსა და სამხრეთ ურალისპირეთში, აქედან კი კავკასიასა და წინა აზიაში [Іллінська 1961:52; Мелюкова 1964:68; Иванчик 2001:48-49, 56-57]. კავკასიაში გავრცელებული ჩუგლუგები, ყუის მთელი თავისი ნაირსახეობებით ამ საწყისი ფორმის განვითარების შედეგია. როგორც ჩანს, კავკასიაში, სადაც ცულის ტიპის იარაღი უცხო არ იყო, ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მოხდა ახლად ათვისებული ნანვეტებული პირის შეთავსება სხვადასხვა ფორმის ყუასთან, ალბათ, ფუნქციიდან გამომდინარე, რის შედეგადაც მივიღეთ კომბინირებული რკინის ჩუგლუგების ნაირსახეობები [ფირცხალავა, ლანჩავა 2013:107, ტაბ. IV,31-43].


## სატევარი და მახვილი

ინდივიდუალური საბრძოლო შეტევითი იარაღის ერთერთი მთავარი სახეობაა მახვილი და სატევარი, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში გამოიყენებოდა. ძვ.წ. V - ახ.წ. IV სს. საქართველოში გავრცელებული სატევრებისა და მახვილების სიმრავლეში შეიძლება გაიმიჯნოს ორი დიდი ჯგუფი – ორი ტიპი: ორპირლესული და ცალპირლესული ნიმუშები. მათი ხმარების წესიდან გამომდინარე – ორმხრივი პირის შემთხვევაში პირის ორივე მხარე საბრძოლოა, ცალპირა კი თავისი მახასიათებლებით (რაც დარტყმის ძალაში მდგომარეობს) მხედრისთვის მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ქსენოფონტის ცნობილი სიტყვები ცხენოსნისთვის მტრისათვის დარტყმის მისაყენებლად ასეთი იარაღის უპირატესობის შესახებ ორპირლესულ იარაღთან შედარებით [ქსენოფონტი 12,11].

როგორც წესი, სატევრისა და მახვილის ძირითადი ნაწილებია ტარი (რომელიც თავის მხრივ იყოფა ტარისთავად და ტარის ღეროდ) პირი და ვადა. ამ ნაწილების არსებობა და მათი მოყვანილობა საფუძვლად უდევს საქართველოში გავრცელებული სატევრებისა და მახვილების კლასიფიკაციას. ორივე ტიპის, როგორც **ორპირლესული**, ასევე **ცალპირლესული** მახვილი და სატევარი შეიძლება იყოს ტარიანი (ტარის ღეროიანი) და ყუნწიანი. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ტერმინები „ტარიანი“, იგივე „ტარის ღეროიანი“ და „ყუნწიანი“ მეტად პირობითია, ვინაიდან ეს ტერმინები ასახავენ იარაღის იმ მდგომარეობას, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია. ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება ისაა, რომ ე.წ. ტარიანი იარაღის შემთხვევაში მას აქვს პირთან ერთად გამოჭედილი ბრტყელი ღერო, თითქმის ყოველთვის ტარისთავიანი, რომელზეც ხის ან ძვლის (ან რაიმე სხვა მასალის) გარსაკრავები მაგრდებოდა; მათი კვალი იშვიათად ჩნდება, თავს იჩენს ძირითადად გარსაკრავისთვის განკუთვნილი მანქვლებისა და მათი ნახვრეტების სახით. ე.წ. ყუნწიან სატევრებსა და მახვილებს კი ბრტყელი ღეროს ნაცვლად აქვთ ასევე პირთან ერთად გამოჭედილი ვინრო, მრგვალ ან ოთხკუთხა განივკვეთიანი სხვადასხვა სიგრძის, ზემოთკენ დავიწროებული ყუნწი, რომელზეც ჩამოიციმებოდა ტარი (რკინისავე, ან რაიმე სხვა მასალის). ეს ტექნოლოგიური დეტალი საშუალებას იძლევა, პირობით, ტარიანი ნიმუშები მივიჩნიოთ ორპირლესული ტიპის (I) პირველ ქვეტიპად (I, 1), ხოლო ყუნწიანი ცალები პირველი ტიპის მეორე ქვეტიპად (I, 2). ტარიანი სატევრებისა და მახვილების ჯგუფი, თავის მხრივ, გვთავაზობს რამდენიმე ვარიანტს. ესენია: **ძელაკისებურ ტარისთავიანი (I, 1.ა)**, **ნახევარწრიულ ტარისთავიანი (I, 1.ბ)**, **სუსტად გამოკვეთილტარისთავიანი (I, 1.გ)** და **ტარრგოლიანი (I, 1.დ)** ნიმუშები. ორპირლესულ ტარისთავიან რკინის სატევრებსა და მახვილებში არის ერთი ჯგუფი (I, 1.ა), რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: მათ აქვთ დაბრტყელებული ძელაკისებური ტარისთავი; ბრტყელი, პარალელურგვერდებიანი ტარის ღერო; ბრტყელი, განიერი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული პირი; მკაფიოდ გამობატული ვადა (ტაბ. X, 1, 3). ზოგიერთ ეგზემპლარს პირზე შერჩენილი აქვს ხის ქარქამის ნაშთი. სიგრძე ამ ნივთებისა 50-85 სმ, სიგანე კი 5,5-6 სმ შორის მერყეობს. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III სს. სამარხებში: ვანის ნაქალაქარის № 9, მეომრის სამარხში [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:211, სურ. 174,1; Лордкипаниძე Г. 1978:ტაბ. VIII,5]; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 8 სამარხში [Трапш 1969:251, ტაბ. XXXIII, 2]; ეშერაში [Шамба 1980: 47]; ახულ აბაას №1 სამარხში [Bill 2003:221, ტაბ. 151-9]. ამავე ჯგუფს ეკუთვ-



ნის სოფ. კირცხში შემთხვევით ნაპოვნი მახვილი (ტაბ. X,2), რომელიც ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.



### მახვილები Swords

ტარისთავიანი სატევრების შემდეგ ვარიანტს (I, 1.ბ) აქვს ნახევარწრის ფორმის ტარისთავი, მკაფიოდ გამოხატული ვადა. სამი ასეთი სატევარი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. I საუკუნის ე.წ. საგანძურში [ფირცხალავა, ყიფიანი 1986:75, სურ. 55-4, 5, 9], მათი სიგრძე მერყეობს 19-22 სმ შორის. ასევე ცნობილია ამ ტიპის სატევარი დაბლაგომიდან, აღმოჩენილი ნაციხვარის დასავლეთ ფერდობზე, ელინისტური ხანის ქვევრსამარხის ფრაგმენტებს შორის [Куртин 1950:36, 38, 11], (ტაბ. X,4).

ამ ქვეტიპის კიდევ ერთ ვარიანტს ქმნიან მახვილები, რომლებსაც აქვთ სუსტად გაფორმებული ტარისთავი, სწორგვერდებიანი, ზოგჯერ ოდნავ შეზნე-ქილი, ბრტყელი ტარის ღერო; მომრგვალებულმხრებიანი ვადა; ზოგიერთს მთელ სიგრძეზე დაუყვება სამი ღარი; სიგრძე მერყეობს 53 - 75 სმ შორის; აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის №9 სამარხში [ლორთქიფანი-

ძე ოთ. და სხვ. 1972:211, სურ. 174-2]; სოხუმის მთის ძვ.წ. III-IV სს. № 8 სამარხეულ კომპლექსში [კალანდაძე 1954:34, ტაბ. IX,2]; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №1 სამარხში (ძვ.წ. IV-III სს.) [Граш 1969:249; ტაბ. XXXIII,1], (ტაბ. X,5, 7).

არის შემთხვევები, როცა სატევრის თუ მახვილის მხოლოდ ტარის ფრაგმენტია შემორჩენილი; აღნიშვნის ღირსია ტარისთავი ახულ-აბაას ძვ.წ. IV საუკუნის № 4 სამარხიდან, რომელიც წარმოადგენს ცხოველის შეწყვილებული თავების სქემატურ გამოსახულებას, რომლებიც ერთიმეორეს კეფით ეხებიან, იკითხება თვალები, ყურები, დრუნჩი (ტაბ. X, 6). გამოსახულების სიგრძე - 3,5 სმ-ია [Воронов 1991:226, სურ. 5.13].

ტარიანი მახვილებისა და სატევრების ზემოთ განხილული ვარიანტები, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძვ.წ. IV-1 საუკუნეებშია გავრცელებული და მათი არეალი ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოში შემოიფარგლება.

ფორმალური ნიშნებით – ბრტყელი ტარი, ტარისთავის არსებობა – ზემოთ განხილული მახვილების ქვეტიპის მორიგ ვარიანტად **(I, 1დ)** თითქოს შეიძლება მივიჩნიოთ მახვილები, რომელთაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ტარგოლიან მახვილებს“ უწოდებენ სპეციფიკური ტარისთავის გამო, რომელსაც დაახლ. 4-4,5 სმ დიამეტრის რგოლის ფორმა აქვს. ის ცალკე მზადდებოდა რკინის ან ბრინჯაოს მავთულისაგან და შემდეგ ტარის ღეროზე მმაგრებოდა. ამ იარაღის სპეციფიკას სწორედ ეს ნიშანი განსაზღვრავს და არა ტარის ღერო. ტარი ბრტყელია, სწორი, განივკვეთში ოთხკუთხა, როგორც წესი, ხის გარსაკრავიანი, რომელიც ტარის ღეროზე რკინის მანჭვლით მაგრდებოდა. ვადა ამ ტიპის მახვილებს სწორი აქვთ, ოდნავ სცილდება მხრებს. გამოირჩევა დახვენილი ფორმით. პირზე ხშირად ხის ქარქაშის ანაბეჭდები აქვს შერჩენილი. გამოირჩევა ბიმეტალურტარიანი ნიმუშები – მათ აქვთ ბრინჯაოს ვადა და შედგენილი ბიმეტალური ტარი – რკინის ტარის ღეროზე სამი მანჭვლით მაგრდებოდა ხის გარსაკრავი, რომელსაც ერთ ნიმუშზე ბრინჯაოს თხელი ფირფიტა აქვს შემოვლებული, მეორეზე კი ტარზე გადაკრული ხის მასალა ვადასთან ბრინჯაოს სალტით იყო დამაგრებული. იარაღს აგვირგვინებს ბრინჯაოს რგოლისებრი ტარისთავი. ამ მახვილების პირის სიგრძე მერყეობს 60 და 80 სმ-ს შორის (ტაბ. X,8, 9).

ამ ტიპის მახვილები საქართველოში ახ.წ. I-II საუკუნეებში ჩანს გავრცელებული. ისინი საქართველოს მრავალ პუნქტშია ნაპოვნი. ტარგოლიანი მახვილები აღმოჩენილია ძვერში (ახ.წ. II ს.) [Куртин 1950:198; ფუთურიძე 1959:ტაბ. V<sub>12</sub>], ლიაში [წითლანაძე 1973:70], ბორში, ხაბუმეში, ინაშაურში და სოფ. ზედა გორაში [ხარაბაძე 2003:165, ტაბ. III]. ზედა გორისა და ინაშაურის მახვილები პარალელური მასალის მიხედვით ახ.წ. I-II სს. თარიღდება. ოთხი ტარგოლიანი მახვილი ცნობილია ჩხარიდან [ხარაბაძე 2003:165], ოთხიც ჟინვალის №№ 282, 383. 499 და 525 სამარხებიდან [ჩიხლაძე 2015:22, 25; ტაბ. XI, 383; VIII, 351]. აღსანიშნავია დედოფლის გორის სასახლის ნანგრევებში ნაპოვნი ძვ.წ. I საუკუნის ძვლის ფირფიტა, რომელზეც შეჯავშნული მხედარია გამოსახული, რომელსაც მარჯვენა გვერდზე ტარგოლიანი სატევარი თუ მოკლე მახვილი უკიდია, რაც კიდევ ერთი მონიშნავს ამ ტიპის იარაღის პოპულარობისა [Gagoshidze 2008:99, ტაბ. 40, კატ. № 92] (ტაბ. II, 4).

საქართველოს ფარგლებს გარეთ ტარგოლიანი მახვილები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ფიქსირდება, აღმოსავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე [Хазанов 1971: 5]. ისინი ვოლგისპირეთში ძვ.წ. III ს-დან გვხვდება და ძვ.წ. III-II, II-I სს-ის სამარხებში მასობრივად ვრცელდება. განსაკუთრებით ხშირია ჩრდილო კავკასიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ტამანის ნახევარკუნძულზე) ძვ.წ. I ს-დან

მოკიდებული ახ.წ. I-II სს. ჩათვლით [Хазанов 1971: 10]. ცნობილია ტარგოლიანი მახვილების გამოსახულებანი რელიეფებსა და ფრესკებზე ახ.წ. II-V სს-ში [Хазанов 1971:11]. ტრანსკავკასიაში ისინი მიხედავნიან გვხვდება [Казиев 1960: 25, ტაბ. XXXV, 5].

საყურადღებოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ტარგოლიანი მახვილებია ნაპოვნი, რომელთა სიგრძე 60-82 სმ-ს შორის მერყეობს, მაშინ როდესაც ჩრდილო კავკასიაში 40-50 სმ სიგრძის სატევრები ჭარბობს [Хазанов 1971:5].

ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ფართოდ ვრცელდება ე.წ. **ყუნწიანი** სატევრები და მახვილები; მათ, ბრტყელი ღეროს ნაცვლად, აქვთ პირთან ერთად გამოჭედილი ყუნწი, რომელზეც ჩამოიციმებოდა სხვა მასალის ტარი. ხშირად, ვადასთან ჩამოცმულია ვინრო და ბრტყელი მხრები. ეს ტექნოლოგიური დეტალი საფუძვლად დაედოთ ორპირლესული სატევრებისა და მახვილების პირველი ტიპის მეორე ქვეტიპში გაერთიანებას (I,2). ამ ტიპის სატევრები და მახვილები გვიანანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი. ისინი აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე (ტაბ. XI,1-2), ახ.წ. II-IV სს. სამარხებში [ჩიხლაძე 2015: 41, 110, 150, ტაბ. XX,21; XLVIII,249; XLI, 35]; არმაზისხევის პიტიახშთა II-III სს. სამარხებში, სადაც სატევრები, როგორც ინსიგნიები, ოქროს გარსაკრავებითაა შემკული (ფოტო 5,2-3) [აფაქიძე და სხვ. 1955:ტაბ. I-III]. ასეთივეა მოდინახეს IV ს-ის სამარხების სატევრები, მათ შორის რკინის ორპირლესული სატევარი, რომელსაც ქარქაში და ტარის გარსაკრავი (რომლებიც არ შემორჩა) შემკული ჰქონია ოქროს აპლიკაციებით: ტარისთავთან, ვადასთან და წვერთან გარსემოყვება ოქროს ფურცლის სალტეები, ვადაზე და წვერისკენ - ე.წ. რვიანისებრი ხვიები (ფოტო 5,1); მისი სიგრძე - 19 სმ-ია, აღმოჩნდა № 22 სამარხში [ნადირაძე 1975:59, ტაბ. XX, XLI, 1-2; ბრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002:98, სურ. 140]. ორპირლესული, ყუნწიანი სატევრები და მახვილები აღმოჩენილია - კლდეეთის [ლომთათიძე 1957:132, სურ.26], ჩხორონწყუს [Хоштариа 1941:67-95], ზემო ავჭალის, ბანძის კომპლექსებში(ტაბ. XI,5-6), ბეჟანბალის [მამაიშვილი 1980ა:ტაბ. XXXII,1], (ტაბ. XI,10). ყუნწიანი სატევრები და მახვილები ჩამოცმული ვადით აღმოჩენილია ჩხარის, II-III საუკუნეების სამარხებში [ბრაგვაძე 1997:9, 30-32, ტაბ. XV, 1,2; XXVI, 1, 3]. ოთხნახნაგა ყუნწი აქვს დედოფლის გორის სატევარს, ვადასთან რკინის სალტეა შემოჭედილი, რომელიც ხის ან რქის ტარის გარსაკრავს ებჯინებოდა [Gagoshidze 2008:128-129, ტაბ.50, კატ. № 26]. ყურადღებას იპყრობს მახვილებისა და სატევრების კოლექცია ნებელდიდან - აქ აღმოჩენილი ათი ნიმუშიდან თითქმის ყველას თან ახლდა სამხარილლიე აბზინდებისა და რგოლების ნაკრები; რკინის იარაღის ყუნწი პირთან ერთადაა გამოჭედილი და აქვს ნახვრეტები ლურსმნისთვის, რომლითაც ხის ან ძვლის გარსაკრავი მაგრდებოდა ტარზე; ტარისთავი შემკულია სხვადასხვა მასალის (კვარცის, სხვადასხვა ფერის მინის, კირქვის) მძივებით; მახვილი წაგრძელებული პროპორციებისაა, ვადა მკაფიო კუთხოვანია, ხშირ შემთხვევაში იარაღს პირზე ხის ქარქაშის კვალი აქვს შერჩენილი [Трапш 1971:143-145, ტაბ. V, 1, 4; VI-9, 10, 15, 8; VII, 2; XI, 8, 9; XXII - 5,17, 24], (ტაბ. XI, 3,4).

საყურადღებოა, რომ საკვლევი ხანის სამაროვნებზე სატევრები და მახვილები ცოტაა შუბისპირებთან შედარებით. ამის მკაფიო სურათი გვაქვს ვანის ნაქალაქარზე მეომრის № 9 სამარხის სახით, სადაც ხუთი ათეული შუბისპირი და ერთი მახვილია ნაპოვნი. ეს მოვლენა შეიძლება ფუნქციისა და ხმარების ნების გამოხატულებაა, როცა სატყორცნი იარაღი მეომრის მიერ იკარგება, ნელზე

შებმული კი მასთან რჩება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, II ტიპის, ანუ, **ცალპირლესული მახვილები და სატევრები**, ხშირ შემთხვევაში ისეა შემონახული, რომ ტიპის განსაზღვრა ძირს. მაინც შევეცადეთ გაგვემიჯნა ტარიანი, ყუნნიანი ეგზემპლარები. ტარიანი, ცალპირლესული სატევრები აღმოჩენილია: ქასრაანთ მიწებზე (აქვთ სუსტად გამოკვეთილი ტარისთავი და მანჭვლებიანი ტარის ღერო) VI-IV სს. სამარხებში (ტაბ. XII,1); გუადისხუს უმცროსი ჯგუფის № 7 კომპლექსში (ტაბ. XII, 2), რომელიც ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [Квирквелия 1981:7]; ეშერაში [Шамრა 1980:47], ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში (ტაბ. XII,3); ყანჩაეთში [გაგომიძე 1964:51, ტაბ. XII<sub>32</sub>]; შრომის უბანში [გობეჯიშვილი 1952:29]; წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის ძვ.წ. V საუკუნის № 3 სამარხში [Трапш 1969:272, ტაბ. XXXVII, 14]; კამარახევის სამაროვანზე [ჯღარკავა 1982:163, სურ. 1177, 1178]. მათ აქვთ სწორი ზურგი, თითქმის პარალელური გვერდები, რომლებიც ვინროვდება წვერთან, ტარის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, მხართან ხის გარსაკრავის მისამაგრებლად განკუთვნილი სიმეტრიულად განლაგებული რკინის ერთი ან რამდენიმე ლურსმანი აქვთ; სიგრძე მერყეობს 25-50 სმ-ს შორის.

ცალპირლესული ყუნნიანი სატევრები აღმოჩენილია კოთიშის სამაროვანზე [მატბერაშვილი 2005]; ჟინვალის [ჩიხლაძე 2015:110, ტაბ. XLI,35] და ციხისძირის [ინიშვილი 1993: ტაბ. XXXV, 2] IV საუკუნის სამარხებში (ტაბ. XII,4-5). ასეთივე მახვილები ნაპოვნია წებელდაში, III-IV საუკუნეების სამარხებში [Трапш 1971:75, 144, ტაბ. XXV,4; Шамრა 1970:40, ტაბ. XV-17]. ერთს აქვს სწორი ზურგი, ჯვრისებრი ვადა, ტარის ღეროზე გარსაკრავის დასამაგრებელი ნახვრეტი; დამზადებულია რკინის მთლიანი ნაჭრისგან; ტარზე შერჩენილი აქვს ბრინჯაოს ფირფიტისა და ხის საღტის ნაშთები - რაც მოწმობს, რომ ქარქაში იყო ტყავგადაკრული ხისა, რომელსაც ბრინჯაო ჰქონდა შემოჭობილი; სიგრძე - 58-63 სმ. (ტაბ. XII, 6-7).

ცალკე უნდა ვახსენოთ ცუდად შემონახული მახვილები, რომელთა აღწერა და მით უფრო ტიპის განსაზღვრა შეუძლებელია მათი დაცულობის ხარისხის გამო. ჩვენთვის ასეთ შემთხვევაში სტატისტიკაა საინტერესო. ასეთია კამარახევის სატევრები, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [ჯღარკავა 1982: 145, 163, სურ. 1177, 1178, 966, 1005]. ყველა ეს ნივთი დეფორმირებულია; მთავარი კი ისაა, რომ ამ სამაროვანზე, სადაც 25 რკინის შუბისპირია, სულ სამი მახვილია წარმოდგენილი №№ 24, 67 და 8 სამარხებში. აქვეა ნაპოვნი ერთი რკინის ცალპირა იარაღი, 51 სმ სიგრძისა, №6 კომპლექსში, რომელიც ზოგადად, ძვ.წ. V-III სს. არის დათარიღებული [რამიშვილი 1959:23, 32, ტაბ. X<sub>1</sub>].

ანტიკურ ხანაში საქართველოში გავრცელებულ სატევრებსა და მახვილებს შორის არის ნიმუშები, რომლებიც სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან. მათ აქვთ ე.წ. პეპლისებური (ვარიანტი – გულისებრი ან თირკმლისებური) ვადა და სხვადასხვანაირად გაფორმებული ტარისთავი; სკვითოლოგიურ გამოკვლევებში ამ ტიპის სატევრებსა და მახვილებს დაუკანონდათ ტერმინი – **აკინაკი**. აკინაკი სკვითური კულტურის სპეციფიკის ერთერთ განმსაზღვრელ კატეგორიად არის მიჩნეული. საქართველოს ნივთიერ კულტურაში აკინაკები ძირითადად წარმოდგენილია მათი ე.წ. სკვითური არქაიკისთვის დამახასიათებელი ფორმით, ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ ძეგლებზე, მოგვიანო ხანაში კი იარაღის ეს სახეობა შედარებით იშვიათად გვხვდება.

საკვლევ ხანაში გავრცელებული აკინაკები ტარისთავის მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ. ერთი ე.წ. **ძელაკისებურ ტარისთავიან** ნიმუშებს აერ-

თიანებს, მეორე კი ე.წ. **ანტენისებურ ტარისთავიან** აკინაკებს. პირველი ჯგუფისთვის დამახასიათებელია სწორი, ძელაკისებური ტარისთავი, სამნაწილიანი ტარის ღერო და პეპლისებური (ვარიანტი – თირკმლისებური) ვადა. ადრეულ ნიმუშებზე, რომლებსაც სამნაწილიანი ტარის ღერო აქვთ, ვადა და პირი ერთი ნაჭრისგან აქვთ გამოჭედილი, ტარისთავი და „თირკმლისებრი“ დანაძერნი კი შემდეგაა მირჩილული. ასეთი მახვილების სიგრძე 75 სმ-ია, სატევრისა – 35 სმ. ამ ტიპის აკინაკები ვარსიდან კარის სამარხებიდან და ზესტაფონის დარღვეული სამარხიდან არის ცნობილი [მუხიგულაშვილი 2015:ტაბ. II, სურ. 4. № 207; ტაბ. III, სურ. 5, № 228; ფირცხალავა, ლანჩავა 2016], (ტაბ. XI,7-8). მოგვიანო საფეხურზე ტარის ღერო შედარებით მსუბუქი ხდება, ბრტყელი, შუა ნაწილში დავინრობული, ეტყობა, რომ მას ერთ დროს გარსაკრავი ჰქონდა, რომელიც არ შემოინახა; ტარისთავი მსუბუქია, აზის კოპი. მათი სიგრძეა 43-45 სმ. ამ ტიპის აკინაკები აღმოჩენილია სოხუმის მთაზე, №№ 2 და 5 სამარხულ კომპლექსებში [კალანდაძე 1954: ტაბ. VIII<sub>1,21</sub>], (ტაბ. XI,9) აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტის მიხედვით – ერთი და იმავე ტიპის ცული და სამკუთხაპირიანი შუბისპირი – ისინი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახვრითა და ძვ.წ. III ს. დასაწყისით თარიღდება [Квирквелия 1981:7]. კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში მსგავსი ნიშნების მქონე აკინაკები ძვ.წ. V ს. თარიღდება [Виноградов 1972:102, ნახ. 2, 3, 18, 19, 31,1, 44,1].

**ე.წ. ანტენისებური ტარისთავი** აქვს სოხუმის მთის №4 სამარხში აღმოჩენილ სატევარს (სიგრძე 29,5 სმ). ტარისთავის შვერილების ბოლოები ფრინველის თავის სტილიზებული გამოსახულებებითაა დასრულებული (ტაბ. XI,11). ტარის ღერო სადაა, ზემოთკენ გაფართოებული. პირი სამკუთხაა, ვინროვდება წვერისკენ; ვადას ე.წ. პეპლისებური მოყვანილობა აქვს [კალანდაძე 1954:ტაბ. VIII<sub>19</sub>]. ზუსტი ანალოგია ამ სატევარს არ ეძებნება. ამ სატევრის ცალკეული დეტალების მოყვანილობა ხსნის მისი დათარიღების საკითხს: ძვ.წ. V ს-ში ჯერ კიდევ არის ხმარებაში შვერილებიანტარისთავიანი და ე.წ. პეპლისებურვადიანი ნიმუშები, ხოლო ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში ჩნდება ე.წ. ცხოველსახოვანი შვერილები [Мелюкова 1964:60]. პეპლისებრი ვადა კი ძვ.წ. V ს-ის დასასრულს ე.წ. ცრუ-სამკუთხა მოყვანილობის ვადით იცვლება. ასე რომ პეპლისებრი ვადისა და ცხოველსახოვანი შვერილების თანაარსებობის ხანაა ძვ.წ. V საუკუნე, უკიდურეს შემთხვევაში, ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი. სოხუმის მთის № 4 სამარხიც ამ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. ანტენისებური ტარისთავი უნდა ჰქონოდა გუადიხუს უფროსი ჯგუფის № 8 სამარხში აღმოჩენილ დეფორმირებულ სატევარსაც – მას აქვს პეპლისებური ვადა და ფართო, მასიური, ბრტყელი ტარის ღერო, რომელსაც ბრინჯაოს გარსაკრავის კვალი აქვს შერჩენილი; 24 სმ სიგრძისაა; სამარხი ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახვრითა და ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება [Трапш 1969: 28, 60-62; სურ. 3,1; ტაბ. II, 11].

აკინაკი უნდა ყოფილიყო წითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში აღმოჩენილი მოკლე ნაკლული სატევარიც, რადგან ნათლად იკითხება პეპლისებური ვადა. ტარის ღეროზე ქსოვილის ნაშთი ჰქონდა შერჩენილი. ის მინაში საგანგებოდ ჩარჭობილი აღმოჩნდა. სამარხი ძვ.წ. V ს-ით თარიღდება [Трапш 1969:268-270; ტაბ. XXXVI<sub>5</sub>].

როგორც ვხედავთ, სატევრები და მახვილები სხვადასხვა თანაფარდობით მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ჩნდება საქართველოს ნივთიერ კულტურაში და შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ქრონოლოგიურ ეტაპს გარკვეული

ტიპი შეესაბამება.

**მახაირა** (ბერძ. μάχαιρα) გახლავთ ტერმინი, რომელსაც თანამედროვე მკვლევარები იყენებენ ანტიკური ხანის, ცალპირლესული, ოდნავ მოხრილი სატევრის ან დიდი ზომის დანის აღსანიშნად. მისი მთავარი მახასიათებლებია: ტარისთავი, ხშირად ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახით წარმოდგენილი, პირი შუა ნაწილიდან გაფართოებული, წვეტიან დაბოლოებული, ზურგი შესქელებული, ზოგიერთ შემთხვევაში სწორი, ალესილი მხარე კი მოხრილი. ქარქაშები იყო ხისა, ტყავ ან ლითონგადაკრული. ატარებდნენ მხარზე გადაკიდებული თას-მით, იშვიათად კი ქამარზე იმაგრებდნენ [Сокольский 1954:130]. სამეცნიერო ლიტერატურაში მახაირას ხშირად ამდაგვარივე იარაღის - კოპისის - სინონიმადაც ვხვდებით.

ასეთი იარაღის მასა პირისკენ იყო კონცენტრირებული, შესაბამისად, მოქნევისას დარტყმის ძალა მატულობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქსენოფონტის გამონათქვამი, რომლის მიხედვით, მხედარი უმჯობესია ხმარობდეს მახაირას (აქვე მახაირას კოპისსაც უწოდებს), რადგან დარტყმის მისაყენებლად იგი ცხენოსნისათვის უფრო მოხერხებულია, ვიდრე ორპირლესული ქსიფოსი (ქსენოფონტი 12:11).

საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია: თანამედროვე ბერძნულიდან იგი ითარგმნება, როგორც დანა; ანტიკური ხანის ტექსტებში μάχαιρα – სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს როგორც დანას, ისე ხმალს, ხანდახან კი ქირურგის სკალპელსაც კი. ჰომეროსი ახსენებს მახაირას, როგორც არც თუ დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების დანას, საბრძოლო ეპიზოდების აღწერისას იგი საჭრელ-საჩეხად გამიზნულ ცალპირლესულ მახვილს აღნიშნავს. სახარებაში გვხვდება სიტყვა მახაირა, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს - მოხრილი სატევარიდან სწორ, ორპირლესულ ხმლამდე [იხ. The NAS].

მახაირა, სავარაუდოდ, ძველ საბერძნეთში, ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა [Виноградов 1999; Roux 1964:63; Hoffmeyer 1972:სურ. 31] და ბევრად მოგვიანო ხანაშიაც აგრძელებდა არსებობას [Виноградов 1999]. მახაირების გამოსახულებები გვხვდება ბერძნული ხელოვნების არაერთ ნიმუშზე: მაგალითად, ძვ.წ. V საუკუნის ატიკურ ნითელფიგურულ პელიკაზე, რომელზეც დიონისეს გოლიათთან (მას მახაირა უჭირავს) ბრძოლაა გამოსახული (ნივთი ინახება ლუვრში). ასეთი იარაღი ნაპოვნია ბერძნული კოლონიზაციის ცენტრებში, მათ შორის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე [Виноградов 1999:153-160; Русяева, Черненко, 1980:102. Рис. 4], აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც [Сокольский 1954:130].

ცალპირლესულ, მოხრილ მახვილებს ქართულ არქეოლოგიაში ხშირად ბერძნულ მახაირებთან აიგივებენ [Лордкипანიძე Г. 1978:89; გაგოშიძე 1964:51; გობეჯიშვილი 1952:29]. რამდენად გამართლებულია ასეთი მახვილების მაინცადაამინც ბერძნულ მახაირასთან დაკავშირება, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ კავკასიაში ძვ.წ. VII-VI სს-ში ფართოდაა გავრცელებული დიდი ზომის რკინის მოხრილი დანები, რომელთაც, ადვილი შესაძლებელია, საფუძველი დაუდეს სატევრის ამ ფორმას.

მახაირას (ან მახაირას მიმსგავსებული იარაღის) ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ისეთ კომპლექსებში, სადაც, სავარაუდოდ, მაღალი წოდების მეომრები იყვნენ დაკრძალულები. ასეთი სამარხები, როგორც წესი, იარაღის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სხვა სამარხეული ინვენტარიც საკმაოდ უხვი და შეიძლება ითქვას, მდიდრულიცაა, გვხვდება ცხენის თანადაკრძალვის შემთხვევებიც. ამის მაგალითად შეიძლება მო-

ვიტანოთ მახაირას შემცველი კომპლექსები: ახულ აბაას № 4 სამარხში აღმოჩენილია მახაირა, 12 შუბისპირი, 3 სატევარი, 1 მახვილი, ქალკიდური მუზარადი და კნემიდები [Воронов 1991:225-226, სურ. 3,5; Kvirkvelia 1995:სურ.4], ითხვისის № 2 სამარხში მახაირასთან [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე. 2006:42, ფოტო 25] ერთადაა 3 შუბისპირი, ბუნეკები, 10 ისრისპირი, ასევე ლაგამი [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006:44, სურ. 9, ფოტო 33, 34], ეშერას მეომარ-ქურუმის სამარხში მახაირასთან [Шамба 1972:ტაბ. I,16] ერთადაა ცული, 5 შუბისპირი და 1 მახვილი [Шамба 1980:47, ტაბ. LXII,1], ტახტიძირის № 8 სამარხში - მახაირა, 2 შუბისპირი, საბრძოლო ცული, ცხენის სამკერდული აბჯრის ძვლის ფირფიტები და ბრინჯაოს ლაგამია [გოგიბერიძე 2011:25-26]. ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპლექსი ძვ.წ. IV საუკუნის ფარგლებში ექცევა, მახაირას ზომები კი 45-56 სანტიმეტრს შორის მერყეობს, რაც მისი კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი, საერთო მახასიათებელია (ტაბ. XII,8,10-11). ასევე აღსანიშნავია ვარსიმა-ანთკარის ცალპირლესული სატევარი, რომლის ტარისთავი ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ სწორი ყუა აქვს, მისი სიგრძე – 42 სმ-ია [მუხიგულაშვილი 2015: ტაბ. III, სურ. 5, №13].

შედარებით მოგვიანო ხანისაა სოფ. დუისში შემთხვევით აღმოჩენილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში დაცული კომპლექსი, რომელიც ახ.წ. I-II საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. აქ მიკვლევული რკინის სატევარი (ტაბ. XII, 7), თითქოს იმეორებს მახაირასათვის დამახასიათებელ ფორმას (ინვ. № 10-54:3), თუმცა იგი შედარებით მომცროა (34 სმ), თვით კომპლექსი [იხ. ქორიძე 1958:6] კი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იგი დანიშნულებული ფენის მეომრის სამარხად გავიაზროთ.

### საბრძოლო დანები

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე რკინის დანების აღმოჩენა ძალზე ხშირია. მათ, თითქმის ყველა იმ სამარხში ვხვდებით, სადაც საბრძოლო იარაღია დაფიქსირებული. რაც, შესაძლოა იმაზე მიუთითებს, რომ ეს დამხმარე იარაღი უნდა ყოფილიყო. თუმცა გვხვდება ისეთი ეგზემპლარებიც, რომელთა პირის სიგრძე 30 სანტიმეტრზე მეტია. ასეთი დანების ერთ ნაწილს, ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში სატევრებსაც უწოდებენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის დანა და სატევარი. საზოგადოდ მიღებულია, რომ დიდი ზომის იარაღი სატევარია, ხოლო მცირე კი დანაა (ასეთივე პრობლემის წინაშე ვდგავართ სატევრებისა და მახვილების გამიჯვნისასაც).

დანების ერთი ნაწილი, თავისი აღნაგობით, ზემოთგანხილული, მახაირასებური სატევრების მსგავსია. მათ, მართალია არ ახასიათებთ მახაირას ისეთი სპეციფიური ნიშანი, როგორცაა ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახით წარმოდგენილი ტარისთავი, მაგრამ სხვა მაჩვენებლებით მათ ემსგავსებიან. ასეთი იარაღი გვხვდება ასურეთში [კვიციანიძე 1975:36 ტაბ XVIII], წინანდალში, ვარსიმაანთკარში [მუხიგულაშვილი 2015:77-78] და სხვ. მათი სიგრძე 35-40 სანტიმეტრს შორის მერყეობს, რაც, შესაძლოა მათ საბრძოლო დანიშნულებაზე მეტყველებდეს.

## ლახტისთავი

ლახტი დასარტყმელ-საცემელ იარაღს წარმოადგენს. მას ხის ან ლითონის ტარი და ლითონის, ბურცობებიანი ან წვეტებიანი, მომრგვალებული თავი აქვს. სულხან-საბა ორბელიანის გამარტებით ლახტი „უმკუთეთლო საცემი საომარი იარაღია“ [სულხან-საბა1991:409]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ლახტი ორგვარადაა განმარტებული: „გრძელი, უტარო მათრახი, რომელსაც ძველად ბრძოლაში იყენებდნენ საცემად...“ ან „რკინის კეტი იმავე დანიშნულებისა“ [ქეგლ 1955]. ლახტის სინონიმებად გამოიყენება გურზი, რომელიც სულხან საბას განმარტებით, ლახტივით დიდია, მაგრამ უფროთა, ამიტომაც, ვამჯობინეთ, რომ ქვემოთ განსახილველ იარაღს ლახტი ვუწოდოთ. ლახტი ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ძალზე იშვიათია. იგი არ გვხვდება ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში და მხოლოდ გვიანანტიკური ხანის სამ ძეგლზე - კლდეეთში, ბორსა და რგანშია აღმოჩენილი.

სამივე ლახტისთავს ხის ტარი უნდა ქონოდა, რომელიც შემორჩენილი არ არის. კლდეეთში აღმოჩენილი ლახტისთავი მთლიანადსხმული ბრინჯაოსაგანაა დამზადებული (ტაბ. IX,7; ფოტო 1,13), სატარე მილი სქელკედლიანია, მის შემსხვილებულ თავზე ხუთი, თითქმის სიმეტრიულად განლაგებული, რომბულ-განივკვეთიანი, წაწვეტებული ქიმია, რომელთა შორის მოთავსებულია ორ-ორი ბურცობი. სიმაღლე - 7,4 სმ. ნივთი კლდეეთის სამაროვანზე არსებული დარღვეული სამარხებიდან მომდინარეობს და ახ.წ. II საუკუნით თარიღდება [ლომთათიძე 1957:13-14, ტაბ. VII; ფუთურძე 1959:78, ტაბ. V,14]. გ. ლომთათიძე ამ ნივთს ინსიგნიად მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ ნივთით მძიმე ჭრილობის მიყენებაცაა შესაძლებელი [ლომთათიძე 1957:13]. მსგავსი ლახტისთავი აღმოჩენილია ზემო რაჭაში, სოფ. ლეშში და ქუთაისის მუზეუმშია დაცული, თუმცა მისი თარიღი უცნობია [ლომთათიძე 1957:14 და იქვე დასახელებული ლიტერატურა].

საყურადღებოა კლდეეთთან ახლოს, სოფ. ბორში აღმოჩენილი ლახტისთავიც (ფოტო 1,15). მისი სიმაღლე 6 სმ-ია, თავზე სამკუთხა წვეტები აქვს [Придик 1914:106, ტაბ. IV,7]. ნივთი, სავარაუდოდ, კლდეეთის მასალის თანამედროვე უნდა იყოს.

რკინის, ოთხქიმიანი ლახტისთავი (ფოტო 114) აღმოჩნდა ახ.წ. III-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ, რგანის № 3 სამარხში [ბრაგვაძე 2000:108, სურ. 32]. იგი ზემოთაღწერილი, ბრინჯაოს ლახტისთავებისაგან განსხვავდება: როგორც ჩანს, ხის ტარზე წაწვეტებული ყუნწით მაგრდებოდა, თავი (ყუა) მაღალი და ბრტყელია, შემსხვილებულ ნაწილზე კი ოთხი, დაკუთხული და წაწვეტებული ქიმი აქვს. ეს ნივთი სამარხში რკინის მახვილთან ერთადაა გამოვლენილი. ზ. ბრაგვაძის აზრით, ეს ნივთი საომარი დანიშნულებისაა და გავს როგორც ლახტისთავს, ასევე ჩუგლუგს, თუმცა გარკვეული ნიუანსებით განსხვავდება როგორც ერთის, ისე მეორისაგან [ბრაგვაძე 2000:116].

## მშვილდ-ისარი

საქართველოში ანტიკურ ხანაში მშვილდ-ისრის არსებობაზე ძირითადად მოგვითხრობენ ისრისპირები, ვინაიდან როგორც მშვილდის ხის საფუძველი, ასევე მისი ლარი, დროთა განმავლობაში იშლება. ამისდა მიუხედავად, მიკვლეულია ნივთები და დეტალები, რომლებიც მშვილდთანაა



დაკავშირებული: ესაა მშვილდის საფუძვლის ძვლის კიდურა გარსაკრავები, ასევე მშვილდის ბუდის – გორიტის შემამკობელი ლითონის დეტალები. მშვილდის ტიპზე მოგვიტხოვრობენ საქართველოში მოპოვებული ანტიკური ხანის სხვადასხვა ნივთებზე დატანილი მშვილდოსნების გამოსახულებები.

მშვილდის კონსტრუქციის მთავარი პრინციპი უხსოვარი დროიდან მოდის. როგორც ეთნოლოგიური მასალიდან ჩანს, მისი ძირითადი ნაწილი – ხის საფუძველი – საგანგებოდ შერჩეული და შემდეგ დამუშავებული ხის ტოტისგან მზადდებოდა. მას ორივე ბოლოზე ლარის დასაჭიმად განკუთვნილი ამოღარული ნაჭდევები, ე.წ. კილონი აქვს. ლარი მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავისა ან მყესებისა იყო. მშვილდის შუა, შემსხვილებული ნაწილია სახელური, რომლის აქეთ-იქით ამაღლებული ნაწილები მშვილდის მხრები, ანუ იგივე გოზანებია. სწორედ მათზე მოდის ყველაზე დიდი დატვირთვა. ითვლება, რომ სახელურის სისქე ზრდის მხრების დრეკადობას [ელიაშვილი 1959:27]. ხშირად მშვილდს სახელურსა და ბოლოებზე უკეთდებოდა ძვლის ან რქის გარსაკრავები. სწორედ ამ ფუნქციის მატარებელია დედოფლის გორაზე ნაპოვნი 1 სმ სიგანის, ძვლის, მშვილდის გარსაკრავი ფირფიტები, რომელთა ერთი გვერდი ბრტყელია, მეორე კი გამობერილი, ბოლოებშიმომრგვალებული, და აქვთ ლარი (იგივე კილო), ლარზე მისამაგრებლად განკუთვნილი; ეს ფირფიტა-გარსაკრავები მშვილდის ორივე ბოლოზე მაგრდებოდა; არის ვარაუდი, რომ შემორჩენილია, თუმცა დეფორმირებული, შედგენილი მშვილდის სახელურის გარსაკრავიც [Gagoshidze 2008:124-125, ტაბ. 49, № 14-17]. დედოფლის გორის მონაპოვარის გარდა, მსგავსი გარსაკრავები ცნობილია ბაგინეთიდან. ხის მშვილდის ძვლის გარსაკრავების ნაშთები აღმოჩენილია აბგიძრახუს ახ.წ. III-IV საუკუნეებით დათარიღებულ № 44 სამარხშიც [Трапш 1971:68]. განსაკუთრებით საინტერესოა მშვილდის გარსაკრავები ტახტ-ე-სანგინიდან (ტაჯიკისტანი), რადგან მათთან ერთად იყო დედოფლის გორაზე მოპოვებული ისრისპირების მსგავსი ეგზემპლარები [Gagoshidze 2008:125]. ანალოგიური ძვლის, შუა და კიდურა გარსაკრავები მრავლადაა ნაპოვნი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში [Хазанов 1971:28-32].

როგორც წესი, მშვილდოსნებს ისრებიცა და მშვილდიც ტყავის ან ხის საგანგებო ბუდეებში - კაპარჭსა (ისართ ბუდე) ან გორიტში (მშვილდის ბუდე) ეწყობო. კაპარჭის გარსაკრავის ფრაგმენტები – ბრინჯაოს ორი თხელი ფირფიტა, შემკული დაბალ რელიეფში შესრულებული ორნამენტით, ნაპოვნი ვანის № 9, მეომრის სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972:211]. მათზე გამოსახულია თოთხმეტსხივიანი სოლარული ნიშანი და ბურცობები, ხოლო კიდებზე შეიმჩნევა ნახვრეტები, რომელიც განკუთვნილია გარსაკრავის ტყავის ან ხის საფუძველზე მისამაგრებლად. სამარხში ორ ადგილას, გარკვეული წესრიგით, მიჯრით ეწყობო ისრისპირები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საგანგებო ბუდეში ელაგა (30 ცალი).

მშვილდის ბუდეზე ანუ გორიტზე მიგვანიშნებს აგრეთვე ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული დეტალი, რომელიც ტყავის ან ხის ბუდის ზედა ნვერზე მაგრდებოდა [ტაბ. XIII, სურ. 39,40]. ესენია: ჯიმიითის (ივრისპირების) და წნორის ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული სტილიზებული ზოომორფული ფირფიტები, რომელთაც გამოწეული კიდის გასწვრივ ნახვრეტები გასდევს [მამაიაშვილი 1980:110, 113, ტაბ. XXX,11, XXXI,5]; ანალოგიური ფირფიტა ბოგვისხევის სამარხის ქვაყუთიდან [თუშიშვილი 1986: სურ. 1]. სავსებით მსგავსი ნივთები ნაპოვნია ჩრდილოეთ სირიაში – დევე ჰუიუკის II ჰორიზონტში, რომელიც

ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება [Moory 1980:66, ტაბ. 10, 217, 218], აზერბაიჯანში [Дьяконов 1956:სურ. 46], სამარიასა და ოლიმპიაში [Baitinger 1999:131, სურ. 8-9]. როგორც ითქვა, ბრინჯაოს ეს ფირფიტები მშვილდის ბუდის ზედა კიდეზე მაგრდებოდა. ამ დეტალს ვხვდებით პერსეპოლისის რელიეფებზე, სადაც მეჩვიდმეტე დელეგაციის ყოველ წევრს (მეჯინიბის გარდა) – სპარსსა და მიდიელს, ამდაგვარი დეტალით დაგვირგვინებული გორიტები უპყრიათ ხელთ [Baitinger 1999:133, სურ. 6-7]. გამოსახულებების მიხედვით ასკვნიან, რომ ეს იყო შედგენილი, მოკლე, ორჯერ მოხრილი მშვილდი, რომელიც ინახებოდა კომბინირებულ ბუდეში, სადაც ისრებიც ენყო. ასეთი მშვილდები ჰქონდათ მხედრებს და მათი – ბრინჯაოსი, მასრიანი, სამფრთიანი, პატარა ისრისპირებიც, შესაბამისად, მსუბუქი იყო [Moory 1980:66]. საყურადღებოა, რომ ივრისპირების სამარხებში განხილული ბრინჯაოს ფირფიტებთან ერთად ნაპოვნი იყო ძვლისა და ბრინჯაოს მსუბუქი ისრისპირები [მამაიაშვილი 1980:ტაბ. XXX, XXXI]. კომბინირებული ბუდის გამოსახულებას ვხვდებით დედოფლის გორაზე მოპოვებულ ძვლის, გრავირებულ ფირფიტებზე, სადაც წარმოდგენილია ამხედრებული მშვილდოსანი, რომლის ცხენის უნაგირზე დაკიდებულია გორიტიცა და კაპარტიც [Gagoshidze 2008:124, ტაბ. 34, კატ. № 24, 30].


რაც შეეხება მშვილდის ტიპს, ანტიკური ხანის საქართველოში, გამოსახულებების მიხედვით, გვაქვს მარტივი, ე.წ. სეგმენტის ფორმის (გომის სასმისზე) [გამყრელიძე 2002:43, ტაბ. I] და შედგენილი, ორგზის მოხრილი ტიპის (არაგვისპირის № 13 სამარხის ვერცხლის სურებზე) [რამიშვილი 1999 სურ. 2-3]. თუ გავიხსენებთ სტრაბონის იმ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ იბერთაგან ისინი, ვინც მთაში ცხოვრობენ, სკვითებისა და სარმატების მსგავსად აღიჭურვებოდნენ (XI,3,3), უადგილო არ იქნება ვახსენოთ ე.წ. სკვითურ-სარმატული მშვილდი, მით უფრო, რომ საქართველოში ნაპოვნი შესაბამისი ხანის ისრისპირებს შორის არის მცირე ზომის ისრისპირები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ე.წ. სკვითურ-სარმატული ტიპის მსუბუქი, მცირე ზომის, ორგზის მოხრილი შედგენილი მშვილდი, რომლის ხის საფუძველი რამდენიმე ნაჭრისგან შედგებოდა. მისი სახელური და ბოლოები არაღუნვადი უნდა ყოფილიყო, ხოლო მხრები – დრეკადი. ამ ტიპის მშვილდი მრავალი ხალხის კულტურაში იყო გავრცელებული – ევრაზიის სტეპებსა და წინა აზიაში, განსაკუთრებით პოპულარული კი ირანულ სამყაროში იყო [Хазанов 1971:29].

საქართველოში მთელი ანტიკური ხანის მანძილზე, რომელიც თითქმის ათასწლეულს მოიცავს, სხვადასხვა სახის ისრისპირები გვხვდება. ისარი შედგება ისრისპირისაგან, რომელიც შეიძლება იყოს ბრინჯაოსი, რკინისა ან ძვლისა და ისრის ტარისაგან - ხის ლეროსაგან. ხშირად ისრისპირს ხის ნაშთი აქვს შერჩენილი. საკუთრივ ისრისპირი შედგება მასრისა ან ყუნწისაგან და თავისაგან. მისი მახასიათებლებია მასრის ან ყუნწის და თავის ფორმა. თავი კი შეიძლება იყოს ორფრთიანი, სამფრთიანი, სამწახნაგა, ოთხწახნაგა და ბრტყელი - კიდევ ბმომრგვალებული ან ე.წ. ოვალურ-რომბული ფორმის. უმასრო ისრისპირები არის სამფრთიანი, ოთხწახნაგა და სამწახნაგა.

ამ ნიშნების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ტიპები:

**I – ოთხწახნაგა, პირამიდული ფორმის, მრგვალღრუიანი** ისრისპირები ყველა ძვლისაა. სიგრძე მერყეობს 3,2-6,6 სმ-ს შორის, სიგანე - 0,7-0,9 მმ-ს შორის. ყოველ წახნაგს ფუძესთან სამკუთხა ფორმის ამონაჭერი აქვს (ტაბ. XIII,1-8). ამ ტიპის 7 ისრისპირი აღმოჩენილია კამარახევის № 24 სამარხში [ჯღარკავა 1982:148, სურ. 1009], ჯიმითისა და წნორის სამარხებში [მამაიაშვილი 1980:106,

113, ტაბ. XXX,4; XXXXI,6-7]. ამავე ტიპის ისრისპირები ნაპოვნია ენაგეთის სამაროვანზე № 1 ქვაყუთში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლაგმისა და ვერცხლის თასის მიხედვით [მარგიშვილი 1992:28, 69, ტაბ. XXI,8]. ივრისპირების სამარხებიდან მომდინარე ძვლის ისრისპირებიდან ორს ერთ-ერთ ნახნაგზე ლათინური NN-ის მაგვარი ნიშანი აქვს ამოკანრული (ტაბ. XIII, 5-7). ამ ტიპის ისრისპირების მსგავსი ნიმუშები ცნობილია ძვ.წ. V ს-ის სამარხებიდან [Смирнов 1964:სურ. 12, 3a-3], ისინი გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში (ერთეულების სახით), ყაზახეთსა და ირანში [Cleuziou 1997:189, 194, სურ. 1.20, სურ. 2]. ფიქრობენ, რომ ისინი აქემენიდთა შეიარაღებაში შედიოდა [Cleuziou 1997:197].



ისრისპირები  
Arrowheads

**II – ბრინჯაოს უმასრო, მრგვალლრუიანი სამწახნაგა** ისრისპირები, რომელთათვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად შეჭრილი წახნაგის ფუძე (სიგრძე - 2,5-3 სმ), წახნაგებზე ქვემოთ - ნახვრეტები (ტაბ. XIII, 9-11). ისინი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, მეომრის № 9 სამარხში [Lordkipanidze 2001:სურ.17-7], სადაც სამარხის მთელ ტერიტორიაზე იყო მობნეული, ხოლო ორ ადგილას, როგორც ზემოთ ითქვა, მიჯრით ენყო გარკვეულ წესრიგში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სხვა ტიპის ისრებთან ერთად, ტყავის ან ხის ბუდეში - კაპარჭში ელაგა. ამ ტიპის ისრისპირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის კომპლექსებიდანაა ცნობილი [Мелюкова 1964:ტაბ. 9, A, 2-3; K-2]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გარდა, ისინი გავრცელებულია კავკასიაში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და ირანში [Cleuziou 1997:194, სურ. 2, სურ. 1-19].

**III – ბრინჯაოს მრგვალლრუიანი, სამფრთიანი** ისრისპირები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაშვებული ფრთების წვერების მიხედვით იძლევიან ვარიაციებს (ტაბ. XIII,12-13). ისინი აღმოჩენილია ვანის № 9 სამარხში [Lordkipanidze 2001:სურ. 17, 9-11] და ციხედიდის ხევის სამაროვნის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში (სიგრძე 2,5-4 სმ). ამ ტიპის ბრინჯაოს ისრისპირები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის [Мелюкова 1964:ტაბ. 9, B- 3,3; K-6; JI-1,2; M-2; H-2] და ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. IV ს-ის კომპლექსებიდან [Смирнов 1964:სურ. 49, O; 3a]. ძვ.წ. IV-III სს-ში მათ ვხვდებით ყაზახეთსა და ირანშიც [Cleuziou 1997:სურ. 1;].

**IV – მრგვალლრუიანი ისრისპირების კიდევ ერთი ტიპია ე.წ. „ტყვიისებრი“** ძვლის ისრისპირები (ტაბ. XIII, 14-16), რომელთაც კონუსური ფორმა აქვთ (სიგრძე მერყეობს 2,1-3,5 სმ-ს შორის, დმ. 0,6-0,8 სმ). ასეთი ისრისპირები საქართველოში გვხვდება წნორის ძვ.წ. IV საუკუნის სამარხში [მამაიაშვილი 1980:ტაბ. XXX,5]. ისინი უფრო მეტად ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი [Мелюкова 1964:ტაბ. P].

რაც შეეხება მასრიან ისრისპირებს, ყველაზე გავრცელებული ტიპი მასრიან ისრისპირთა შორის არის ბრინჯაოს სამწახნაგა და სამფრთიანი ეგ ზემპლარები.

**V – სამწახნაგა, მოკლემასრიანი, 2,5-3 სმ-ის სიგრძის, ბრინჯაოს ისრისპირები** (ტაბ. XIII,17-18) ერთეულების სახით გვხვდება კულტურულ ფენებსა და სამარხებში. ისინი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში

[ლორთქიფანიძე გ. 1976:179], რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება; ითხვისის სამარხში [გაგოშიძე 1968:35, ტაბ. 1, 4, 5]; ქუთაისში [ლორთქიფანიძე გ. 1976:179, სქ. 4]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ასეთი ისრისპირები ძვ.წ. VI-V და V-IV-III სს-ში გვხვდება [Мелюкова 1964: ტაბ. 7, Г-7, ტაბ. 8, Л<sub>2-6</sub>; ტაბ. 9, Н<sub>10</sub>]; ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში ისინი ძვ.წ. IV ს-დან ჩნდება [Смирнов 1964:სურ. 47,3, სურ. 51,2a, 10]. მსგავსი ისრისპირები ბერძნულ სამყაროშიცაა ცნობილი და მათი აღმოჩენები ირანთან ომს უკავშირდება.

**VI** – მასრიან ისრისპირებს შორისაა **ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირები**, დეზიანი (ტაბ. XIII,19) და უდეზო (ტაბ. XIII,21-23), რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხებში გვხვდება. ისინი აღმოჩენილია: ივრისპირების № 1 და № 2 სამარხებში [მამაიაშვილი 1980:ტაბ. XXX,6; XXXI,8]; გომარეთის სამაროვანზე [დავლიანიძე 1983:138, ტაბ. XVI,]; დალის მთის ყორღანული ველის სამარხის თავზე; ნასტაკის ნამოსახლარზე; ჭალის სამაროვანზე; ციხიანას სამაროვანზე, № 6 სამარხში; სამადლოში [Гагошидзе 1979:36, ტაბ. XIII, 228], კუმისში [Давлиანიძე 1977:122, სურ. 2]. ანალოგიური ისრისპირები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. V-IV სს-ის კომპლექსებიდან [Мелюкова 1964: ტაბ. 8, К<sub>1-9</sub>; ტაბ. 8, В<sub>6</sub>, Т<sub>1-3</sub>; Смирнов 1964: სურ.51,3a].

**VII** – მასრიან ისრისპირთა შორისაა პირამიდულთავიანი ბრინჯაოს ისრისპირები. მათ აქვთ მოკლე თავი და მრგვალგანივკვეთიანი გრძელი მასრა (ტაბ. XIII, 24). სამი ასეთი ისრისპირი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში [ლორთქიფანიძე გ. 1976:სურ. 136-11,3], ერთიც მეომრის სამარხში [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972: სურ. 175]. ისინი 6 სმ სიგრძისაა, პარალელები ეძებნებათ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებს შორის [Мелюкова 1964:ტაბ. 9, В<sub>6</sub>, С<sub>1-4</sub>].

**VIII** – შედარებით იშვიათად, ბრინჯაოს მასრიან, ისრისპირთა შორის გვხვდება ორფრთიანებიც, რაც ადრეულობის მაუწყებელია (ტაბ. XIII, 20). **ორფრთიანი, მასრიანი, მასრაზე დეზიანი ან უდეზო** ცალები ძვ.წ. V-IV სს-ში ნაკლებად ჩანს. ასეთები ნაპოვნია სამადლოს აკლდამაში და როგორც ფიქრობენ, ძველი ნივთი საკიდ-ამულეტად არის ქცეული [Гагошидзе 1979:38, ტაბ. XIII,23].


**IX** – **რკინის სამფრთიანი, ყუნწიანი, განიერპირიანი** ისრისპირები აღმოჩენილია ვანში, კულტურულ ფენაში (4 სმ სიგრძისა) [ლორთქიფანიძე გ. 1976:ტაბ. 136, 11,2], კლდეეთის სამაროვანზე, ახ.წ. II ს-ის სამარხში [ლომთათიძე 1957:სურ. 30]. ისინი დიდი ხნის მანძილზეა ხმარებაში, განსხვავებით ვანის გვიანელინისტური ნიმუშებისაგან, კლდეეთის ცალები თითქმის ორჯერ დიდია. ანალოგიური რკინის ყუნწიანი ისრისპირები ძვ.წ. IV ს-დან ჩნდება ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში, ხოლო ინტენსიურად ვრცელდება ძვ.წ. II ს-ის შემდეგ, საქართველოს ნიმუშების ანალოგიურად [Хазанов 1971:ტაბ. XIX, XX; 35-37, 40; Смирнов 1964:სურ. 48, 46-3]. დიდი ზომის ისრისპირები, როგორც ითქვა, დიდ მშვილდს შეესაბამება. ამავე კონტექსტში უნდა ვახსენოთ რკინის ისრისპირების კიდევ ერთი სახეობა, გრძელყუნწიანი, ქედიანი, ბრტყელი ნიმუშები (ტაბ. XIII,25). ისინი ვანის ნაქალაქარიდანაა ცნობილი (6,5-7 სმ სიგრძისა) [ლორთქიფანიძე გ. 1976:180, სურ. 136, 11,4]. ამ ისრისპირებს თანადროულ მასალაში ანალოგები არ ეძებნებათ.

ყუნწიან, სამფრთიან ისრისპირებს შორის რაოდენობითა და ინფორმატიულობით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დედოფლის გორის სასახლის ნგრევის ფენაში (I საუკუნე) ნაპოვნი ისრისპირთა კოლექცია, რომელიც 800-მდე ერთეულს ითვლის. აქ გამოვლენილი ყველა ისრისპირი რკინისაა, ყველა სამფრთიანია და

ყუნწიანი. ისინი განსხვავდებიან ზომით და „ფრთებშორის“ ნიბოების მოდელირებით: ერთ ნაწილს აქვს მახვილი კუთხით დაშვებული ნიბოები (ტაბ. XIII, 26-28) [Gagoshidze 2008:125-126; ტაბ. 48, კატ. №№ 1, 3, 7, 8, 9], მეორე – ფრთების ჰორიზონტული ფუძით ხასიათდება (ტაბ. XIII,29-30) [Gagoshidze 2008:125; ტაბ. 48, კატ. №1, 5], მესამე ვარიანტის ფრთების ფუძე ზემოთკენაა მიმართული (ტაბ. XIII,31-34) [Gagoshidze 2008:125-126, ტაბ. 48, კატ. № 2 4, 6, 10, 11]. რაც შეეხება ზომებს, ამ ისრისპირებში ძირითადად ორი სტანდარტია: 3-4 სმ და 5,6-7,9 სმ. ისინი დიდ ჯგუფებად იყო ნაპოვნი სასახლის სათავსოებში, ამასთან ყველაზე მცირერიცხოვანი დასტების შემადგენლობაში იყო თოთხმეტი ისრისპირი, უდიდესი კი შეიცავდა 294 ეგზემპლარს. ნიშანდობლივია, რომ ყველა ნიბოდაშვებული ისრისპირი მცირე ზომისაა; ამასთან, ერთი გამონაკლისის გარდა, ისრისპირთა ყოველ ჯგუფში ერთი და იგივე ვარიანტის ისრისპირები გვხვდება [Gagoshidze 2008:126]. კაპარჭებში ისრისპირები დასტებად ყოფილა ჩანყობილი. ისრისპირის ზრო ხშირ შემთხვევაში შემორჩენილია, და მისი ბოლო, როგორც ფიქრობენ, მორგებული იქნებოდა საგანგებო ფრთა-სტაბილიზატორზე, რომელიც არ შემორჩა [Gagoshidze 2008:124]. აღმოჩენის გარემოებანი ცხადყოფენ, რომ დედოფლის გორის სასახლის სათავსოებში აღმოჩენილი ისრისპირები ადგილობრივთა კუთვნილი იყო.

**X – რკინის ორფრთიანი, მხრებაშვებული, ყუნწიანი** ისრისპირები, საქართველოს ტერიტორიაზე ეშერის ნაქალაქარის გვიანელინისტურ ფენაშია აღმოჩენილი (100 ეგზემპლარი). ყველა მათგანი ნაჭედია; საბრძოლი პირი განივკვეთში ოთხკუთხაა, ოთხკუთხაგანივკვეთიანია ყუნწიც, რომელიც თანდათან ვიწროვდება და მოხრილი წვეგით ბოლოვდება (ტაბ. XIII,35-38); ამ ნივთების სიგრძე 4,6 - 9 სანტიმეტრს შორის მერყეობს. გ. შამბა მათ პარალელს უძებნის გარნის ძვ.წ. III-II საუკუნეების მასალაში და აღნიშნავს, რომ ისინი, შესაძლოა უფრო ადრეული ხანის ისრისპირების ანალოგიითაა შექმნილი [Шамба 1980:49; ტაბ. LXV, 9-15].

ადრეანტიკური და ელინისტური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირები ცოტაა აღმოჩენილი. ალბათ, იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს (VII,78,79) და ქსენოფონტის (IV,7,15-16; IV,8,3; V,2,22; V,4,12) ცნობებიც. ისინი კოლხების, მოსხების, მოსინიკების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებენ. თვალმისაცემია, რომ სოხუმსა და მის მიდამოებში, სადაც არქეოლოგიურ კომპლექსებში იარაღის რამდენიმე სახეობაა თავმოყრილი - შუბი, სატევარი, მახვილი, ცული - არ არის ისრისპირები. სადაც კი ისრისპირების მთელი სერიებია წარმოდგენილი, კომპლექსი მეტ-ნაკლებად მდიდრულია და მასში ძვირფასი ლითონის ნაკეთობები გვხვდება. ეს ეხება ძვ.წ. V-II საუკუნეებს. როგორც ჩანს, მოგვიანებით მშვილდ-ისარი ქართველური მოსახლეობის შეიარაღებაში პოპულარული ხდება. გვაქვს ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობები ქართველური მოსახლეობის მიერ ისრების ხმარების შესახებ (სტრაბონი, დიონ კასიოსი). იბერიასა და ალბანეთში პომპეუსის ლაშქრობის დროს, სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI,4,5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც (მითრიდატეს ომები,101) და დიონ კასიუსიც (XXXVII,2). სვანების მონამულ ისრებს აღნიშნავს სტრაბონი (XI,2,19).




ფოტო 1.

Photo 1.

საბრძოლო ცულები: 1-9; ჩუგლუგები :10,11,16;


ლახტისთავები: 12,13,14.

Battle -axes: 1-9; Pole -axes 10,11,16; Maces: 12, 13,14.



ფოტო 2  
ძვლის, ბრინჯაოს და რკინის ისრისპირები.

Bone, Bronze and Iron arrowheads.




ფოტო 3

სხვადასხვა ტიპის შუბისპირები.

Spearheads of various types.

Photo 3





ფოტო 4

Photo 4

სხვადასხვა ტიპის მახვილები და სატევრები.

Swords and daggers of various types.

## შურდული

ანტიკურ ხანის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მონიშნავენ, შურდულიც გამოიყენებოდა. მარტივი კონსტრუქციის ეს ქვის სასროლი იარაღი წარმოადგენდა ორად მოკეცილ სალტეს ან ბანარს, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი ჰქონდა ქვის ჩასადებად და სასროლად. ეს იყო უძველესი და ადვილად ხელმისაწვდომი იარაღი, რომელიც ანტიკურ სამყაროშიც ფართოდ გამოიყენებოდა [ლორთქიფანიძე გ. 1976:176].

ნამოსახლარების ნანგრევებში, ხშირად ჩნდება 4-6 სმ დიამეტრის მრგვალი მოყვანილობის რიყის ქვები, რომლებსაც შურდულით ტყორცნიდნენ. ათეულობით ასეთი საშურდულე ქვა ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. IV-I სს-ის ფენებში და კარიბჭესთან, ასევე ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული მეომრის სამარხის (№ 9) თავზე. საყურადღებოა, რომ მათთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტები [Хоштариа 1979:117]. ანაკოფიაში ასეთი ქვები სასიმაგრო კედელთან, ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღებულ ფენაში გამოვლინდა [ლორთქიფანიძე გ. 1976:175]. შურდულის ქვების აღმოჩენები საკმაოდ ხშირია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ანტიკური ხანის კომპლექსებში და ფენებში. ისინი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქრის კუთვნილ შეტევით სატყორცნ იარაღად ითვლებიან [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:147; Античные гос... 1984:188, ტაბ. LXXX, LXXXIV].

## თავდაცვითი საჭურველი

თავდაცვითი საჭურველიდან ანტიკური ხანის საქართველოში დადასტურებულია აბჯარი, მუზარადი, ფარი და წვივსაფარი (კნემიდები).

## ფარები

ფარი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ძირითადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს და აღმოჩენილია ბადიაურში [საქართველოს არქეოლოგია 1959:177], ლილოში, კაჭრეთში [მუხიგულაშვილი 2015:82], მელაანში [ფიცხელაური 1973:221], ვანთაში [ნუცუბიძე 1980: ტაბ. 1,8].

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე შედარებით იშვიათია ფარის აღმოჩენის შემთხვევები. მათი მცირერიცხოვნება ნაწილობრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ფარი იყო ტყავადაკრული ხის ან ტოტებისაგან დანნული და მიწაში არ შემოინახა. ნიშანდობლივია, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოსახლეობის (კოლხების, მოსინიკების, მოსხების, ხალიბების) ფარები. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს - „კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები“ (VII, 79, 78). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ხარის ტყავისაგან გაკეთებული, ხალიბების ფარები მოიხსენიება (IV, 7,22), ასევე მოტანილია ცნობა, რომ მოსინიკების მეომრებს „ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლისნაირი ფარი, ხარის თეთრი ბენჯიანი ტყავით დაფარული“ (V, 12). სტრაბონის მიხედვით ალბანელები „არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის

აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად“ (XI, 4,5). აქვე ნახსენებია რომაული სკუტუმის მსგავსი ფარი. მნიშვნელოვანია, რომ „გეოგრაფიის“ ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად, კავკასიაში რომაელი სარდლის პომპეუსის ალბანელებთან და იბერებთან ომის პერიოდს ემთხვევა. ასევე, უნდა ითქვას, რომ ლითონის საფარიანი ფარები (ისევე, როგორც თავდაცვითი აღჭურვილობის სხვა ელემენტები) ძვირი და შესაბამისად, რიგითი მოლაშქრისათვის ხელმიუწვდომელი იყო, მას მხოლოდ წარჩინებული მეომრები ფლობდნენ [იხ. გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:149-151].

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილია ლითონის საფარიანი რამდენიმე ფარი, რომლებიც გარსაკრავების მიხედვით განიხილვიან: ლითონის მთლიანი ფურცლით დაფარული; ლითონის სარტყლებით ან ფირფიტებით დაფარული; ლითონის უმბონებიანი. რაც შეეხება ფარის ფორმასა და მის მოყვანილობას, იშვიათი შემთხვევების გარდა, იგი, ორგანული (ხისა და ტყავის) საფუძვლის ცუდად შემონახულობის გამო, ვერ ისაზღვრება. სამაგიეროდ, არის გამოსახულებანი, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ფარის მოყვანილობაზე (იხ. ქვემოთ) [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:144-147].

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე დადასტურებულ ფარებს შორის ყველაზე ადრეულია წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის №7 სამარხში აღმოჩენილი წრიული ფარი, რომელიც ჩვენამდე ბრინჯაოს თხელი, სამფენიანი ფირფიტის (0,5-1,0 მმ) სახითაა მოღწეული. ფირფიტა წარმოადგენს ფრთაგაშლილი არნივის გამოსახულებას, რომელიც ჭედვითაა გამოყვანილი და მის კიდეს წყვილ-წყვილად დატანილი ნახვრეტები გასდევს ხის საფუძველზე დასამაგრებლად. ფიქრობენ, რომ ეს არის **ჰოპლიტური**, ანუ არგოსული ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი, რომელიც ძვ.წ. 600-450 წწ. შეიძლება დათარიღდეს [კვიციანი 2001:34, სურ. 3,10, 11, 12].

ასევე **ჰოპლიტური**, ბერძნული ტიპის ფარის ბრინჯაოს ფირფიტის დეტალეებია ნაპოვნი ახულ-აბაას სამარხულ ნივთებს შორის, რომელიც ხის ფარის ნაშთებადაა მიჩნეული [კვიციანი 2001:32, სურ.1]. შემორჩენილია ხის ფარის (დიამეტრი 80-90 სმ) ბრინჯაოს გარსაკრავის (ტაბ. XIV,4) ფრაგმენტები: 1. გარეთა კიდის თხელი ფირფიტები, ორნამენტირებული რელიეფური წნულის ხუთი რიგითა და წნულში ჩართული ბურცობებით, რომელიც ორნამენტის კარგად ცნობილი სახეობაა ანტიკურ სამყაროში - ე.წ. გიოში; 2. მრგვალი ცენტრალური ნაწილი, ე.წ. გული (დიამეტრი 29 სმ), რომელსაც კიდეებზე შემოუყვება პანია ლურსმნების წყება და აქვს ოთხი ბრტყელი კავი, თითქოსდა გარეთა ბრინჯაოს რგოლთან დასამაგრებლად განკუთვნილი. ჭრილში ჩანს, რომ ფარი გამობერილი იყო, ხოლო ორნამენტირებული კიდე ბრტყელი ჰქონდა. ახულ-აბაას კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიც ეს ფარი იყო, ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება [კვიციანი 2001:32].

ზემოგანხილული მრგვალი ფარები წარმოადგენენ ბერძენი, მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომრის შეიარაღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს - ე.წ. **ჰოპლიტურ** ფარს (რომელიც იყო წრიული, შუაში გამობერილი). მათ უნდა ჰქონოდათ ხის საფუძველი, რომელიც გარედან ბრინჯაოს გარსაკრავით იყო დაფარული. ასეთ ფარებს შიგნიდან მარყუჟი ჰქონდა მკლავის გასაყრელად, ხოლო კიდესთან - ტყავის სახელური, ხელის ჩასავლებად.

**ლითონის ფურცლით მთლიანად დაფარულ** ტიპს განეკუთვნება ასევე ემერის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნახევარწრიული ბრინჯაოს ფურცელი, რომელსაც გარეთა, წრიული კიდე შეკეცილი აქვს, ხოლო მოპირდაპირე, სწორ

კიდევ — ნალურსმნალი გამჭოლი ნახვრეტები (4 ც.); ასეთივე ნახვრეტე-ბია (2 ც.) მრუდი კიდის გასწვრივ ხის საფუძველზე დასამაგრებლად [Шамბა 1980:50, ტაბ. LXVI]. ივარაუდება, რომ ეს ნივთი ოვალური მოყვანილობის ხის ფარის გარსაკრავის ერთი ნახევარია (ტაბ. XIV,3). ის ძლიერ დაზიანებულ მდგომარეობაში იქნა ნაპოვნი ნაყარში. მისი ამ ფორმის ფარის გარსაკრავად მიჩნევის საფუძველი გვიანელინისტური ხანის ბოსფორში ნაპოვნი მეომრის ტერაკოტული გამოსახულებებია წაგრძელებული ოვალის ფორმის, შუაში გამყოფზოლიანი ფარებით [Шамბა 1980:50, ტაბ. LXVI]. ასეთი, ორნაწილიანი, ოვალური ფარი, რომელიც სარტყლებისგანაა შედგენილი და არა ერთიანი ფურცლისაგან, ნაპოვნი ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [იხ. Черненко 1968:107, სურ. 57,4].

ლითონის საფარიანი ფარების ნაირსახეობაა **ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი დისკოთი დაფარული** ნიმუშები. ასეთი ოთხი ნიმუში გვაქვს: ერთი კამარახევის № 27 ქვებით გადახურული ორმოსამარხიდან, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [ჯღარკავა 1982:50, სურ. 1024], ორი ვარსიმაანთკარის ძვ.წ. IV სს-ის №№ 65 და 18 სამარხებიდან [მუხიგულაშვილი 1986:60, ტაბ. LXXIV; მუხიგულაშვილი 2015:83-84, ტაბ. IV., სურ. 7] და ერთი ნატახტარის II სამაროვნის ადრეელინისტური ხანის სამარხიდან [აფაქიძე და სხვ. 2004:70-80]. კამარახევაში აღმოჩენილ, 2 მმ სისქის დისკოს (დიამეტრი 27-30 სმ) შუაში ნახევარსფერული უმბონი აქვს (დიამეტრი 5 სმ), ხოლო დისკოს კიდე შემკულია წვრილი, მძივისებური, ამოტვიფრული ორნამენტით კიდევ, მისგან 1,5 სმ-ის დაშორებით, ორი ნახვრეტია (ტაბ. XIV,1). ვარსიმაანთკარის ფარებიც წრიული ფორმისაა, ცენტრში კი დეკორატიული, რელიეფური, სხივისებური ხაზებით შედგენილი ორნამენტი აქვს (ტაბ. XIV,2). № 18 სამარხის ფარი საგანგებოდაა დაზიანებული და დაჭყლეთილი, ხოლო № 65 სამარხისა კი მთლიანადაა შენარჩუნებული (დმ-30 სმ.) [მუხიგულაშვილი 2015:83-84, ტაბ. IV, სურ. 7]. შესაძლოა ასეთივე ფარის ფრაგმენტი, კერძოდ კი უმბონი იყოს, ყაზბეგის განძში შემავალი ნივთი, რომელიც ლ. წითლანაძემ ხუფად მიიჩნია [წითლანაძე 1976: ტაბ. IV,1-2], რადგან იგი ბრინჯაოს სიტულასთან ერთად აღმოჩნდა. მას ზემოთაღწერილი მრგვალი ფარების ზუსტ ანალოგიად მიიჩნევს ნ. მუხიგულაშვილი [მუხიგულაშვილი 2015:84].

ლითონის საფარიანი ფარების კიდევ ერთი ნაირსახეობაა **რკინის ფურცლე-ბისაგან შედგენილი და ბრინჯაოს მავთულით (თუ სარტყლით) შეკრული ხის (ან ტყავადაკრული ხის) ფარის** ნაშთი, რომელიც ვანის ნაქალაქარის № 9, მეომრის სამარხში იყო აღმოჩენილი. ფარი დაჟანგულია და დეფორმირებული, მისი მოყვანილობა არ ისაზღვრება. ფარი იდო მეომრის ფერხით, ფარავდა შუბისპირებს [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:211 სურ. 164]. ასეთი ფარები, რომელთა გარსაკრავი რკინის ფურცლებისაგან შედგებოდა და ბრინჯაოს მავთულით იყო შეკრული, ჩრდილო შავიზღვისპირა სტეპების კომპლექსებიდან არის ცნობილი. ვანის ფარი მსგავსებას ავლენს ვოლკოვცის № 2 ყორღანის ფარის რკინის ფირფიტოვან გარსაკრავთან, რომელსაც ტყავის საფუძვლის ფრაგმენტები აქვს შერჩენილი [Черненко 1968:109, სურ. 56,2]. ყორღანი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება. ვანის ნაქალაქარის № 9 სამარხი თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით [ლორთქიფანიძე 1969:25]. ლითონისავე მავთულით შეკრული, ლითონის სარტყლებიანი გარსაკრავები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ფარებისთვისაა დამახასიათებელი (გამონაკლისია ერთი აღმოჩენა ბულგარეთის ტერიტორიაზე [Черненко 1968:110] ბრინჯაოს შემაკავშირებელი მავთული ერთგვარ შემკულობასაც წარმოადგენდა.

**ხის, ოთხკუთხა ფარის ფრაგმენტები** ნებელდაში, აბგიძრახუს № 44 სამარხში (ახ.წ. III-IV სს.) აღმოჩნდა (ტაბ. XIV,9). ესენია რკინის ორად მოკეცილი ფირფიტები, რომლებიც ფარის ხის საფუძველზე, ოთხივე კუთხეში იყო შემოჭლობილი, რკინის ვიწრო და გრძელი ორი ფირფიტა, დამაგრებული ფარის შუა ნაწილში, მის გრძივ ნაპირებზე, მარყუჟისებრთავიანი რკინის ლურსმნები (3 ც.), რომელთაც ოთხკუთხა განივკვეთიანი ლერო აქვთ, ჩაჭედილი იყო ფარის ზედა განივ კიდეზე. ფარის სავარაუდო ზომებია 50X66 სმ, რკინის შემოჭლობილი ფირფიტების სიგრძე - 9 სმ, სიგანე - 1,9 სმ, ვიწრო ფირფიტების სიგრძე - 23 სმ, სიგანე - 9 მმ, ლურსმნების სიგრძე - 3,8 სმ, მარყუჟისებრი თავის დმ - 1,3 სმ, ფარის ხის საფუძვლის სისქე, მოხრილი ფირფიტების გამჭოლი არეს მიხედვით, 1,5 სმ უნდა ყოფილიყო [Трапш 1971: 68, 153-156; ტაბ. XXII-10; XLVI-7]. ოთხკუთხა ფარი საქართველოს ანტიკური ხანის სხვა ძეგლებზე ჯერჯერობით არ ჩანს. მ. თრაფშის მოსაზრებით, ასეთი იარაღის არსებობა შეიძლება რომაული გავლენით აიხსნას [Трапш 1971:173-174].

აბგიძრახუს № 54 სამარხში (ახ.წ. III-IV სს.) აღმოჩნდა ხის ფარის **რკინის გარსაკრავი ფირფიტები**, რომელთა შორისაც გამოიყოფა: ა) სწორკუთხა ფირფიტა, კუთხეებში მანჭვლებით (6,5X4 სმ); ბ) ვიწრო და გრძელი ფირფიტები ბოლოებზე მანჭვლებით (5 ც., სიგრძე - 3,5-5,4 სმ, სიგანე - 9 მმ.) [Трапш 1971: 84, 154-155; ტაბ. XXXI-4,8]. აღსანიშნავია, რომ სამარხში აღმოჩნდა ამავე ფარის კონუსური ფორმის უმბონი და ლითონის სახელური [Трапш 1971:83, 154-155; ტაბ. XXXI-2,3].

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილია ფარის წრიული გულები, იგივე **უმბონები** (ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის), სხვადასხვა პროფილის (კონუსური, ნახევარსფერული) ბურცობითა და ირგვლივი კიდით. ჩვენ სშირად არ ვიცით, რა კონფიგურაციისა იყო თვით ფარი, რადგან უმბონის წრიულობა არ ნიშნავს ფარის წრიულობას (მაგ. წრიულ უმბონიანი რომაული ოთხკუთხა სკუტუმები) [გამყრელიძე 2002:41].

ბრინჯაოს ხუთი ცალი **ნახევარსფერულ ბურცობიანი** უმბონი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან გამართულ ძვ.წ. II-I სს. საცავ-საგანძურში. ყველა ერთი ტიპისაა, ნახევარსფერული მოყვანილობის შუა ნაწილს ირგვლივ ბრტყელი კიდე შემოუყვება (ტაბ. XIV,6). ბურცობს ცენტრში ნახვრეტი აქვს. ერთ მათგანს ცენტრში, გამოზიდულ ნაწილზე, ბრინჯაოს პატარა ლურსმანი აქვს მიკრული ხის საფუძველზე დასამაგრებლად (დიამეტრი 10 სმ, ბურცობისა - 7 სმ, სიმაღლე - 3 სმ). უმბონებს, შიდა მხარეს მიკრული ჰქონდათ დანახშირებული ხის ნამცეცები, ხოლო მათი აღმოჩენის ადგილას უხვად ჩნდებოდა დამწვარი ხის ფრაგმენტები. უმბონები აღმოჩენილი იყო ნაგებობის იმ ადგილას, სადაც რკინის იარაღი იყო თავმოყრილი - სამი სატევარი და სამი მახვილი [ფირცხალავა, ყიფიანი 1986:75, სურ. 55<sub>გ</sub>, 8]. ასე რომ, აღმოჩენის კონტექსტი მხარს უჭერს უმბონის ფარის კუთვნილად მიჩნევას.

სამი უმბონი აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე ახ.წ. III-IV სს-ის სამარხებში. აქედან ორი ვერცხლისაა და მხედრის ტანისამოსის სამკერდულადაა განსაზღვრული [ჩიხლაძე 1999:68], რკინის, დაჟანგული, ცუდად შემონახული უმბონი კი ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ, № 357 სამარხში აღმოჩნდა [ჩიხლაძე 2015:182].

რკინის კონუსურბურცობიანი უმბონი ნაპოვნია მოდინახეს № 8 სამარხში [ნადირაძე 1975:49, 58, ტაბ. XX<sub>10</sub>]. კონუსური ფორმის ბურცობს გარშემოუყვება 2 სმ სიგანის თხელი კიდე, რომელზეც ორი მანჭვალაა შემორჩენილი ერთმანეთის საპირისპირო მხარეს; მანჭვლები აქვთ შემორჩენილი ჩამოტეხილ

ნაპირებსაც. როგორც ჩანს, ამით უმბონი ხის ან ტყავის საფუძველზე მაგრ-  
დებოდა. სამარხი ახ.წ. IV ს-ით თარიღდება [ნადირაძე 1975:58]. ასეთივე უმ-  
ბონი რგანის № 15 სამარხშიცაა (ახ.წ. III-IV ს-ის პირველი ნახევარი) აღმოჩენილი  
[ბრაგვაძე 2000:111, სურ. 78], (ტაბ. XIV,5-6).

ნებელდაში, აბგიძრახუსა და ახიაცარახუს ახ.წ. II-V სს-ის სამაროვნებზე  
ბრინჯაოსა და რკინის უმბონებია აღმოჩენილი (ტაბ. XIV,7-8, 10-11). ამ ძე-  
გლებიდან მომდინარე უმბონები ზემოთ მოყვანილთაგან განსხვავებულია: რო-  
გორც წესი, მათი ზედა ნაწილი კონუსის მოყვანილობისაა, შუა ნაწილი დაბა-  
ლია და ცილინდრული, ძირი ფართოა და ჰორიზონტული. გვხვდება სხვადასხვა  
ვარიანტები: ზოგიერთი უმბონის ზედა ნაწილი მაღალი, კონუსური ფორმისაა  
(ახიაცარახუს № 2 სამარხში) [Трапш 1971:90; ტაბ. XLVII-4,5], ზოგის (აბგიძ-  
რახუს №№ 6 და 41 სამარხებში) ცილინდრული ნაწილი შედარებით მაღალი და  
გამოკვეთილია [Трапш 1971:83, 154-155; ტაბ. XXXI-2,3].

აბგიძრახუს № 12 სამარხში (ახ.წ. III-IV სს.) დაფიქსირებული ორგანული ნაშ-  
თების მიხედვით, აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს, მოოქრული უმბონი ხის წრიული  
ფარისა უნდა ყოფილიყო. მისი კონუსური ზედა ნაწილი ოდნავ მომგვალეულია,  
შუა, ცილინდრული ნაწილი კი შედარებით მაღალი და გამოკვეთილია, ძირი -  
ფართო კიდეებიანი. კიდის გაყოლებით, თანაბარი დაცილებით მოთავსებულია  
ორ-ორი ბრინჯაოს ლურსმანი, უმბონის ხის საფუძველზე მისამაგრებლად გან-  
კუთვნილი; ლურსმნების რვანახნაგა თავები მოოქრულია [Трапш 1971:83, 154-  
155, ტაბ. VI-2].

ფარების ფორმებისა და მათი ნაირსახეობების აღდგენისათვის უაღრესად  
მნიშვნელოვანია გამოსახულებები არტეფაქტებზე: ამ მხრივ საინტერესოა სამად-  
ლოში აღმოჩენილი მოხატული ქვევრები და თალარი, სოფ. გომში აღმოჩენილი,  
ზოგადად ძველი და ახალი ნელთალრიცხვის მიჯნით დათარიღებული სასმისი და  
დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ბრძოლის ეპიზოდის ფირფიტა.

ფარის გამოსახულებები ელინისტური ხანის ნითლად მოხატულ ჭურჭელზე,  
კერძოდ კი სამადლოში აღმოჩენილ ქვევრებზე და თალარზე გვხვდება [Гагошидзе  
1981:20, ტაბ. XVII, XVIII]. თალარზე გამოსახული ბრძოლის ეპიზოდი მხოლოდ  
ნაწილობრივია შემორჩენილი. აქ ორი, მახვილშემართული მეომარია, რომელთა-  
განაც წინა ბევრად მაღალია მეორეზე, უკანა მეომარს ხელში მრგვალი (ან წაგრ-  
ძელებული) ფარი უჭირავს [Гагошидзе 1979:94, ტაბ XVII]. ფარის ფორმა უკეთ  
იკითხება მოხატულ ქვევრებზე, რომელზეც, დამარცხებულ ფეხოსან გიგანტს და  
მის უკან მდგომ ფეხოსანს მრგვალი ფარები უპყრიათ ხელთ [Гагошидзе 1979:94,  
ტაბ XVI], ფარები უჭირავთ დიდ, მთლიანად აღდგენილ ქვევრზე გამოსახულ  
ფეხოსნებსაც [Гагошидзе 1979:94, ტაბ XV]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზე-  
მოთმოსხენებულ მოხატულ ჭურჭლებზე კარგად ჩანს განსხვავება მხედრებისა  
და ფეხოსნების აღჭურვილობას შორის: მხედრები შუბებით არიან შეიარაღე-  
ბულები, თავზე კონუსური მუზარადები ახურავთ და თითქოს აბჯარიც აცვიან;  
ფეხოსნები კი მახვილებით, ფარებით, შუბებითა (ერთ მეომარს უპყრია) და კო-  
ნუსური მუზარადებით არიან აღჭურვილები (ტაბ. II,1-2).

გომის სასმისზე ორთაბრძოლის ორი სცენაა გამოსახული [დანვრილებით  
იხ. გამყრელიძე 2010:138-154]. ოთხი მეომრიდან (ტაბ. II,3) ორს, მარცხნიდან  
პირველს და მესამეს) ერთნაირი კონფიგურაციის ფარი უჭირავს, რომელიც მენ-  
ჯიდან მხრამდე ფარავთ. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი  
აქვს. იგი ისეა გამოსახული, რომ მკლავზე მარყუჟით დამაგრებული ჩანს და  
ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა. ამგვარად, მეზრძოლს ფარი უფრო მარჯვედ,

მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო. ფარის ასეთ სამაგრს პირველად ჰოპლიტები იყენებდნენ. გომის სასმისის ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მეომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ფარის ამგვარი დეტალი მხოლოდ ამ გამოსახულებებზეა აღნიშნული და სხვაგან არ გვხვდება. გამოსახედიანი ფარები სხვაგანაცაა აღმოჩენილი, მაგრამ მათზე სიმეტრია არაა დარღვეული. მაგ.: ე.წ. ნახევარმთვარისებური ფარები ან გამოსახედიანი ფარი, რომელიც ქ. ქერსონესში I ს-ის რელიეფზე გამოხატულ მეომარს უკავია ხელში. სასმისის ქედურობაზე ფარი ვერტიკალური ხაზებითაა გადმოცემული და ხის ფაქტურას მოგვაგონებს. ხის მოგრძო ნაჭრები ჰორიზონტალურად, ალბათ, ლითონის ორი სარტყლითაა (ზემოთ და ქვემოთ) შეკრული. სარტყლებს შორის, ჰორიზონტალურად გადმოცემული ნიშანი (<) შეიმჩნევა [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:75].

მნიშვნელოვანია დედოფლის გორის № 13 სათავსოს ნანგრევებში აღმოჩენილი, სპილოს ძვლის ფირფიტაზე გამოსახული ბრძოლის სცენა (ტაბ. II, 4). ი. გაგოშიძის აზრით, მასზე გამოხატულია რომაელი მხედრის დამარცხების სცენა [Gagoshidze 2008:99-100]. ორი მხედრიდან ერთი ცხენს თავდაცვის პოზაში მიაჭენებს და თავს წაგრძელებული, ექვსკუთხა ფორმის ფარით იფარავს, რომელიც ტიპურია გვიანრესპუბლიკური ხანის რომისთვის [იხ. Gagoshidze 2008:99 და იქ მითითებული ლიტერატურა].

მომრგვალებულ კუთხეებიანი ოთხკუთხა ფარი აქვს ხელში სოლოხას სახელით ცნობილ სამარხში აღმოჩენილ ოქროს სავარცხელზე გამოხატულ ე.წ. სკვით მეომარს [Манцевич 1987:სურ. 34]. ჰეროდოტეს მიხედვით, ქსერქსეს ჯარში ირანელები ჩელტის წრიული ფარებით იყვნენ აღჭურვილი (VII, 61). ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი „ისტორიაში“ (VI, 23, 2-4) გადმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყავით (ზომები დაახლოებით 120x80 სმ). ფარის ზედა და ქვედა მხარეს, შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ, კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობენ ოვალური და მოგრძო ნაკვეთილ ბოლოებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო. სამივე (ოთხკუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თალის რელიეფებზეა გამოხატული. ოთხკუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც.

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომაელი ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხკუთხა ფარი - სკუტუმი (scutum). აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ. III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეითთა არმიას (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება [იხ. გამყრელიძე 2001:57-69]. რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა [Connolly 1988:230-234]. აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთ უკვე აღნიშნული, ოთხკუთხა ფარის ნაშთი ახ.წ. III-IV საუკუნეებით დათარიღებული, აბგიძრახუს № 44 სამარხიდან [Трапш 1971:68, 153-156; ტაბ. XXII-10, XLVI-7].

## მუზარადი

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ლითონის მუზარადი იშვიათად გვხვდება. წერილობითი წყაროები ქართველური მოსახლეობის შეიარაღების აღწერისას აღნიშნავენ, რომ მიხედვით კოლხებს და მოსხებს თავზე ხის მუზარადები (ჰეროდოტე VII 79, 78), იბერებს კი ტყავის მუზარადები ეხურათ (სტრაბონი XI, 4, 5). შესაბამისად, ორგანული მასალისაგან დამზადებული მუზარადები დაიშალა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ანტიკური ხანის მუზარადების შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ ამ პერიოდში დამზადებულ არტიფაქტებზე დატანილი გამოსახულებებიდანაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია ზემო რაჭაში, სოფ. გომში აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულებიანი ვერცხლის სასმისი, რომელიც ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (ტაბ. II,3) [დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 2002:39-49]. სასმისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ნახევარსფერული მუზარადი ახურავს. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისსაფარი მუზარადებზე არ აქვთ [Есаян 1966:101, ტაბ. XVI]. ისინი არაა დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული და შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებით ხშირია [იხ. Bottini, et al. 1988:65-136, 327-365]. რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შუბლთან სიმტკიცისათვის უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს. ისეთს, როგორც გომის სასმისზე პირველ და მეორე მეომრის მუზარადებს მოუჩანთ. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი [Bottini, et al. 1988:327-365; Connolly 1988:228]. გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რომაული) ან კოლხური ხის მუზარადებია მოცემული. მუზარადის გამოსახულებას ვხვდებით ქვემო ქართლში, ეცოს სამაროვანზე, ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ № 39 სამარხში აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭედზე [შატბერაშვილი 2005:ტაბ. XLV<sub>36</sub>; რამიშვილი, შატბერაშვილი 1997:20]. მასზე გამოსახულია მუზარადიანი მამაკაცის თავი მარცხენა პროფილში. მუზარადი იმეორებს არქაულ ბერძნულ სკარაბეებსა და ჭრილა ქვებზე გამოსახულ მეომართა მუზარადების გამოსახულებებს [იხ. Boardman 1968:სურ. 8, 9, 13]. აღსანიშნავია აგრეთვე სამადლოში აღმოჩენილი მოხატული ქვევრები, რომლებზეც გამოსახული მხედრებისა და ფეხოსნების თავსაბურავი კონუსურ მუზარადებს წააგავს [Гагошидзе 1979:94, ტაბ XV, XVI].

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამ ხანის ლითონის ყველა მუზარადი იმპორტია და განეკუთვნება ე.წ. ქალკიდური მუზარადის ტიპს. მათ აქვთ ნახევარსფერული ფორმა, შუბლის არეში „ისრისებური“ შეღრმავება, ცხვირსაფარი და ყბისსაფარი. ამ ტიპის ბრინჯაოს მუზარადები აღმოჩენილია ახულ-აბაას №№ 4 და 5 სამარხებში და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. პირველი თითქმის მთლიანადაა შემონახული და შენარჩუნებული აქვს ნახევარსფერული ფორმა, შუბლის არეში „ისრისებური“ შეღრმავება, ცხვირსაფარი და ყბისსაფარი [Воронов 1991:226, სურ. 3.1; Kvirvelia 1995:სურ. 4], (ტაბ. XV,2). ბრინჯაოს მეორე მუზარადი (3 ფრაგმენტი), ნაკლულია, აკლია კეფის დამცავი ნაწილი, შემორჩენილია კისრის დამცავი ნაწილისა და ცხვირსაფარის ფრაგმენტები, შედარებით მთელია მოძრავ სახსარზე დამაგრებული ყბისსაფარი [Воронов 1972:116, სურ. 3.8; Воронов 1991:225, სურ. 2.3-4]. ემერის ნაქალაქარზე სამი ქალკიდური მუზარადია: ერთი ელინისტური ხანის სამარხშია აღმოჩენილი, ნახევარსფერული



ფორმისაა. შემორჩენილი აქვს კისრისა და ყბის საფარები, ირგვლივი ნახვრეტებით; ნახვრეტებია წარბისზედა რკალებზეც (ტაბ. XIX,26); სიმაღლე - 16 სმ; სიგრძე - 25 სმ; სიგანე - 17 სმ [Воронов 1969: 50, ტაბ. XLVI-10; Воронов. 1972: 116, სურ.3<sub>7,8,9</sub>]; მეორე მუზარადი ნახევარსფერული ფორმისაა, შემორჩენილია 4 ფრაგმენტი, აქვს ცხვირსაფარი და კისრის დამცავი დეტალი, საშუბლეს ამკობს რელიეფური სარტყელი, რომელიც ირიბი ჭდეების ორი რიგისაგან შედგება, სარტყლიდან კი ეშვება სპირალური ხვეულები (ტაბ. XV,4, ტაბ. XIX,20); აღმოჩენილია კომპისებური ნაგებობის ძირში, ბულდოზერის მუშაობის დროს; თარიღდება ძვ.წ. V - IV სს-ით [Воронов 1972: 116, სურ.3.1,2,3,4]; აქვეა აღმოჩენილი, სავარაუდოდ, მუზარადის ყბისსაფარის ფრაგმენტიც [Воронов 1972:116, სურ. 3, 10]. მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე არსებულ სამაროვანზე მიკვლეულია ზემოთაღწერილის მსგავსი მუზარადის ფრაგმენტები, ისიც ნახევარსფერულია (ტაბ. XV,5), შენარჩუნებულია ყბისსაფარისა და ცხვირსაფარის ნაწილიც [Куфтин 1949:129; Воронов 1969:57-58]. ქალკიდური მუზარადები აგრეთვე აღმოჩენილია ქუთაისთან (ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში), (ტაბ. XV,1, 7), სოფ. კობთან (აჭარა), (ტაბ. XV,8) [Лордкипანიძე Г. 1978, ტაბ. V<sub>3,4</sub>], სოფ. ქვიანში (ინახება ლანჩხუთის მუზეუმში), (ტაბ. XV,3, 9) [გამყრელიძე 2002:43]. მსგავსი მუზარადები ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილია სოჭთან, ბოგუმჩევსკაში [Воронов 1979:სურ. 33], ტემნოლესკაიაში და მემზაიში [Chernenko 2006:სურ. 575, 576].

მუზარადებთან ერთად შეიძლება განვიხილოთ მეომრის კისრის დამცავი, ბრინჯაოს ძლიერ დაზიანებული, დაშლილი ფირფიტაც, რომელიც ვანის ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით დათარიღებულ № 9 სამარხში აღმოჩნდა. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:26-27].

აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მუზარადებიდან უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ვარსიმანთკარში, ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებულ №№ 18 და 65 სამარხებში მიკვლეული თითო ნიმუში. № 18 სამარხში აღმოჩენილი მუზარადი ძალზე დაზიანებულია და საგანგებოდაა დაჭყლეტილი, სავარაუდოდ, დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით [მუხიგულაშვილი 2015:84]. ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან დამზადებულ ამ მუზარადს ნახევარსფერული ზედა ნაწილი და განიერი ფარფლი უნდა ჰქონოდა, რომელიც კეფასთან წყდებოდა, სავარაუდოდ აქ კეფის დამცავი ფირფიტა უნდა ყოფილიყო, რომელიც იქვე აღმოჩნდა. მუზარადის კეფაზე არსებული სამანჭვლე ხვრელები სწორედ ამაზე მიგვითითებს. ნაკერები გაერთიანებული იყო მიქლონვის წესით, რკინის მანჭვლებით. ფარფლის სიგანე წინა ნაწილში - 6,5 სმ. ფირფიტის სისქე - 0,3 სმ [მუხიგულაშვილი 2015:84, ტაბ. IV, სურ. 8].

ვარსიმანთკარის მეორე მუზარადი ოვალურია, შედგენილია წრიულად მორკალული ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან, რომელსაც ორივე მხრიდან განივად აკრავს ასეთივე ფირფიტები, რომლებიც ერთმანეთთან მანჭვლებით იყო დაკავშირებული. შიდა პირზე შემორჩენილია ტყავის თასმები. სიგრძე -25,5 სმ., სიმაღლე - 12 სმ. [მუხიგულაშვილი 2015:84, ტაბ. IV, სურ. 8].

პირველი მუზარადს ნ. მუხიგულაშვილი თრაკიულ მუზარადებთან აკავშირებს, მეორეს კი ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს [მუხიგულაშვილი 2015:84 ტაბ. IV, სურ. 8].

ბრინჯაოს მუზარადი აღმოჩენილია კამარახევის ძვ.წ. IV-III საუკუნეების № 27 (1976-77 წწ.) სამარხში. იგი ფრაგმენტულადაა შემონახული, 3-4 სმ-ის სისქის ფირფიტები მანჭვლებითაა დამაგრებული, შიგნითა მხარეს კი სელის ქსოვილის ნაშთია [ჯღარკავა 1982:150].

გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე მუზარადები კიდევ უფრო მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ერთი მუზარადი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ქედში, შემთხვევით აღმოჩნდა, და დედოფლისწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში ინახება [იხ. გამყრელიძე 2002:43]. იგი ნახევარსფერულია, აქვს ფართო, კისრის დამცავი ფირფიტა, კეფისა და შუბლის არე დანახნაგებულია (ტაბ. XV,10). ის რომაული იმპერიულ-გალური F ტიპის მსგავსია, თუმცა მათგან განსხვავებით, ბრინჯაოსაგანაა დამზადებული [იხ. Robinson 1975:54, სურ.113-117] თუკი ასეთი მუზარადების გამოყენების პერიოდს გავითვალისწინებთ, იგი ახ.წ. I საუკუნით უნდა დათარიღდეს. რკინის მუზარადის ფრაგმენტი აღმოჩნდა თაგილონის მდიდრულ სამარხში. იგი ცუდადაა შემონახული [ფუთურიძე 1959:75]. რკინის მუზარადის მორკალული ჩარჩო ნოქალაქევის IV-VI საუკუნეებით დათარიღებულ ფენაშიაცაა აღმოჩენილი [Леквинадзе, Хведелидзе 1981:144, tab. L,7].

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ლითონის მუზარადები ანტიკური ხანის საქართველოს ძეგლებზე ძალზე მცირე რაოდენობითაა მიკვლეული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი თუ არა, მათი უმეტესობა მაინც ადგილობრივი წარმოშობისა არ უნდა იყოს, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს წერილობითი წყაროების მონაცემებს ტყავისა თუ ხის მუზარადების შესახებ [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:147-148].

## აბჯარი

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე ნაპოვნია ლითონის (ბრინჯაოსა და რკინის) პატარა ზომის ფირფიტები, როგორც ნატეხებად შეკრული, ასევე ცალკეული ფირფიტების სახით. ფირფიტებს სხვადასხვა მოყვანილობა აქვთ, ძირითადად წარმოდგენილია წაგრძელებული ფორმის ფირფიტები, რომელთაც ზედა მხარე სწორი აქვთ, ქვედა - მომრგვალებული, ხოლო ზედა კიდეზე ნახვრეტებია ტყავის ან ქსოვილის საფუძველზე დასამაგრებლად (ტაბ. XVI, 1,2). ასეთი ფირფიტები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, მეომრის № 2 სამარხთან გამოვლენილ კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [Хоштариа 1979:116; ლორთქიფანიძე გ. 1976:175]. ასამდე ბრინჯაოს ფირფიტა სხვადასხვა ზომისა და პროპორციებისაა, რომელთა პარამეტრებია: 2,8x2,8 სმ; 3,7x2 სმ; 2,8x2,2 სმ; 2,5x1,8 სმ; სისქე - 1 მმ. ზედა გვერდი სწორი აქვთ, ქვედა - მომრგვალებული. მათ, როგორც წესი, ოთხი ნახვრეტი - სამი ზედა კიდის გასწვრივ და ერთი - გვერდზე - აქვთ. ფირფიტები ფორმის, ნახვრეტების რაოდენობისა და დამუშავების მიხედვით უშუალო ანალოგებს პოულობენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს. კომპლექსების საჯავშნე ფირფიტებს შორის [Черненко 1968:29, სურ. 8,11]. ასევე გვხვდება ისინი ყუბანისპირეთში [Хазанов 1971:59, ტაბ. XXX, XXXI]. ფირფიტების განსხვავებულ ზომებთან კავშირში უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე აბჯარი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფირფიტებისგან შედგებოდა. საყურადღებოა, რომ ვანის № 2 სამარხის ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტების ზედაპირი საგანგებოდ გლუვია და დამუშავებული; ასე აპრიადებდნენ ბრინჯაოს, და არა რკინის ფირფიტებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც ძვ.წ. IV ს-ში [Черненко 1968:23].

რკინის სამოცი ცალი მთელი და დაზიანებული საჯავშნე ფირფიტა აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში. აქაც, ფირფიტის ზედა მხარე სწორია, ქვედა - მომრგვალებული. აქვთ ერთი, ორი ან სამი ნახვრეტი (ყველაზე ხშირად ორი) ტყავის საფუძველზე დასამაგრებლად. სისქე - 1 მმ,

პარამეტრები - 2 ან 2,4x1,1 სმ [ლორთქიფანიძე გ. 1976:183, სურ. 139].

რკინის საჯავშნე ფირფიტების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა საირხის ნაქალაქარის № 8 აკლდამაში [ნადირაძე 1990:52, ტაბ. XXI<sub>გ</sub>], რომელიც ძვ.წ. IV ს-ის შუახანებით თარიღდება [ნადირაძე 1990:58]. ნაპოვნია რამდენიმე ათეული ფრაგმენტი, რომელიც თავის მხრივ ასეულობით და ათეულობით სხვადასხვა ფორმის ფირფიტას შეიცავს. ფირფიტები ჩაყანგულია და ნატეხებადაა შეკრული. გაირჩევა ოთხკუთხა ფორმისა, ქვედა მხარეს მომრგვალებული, ზემოთ სწორი, ზედა კიდეებთან და ზოგჯერ გვერდზე ნახვრეტებიანი (ტაბ. XVI,3,4), ზოგ ნატეხზე ოქროს მძივებია შერჩენილი. ასეთივე ოთხნახვრეტიანი ფირფიტები (ზომა: 3,7X1,5 სმ), ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით დათარიღებულ № 5 სამარხში აღმოჩნდა [მახარაძე, წერეთელი 2007:53, სურ. 26]. აქ აბჯრის ერთმანეთზე გადასული ფირფიტები წარმოქმნიან ჰორიზონტალურ რიგებს. ფირფიტები ოთხნახვრეტიანია და დამაგრებული იყო ტყავის საფუძველზე. მათ ნაწილებზე შეიმჩნევა წმინდა ქსოვილის და მცენარეული ღეროების ანაბეჭდები, აქა-იქ ჩაჭედულია ოქროს მძივები [მახარაძე, წერეთელი 2007:64, სურ. 38]. ანალოგიური ფირფიტები ნაპოვნი იყო საკულტო ორმოშიც [მახარაძე, წერეთელი 2007:114, სურ. 122].

ბრინჯაოს ქერცლისებური საჯავშნე ფირფიტები, რომლებსაც თან ახლდა ტყავის (ან რაიმე სხვა მასალის) საფუძველზე დასამაგრებლად განკუთვნილი რკინის მანჭვლები აღმოჩენილი იქნა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტრის მიდამოებში შესწავლილ ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამაროვანზე [აფაქიძე და სხვ. 2004:70-80].

ანალოგიური საჯავშნე ბრინჯაოს ფირფიტები ცნობილია ფიჭვნარის ელინისტური ხანის ნეკროპოლიდან (სამარხები №№ 55 და 95) [კახიძე 2010:87, სურ. 41/2; 125/7; 53/9; 132/9].

საქართველოში აღმოჩენილ ანტიკური ხანის აბჯრის ნაწილებს შორის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა დედოფლის გორის სასახლის სათავსოებში (რომლებიც ახ.წ. I საუკუნეშია განადგურებული) მოპოვებული საჯავშნე ფირფიტების კოლექცია, სადაც წარმოდგენილია რკინის სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ფირფიტები. მათში გაირჩევა დიდი და მცირე ზომის ორ, ოთხ, ხუთ, რვა, ცხრა და მეტი რაოდენობის ნახვრეტების მქონე და ერთიმეორესთან რკინის მავთულით დაკავშირებული ნიმუშები. ნახვრეტები ფირფიტებზე მეტწილად წყვილ-წყვილადაა განლაგებული. ფირფიტები ჰორიზონტულ რიგებად არის აწყობილი და მარცხენა ფირფიტა ისე გადადის მარჯვენაზე, რომ მარჯვენა წყვილის ნახვრეტები გვერდითას შეესაბამება [Gagoshidze 2008:138-140, ტაბ. 51-53, კატ. №№ 27-36]. ე.წ. ქერცლისებური ჯავშნის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული ზომისა და მოყვანილობის ფირფიტებისაგან შედგება. საჯავშნე ფირფიტების უმეტესობა ხუთკუთხაა, წვეტიანი ქვედა მხარეთი; იშვიათია სწორკუთხა ფირფიტები. რაც შეეხება ზომებს, დიდი ნიმუშების სიგრძე მერყეობს 6,7 - 8,4 სმ-ს, ხოლო სიგანე - 3,5 - 4,3 სმ-ს შორის. საშუალო ზომის ჯგუფის სიგრძე 4 - 5,5 სმ-ია, სიგანე კი 3,3 - 3,5 სმ; მცირე ზომისანი 1,9 სმ სიგრძისაა და 1,2 - 2,7 სმ სიგანის; სისქე დიდი ჯგუფისა 1 მმ-ია, საშუალოსი და მცირესი - 0,5 მმ.

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე დაფიქსირებული საჯავშნე ფირფიტები, მათი სიმცირე და ნაკლებობა არ იძლევა საშუალებას აბჯრის სრულად წარმოდგენის საშუალებას (აგებულება, ზომები და ა.შ), როგორც ეს, ვთქვათ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კონკრეტულ მასალებშია წარმოდგენილი [Черненко 1968:37 და შემდ., სურ. 17, 18, 24, 27]. მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს დედოფლის გორის სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილ ძვლის ფირფიტ-

აზე გრავირებით შესრულებული ქერცლისებური ჯავშნით შემოსილი მხედრების შებრძოლების სცენა. ი. გაგოშიძემ ამ გამოსახულებებში გაცილებით მეტი ინფორმაცია ამოიკითხა, ვიდრე მხოლოდ აბჯრის ტიპზე მინიშნება - სწორკუთხა ფირფიტის ერთ გვერდზე (9x5,5 სმ) მარჯვენა პროფილში გამოსახული ორი ცხენოსანი მიემართება მარჯვნივ, ერთიმეორის უკან [Gagoshidze 2008:99, ტაბ. 40, კატ. №92]; უკანა მხედარს მოსავს მოკლესახელოიანი ქერცლისებური აბჯარი, რომელიც ფარავს მეომრის მკერდსა და ზურგს; აცვია განიერი შარვალი და ტყავის რბილი ფეხსაცმელი. აქ წარმოდგენილია შეიარაღების არაერთი კომპონენტი – გარდა აბჯრისა, ჩვენ ვხედავთ ქარქაშიან სატევეარს (თუ მოკლე მახვილს), რომელსაც აქვს მრგვალი (თუ რგოლისებური) ტარისთავი და ვაკვირდებით მისი ტარების წესს – სატევეარი მხედარს ორი თასმით (ერთი ვადასთან და მეორე წვერთან) უკიდია წელს ქვემოთ, მარჯვენა გვერდზე; მას ორივე ხელით უჭირავს გრძელი შუბი, რომლითაც ცდილობს განგმიროს წინ მრბოლავი მხედარი – მტერი; ამ მხედარსაც ანალოგიური, გრძელი აბჯარი მოსავს, ხოლო მისი დანარჩენი ჩაცმულობა უკანა მხედრის სამოსისაგან მკვეთრად განსხვავებულია – ვიწრო შარვალი, თასმებიანი ფეხსაცმელი, რაც ახ.წ. I საუკუნის რომაელ ჯარისკაცთა ჩაცმულობასაა მიმსგავსებული [Gagoshidze 2008:99]. ეს წინა მხედარი თავს იფარავს ნაგრძელებული, ექვსკუთხა ფორმის ფარით, რომელიც ტიპიურია გვიანრესპუბლიკური ხანის რომისთვის [Gagoshidze 2008:99; D’Amato 2009:25, სურ. 13]. ორივე ცხენი ე.წ. „მფრინავი ნავარდის“ მდგომარეობაშია გამოსახული. უკანა, გამარჯვებული მხედრის აღმოსავლური (პართული) ტიპის სამოსმა, ერთი მხრივ, და წინა მხედრის რომაული აქსესუარების ხაზგასმულობამ, მეორე მხრივ, უკარნახა ძეგლის მკვლევარს ი. გაგოშიძეს აზრი, რომ მხატვარს სურდა გამოეხატა რომაელის დამარცხების სცენა [Gagoshidze 2008:99-100].

დავუბრუნდეთ ისევ ქერცლისებურ ჯავშანს. ფირფიტებით დაფარულ აბჯარს დიდი ხნის ისტორია აქვს [Черненко 1968:131 და შემდ.]. ის დამონმებულია ძვ.წ. XVI-XV სს-დან ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში, როგორც ცალკეული ფირფიტების, ასევე მთლიანი ჯავშნის სახით. ამასთან მათი გამოსახულებები წარმოდგენილია რელიეფებზე, ფრესკებზე, მათ შესახებ მოგვითხრობენ წყაროები [Черненко 1968:131, სურ. 66-71]. ჩვენთვის საინტერესო ხანაში ლითონის ფირფიტებით დაფარული ჯავშანი ფართოდ იყო გავრცელებული რომში [D’Amato 2009:123-128, სურ. 150-153]; ის კარგადაა ცნობილი აქემენიდურ ირანში, სადაც ასევე მომრგვალებულბოლოიანი და ზემოთ გახვრეტილი ფირფიტებია ნაპოვნი [Черненко 1968:138, სურ. 72]. არის მოსაზრება, რომ ტრანსკავკასიაში ლითონის ფირფიტებით გამყარებული ჯავშანი ასურეთიდან და ურარტუდან გავრცელდა, სადაც ის ძალიან პოპულარული იყო. პარალელურად ითვლება, რომ ანტიკური ხანის ტრანსკავკასიისათვის ქერცლისებური ჯავშანი არ იყო სიახლე. ამ ტიპის აბჯარი აქ ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეების კომპლექსებში გვხვდება [Иванчик 2008:257-261].

ლითონით გამყარებული ჯავშნის კიდევ ერთი ტიპის ნაწილებია აღმოჩენილი დედოფლის გორაზე, სათავსოს კედლის ნანგრევებში. ეს არის ე.წ. ფურცლოვანი აბჯრის კარგად ცნობილი ტიპი – *lorica segmentata*, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ სამყაროში [D’Amato 2009:130]. ის შედგენილი იყო ლითონის თხელი ფურცლებით დაფარული ტყავის ან ქსოვილის ვიწრო და გრძელი ლენტებისაგან და სხვადასხვა ვარიაციებით ძალიან პოპულარული დამცავი სამოსი იყო ძვ.წ. I-ახ.წ. II სს-ში – მსუბუქი, ეფექტური, პრაქტიკული და ამავე დროს ეკონომიური

– იმის გამო, რომ ის განცალკევებული ნაწილებისაგან შედგებოდა, ადვილი იყო მისი შეკეთება [D'Amato 2009:130]. სწორედ ამ ტიპის ჯავშნის ნაწილად მიიჩნევა ი. გაგოშიძე დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ფრაგმენტს, რომელიც წარმოადგენს რკინის ვიწრო და გრძელი, თხელი (20 სმ სიგრძის, 3,1 სმ სიგანის და 0,17 სმ სისქის), მომრგვალებული ფირფიტების თავისებურ დასტას [Gagoshidze 2008:133, ტაბ. 53, კატ. № 38]. ეს არის ერთადერთი შემთხვევა ამ ტიპის ჯავშნის აღმოჩენისა საქართველოში [Gagoshidze 2008:133]. ჯავშნის ამ ფრაგმენტთან ერთად ნაპოვნია ჯავშნის ცალკეული სექციების დამაკავშირებელი დეტალი – რკინის ორფრთიანი საკვანძე სახსარი [Gagoshidze 2008:133, ტაბ. 58, კატ. № 53]. ამ დეტალის ასეთ იდენტიფიცირებას მხარს უჭერს ის, რომ საჯავშნე ფირფიტებზე და სახსარზე დატანილ ნახვრეტებს შორის სრული თანხვედნაა ზომებისა და მათი განლაგების მიხედვით [Gagoshidze 2008:133]. მსგავსი კვანძებით არის დაკავშირებული ახ.წ. I საუკუნის რომაული ფურცლოვანი ჯავშნის ე.წ. კორბრიჯის ტიპის რკინის აბჯრის ცალკეული სეგმენტები [Gagoshidze 2008:133. D'Amato 2009: 131-132, სურ. 165, 169].

საქართველოს ანტიკური ხანის რამდენიმე ძეგლზე დადასტურებულია ჯავშნის კიდევ ერთი ტიპის, **ჯაჭვის პერანგის** ფრაგმენტები – *lorica hamata*. ეს იყო დამცავი სამოსი, შედგენილი ლითონის რგოლებით. ერთი ასეთი აბჯარი ათასობით რკინის რგოლისაგან შედგებოდა. მას, ჩვეულებრივ, ტყავის სამოსზე იცვამდნენ [D'Amato 2009:128-129]. დედოფლის გორაზე, ერთერთ სათავსოში, აღმოჩნდა ამ ტიპის ჯავშნის ფრაგმენტი, შედგენილი რკინის რგოლებისაგან; რგოლები წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან მავთულს, რომლის დიამეტრი 0,55 სმ-ია, ხოლო მავთულის წრილი – 0,1 მმ; თვით ფრაგმენტი 22 სმ-ის სიგრძისაა და 12,5 სმ სიგანის, მისი სისქე – 0,5-0,3 სმ-ია [Gagoshidze 2008:132-133, ტაბ. 54, კატ. № 37]. ბრინჯაოს ანალოგიური ჯავშნის ფრაგმენტები ცნობილია კლდეეთის ახ.წ. I-II სს-ის დარღვეული სამარხიდან: იგი 0,8 სმ დიამეტრის მქონე 50-მდე რგოლისაგან შედგება [ლომთათიძე 1957:14-15, ტაბ. VIII,1; ფუთურიძე 1959:78]. რკინის ჯაჭვის პერანგის ნაწყვეტები ნაპოვნია თავილონის I-II სს-ის მდიდრულ სამარხში (ე.წ. თავილონის განძი) [ფუთურიძე 1959:56]. რკინის ჯაჭვის პერანგის ნაწილები ნოქალაქევსა (IV ს.) და ურბნისის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული [ჭილაშვილი 1964:94].

უჩვეულო აბჯრის ნაწილებს ვხვდებით ვარსიმაანთკარის სამაროვანზე, ძვ.წ. V-IV სს ორ სამარხში. შემორჩენილია სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ბრინჯაოს თხელფურცლოვანი ფირფიტები, რომელთა ნაწილი ერთმანეთთან ბრინჯაოს რგოლებითა და მანჭვლებითაა დაკავშირებული. ჯავშნის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ბრტყელი და განიერი, ნაპირებგოფირებული ფირფიტა, რომელზედაც ასხმული უნდა ყოფილიყო დანარჩენი შემადგენელი ნაწილები. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა შემონახული მოგრძო სამკუთხა მოყვანილობის „სხვიანებრი“ ფირფიტები. მათი ერთობლიობა, ალბათ, ქმნიდა მკერდის საფარველს. სავარაუდოა, რომ ჯავშნის მთელი კონსტრუქცია ასხმული იყო ტყავის სარჩულზე. ნამსხვრევებს შორის შემორჩენილია ბრინჯაოს რგოლები და ფირფიტის ნამსხვრევეები. განიერ და „სხვიანებრი“ ფირფიტებს, უკლებლივ ყველას, აქვს გრძივი რელიეფური ნიბო, რაც, ძეგლის შემსწავლელის აზრით, ლითონს სიმტკიცეს სძენდა. ფირფიტის უდიდესი სიგანეა - 8,5 სმ, უმცირესი - 2,4 სმ, სხვიანებრი ფირფიტის უდიდესი სიგანეა - 5,3 სმ, უმცირესი - 1,5 სმ. [მუხიგულაშვილი 2015:84-85, ტაბ. IV, სურ. 9].

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ანტიკური ხანის საქართველოში ჯავშნის ყველაზე პოპულარული ტიპი იყო ე.წ. ქერცლისებური აბჯარი. მეომრის სხეუ-

ლის დამცავი სამოსი შესაძლოა გაცილებით მრავალფეროვანი ყოფილიყო – ამ კატეგორიის ძეგლების სიმცირე იმით უნდა აიხსნას, რომ ჯავშანი, ძირითადად ტყავისა ან სელისა იყო და ამიტომ არ შემოინახა. ბერძენი მწერლები ახსენებენ ქართველურ მოსახლეობას, რომელსაც სელის აბჯრები ჰქონდა [იხ. გამყრელიძე 2002:42]; ქსენოფონტის „ანაბასისში“ ნათქვამია, რომ მოსინიკებს „ეცვათ ტილოს მოკლე ქიტონები,“ ... ხალიბებს კი „ჰქონდათ სელის აბჯრები, მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრეხილი თოკები“ [IV, 7, 15]; სტრაბონის მიხედვით კი „ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად“ [XI, 4, 5].

ამავე კონტექსტში მეტად საინტერესოა სოფ. გომთან აღმოჩენილი ვერცხლის ყანწ-რიტონი, რომელზედაც გამოსახულ ორ მეომარს (ერთი შუბითა და ფართით, ხოლო მეორე მშვილდ-ისრითაა შეიარაღებული), შესაძლოა, ტყავის უმკლავებო სამოსი, ალბათ შეჯავშნული ფილეტი აცვია [გამყრელიძე 2002:42, ტაბ. 1<sub>1-2</sub>].

არის კიდევ ერთი კატეგორია ძეგლებისა, რომელთა მეშვეობით ვიგებთ, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა ანტიკურ ხანაში ძველი საქართველოს მოსახლეობას საბრძოლო სამოსის მრავალფეროვნებაზე. მხედველობაში გვაქვს შეჯავშნული მხედრის სხმული ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარიდან, აღმოჩენილი ნაქალაქარის გვიანელინისტური ხანის ნგრევის ფენაში [გიგოლაშვილი, ფირცხალავა 2012:39-44]. ფრაგმენტებზე გამოსახულია კლასიკურ სამყაროში კარგად ცნობილი ჯავშნის ტიპი – ე.წ. ანატომიური კირასა, რომელიც წარმოადგენდა მეტალის ან ტყავის კორსეტს და შედგებოდა მკერდისა და ზურგის დამცავი ორი ფირფიტისაგან, მხრის დამცავი სამხრეებისგან და მეომრის ბარძაყის დამცავი ტყავის, თექის ან სელის, მეტწილად ლითონით გამყარებული ლენტისებური ფირფიტებისაგან [D'Amato 2009:38-42, 122-124, 130-131, 134-140]. ვანის კოლექციაში წარმოდგენილი ფრაგმენტები ასახავენ კირასის მკერდსა-ფარს, სამხრეს, კორსეტის ქვედა ფონებიან კიდეს და კირასისქვეშა ტუნიკის ქობას [გიგოლაშვილი, ფირცხალავა 2012:40, სურ. 20, 22, 24, 26, 28, 31-32]. ქანდაკება, რომელსაც ეს ნაწილები ეკუთვნის, ნაქალაქარზე იყო აღმართული და წარმოსახავდა, როგორც ფიქრობენ, პატივსაცემ პიროვნებას – მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან სამხედრო ლიდერს [გიგოლაშვილი, ფირცხალავა 2012:47].

## სანვივები

მეომრის ჯავშნის ნაწილს შეადგენდა ლითონის სანვივე, რომელიც მეომრის ფეხს იფარავდა მუხლიდან ტერფამდე. სანვივები, ანუ კნემიდები, წმინდა ბერძნული აღჭურვილობის ნაწილია. საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლებიდან ცნობილია სამი წყვილი. ისინი ბრინჯაოსია, ძირითადად ერთი ტიპისა: მუხლი და კუნთები რელიეფურადაა გამოყოფილი, სიგრძეზე გასდევს რელიეფური ქედი, შესაძლოა, სიმტიციცისათვის (ტაბ. XVI,5) ქვედა კიდე შესქელებულია და გარეთაა განეული; მთელ პერიმეტრს გასდევს სამი არაღრმა პარალელური ხაზი და აქვს ნახვრეტები, ზოგჯერ - სარჩულზე და ზოგჯერ - ფეხზე დასამაგრებლად. მათი სიგრძე 30-35 სმ-ს შორის მერყეობს [იხ. გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:148-149]. ორი წყვილი ბრინჯაოს კნემიდებისა ახულ-აბაას ბორცვზეა ნაპოვნი: ერთი - ძვ.წ. IV ს-ის სამარხის ნაშთებს შორის, ხოლო მეორე - სამაროვნის ტერიტორიაზე [Воронов 1991:სურ. 2,1-2; 3; Kvirvelia 1995:სურ. 4]. მესამე წყვილი აღმოჩნდა ვა-

ნის ნაქალაქარზე, № 9, ე.წ. მეომრის სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მე-სამე მეოთხედითაა დათარიღებული. ამ სამარხში სიახლეა ის, რომ მეომრის ფეხის ჯავშანი მას იცავდა მუხლის ზემოთაც; ნაპოვნია ბრინჯაოს ე.წ. საბარკლულები [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:203, სურ. 172-173]. ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც კარგადაა ცნობილი კნემიდები, საბარკლულები საერთოდ არ გვხვდება. აბჯრის ასეთი დეტალი იშვიათია ანტიკურ სამყაროშიც და ითვლება, რომ ბრინჯაოს საბარკლულები სიძვირის გამო მეომართა ძირითადი მასისათვის მიუწვდომელი იყო [Черненко 1968:122]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში ფეხის მთლიანად ლითონის ორნამენტული ჯავშნით დაფარვა გავრცელებული ჩვეულება იყო [ლორთქიფანიძე 1972:27, სქ. 94]. თავდაცვითი აღჭურვილობის ეს სახეობა - კნემიდები, ძვ.წ. VII ს-თვის ჩამოყალიბებულ ფორმად ითვლება და კლასიკურსა და ელინისტურ ეპოქებში არსებითი ცვლილებების გარეშე ხმარებაში [Черненко 1968:155]. საყურადღებოა, რომ ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით ქართველურ ტომებს, ხალიბებს კნემიდები ჰქონიათ (IV, 7,16) [გამყრელიძე 2002:42].

### საბრძოლო ეტლები

საზოგადოების სამხედრო ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მოწმობაა საბრძოლო ეტლების არსებობა. ანტიკური ხანის საქართველოში არქეოლოგიურ აღმოჩენათა ეს კატეგორია შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი: ორი კონკრეტული ეტლის ნაშთები უფლისციხიდან, ეტლის ბრინჯაოს მოდელი გოხებიდან, რელიეფის ფრაგმენტი ეტლის ნაწილის გამოსახულებით ვანის ნაქალაქარიდან [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:149-151]

უფლისციხის არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის სამარხის ინვენტარად არის მიჩნეული, ნაპოვნია ორი - „დიდი“ და „მცირე“ ეტლის ფრაგმენტები. დიდი, ანუ „სამეფო ეტლი“ შემდეგი ნაწილებით არის წარმოდგენილი: ბორბლები - ფერსოს რკინის გარსაკრავის ნატეხები, ლურსმნები, სარჭები, ღერძი, წრიული საგდულები, მანის ფუძეების გარსაკრავები, რკინის ხელნა. ეს იყო საბრძოლო-ცერემონიალური, ორბორბლიანი, მსუბუქი ეტლი, რკინის პროტექტორებიანი რვამანიანი ბორბლებით, ე.წ. აღმოსავლური ტიპისა (ტაბ.XVIII, 3). პროტექტორებიანი ბორბლების არსებობა მოწმობს ეტლის პრაქტიკულ დანიშნულებას. რაც შეეხება „მცირე ეტლის“ ფრაგმენტებს, აქ წარმოდგენილია ფერსოს რკინის სალტე, ლურსმნები, მანჭვლები, სარჭები, ისინი ასევე ორბორბლიანი მსუბუქი ეტლის ნაწილებადაა განსაზღვრული, ხოლო თვით ეტლი - ეტლის მოდელად არის მიჩნეული მცირე ზომებისა და უპროტექტორო ბორბლების გამო [იხ. ყიფიანი 2000: 80, 81,87, სურ. 40-56, სურ. 32-39, 79-80].

საბრძოლო ეტლის მოდელი სხმული ბრინჯაოსი ნაპოვნი იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ადგილ გოხებში (სიგრძე 19 სმ, სიმაღლე 8 სმ) - ესაა ორბორბლიანი, ორცხენშებმული ეტლი (ტაბ. XVIII,1), აქვს ორად გაყოფილი ჭვირული ძარა (ანუ „ყუთი“), რომელიც უკან ღიაა, ხელნა, ცილინდრულსარქველებიანი და ათმანიანი ბორბლები. ბორბალს აქვს გვერდითი ცელი, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს ცელავდა მტრის გარემოცვას (ტაბ.XVIII, 1 ). ამ ტიპის ეტლები ითვლება კლასიკურ ტიპად, რომელიც ძვ.წ. VII-IV სს-ში იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში [Лордкипანიძე, Кипიანი 1999:197].

ეტლის გამოსახულებიანი კირქვის ფრაგმენტი ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, რომელიც ძვ.წ. II-I სს. თარიღდება [ჭყონია 1986:95]. ეტლის ბორბლები პროტექტორებიანია (ტაბ. XVIII,2). ეს დეტალი აღმოსავლური ეტლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ოთხმანიანი ბორბალი მას უფრო ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებს [Лордкипаниძე, Кипიანი 1999:198].

## სააღყო იარაღი

სააღყო იარაღთა შორის აღსანიშნავია ქვისა და დიდი ზომის ისრების სატყორცნი მანქანა-მონყობილობები — **ბალისტები** და **კატაპულტები**. მოცემული ეპოქის საქართველოს ციხე-ნაქალაქარების არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნი, ონაგრის ან ბალისტას ტიპის მანქანებს თავდამსხმელებიც იყენებდნენ და ქალაქის დამცველებიც. თავდამსხმელები ყუმბარებით — ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურების სააღყო მანქანა-მონყობილობებს აზიანებდნენ [იხ. გამყრელიძე 2010:152]. ქვის ყუმბარები, უმეტესწილად, ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლისა და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარმტყორცნი მანქანები ალბათ, ძირითადად გალავანზე იყო განლაგებული, რათა მონინააღმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლოს ყოფილიყო (ტაბ. XVII,1). ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი მონინააღმდეგეს 200-300 მ-ზე სწვდებოდა და აზიანებდა. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების - ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა (ტაბ. XVII, 2). შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო [ახვლედიანი 2003:7-13]. ასეთი, სპეციალურად მრგვლად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები კი ჩვეულებრივ, არამრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდინარეების ჭალებიდან მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალავანსა და კოშკებზე იყო განთავსებული. მათ გვერდით ყუმბარების მარაგი ენყო. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვლად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. ყუმბარები მიკვლეულია აგრეთვე უფლისციხის, მცხეთის, ეშერის, სოხუმის, ბიჭვინთის, ურბნისისა და ნოქალაქევის ნაქალაქარებზე.

საერთოდ, ყუმბარმტყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში სპეციალურად განვრთნილი მეომარი - ყუმბარმტყორცნელები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებსა და სახელმწიფოებს ჰქონდათ [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:75].

ბალისტის ერთი-ერთი დეტალი ბიჭვინთის ნაქალაქარზე ერთ-ერთი კოშკშია აღმოჩენილი. ის მთავარი ღერძის ნაწილია, ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და 20 სმ დიამეტრი აქვს. დატანებული აქვს კბილანები და ნახვრეტები. ბიჭვინთური ბალისტის დეტალის ანალოგები ცნობილია სხვა არქეოლოგიური მასალებიდან. ამავე კოშკში რკინის ისრისპირებთან და შუბისპირებთან ერთად ქვის მრგვალი ჭურვების გროვები აღმოჩნდა, რომელთა დიამეტრი 7-15 სმ-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ქვის ამგვარი ჭურვები ნაქალაქარის სხვა მონაკვეთებზეცაა დადასტურებული.



რომაელი პოლიოკრეტიკოსი ვეგეციუსი (IV,8) მეომრებს ურჩევდა, ჭურვე-ბად რიყის ქვეები გამოეყენებინათ. ბიჭვინთის ბალისტის ხსენებული დეტალი აქ ბალისტების არსებობას მიუთითებს. გარდა ამისა, ეს იარაღი ბიჭვინთის, როგორც ქალაქის, ეკონომიკურად დაწინაურებლობის მაუწყებელიცაა, ვინაიდან მისი დამზადება სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვდა. თანაც საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული მსროლელებისა და ტექნიკოსების ყოლა. აღსანიშნავია, რომ ფასისის გარნიზონსაც, არიანეს ცნობით, სამხედრო მანქანები ჰქონია (იხ. არიანე, პერიპლუსი..., 9).

როგორც წესი, სატყორცნი მანქანები განლაგებული იყო გალავანზე ან კოშკზე. ძველი დროის პოლიოკრეტიკოსები რეკომენდაციებში აღნიშნავდნენ, მტრის მოახლოებისას საბრძოლო მანქანები უნდა გამოაგოროთ და იქიდან ანარმოთ სროლაო (ვეგეციუსი II, 8). ბალისტათა საბრძოლოდ მომზადება დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ ტყორცნის სიხშირე და სისწრაფე მაინცდამაინც დიდი არ უნდა ყოფილიყო.

## ურნალი

ტარანს ანუ ურნალს წარმატებით იყენებდნენ საფორტიფიკაციო კედლებ-ბის, კოშკებისა და კარიბჭეების შესანგრევად იბერია-კოლხეთის პერიოდის საქართველოში. ეს საომარი საშუალება შეტევეთი, საძვერებელი იარაღის მძიმე სახეობა იყო და ლითონის თავისა და ხის, მსხვილი ძელისაგან შედგებოდა. ლითონის ტარანის პირი წვეტიანი იყო, მასრა კი გაფართოებული ჰქონდა, რაც უზრუნველყოფდა თავზე ხის მსხვილი ძელის მორგებას.

ტარანი ქალაქების ფორტიფიკაციის დასანგრევ ძირითად იარაღს წარმოადგენდა. ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგებმა ტარანის ერთი მეტრის სიგრძის რკინის ნაჭედი პირი აღმოაჩინეს, რომელიც სამფრთიანი წვეტიანი წვერის, ცილინდრული ტანისა და კონუსისებური მასრისაგან შედგება (ტაბ. XVII,3). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტარანი უნიკალურია და ამ სახის, ფორტიფიკაციის დამანგრეველი საძვერებელი მექანიზმი, საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ აქ არის დადასტურებული [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976:167]. საყურადღებოა პროკოპი კესარიელის (იხ. BP BG, VIII, 14; BP,II, 17) ცნობა იმის შესახებ, რომ არქეოპოლის-ნოქალაქევისა და პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრეების კარიბჭეების შესანგრევად გამოყენებულ იქნა ტარანი, რომელსაც ანტიკურ სამყაროში ვერძის თავს ანუ „კრიოს მანქანებს“ უწოდებდნენ. ხშირად ტარანს ურემზე ამაგრებდნენ და ასე მიმართავდნენ კარიბჭეების შესაღწევად [იხ. გამყრელიძე 2010:154-155].

## საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის შემცველი ანტიკური ხანის ძეგლები და საბრძოლო იარაღის ტიპოლოგიურ-სტატისტიკური მონაცემები

### აბანო (რუკაზე № 1)

(ტაბ. XIX,1)

სოფ. აბანო მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, მდ. ფრონეს ხეობაში. აქ, ადგილ „ჩიხიანაზე“ გათხარა ძვ.წ. VI-V სს-ის 7 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა — 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 ისრისპირი**, ბრინჯაოსი - **სამწახნაგა**, **მოკლემასრიანი** - 1(№ 2 სამარხში); **სამფრთიანი**, **ღრუმასრიანი** - 2 (№ 6 სამარხში); **ცული** -1, **ტიპი I**, ქვეტიპი ა (№ 1 სამარხში) [ნუცუბიძე 1978].

### აბელია (რუკაზე № 2)

(ტაბ. XIX,2)

სოფ. აბელია მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თეთრიწყაროდან აღმოსავლეთით 1,5 კმ-ში, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე. ძეგლზე შესწავლილია ძვ.წ. V-IV სს-ის 16 და ძვ.წ. II-I სს-ის 2 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** — **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 1 ( №21 სამარხში); **დანა** — მოხრილი - 1 (№21 სამარხში). მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [კვიციანიძე 1975; ლომთათიძე 1989].

### აბულმუგი (რუკაზე № 3)

(ტაბ. XIX,3-7)

აბულმუგის ნასოფლარი მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში, დმანისიდან დასავლეთით 12 კმ-ში, მდ. მაშავერას მარცხენა შენაკად აბულმუგის ხევის (ვახუშტისეული ხინის ხევი) შუაწელზე. ნასოფლარის მახლობლად შესწავლილია ძვ.წ. IV და IV-III საუკუნეების მიჯნის 27 სამარხი. დაკრძალულია 35 ინდივიდი, აქედან 17 მამაკაცი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 7. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **5 შუბისპირი** - **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 1 (№ 19 სამარხში), **მომრგვალებულმხრებიანი** - 3 (№№ 2, 18, 22 სამარხებში), ფორმა გაურკვეველია - 1 (№ 1 სამარხში); **მუჯირა** - **კონუსური** - 1 (№ 16 სამარხში); **2 ცული** - **ტიპი I**, ქვეტიპი ბ (№№ 18, 24 სამარხებში); **ისრისპირი**, რკინის, **ოთხკუთხაგანივკვეთიანი** - 1 (№ 16 სამარხში). მასალა ინახება დმანისში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში [ხობობაშვილი, ძნელაძე 2008; Кахиани, Глигвашвили, Дзnelაძე, Кереселиძე, Цквитиანიძე 1991].

### ანთოკი (რუკაზე № 4)

(ტაბ. XIX,8)

სოფ. ანთოკში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გიორგიმინდას თემი) შემ-

თხვევითაა მოპოვებული ძვ.წ. IV საუკუნის სამარხეული მასალა, მათ შორის რკინის 1 შუბისპირი - მომრგვალებულმხრებიანი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძირითად ფონდში.

### არდასუბანი (რუკაზე № 5)

თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. არდასუბანთან, მდ. ბოგვისხევის ნაპირას შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 4 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: სატევარი - 1, დაშლილი (№1 სამარხში); შუბისპირი - 1, დაშლილი (№3 სამარხში). მასალა ინახება თეთრინყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [თუშიშვილი 1970].

### არღუნი (რუკაზე № 6)

სოფ. არღუნში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ადგილ „მოკლე მინებზე“ შესწავლილია ძვ.წ. VI-V სს-ის ნამოსახლარის ნაშთი და სამაროვანი. სამაროვანზე გათხარა ხუთი ორმოსამარხი. სამარხებში აღმოჩნდა რკინის საბრძოლო იარაღი: შუბისპირი, ხიშტისებური იარაღი, დანა (გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ანგარიშები). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტის დუშეთის ბაზაზე [Рапишвили и др. 1987; Мухигулашвили 1987].

### ასურეთი (რუკაზე № 7)

(ტაბ. XIX,12-16)

ძეგლი მდებარეობს თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში, თეთრინყაროდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 კმ-ში, სოფ. ასურეთიდან სამხრეთ-დასავლეთით ორ კმ-ში, ასურეთის ხევის მარჯვენა ტერასაზე, ადგილ სამაჩვეთზე, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეების 19 სამარხია გათხრილი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: 4 შუბისპირი: რომბისებურიპირიანი - 1 (სამაროვნის დაზიანებულ ნაწილში), ვიწროპირიანი - 1 (№ 25 სამარხში), დაზიანებული - 2 (№№ 14, 19 სამარხებში); ცული - ტიპი I, ქვეტიპი გ - 1 (№ 25 სამარხში); საბრძოლო დანა - მოხრილი, ცალპირლესული - 1 (№ 19 სამარხში); ისრისპირი - ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მრგვალმასრიანი - 1 (№ 25 სამარხში). მასალა ინახება თეთრინყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [კვიციანიძე 1975].

### ახალი ათონი (რუკაზე № 8)

(ტაბ. XIX,9-11)

ახალ ათონთან (გუდაუთის მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩენილია ანტიკური ხანის საბრძოლო იარაღი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: 4 შუბისპირი: რკინის, მომრგვალებულმხრებიანი - 2, ვიწროპირიანი - 2. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.

### ახულ-აბაა (რუკაზე № 9)

(ტაბ. XX, 1)

სოხუმიდან აღმოსავლეთით, მდინარეების ბესლეთისა და ძეგუთას წყალგამყოფ ქედზე, ალექსევესკოეს ხეობაში, ადგილ ახულ-აბააზე შესწავლილია ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის 5 სამარხი, მათ შორის იარაღიანი - 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 მახვილი**: ნაკლული - 1(№ 4 სამარხში), **ძელაკისებურ ტარისთავიანი** - 1 (№ 1 სამარხში); **სატევარი** - ტარის ფრაგმენტები - 3 (№ 4 სამარხში); **მახაირა** - 1 (№ 4 სამარხში); **19 შუბისპირი**: **ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 1 (№ 1 სამარხში), **რომბულპირიანი** - 1 (№ 1 სამარხში), **მომრგვალებულგვერდებიანი** - 10 (№№ 4, 5 სამარხებში); **ვინროპირიანი** - 5 (№5 სამარხში); **ნაკლული** - 2 (№ 4 სამარხში); **ცული** - **ტიპი II**, ქვეტიპი ა - 1 (№ 5 სამარხიდან); **2 მუზარადი**: ბრინჯაოსი, ქალკიდური, ჰოპლიტური ტიპისა (№ 4 სამარხში), ფრაგმენტები, (№5 სამარხში); **ხის ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი** - 1 (№ 1 სამარხში); **კნემიდები** - **2 წყვილი**, ბრინჯაოსი (№№ 4 და 5 სამარხებში) [კვირკველია 2001; Воронов 1969; Воронов 1979; Воронов 1991; Kvirkvelia 1995].

### ბაზალეთი (რუკაზე № 10)

სოფ. ბაზალეთის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სამხრეთ-დასავლეთით, ადგილ „მზვარეში“ შესწავლილ ორიარუსიან სამაროვანზე 102 ორმოსამარხია გათხრილი, რომელთა ნაწილიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. სამარხებში გამოვლენილია რკინის საბრძოლო იარაღი: სხვადასხვა ზომის **შუბისპირები**, **სატევრები**, **საბრძოლო ცულები**, **დანები**. გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ანგარიშები. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დუშეთის ბაზაზე [Рапишвили и др. 1997].

### ბანძა (რუკაზე № 11)

(ტაბ. XXI, 1-2)

სოფელ ბანძაში (მარტვილის მუნიციპალიტეტი), მდ. აბაშისწყლის ნაპირას აღმოჩენილია ახ.წ. I-II საუკუნეების ქვევრსამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** - 1, **მომრგვალებულმხრებიანი**; **მახვილი** - 1, **ორპირლესული**, ტარის ღერო ვინრო და გრძელია, პირი წვეროსაკენ თანდათან ვინროვდება. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძირითად ფონდში (კოლექცია №№ 1-23/5-6-7) [მაკალათია 1928; ფუთურიძე 1959].

### ბალღანი (რუკაზე № 12)

(ტაბ. XXI, 11)

სოფ. აძიუჟბასთან (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), ქ. ოჩამჩირესა და სოხუმს შორის, ზღვის ნაპირიდან 300 მეტრის დაცილებით, ბალღანის სამაროვანზე შესწავლილია ძვ.წ. III-II სს-ის 12 სამარხი, სადაც აღმოჩნდა ცეცხლისაგან დაზიანებული რკინის **შუბისპირები**, რკინის **ცული**, დეფორმირებული, რკინის **მახვილის** ტარი, **33 ისრისპირი**, რკინის, **სამფრთიანი**, ცეცხლისგან დეფორმირებული **ცხენის თავის დამცავი ბრინჯაოს ფირფიტა** [Kvirkvelia 1995; კვირკველია 2001ა].

## ბეჟანბალი (რუკაზე № 13)

(ტაბ. XXI,5-6)

ძეგლი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. გადრეკილას სამხრეთით, ადგილ ბეჟანბალზე, სადაც შესწავლილია ახ.წ. II საუკუნის 1 სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **მახვილი** – 1, რკინის, **ყუნწიანი, ძელაკისებური ვადით**, გრძელ, ვიწროპირიანი, ჭრილში რომბულია; **შუბისპირი** - 1, **მომრგვალებულმხრებიანი**; **ისრისპირი** – 1, რკინის, **ოთხნახნაგა** [მამაიაშვილი 1980ა].

## ბეშთაშენი (რუკაზე № 14)

(ტაბ. XXI,3-4, 7-9)

სოფ. ბეშთაშენში (წალკის მუნიციპალიტეტი), მდ. აგრი-ჩაის ნაპირას, წალკის წყალსაცავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, წალკიდან 5 კმ-ში, ციკლოპურ ციხესთან, მდ. ბაშკევ-სუს მარჯვენა შენაკად პატარა ხევის სამხრეთით ძვ.წ. V-IV საუკუნეების 61 სამარხია შესწავლილი. დაკრძალვა ინდივიდუალურია. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 13. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **13 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 12 (№№ 2, 6, 7, 15, 22(2ც.), 32, 33, 35, 36, 41, 48 სამარხებში), პირის ფორმა არ იკითხება - 1 (№ 55 სამარხში); **ცული - ტიპი I**, ქვეტიპი ბ - 1 (№ 49 სამარხში); **2 ისრისპირი: ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მასრიანი** - 1 (№ 22 სამარხში), ძვლის, **სამკუთხა** - 1, (№ 22 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდში [დავლიანიძე 1983; მენაბდე, დავლიანიძე 1968; Куфтин1941].

## ბზიფი (რუკაზე № 15)

(ტაბ. XXI,10)

მდინარე ბზიფის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილია სავარაუდოდ, ანტიკური ხანის **1 რომბისებურპირიანი შუბისპირი**. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძირითად ფონდში.

## ბიჭვინთა (რუკაზე № 16)

გაგრის მუნიციპალიტეტში, ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით შესწავლილია ანტიკური ხანის ნაქალაქარი და სამაროვანი, თარიღდება III-VI სს-ით. სამაროვანზე გაითხარა 430 სამარხი. იარაღი დაფიქსირდა 2 სამარხში ასევე სასიმაგრო სისტემის მე-18 ხუთნახნაგა კოშკში, XIX ნაკვეთის II სამშენებლო ფენაში. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** რკინისა, დაშლილი (№ 286 სამარხში); **ბალისტას პერიტრეტის ღერძის დეტალი**, ბრინჯაოსი (მე-18 კოშკში); **სატევარი**, რკინისა, ცალპირლესული (ახ.წ. IV-V სს-ის ფენაში); **ისრისპირები** რკინისა, სამფრთიანი, ყუნწიანი (1-№03-8 სამარხში); სამფრთიანი, ორფრთიანი, პირამიდული და ოთხნახნაგა - 30 (კულტურულ ფენაში) [ლორთქიფანიძე გ. 1991; ნიკოლაიშვილი 1975].

### **ბრილი (რუკაზე № 106)**

რაჭაში, მდ. რიონის ხეობაში, სოფ. ღების (ონის მუნიციპალიტეტი), ჩრდილოეთით 11 კმ-ში, მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ადრერკინისა და ანტიკური ხანის სამარხები. გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ინფორმაცია, მიმდინარეობს მასალის დამუშავება და გამოსაცემად მომზადება. ძეგლზე აღმოჩენილია რკინის იარაღი: **შუბი** - 5; საბრძოლო **ცული** - 58; **ჩუგლუგი** - 5; **აკინაკი** - 38; **ისარი** - 10 **მახვილი** - 7; **სატევარი** - 4. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის მცირე ექსპ. I ფონდში. [გობეჯიშვილი 1952].

### **გარისის გორა (რუკაზე № 17)**

ძეგლი მდებარეობს ქ. თეთრიწყაროს ტერიტორიაზე. ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც თეთრიწყაროს სამაროვანი და გარისის გორის სამაროვანი. ძეგლზე გათხრილია 13 ქვაყუთი და 17 ქვევრსამარხი. № 24 სამარხში აღმოჩნდა **2 შუბისპირი**. ძეგლი თარიღდება ძვ.წ. IV-II საუკუნეებით, იარაღიანი სამარხი ძვ.წ. IV საუკუნით. მასალა ნაწილობრივაა გამოქვეყნებული, ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [ბოხოჩაძე 1963; კვიციანიძე 1975].

### **გომარეთი (რუკაზე № 18)**

(ტაბ. XXIII,1-2)

სოფ. დიდი გომარეთში (დმანისის მუნიციპალიტეტი), დმანისიდან 25 კმ-ში შესწავლილია ძვ.წ. IV-III საუკუნეების 28 სამარხი, სადაც დაკრძალული იყო თითო, ორ-ორი (სამ სამარხში) ან სამი (ერთ სამარხში) მიცვალებული. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** - რკინის, **მომრგვალებულმხრებიანი** - 1(№ 7 სამარხში); **ცული** - ტიპი I, ქვეტიპი გ - 1 (№ 1 სამარხში); **ისრისპირი** - ბრინჯაოსი, **სამფრთიანი, მრგვალმასრიანი** - 1 (თხრილში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის თრიალეთ-სამთავროს ფონდში [დავლიანიძე 1977; დავლიანიძე 1983].

### **გუადიხუ (რუკაზე № 19)**

(ტაბ. XXII,1-16)

ქ. სოხუმსა და დაბა ბირცხას შორის, „გუადას“ ბორცვზე შესწავლილ გუადიხუს სამაროვანზე გამოვლენილია 91 სამარხი - 32 ე.წ. უფროსი ჯგუფის (ძვ.წ. VI-V, IV სს.) და 59 ე.წ. უმცროსი ჯგუფისა (ძვ.წ. V-III სს.); უფროსი ჯგუფიდან საბრძოლო იარაღს შეიცავდა 13 სამარხი, უმცროსი ჯგუფიდან - 8 სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **37 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 14 (უფროსი ჯგუფის №№ 2 (2ც.), 7, 23 (2 ც.), 30 სამარხებში; უმცროსი ჯგუფის №№ 1 (4 ც.), 8 (3 ც.), 39 სამარხებში); **მომრგვალებულგვერდებიანი** - 17 (უფროსი ჯგუფის №№ 7 (2ც.), 8, 10, 11, 19, 23, 29, 31, 32 სამარხებში; უმცროსი ჯგუფის №№ 1 (2ც.), 7, 8, 31, 39, 48 სამარხებში); **ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 5 (უფროსი ჯგუფის №13 სამარხში, უმცროსი ჯგუფის №№

8, 38 სამარხებში (3 ც.); **რომბულპირიანი** - 1 (უმცროსი ჯგუფის № 8 სამარხში); **5 მუჯირა: კონუსური ფორმის** - 1 (უფროსი ჯგუფის №1 სამარხში); **ოთხნახნაგაპირიანი** - 4 (უფროსი ჯგუფის №№13 (2ც.), 19 (2ც.) სამარხებში); **აკინაკი, პეპლისებურ ვადიანი** (უფროსი ჯგუფის № 8 სამარხში); **3 მახვილი: რკინის, ორპირლესული** - 2 (უმცროსი ჯგუფის №№1, 8 სამარხებში); **ცალპირლესული** - 1 (უმცროსი ჯგუფის №7 სამარხში); **13 ცული: რკინის, ტიპი I, ქვეტიპი ბ** - 6 (უფროსი ჯგუფის №№ 1, 2, 8, 13, 31, 32 სამარხებში); **ტიპი II, ქვეტიპი ა** - 4 (უმცროსი ჯგუფის №№ 1, 7, 8, 38 სამარხებში); **ტიპი II, ქვეტიპი ბ** - 1 (უმცროსი ჯგუფის № 49 სამარხში); **ტიპი I-ის მსგავსი** - 1 (უფროსი ჯგუფის № 7 სამარხში); **დაზიანებული** - 1 (უმცროსი ჯგუფის № 39 სამარხში). მასალა სავარაუდოდ ინახება ან აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ან აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში [Трапш 1969].

### დაბლაგომი (რუკაზე № 20) (ტაბ. XXIII,3-11)

სოფ. დაბლაგომში, ქ. ვანიდან ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 10-12 კმ-ს დაცილებით შესწავლილია ნამოსახლარი და სამაროვანი. საბრძოლო იარაღი აღმოჩენილია ე.წ. მდიდრულ სამარხსა (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) და კულტურულ ფენებში (ძვ.წ. III ს.). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: მდიდრულ სამარხში დაფიქსირებულია **7 შუბისპირი: ვინროპირიანი** - 2; **მომრგვალებულმხრებიანი** - 1; **ე.წ. ისრისმაგვარი** - 4; **სატევარი** - 1. კულტურულ ფენებში აღმოჩენილია: **შუბისპირი, მომრგვალებულმხრებიანი** - 2; **ცული** - რკინის, **ტიპი II** - 1; **სატევარი**, რკინის, ფრაგმენტული, **ორპირლესული** - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [Куптин 1950; თოლორდავა 1976].

### დედოფლის გორა (რუკაზე № 21) (ტაბ. XXIII,12-27)

დედოფლის გორა მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფ. დოღლაურას მახლობლად, მდ. დასავლეთ ფრონეს მარცხენა ნაპირზე. აქ შესწავლილია მრავალფენიანი ნამოსახლარი. ჩვენთვის საინტერესო ეპოქას წარმოადგენს ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების სასახლე და სამეურნეო ნაგებობები, რომლის ოთახებსა და ეზოში აღმოჩენილია **800-ზე მეტი ისრისპირი, მშვილდის ნაწილები, შუბისპირები, სატევარი, აბჯრები და სხვ.** იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **823 ისრისპირი** - რკინის, **სამფრთიანი, ყუნწიანი; 5 მშვილდის გარსაკრავი**, ძვლისა; **5 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 3, **ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 2; **3 მუჯირა, მრგვალგანივკვეთიანი**, ნვერისაკენ თანაბრად დავინროვებული, ღრუმასრიანი; **სატევარი, ორპირლესული** - 1; **ფირფიტოვანი ჯავშანი (*lorica squamata*)**, რკინის, 2 ფრაგმენტი; **ჯავშნის ფირფიტები**, რკინის, სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი (სულ 736); **ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი**, რკინის; **აბჯრის ფრაგმენტი (*lorica segmentata*)**, რკინის, მომრგვალებული ფირფიტებისაგან შედგენილი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის გორის ფონდში [Gagoshidze 2008].

## დიდი ლილო (რუკაზე № 22)

(ტაბ. XXIV,1-16)

დაბა დიდი ლილოს (ამჟამად თბილისის შემადგენლობაში) ტერიტორიაზე შემთხვევით მიკვლეულია ძვ.წ. VI-V საუკუნეების 3 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** (№ 1 სამარხში); **18 ისრისპირი:** რკინის, დაზიანებული - 1 (№ 2 სამარხში), ბრინჯაოსი, **სამფრთიანი, დეზიანი, ღრუმასრიანი** – 2 (№ 1 სამარხში), **სამფრთიანი, ორდეზიანი, ღრუმასრიანი** - 1 (№ 1 სამარხში), ძვლის, **წაგრძელებული პირამიდის ფორმის, ოთხწახნაგა** - 13 (№ 1 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.

## დუისი (რუკაზე № 23)

(ტაბ. XXIV,17-19)

სოფ. დუისში (ახმეტის მუნიციპალიტეტი), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, შემთხვევით აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის 1 სამარხის ინვენტარი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 დანა**, რკინის, **ცალპირლესული, მახაირას** მსგავსი; **2 შუბისპირი**, რკინის, **მომრგვალებულმხრებიანი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში [ქორიძე 1958].

## ენაგეთი (რუკაზე № 24)

(ტაბ. XXV,12-18)

სოფ. პატარა ენაგეთის მახლობლად (თეთრინყაროს მუნიციპალიტეტი), მდ. ენაგეთის ხევის მარჯვენა მხარეს, 1,5 კმ-ის სამხრეთით შესწავლილია ძვ.წ. IV საუკუნის 17 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი – წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** (№№ 1, 13 სამარხებში); **ხელშუბისპირი** - 1 (№ 13 სამარხში); **14 ისრისპირი:** ძვლის, **წაგრძელებული პირამიდის ფორმის, ოთხწახნაგა, მრგვალღრუიანი** (№№ 1, 13 სამარხებში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის თრიალეთ-სამთავროს ფონდში [მარგიშვილი 1992; მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004].

## ეშერა (რუკაზე № 25)

(ტაბ. XXVI,1-20)

ქალაქ სოხუმიდან დასავლეთით 10 კმ-ში, მდ. გუმისთასა და შიკუარას შორის, დაბა ეშერას ტერიტორიაზე გამოვლენილ ძვ.წ. VI-I სს-ის ეშერის ნაქალაქარზე შესწავლილია ელინისტური ხანის სამაროვანი და სინქრონული ნამოსახლარი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **11 შუბისპირი: ვიწროპირიანი** - 4 („მეომრის“ სამარხში); **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 1 („მეომრის“ სამარხში), **მომრგვალებულმხრებიანი** - 1 (№ 5 სამარხში); **მომრგვალებულგვერდებიანი** – 1 (შემთხვევით ნაპოვნი), **ფრაგმენტული** - 4 (1 - ძვ.წ. III ს-ის სამარხში, 3 - ნაქალაქარზე); **7 ხელშუბის(?) პირი:** რკინის, მოკლე და



ოთხნახნაგა, **პირამიდისებურპირიანი**, გრძელმასრიანი - 6 (ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში), **ოთხკუთხა, პირამიდისებურპირიანი** - 1 (თავდაცვის კედლის №1 კოშკის ნანგრევებში); **5 მახვილი: ორპირლესული, ძელაკისებურ ტარისთავიანი** - 1 („მეომრის“ სამარხში), **ცალპირლესული, ანტენისებურ ტარისთავიანი** - 1 (გვიანელინისტური ხანის ნაგებობაში); **ტარისა და პეპლისებური ვადის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი** - 1 (კულტურულ ფენაში); რკინის, **ძელაკისებურ ტარისთავიანი, პეპლისებურვადიანი** - 1 (შემთხვევითი აღმოჩენა); **ტარრგოლიანი ტარი** - 1 (გვიანელინისტური ხანის ნაგებობის საძირკველთან); **მახაირა** - 1 („მეომრის“ სამარხში); **6 ცული: ტიპი II - 2** („მეომრის“ სამარხში, №5 სამარხში); **ტიპი I - 4** (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის და გვიანელინისტური ხანის სამარხეულ კომპლექსებში); **4 მუჯირა: რკინისა, კონუსური** (1 - №5 სამარხში, 3 - ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში); **103 ისრისპირი: რკინისა, სამწახნაგა, გრძელმასრიანი** - 1 (ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში); **ოთხნახნაგა, გრძელმასრიანი** - 1 (ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში); **ფრთადაშვებული, ყუნწიანები** - 7 (ჩრდილოეთის თავდაცვის კედლის №1 კოშკის ნანგრევებში), - 93 (გვიანელინისტური ხანის ნგრევის ფენაში); **სამფრთიანი, ყუნწიანი** - 1 (ჩრდილოეთის თავდაცვის კედლის №1 კოშკის ნანგრევებში); **აბჯრის ფირფიტები** - ბრინჯაოსი, 2 ცალი (კულტურულ ფენაში); **ფარის გარსაკრავი ფირფიტა** - ბრინჯაოსი (კულტურულ ფენაში); **3 მუზარადი: ბრინჯაოსი** (2 ფრაგმენტული - კულტურულ ფენაში; 1 მთლიანი, დაზიანებული - ძვ.წ. III საუკუნის სამარხში) [Шамба 1972; Шамба 1980; Воронов 1972; Квирквелиა].

### ეცო (რუკაზე № 26)

(ტაბ. XXV,1-11)

სოფ. ვარხუნოს მიდამოებში (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), თეთრიწყაროდან ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ ეცოზე შესწავლილია ძვ.წ. IV-ი სს-ის 120 სამარხი, დაკრძალვა ინდივიდუალური და წყვილადია (145 მიცვალებული). იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 15. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **11 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 3 (№№ 23, 80 და 120 სამარხებში), **ვიწროპირიანი** - 1 (№ 96 სამარხში), **რომბისებურპირიანი** - 4 (№№ 41, 55, 82, 94 სამარხებში), **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** - 1 (№ 72 სამარხში), დაჟანგული და დამტვრეული - 2 (№№ 59, 86 სამარხებში); **4 ცული: ტიპი I**, ქვეტიპი ბ (№№ 69, 72, 95, 107 სამარხებში); **2 ისრისპირი: ბრინჯაოსი, სამფრთიანი** - 1 (№ 100 სამარხში), რკინის, **რომბისებური ფორმის, განივკვეთში ოთხნახნაგა** - 1 (№ 118 სამარხში). მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [შატბერაშვილი 2005; Shatberashvili 2008].

### ვანი (რუკაზე № 27)

(ტაბ. XXVII,1-21)

მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდინარე სულორის ხეობაში, ქალაქ ვანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, „ახვლედიანების გორაზე“ მდებარე ნაქალაქარზე გამოვლენილია ძვ.წ. VIII-ი სს-ის კულტურული ფენები და ძვ.წ. V-III სს-ის სამარხები. აქ გათხრილი 26 სამარხიდან იარაღი დაფიქსირდა 4 სამარხში, ასევე ნაგებობათა ნანგრევებში, ე.წ. საგანძურსა და კულტურულ ფენებში (ძვ.წ. II-ი სს.).

იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა - **შუბისპირები: ვინროპირიანი** – 10 ც. (№ 9 სამარხში - 8 ც., კარიბჭის კომპლექსთან, წრიული კოშკის ნანგრევების თავზე – 1 ც., შემთხვევით ნაპოვნი – 1 ც.); **რომბისებურპირიანი** - 6 ც. (№ 9 (2 ც.) და № 14 (1 ც.) სამარხებში, გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშაღის ქვეშ - 3 ც.); **მომრგვალებულმხრებიანი** – 5 ც. (№ 9 სამარხში (2 ც.), „საგანძურში“, ძვ.წ. I ს. – 2 ც., ძვ.წ. II-ი სს. ფენაში - 1 ც.); **მომრგვალებულგვერდებიანი** - 10 ც. (№ 9 სამარხში - 2 ც., № 2 სამარხში 2 ც., გალავნის კედელთან, ძვ.წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნაშაღის ქვეშ - 5 ც., „საგანძურში“ – 1 ც., თარიღდება ძვ.წ. I ს-ით); **ისრისებურპირიანი** – 4 ც. (№ 2 სამარხში); დანარჩენი შუბისპირების მოყვანილობა არ ისაზღვრება; რომაული **პილუმის** მსგავსი იარაღი - 1 ც. (ძვ.წ. I ს. ნგრევის ფენაში); **ცული, ტიპი I**, 1 ცალი (ძვ.წ. II-ი სს-ის ფენაში); **მახვილი** - რკინისა, **ორპირლესული**, 2 ც. (№ 9 სამარხში); **სატევარი** - რკინისა, ტარისთავი ნახევარწრის ფორმისა, 3 ც. ( „საგანძურში“); **ისრისპირები – ბრინჯაოსი, სამწახნაგა, ღრუმასრიანი**, 9 ც. (№ 9 სამარხში); **ბრინჯაოსი, სამწახნაგა, მოკლე მასრიანი** - 3 ც. (ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში); **რკინისა, სამფრთიანი, ყუნწიანი** - 3 ც. (ძვ.წ. IV-II სს-ის კულტურულ ფენაში); **რკინისა, პირამიდულწვერიანი**, მრგვალგანივკვეთიანი ყუნწიანი - 3 ც. (ძვ.წ. I საუკუნის ფენაში); **კაპარჭის ან გორიტის ბრინჯაოს გარსაკრავის ფრაგმენტები** (№ 9 სამარხში); **ფარი** - რკინის ფურცლებისაგან შედგენილი გარსაკრავი, ბრინჯაოს სარტყლით შეკრული – 1 ც. (№ 9 სამარხში); **ფარის უმბონები**, ბრინჯაოსი, ნახევარსფერულ ბურცობიანი – 5 ც. (საგანძურში); **ჯავშნის ფირფიტები, ბრინჯაოსი**, ქერცლისებური ბექთარის (ასამდე ერთეული - ფენაში, რომელიც ფარავდა ძვ.წ. III ს-ის № 2 სამარხს, 1 ც. - №14 სამარხში); **ჯავშნის ფირფიტები, რკინისა**, 60 ც., (ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში); **სანვივეები** (კნემიდები) და **საბარკულულები**, ბრინჯაოსი (№ 9 სამარხში); **კისრის დამცავი ფირფიტა**, ბრინჯაოსი, 1 ც. (№ 9 სამარხში); **კატაპულტის ისარი** - 1 ც. (ძვ.წ. I ს-ის ნგრევის ფენაში); **რკინის დიდი ისრისპირები** (გასტრაფეტის?) – 2 ც. (ძვ.წ. II-ი სს. კულტურულ ფენაში); **ურნალის პირი** – 1 ც. (ძვ.წ. I ს-ის ნაგებობის ნანგრევების ქვეშ); **შურდულის ქვები** - მრგვალი რიყის ქვები სპეციფიკური პრიალა ზედაპირით. მათი დიამეტრი 4 - 6 სმ-ია (ძვ.წ. IV-ი სს-ის ფენებში); **ჭურვები** - ქვისა (ტუფის), სხვადასხვა ზომის მრგვალი ბირთვები, დიამეტრი 10-დან 30 სანტიმეტრამდე, წონა - 2,5 კგ-დან 25 კგ-მდე. ასზე მეტი ჭურვია ნაპოვნი გალავნის ალიზის კედლების ნანგრევებში, მიკვლეულია ქვის ჭურვების მარაგიც (60 ცალზე მეტი). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972:198-239; ლორთქიფანიძე გ. 1976:167-190; ფირცხალავა, ყიფიანი 1986:52-78; თავაძე, საყვარელიძე, ინანიშვილი 1976:215-220; კაჭარავა და სხვ. 1979; Хоштариа 1979; ახვლედიანი 2003].

### ვარსიმანთკარი (რუკაზე № 28)

(ტაბ. XXVIII,1-21)

სოფ. ვარსიმანთკართან (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მდებარე ე.წ. „ვარსიმანთქედების“ მთის ფერდობზე გაითხარა ძვ.წ. VI-III სს-ის 166 სამარხი, რომელთაგან ინფორმაცია მხოლოდ 118-ის შესახებ მოგვეპოვება. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 66. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **92 შუბისპირი: ვინროპირიანი** - 3, **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** – 15, **მომრგვალებულმხრებიანი** – 2, **რომბისებურპირიანი** – 6, **ხელშუბისპირები** – 18 (დანარჩენი

შუბების შესახებ ინფორმაცია ხელმიუწვდომელია); **2 აკინაკი**; **12 სატევარი**: **ცალპირლესული** - 2 (დანარჩენი სატევრების შესახებ ინფორმაცია ხელმიუწვდომელია); **მუჯირა** - 3; **საბრძოლო დანა** -3; **9 ისრისპირი**: ბრინჯაოსი, **სამფრთიანი** - 5; ძვლის, **ოთხნახნაგა, პირამიდული** - 4; **2 ფარი**, ბრინჯაოსი; **2 მუზარადი**, რკინის; **2 ჯავშანი**, ბრინჯაოსი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე [წითლანაძე 1983; მუხიგულაშვილი 2015].

### **ვაშლიჯვარი (რუკაზე № 29)**

მდ. დიღმისწყლის ხიდთან, მშენებლობის დროს აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა (ერ. მუზ. 22-59/1-15), თარიღი III საუკუნე. **მახვილი**, რკინის, **ორპირლესული, ყუნწიანი** [ნიკოლაიშვილი 1978].

### **ზედა გორა (რუკაზე № 30)**

(ტაბ. XXIV,20-23)

ქ. ვანიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ში, სოფელ ზედა გორაში ახ.წ. I-II სს-ის სამარხში აღმოჩნდა რკინის **ტარგოლიანი მახვილი** - 1; **შუბისპირები, მომრგვალებულმხრებიანი** - 2; **ცული** - 1, **ტიპი I**, ქვეტიპი **გ** [ხარაბაძე 2003].

### **ზემო ავჭალა (რუკაზე № 31)**

თბილისის გარეუბან ზემო ავჭალაში აღმოჩნდა პირველი საუკუნის სამარხი, რომელიც შეიცავდა **ორპირლესულ მახვილს** [მაკალათია 1928].

### **ზემო ქედი (რუკაზე № 32)**

(ტაბ. XXIX,1)

სოფ. ზემო ქედში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩენილია ახ.წ. I საუკუნის ბრინჯაოს **რომაული იმპერიულ-გალური მუზარადი**. მასალა ინახება დედოფლისწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005].

### **ზესტაფონი (რუკაზე № 33)**

(ტაბ. XXIX,2-3)

ზესტაფონში, ფეროშენადნობთა ქარხნის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა დარღვეული სამარხის (ან სამარხების) ნაშთები, რომელიც მხედრის ალჭურვილობას შეიცავს და ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **აკინაკი** - 1; **ჩუგლუგი** - 1. მასალა ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კოლექციის № 5453/A-45) [ფირცხალავა, ლანჩავა 2016].

### **თაგილონი (რუკაზე № 34)**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. თაგილონთან, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას აღმოჩენილია ე.წ. თაგილონის "განძი", რომელიც ახ.წ. I-II სს-ის სამარხის ინვენტარს წარმოადგენს. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **რკინის**

ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები, რკინის მუზარადის ფრაგმენტი, რკინის სატევრის ოქროს გარსაკრავები. მასალა ინახება ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [Амиранашвили 1935; ფუთურიძე 1959].

### თაშბაში (დაშბაში, ტაშბაში) (რუკაზე № 35)

(ტაბ. XXIX,4)

ნალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თაშბაშის (ისტორიული სახელია ახალქალაქი) ჩრდილოეთ ნაწილში შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 3 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი, მომრგვალებულმხრებიანი - 1 (№ 3 სამარხში)** [გაგოშიძე 1982; Куфтин 1941].

### თელავი (რუკაზე № 36)

(ტაბ. XXIX,5-12)

თელავში, ღვთაების ეკლესიასთან შემთხვევით აღმოჩნდა საბრძოლო იარაღი და სხვა ნივთები, რომლებიც სავარაუდოდ, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **85 შუბისპირი: წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი - 6, მომრგვალებულმხრებიანი - 49, ვიწროპირიანი - 3, რომბისებურპირიანი - 5.** დანარჩენის ფორმა არ განისაზღვრება. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.

### თრელი (რუკაზე № 37)

თბილისის ტერიტორიაზე, თრელის სამაროვანზე შესწავლილია ანტიკური ხანის 12 სამარხი, რომელთაგანაც იარაღს შეიცავდა ახ.წ. III ს-ის 1 სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 მახვილი, 1 სატევარი, 18 ისრისპირი,** რკინისა, დაშლილი [ნიკოლაიშვილი 1978].

### ითხვისი (რუკაზე № 38)

(ტაბ. XXX,1-14)

სოფ. ითხვისის (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) სამხრეთით, მდ. ყვირილის მარცხენა შენაკადის - მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ჩილათაზე შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 21 სამარხი. იარაღს შეიცავდა სამი (№№ 2, 6, 21) სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 შუბისპირი: წაგრძელებულ რომბისებური (№ 2 სამარხში); 1 მახვირა (№ 2 სამარხში); 1 ცული - რკინის, ტიპი I (№ 21 სამარხში); 24 ისრისპირი: რკინის, სამფრთიანი, მასრიანი - 10 (№ 2 სამარხში), ორფრთიანი, გრძელმასრიანი - 10 (№ 21 სამარხში); ბრინჯაოსი, სამწახნაგა, მასრიანი - 4 (№ 21 სამარხში); 2 ბუნიკი: რკინის - 1, ბრინჯაოსი - 1 (სამარხი № 2); 1 მუჯირა, რკინის, კონუსისებური (№ 6 სამარხში).** მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006].

### ინაშაური (რუკაზე № 39)

(ტაბ. XXX,17)

სოფ. ინაშაურში (ვანის მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩენილია ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებული სამარხი. სამარხეულ კომპლექსში შედიოდა შემდეგი საბრძოლო იარაღი – რკინის **მახვილი**, ორი **შუბისპირი** და **ცული**. მასალის ნაწილი (მახვილი) დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [ხარაბაძე 2003].

### კაზრეთის „თელების ველი“ (რუკაზე № 40)

(ტაბ. XXX,15)

დაბა კაზრეთში (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), კაზრეთის პარკის ტერიტორიაზე, ადგილ თელებისველზე შესწავლილია ძვ.წ. II საუკუნის დასასრულისა და ძვ.წ. I ს-ის 9 სამარხი, სადაც ორ-ორი ან მეტი მიცვალებული იყო დაკრძალული. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 შუბისპირი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში [სინაურიძე 1985].

### კალდახუარა (რუკაზე № 41)

(ტაბ. XXXII,1-3)

სოფ. კალდახუარაში (გუდაუთის მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩენილია და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გათხრილია ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული სამარხი, რომელიც საბრძოლო იარაღს შეიცავდა. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 შუბისპირი - ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი; 1 მახვილი - ორპირლესული; 1 ცული – ტიპი II** [Барцызц 2003].

### კამარახევი (რუკაზე № 42)

(ტაბ. XXXI,1-15)

სოფ. წინამურის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) სამხრეთით, მდ. არაგვისა და მისი შენაკადის დიდი კამარახევის მარცხენა ნაპირზე შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 190 სამარხი, დაკრძალვა ინდივიდუალურია. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 27. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **24 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი - 3 (№№ 6, 19, 24 სამარხებში), რომბისებურპირიანი - 1 (№ 131 სამარხში), მასრაგახსნილი, ქედიანი - 3 (№№ 67, 80, 154, სამარხებში); 17 ფორმა გაურკვეველია (№№12, 20, 24, 27 (2 ც.), 30, 32, 33, 38 (2 ც.), 39, 47, 51, 95, 98, 109, 123, 150, 152, 153, 154, 155, 156, 157, 169,170, 172, 176 სამარხებში); 5 მახვილი: ფორმა გაურკვეველია - 1(№ 8 სამარხში), ცალპირლესული - 2 (№№6, 24 სამარხებში), სწორპირიანი - 2 (№№ 33, 67 სამარხებში); 1 ცული – ფორმა გაურკვეველია, დაშლილი (№131 სამარხში); 12 ისრისპირი: ძვლის, კონუსური - 11 (№№ 24, 69 სამარხებში), რკინის, ფორმა გაურკვეველია – 1 (№ 30 სამარხში); 1 ფარი – ბრინჯაოსი (№ 27 სამარხში); 1 მუზარადი – ბრინჯაოსი (№ 27 სამარხში). მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში [რამიშვილი 1959; ჯღარკავა 1982].**

### კელასური (რუკაზე № 43)

(ტაბ. XXX,16)

აფხაზეთში, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე მიკვლეულია ბრინჯაოს ქალკიდური მუზარადის ფრაგმენტები (ძვ.წ. V-IV სს.) [Куфтин 1949; Воронов 1969].

### კეხვი (რუკაზე № 44)

ცხინვალის მუნიციპალიტეტში, სოფ. კეხვი, ძვ.წ. VII-V სს-ის სამაროვანზე შესწავლილია 6 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: შუბისპირი, რკინისა - 1; ისრისპირი, ბრინჯაოსი - 1 [Гаглоев 1986; Гаглоев 1987].

### კიკეთი (რუკაზე № 45)

(ტაბ. XXXII,4)

სოფ. კიკეთში (თბილისის გარეუბანი), თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ განშტოებაზე, თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 34 კმ-ში, მდ. ასურეთისხევის სათავესთან შესწავლილ სამაროვანზე გათხრილია ძვ.წ. V-IV სს-ის 5 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: შუბისპირი, რომბისებურპირიანი - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში [დავლიანიძე 1983].

### კირცხი (რუკაზე № 46)

(ტაბ. XXXII,5-7)

სოფ. კირცხში (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის საბრძოლო იარაღი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: სატევარი - რკინის, ძელაკისებური ტარისთავით, ორპირლესული - 1; 2 შუბისპირი: ისრისმაგვარი - 1, მორგვალეზულმხრებიანი - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.

### კლდეეთი (რუკაზე № 47)

(ტაბ. XXXIII,1-7)

კლდეეთის სამაროვანი მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა კლდეეთში. ძეგლზე გაითხარა ახ.წ. II საუკუნის 7 სამარხი და შეგროვდა ამავე პერიოდის, სავარაუდოდ, 4 დარღვეული სამარხის ინვენტარი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: 5 შუბისპირი: მომრგვალეზულმხრებიანი - 3 (№ 4 სამარხში), ნაგრძელეზულ სამკუთხაპირიანი - 1 (№ 4 სამარხში), ვიწროპირიანი - 1 (დარღვეული სამარხებიდან); ცული - ტიპი I, ქვეტიპი გ - 1 (დარღვეული სამარხებიდან შეგროვებული მასალა); მახვილი - ორპირლესული, მოკლე ყუნწიანი - 1 (№ 3 სამარხში); 2 სატევარი - ორპირლესული (№ 4 სამარხში და დარღვეული სამარხებიდან); საბრძოლო დანა (მახაირა?) - ცალპირლესული, მოხრილი - 1

(დარღვეული სამარხებიდან); **ლახტისთავი** - ბრინჯაოსი (დარღვეული სამარხებიდან); **20 ისრისპირი**: რკინის, **სამფრთიანი, ყუნწიანი** (№ 4 სამარხში); **ჯაჭვის პერანგი, 2 ფრაგმენტი** - ბრინჯაოსი, ერთი **3** რგოლისაგან შედგება, მეორე კი 50-მდე რგოლისაგან (დარღვეული სამარხებიდან). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საგანძურისა და არქეოლოგიის ძირითად ფონდებში [ლომთათიძე 1957; ფუთურიძე 1959].

### **კოთიში (რუკაზე № 48)**

(ტაბ. XXXIII,8)

სოფ. კოთიშის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, მარნეულიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ში) მახლობლად, რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე შესწავლილია ძვ.წ. IV-III სს-ის 8 სამარხი (დაკრძალვა ინდივიდუალურია). იარაღი ერთ (№ 2) სამარხშია დაფიქსირებული. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **სატევარი - ცალპირლესული, დაშლილი** (№ 2 სამარხში). მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [შატბერაშვილი 2005; Shatberashvili 2008].

### **კოხი (რუკაზე № 49)**

(ტაბ. XXV,8)

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე კინტრიშის ხეობაში, სოფ. კოხში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს დაზიანებული, **ქალკიდური მუზარადი**. ინახება ქობულეთის მუზეუმში [Лордкиपანიძე Г. 1978].

### **კუმისი (რუკაზე № 50)**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. კუმისის დასავლეთით, შინატეხის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „წვერაზე“ გათხრილია ძვ.წ. V საუკუნის 1 სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** (პირის ფორმა არ იკითხება) - 1; **ისრისპირი** - ბრინჯაოსი, **სამფრთიანი, ღრუმასრიანი, ღეზიანი** - 1 [დავლიანიძე 1983].

### **ლია (რუკაზე № 51)**

(ტაბ. XXXIII,10)

სოფელ ლიაში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, ბორცვ „დიდა ქირსას“ ჩრდილო-დასავლეთის ფერდზე გათხრილ ახ.წ. I-III სს-ის სამაროვანზე აღმოჩენილია 20 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **ცული - I ტიპი - 1; 2 მახვილი: ორპირლესული - 1, ორპირლესული, ტარრგოლიანი - 1; შუბისპირი - 3** [წითლანაძე 1973; ჯაფარიძე 2006].

### **მანგლისი (რუკაზე № 52)**

(ტაბ. XXXIII,9)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში, XIX საუკუნის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე გათხრილ სამაროვანზე დაფიქსირდა ძვ.წ. V საუკუნის

3 სამარხი. საბრძოლო იარაღი ერთ სამარხშია: **ცული - ტიპი I**, ქვეტიპი **გ** (№ 3 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში [დავლიანიძე 1983; მელიქსეთბეგი 1924].

### **მახვანი (რუკაზე № 53)**

(ტაბ. XXXIV,1-2)

ქუთაისიდან 18 კმ-ში, მახვანი (სავარაუდოდ სოფ. ნამახვანი) შემთხვევით მოპოვებულია რკინის საბრძოლო იარაღი, რომელიც სავარაუდოდ, ანტიკური ხანით თარიღდება. **3 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი - 2, ვიწროპირიანი - 1; 3 მახვილი.** მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.

### **მოდინახე (რუკაზე № 54)**

(ტაბ. XXXIV,3-9)

საჩხერის მუნიციპალიტეტში, მოდინახეს ციხის ცენტრალურ ტერასაზე გათხრილია ახ.წ. IV საუკუნით დათარიღებული 80 სამარხი, აქედან საბრძოლო იარაღს შეიცავდა - 9. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **9 სატევარი - ორპირლესული (№№ 8, 9, 10, 12, 22(3 ც.), 27, 32 სამარხებში); მახვილი - 1 (№ 14 სამარხში); 3 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი, დეზიანი - 2 (№№ 10, 21 სამარხებში), დაშლილი - 1 (№ 20 სამარხში); ისრისპირი - რკინისა, ყუნწიანი - 1 (№ 22 სამარხში); უმბონი, რკინისა - 1 (№ 10 სამარხში).** მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში [ნადირაძე 1975; ბრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002].

### **მუხათგვერდი II (რუკაზე № 55)**

მუხათგვერდი II-ის სამაროვანი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. მუხათგვერდის აღმოსავლეთით. ძეგლზე გაითხარა ძვ.წ. IV-III საუკუნეების 14 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 შუბისპირი.** მასალა დაცულია მცხეთის მუზეუმში [აფაქიძე და სხვ. 1982].

### **ნატახტარი II (რუკაზე № 56)**

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარის მიდამოებში შესწავლილია ძვ.წ. IV-III საუკუნეების 220 სამარხი, გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ანგარიშები. საბრძოლო იარაღიდან აღმოჩენილია: რკინის **შუბისპირები, სატევრები, ბრინჯაოს ისრისპირები, ბრინჯაოს ფორფიტოვანი აბჯრის ნაწილები, ბრინჯაოს ფარი.** მასალა ინახება მცხეთის მუზეუმში [აფაქიძე და სხვ. 2004].

### **ნაურიალი (რუკაზე № 57)**

(ტაბ. XXXV,1-6)

ნაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მცხეთიჯვართან, მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე შესწავლილ „ნაურილის“ სამაროვანზე ძვ.წ. VI-III სს-ით თარიღ-



დება 53 სამარხი, აქედან იარალი ექვს სამარხში დაფიქსირდა. საბრძოლო იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **4 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** – 1 (№ 76 სამარხში), **ვინროპირიანი** - 2 (№ 104 სამარხში); ფორმა არ იკითხება – 1 (№ 14 სამარხში); **სატევარი** - რკინისა, ბრინჯაოს ტარისტავით - 1 (№ 76 სამარხში); **3 ცული: ტიპი I**, ქვეტიპი ა - 1 (№ 24 სამარხში), **ტიპი I**, ქვეტიპი ბ - 1 (№ 25 სამარხში), **ტიპი I**, ქვეტიპი დ - 1 (№ 104 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში [დავითაშვილი 2002; დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010].

### **ნაცარგორა (რუკაზე № 58)**

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაცარგორასთან შესწავლილია ძვ.წ. VI-IV საუკუნეების 72 სამარხი. მასალა ნაწილობრივია გამოქვეყნებული. იარაღის სახეობები: ბრინჯაოს **სამფრთიანი ისრისპირები**, რკინის **შუბისპირები**. მასალა ინახება ხაშურის მუნიციპალურ მუზეუმში [ნარიძე 1989].

### **ნერონ-დერესი (რუკაზე № 59)**

(ტაბ. XXXV,7)

ნალკის მუნიციპალიტეტში, ნალკიდან ჩრდილო-დასავლეთით 22 კმ-ში, სოფ. სანთას სამხრეთ-დასავლეთით, ნერონ-დერესის ხევის აღმოსავლეთ ნაპირას გათხრილ ანტიკური ხანის ძეგლზე, ძვ.წ. I საუკუნის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა **1 სამწახნაგა, მრგვალგანიკვეთიან ყუნწიანი**, რკინის **ისრისპირი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდში [გაგოშიძე 1982; Куфтин 1941].

### **ნეძიხი (რუკაზე № 60)**

(ტაბ. XXXV,8-10)

მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე სოფ. ნეძიხის ახალი დასახლების ტერიტორიაზე გათხარა III-IV საუკუნეების 223 სამარხი, სადაც აღმოჩნდა რკინის **შუბისპირები** და **უმბონები**. გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ანგარიშები. მასალა ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე [Рамишвили и др. 1987].

### **ნოქალაქევი (რუკაზე № 61)**

(ტაბ. XXXVI,1-5)

სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 18 კმ-ზე, მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე, ნოქალაქევის (არქეოპოლისი) ნაქალაქარზე (სენაკის მუნიციპალიტეტი) გათხრილ ძვ.წ. III-I საუკუნეების ელინისტური ხანის სამაროვანზე (18 სამარხი) და ახ.წ. IV-VI სს-ის კულტურული ფენებში (თავდაცვით კედელთან და სასახლის ტერიტორიაზე) დაფიქსირებულია იარაღი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 2 (№ 4 ქვევრსამარხთან, თავდაცვით კედელთან); **მუზარადის კარკასი**, რკინის - 1; **ცული**, რკინის, **ტიპი III** - 1 (IV-VI სს. კულტურული ფენიდან); რკინის **ისრისპირი** - რამდენიმე ათეული. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში [გვინჩიძე 1981; Леквинадзе, Хведелидзе 1981; იაშვილი, ზამთარაძე 1981].

## ოლგინსკოე (რუკაზე № 62)

გულრიფშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოლგინსკოესთან, მდ. ბარიალის მარცხენა ნაპირას შესწავლილია ახ.ნ. III-IV სს-ის 18 კრემაციული სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **მახვილი - ორპირლესული, დაგრებილი ყუნწით** - 1 (№4 სამარხში); **7 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 5 (№№ 2,4,5,6 სამარხებში), მაღალქედისანი, **პირის ფორმა გაურკვეველია** - 1 (№ 10 სამარხში), **შუბისპირის მასრა** - 1 (№ 5 სამარხში); **ცული - ტიპი III** - 1 (№ 6 სამარხში). ასევე ამავე მიდამოებში შემთხვევით ნაპოვნია რკინის **შუბისპირები** - 4 ცალი, **შუბისპირის მასრები და რკინის ცულები** - 7 ცალი [გძელიშვილი 1947; ფუთურიძე 1959].

## პაპიგორის სამაროვანი (რუკაზე № 63)

(გაბ. XXXVI,7-8)

თბილისი-თეთრიწყაროს საავტომობილო გზიდან სამხრეთით, სოფ. შავსაყდარის გადასახვევთან, ენაგეთის ხევის მარცხენა ნაპირზე, ადგილ „პაპიგორაზე“ (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) გათხრილია ძვ.წ. IV საუკუნისა და ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის 79 სამარხი, დაკრძალვა ინდივიდუალურია (№ 44-ის გამოკლებით, სადაც ორი მიცვალებულია). იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 7. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **5 შუბისპირი: გაურკვეველი ფორმის** (№№ 1, 7, 8, 15, 67 სამარხებში); **2 მუჯირა: კონუსური** (№№ 26, 68 სამარხებში). მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [მარგიშვილი, ნარიშვილი 2004; ტუშიშვილი, მარგიშვილი 1991].

## ჟინვალის სამაროვანი (რუკაზე № 64)

(გაბ. XXXVII,1-14)

ჟინვალის სამაროვანი მდებარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჟინვალის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაფუძვრებში“, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირის ტერასაზე. დღეს ტერიტორია წყლითაა დაფარული. ძეგლზე გათხრილია - ძვ.წ. I საუკუნის 2 სამარხი (იარაღი არ არის), ახ.წ. I საუკუნის - 11 (იარაღი არ არის), II საუკუნის - 29 (საბრძოლო იარაღი 7-ში), III საუკუნის - 123 (საბრძოლო იარაღი 5-ში), IV საუკუნის - 104 (იარაღი 3-ში). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **6 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 3 (ახ.წ. II ს. №№ 277, 574, 282 სამარხებში), **ვინოპირიანი** - 1 (ახ.წ. II ს. № 492 სამარხში), **ფორმა გაურკვეველი** - 2 (ახ.წ. II ს. № 587 სამარხში, ახ.წ. III ს. № 556 სამარხში); **4 მახვილი: ორპირლესული, ტარრგოლიანი** - 2 (ახ.წ. II ს. №№ 277, 282 სამარხებში); **ფორმა გაურკვეველი** - 1 (ახ.წ. III ს. № 479 სამარხში), **ორპირლესული, ყუნწიანი** - 1 (ახ.წ. IV ს. № 525 სამარხში); **6 სატევარი: ფორმა გაურკვეველი** - 3 (ახ.წ. II ს. №№ 277, 587 სამარხებში, ახ.წ. III ს. № 556 სამარხში), **ორპირლესული, ფართოპირიანი, ძელაკისებური ვადით** - 2 (ახ.წ. III ს. № 110 სამარხში, ახ.წ. IV ს. № 525 სამარხში), **ცალპირლესული, ყუნწიანი, ძელაკისებური ვადით** - 1 (ახ.წ. IV ს. № 15 სამარხში); **7 ისრისპირი: რკინის, სამფრთიანი** - 6 (ახ.წ. II ს. №№ 355, 590 სამარხებში, ახ.წ. IV ს. № 527 სამარხში (4 ც.), **ვერცხლის, სამფრთიანი, დეზიანი** - 1 (ახ.წ. III ს. № 589 სამარხში); **ფარის უმბონი, რკინის** - 1 (ახ.წ. III ს. № 357 სამარხში). მასალა ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე [ჩიხლაძე 2015].

### რგანი (რუკაზე № 65)

(ტაბ. XXXVIII,1-12)

სოფ. რგანში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი), მდ. ჭერულის ხეობაში, ადგილ „სიკიპარზე“ გათხრილია ახ.წ. III-V სს-ის 47 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 11. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 შუბისპირი**: რკინის, **მხრებმომრგვალებული** - 2 (№№ 2, 31 სამარხებში, № 31 სამარხის შუბისპირს მასრაზე დეზი აქვს), **პირის ფორმა გაურკვეველია** - 1 (№ 1 სამარხში); **სატევარი**, რკინის - 7; **მახვილი**, რკინის - 3; **ცული**, რკინის - 1 (№ 25 სამარხში); **ისრისპირი**, რკინის, **სამფრთიანი, ყუნწიანი** - 2 (№ 15 სამარხში); **უმბონი**, რკინის, **კონუსური ფორმის** - 1 (№ 15 სამარხში); **ლახტისთავი**, რკინისა, **ოთხქიმიანი** - 1 (№ 3 სამარხში). მასალა ინახება შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში [ბრაგვაძე 2000].

### საირხე (რუკაზე № 66)

(ტაბ. XXXIX,1-8)

სოფელ საირხეში (საჩხერის მუნიციპალიტეტი), **საბადურის გორაზე** გამოვლენილია ნაქალაქარი (ძვ.წ. VIII-ახ.წ. I სს.) და ძვ.წ. V-III სს. სამარხები. შესწავლილი 14 სამარხიდან საბრძოლო იარაღი დაფიქსირდა ორ სამარხსა და საკულტო ორმოში. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** - მასრების ფრაგმენტები - 2 (№ 8 სამარხში); **6 ისრისპირი**: ბრინჯაოსი, **მასრიანი, სამფრთიანი** - 4 (№№ 5, 8 სამარხებში), ბრინჯაოსი, **სამფრთიანი, დეზიანი** - 2 (№ 8 სამარხში); **აბჯრის ფრაგმენტები**, რკინის, **ქერცლოვანი** (№№ 5, 8 სამარხებში და საკულტო ორმოში).

ამავე სოფელში, **გულიაშვილების უბანში** შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. III-II საუკუნეების სამარხეული კომპლექსი, რომელშიც ერთი **შუბისპირი** იყო. მასალა ინახება შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში [მახარაძე, წერეთელი 2002; მახარაძე, წერეთელი 2007].

### სამადლო (რუკაზე № 67)

(ტაბ. XXXVI,6)

სოფ. ძეგვთან (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამოვლენილ სამადლოს ანტიკური ხანის ნაქალაქარზე გათხრილ ძვ.წ. III საუკუნის აკლდამაში დაფიქსირებულია ბრინჯაოს **ორფრთიანი, მასრიანი, დეზიანი ისრისპირი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში [Гагошидзе 1979].

### სანთა (რუკაზე № 68)

(ტაბ. XXXVI,10)

სოფ. სანთში (წალკის მუნიციპალიტეტი), თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე გათხრილია ძვ.წ. IV საუკუნის 2 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 შუბისპირი**: ფორმა გაურკვეველია (№ 1 სამარხში - 2 ც., № 2 სამარხში - 1 ც.); **ცული** - **ტიპი I**, ქვეტიპი **გ** - 1 (№ 2 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდში [გაგოშიძე 1982; Куптин 1941].

### სარკინე (რუკაზე № 69)

მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, ჯოჯოხეთის ხევიდან მდ. ქსნამდე და ნასტაგისამდე, სავანეთის ქედსა და გრძელმინდორზე შესწავლილია ძვ.წ. II-ახ.წ. II საუკუნეებით დათარიღებული, დიდი მცხეთის უბანი სარკინე, რომლის რკინის დამამუშავებელ სახელოსნოში და კულტურულ ფენებში მიკვლეულია საბრძოლო იარაღი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **37 ისრისპირი: სამფრთიანი, ყუნწიანი** (კულტურული ფენებიდან); **2 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** (რკინის გამოსადნობი სახელოსნოდან). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდსა და მცხეთის მუზეუმში [აფაქიძე 1959; აფაქიძე 1963].

### სიმონეთი (რუკაზე № 70)

(ტაბ. XXXVI,9)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიმონეთში შემთხვევითაა მოპოვებული, სავარაუდოდ ადრეანტიკური ხანის, ორი **ჩუგლუგი**. მასალა ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

### სოხუმის მთა (რუკაზე № 71)

(ტაბ. XL,1-18)

სოხუმის მთა ქალაქ სოხუმს ეკვრის ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან და მდინარეების ჰაქეფსისა და ბესლეთის წყალგამყოფ ქედს წარმოადგენს. აქ გამოვლენილია კულტურული ფენები და 11 სამარხი, რომლებიც ძვ.წ. V-II საუკუნეების მასალას შეიცავდა. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 10. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **25 შუბისპირი: ვიწროპირიანი - 6 (№№ 2, 6 სამარხებში), წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი - 1 (№ 12 სამარხში), მომრგვალებულმხრებიანი - 5 (№№ 6, 8, 12 სამარხებში), მომრგვალებულგვერდებიანი - 6 (№№ 3, 9, 11 სამარხებში და შემთხვევით), ისრისებურპირიანი - 2 (№№ 2, 5 სამარხებში), მოკლე პირიანი და გრძელ, ოთხკუთხა „წელიანი“ - 3 (№ 8 სამარხში), ხიშტისმაგვარი - 2 (№№ 4, 10 სამარხებში); ბუნიკი - რკინის, კონუსური, მასრაგახსნილი - 3 (№ 9 სამარხში); მახვილი - სუსტად გაფორმებული ტარისთავით - 1 (№ 8 სამარხში); 3 აკინაკი: სეგმენტისებრგანიკვეთიანი ტარისთავით - 2 (№№ 2, 5 სამარხებში), ანტენისებური ტარისთავით - 1 (№ 4 სამარხში); 9 ცული: ტიპი II, ქვეტიპი ა - 2 (№№ 2, 6 სამარხებში), ტიპი I, ქვეტიპი ბ - 2 (№№ 10, 12 სამარხებში), ტიპი II, ქვეტიპი ბ - 4 (№№ 3, 4, 6, 8 სამარხებში), ყუადაზიანებული - 1 (№ 3 სამარხიდან). სავარაუდოდ, მასალა ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ან აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში [კალანდაძე 1954; ღვრიკველია 1981].**

### სტირფაზი (რუკაზე № 72)

(ტაბ. XLI,6-9)

დაბა ჯავიდან 4 კმ-ზე, მდ. დიდი ლიხვის მარცხენა ნაპირზე ახ.წ. I-V სს-ის 62 სამარხია შესწავლილი. საბრძოლო იარაღი ერთ სამარხსა (№ 49) და სამაროვნის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2**

**შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი -1** (ახ.წ. I-II სს-ის № 49 სამარხში), **ხიშტიცხური - 1** (ახ.წ. I-II სს., კომპლექსს გარეთ); **მუჯირა, კონუსური - 1** (ახ.წ. I-II სს., კომპლექსს გარეთ); **ისრისპირი, ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მასრიანი - 1**(ახ.წ. I-II სს., კომპლექსს გარეთ). მასალა ინახება ცხინვალის მუზეუმში [Гаглоев 1984].

### **სხალთა (რუკაზე № 73)**

(ტაბ. XLI,1-5)

თეთრინწყაროს მუნიციპალიტეტში, თეთრინწყაროდან სამხრეთით 3 კმ-ში, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის სამხრეთით, 300-ოდე მეტრში, ადგილ სხალთაზე შესწავლილია ძვ.წ. IV-III საუკუნეების 60 სამარხი, დაკრძალვა ინდივიდუალურია. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **4 შუბისპირი: რომბისებურპირიანი - 1** (№ 13 სამარხში), **ვინოპირიანი - 3** (№№, 20, 36, 37 სამარხებში), **ფრაგმენტი - 1** (№ 13 სამარხში); **3 ცული - ტიპი I, ქვეტიპი ბ** (№ 18 და დანგრეულ სამარხებში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2010].

### **ტახტიძირი (რუკაზე № 74)**

ქარელის მუნიციპალიტეტში, ადგილ წითელბეგებზე, სოფ. ტახტიძირთან შესწავლილია ძვ.წ. IV-III სს-ის 26 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** (№ 8 სამარხში); **2 ცული: ტიპი I, ქვეტიპი ბ** (№№ 7, 8 სამარხებში); **მახვილი** (მახაირა) - 1 (№ 8 სამარხში); ცხენის **სამკერდული აბჯრის ფირფიტები** - ძვლისა (№ 8 სამარხში). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში [გაგოშიძე 2011; გოგიბერიძე 2011].

### **უფლისციხე (რუკაზე № 75)**

(ტაბ. XVIII,3)

გორის მუნიციპალიტეტში, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოსანების კლდოვანი სამარხი, რომელიც შეიცავდა საბრძოლო იარაღს. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი, რკინის, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი -1; 2 საბრძოლო ეტლის ნაწილები**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში [ყიფიანი 2000].

### **ფერეთა (რუკაზე № 76)**

(ტაბ. XLII,1-2)

ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფერეთაში, ადგილ სერისძირზე გათხრილია 1 სამარხი, რომელიც ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **4 შუბისპირი: რკინის, მომრგვალებულმხრებიანი - 1**, ნაკლული - 3; **ცული - დაბალყუიანი**, აქვს სწორი შუბლი და ასიმეტრიული პირი - 1 [ხარაბაძე 2001].

## ფიჭვნარი (რუკაზე № 77)

(ტაბ. XLIII,3-8)

დღევანდელი ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ფიჭვნარში, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისთან აღმოჩნდა ანტიკური ხანის სხვადასხვა პერიოდის სამარხები: 418 ე.წ. ბერძნული ნეკროპოლიდან (ძვ.წ. V-IV სს.); 383 კოლხურიდან (ძვ.წ. V ს.); 238 ელინისტური ხანის ნეკროპოლიდან (IV-III სს.); 6 ახ.წ. IV-V სს. იარაღიანი სამარხების რაოდენობა: 8 (ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნული და კოლხური სამაროვნიდან), 5 (ძვ.წ. IV-III სს-ის სამაროვნიდან), 4 (ახ.წ. IV-V სს-ის სამაროვნიდან) – სულ 17. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **ძვ.წ. V-IV სს: 3 შუბისპირი** - რკინის, **ხიშტისებური** (№ 158 სამარხში); **მუჯირა** - რკინის, **კონუსური** (№ 336 სამარხში); **აბჯრის ფირფიტა** - ბრინჯაოსი, **ქერცლისებრი** (№ 363 სამარხში); **85 ისრისპირი** – ბრინჯაოსი, **სამფრთიანი, მასრიანი** - 18 (№ 15 სამარხში), - 1 (№ 37 სამარხში), - 63 (№ 158 სამარხში), - 1 (№ 292 სამარხში), - 1 (№ 326 სამარხში), **კაჟის, სამკუთხა** – 1 (ბერძნული ნეკროპოლის სააღაპო მოედანზე). **ძვ.წ. IV-III სს.: 2 შუბისპირი** - რკინის, **პირის ფორმა არ იკითხება** (№№ 161, 231 სამარხებში); **2 აკინაკი** - რკინის (№№ 161, 231 სამარხებში); **2 ცული** - რკინის, **ტიპი I** (№№ 161, 231 სამარხებში); **მუჯირა** - რკინის, **კონუსური** (№ 91 სამარხში); **აბჯრის 8 ფირფიტა**: ბრინჯაოსი, **ქერცლისებური** - 7 (№ 55 სამარხში), - 1 (№ 95 სამარხში). **ახ. წ. IV-V სს.: 3 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** – 1 (№ 177(3) სამარხში), - 1 (№ 178(4) სამარხში), - 1 (№ 179(5) სამარხში); **4 ცული**: რკინის, **მომრგვალებულ ყუისთავიანი** - 1 (№ 178 (4) სამარხში), ე.წ. **ნებელდური** – 1 (№ 179 (5) სამარხში), **ტიპი I** - 2 (№№ 323, 177(3) სამარხებში). მასალა ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში [კახიძე, ვიკერსი 2004; კახიძე 2007; კახიძე, ვაშაკიძე 2010; კახიძე, ვიკერსი 2014; Кахиძе 1981].

## ქასრანთ მიწები (რუკაზე № 78)

(ტაბ. XLIII,1-3)

კასპის მუნიციპალიტეტში, ციხიაგორას ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადგურ კავთისხევიდან სოფ. კავთისხევში მიმავალი სამანქანო გზის მე-3 კმ-ზე, ადგილ „ქასრანთმიწებზე“ შესწავლილია ძვ.წ. VI-IV სს-ის სამაროვანი. 30 ორმოსამარხიდან საბრძოლო იარაღი 3-ში დაფიქსირდა. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი: რომბისებურპირიანი** - 1 (№ 28 სამარხში), **მომრგვალებულმხრებიანი** - 1 (№ 28 სამარხში); **2 სატევარი: ცალპირლესული** (№№ 18, 24 სამარხებში). მასალა ინახება კასპის მუნიციპალურ მუზეუმში [ბერაძე 1980].

## ქვიანი (რუკაზე № 79)

(ტაბ. XLIII,6)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიანში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს დაზიანებული, **ქალკიდური მუზარადი**. ინახება ლანჩხუთის მუზეუმში [გამყრელიძე 2002].

## ქლივანა I (რუკაზე № 80)

ცხინვალის მუნიციპალიტეტში, მდ. მეჯუდას ხეობაში სოფ. ქლივანასთან,

სოფლიდან ჩრდ.-აღმ.-ით 200 მ-ზე შესწავლილია ძვ.წ. VI-IV სს-ის 32 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი**, ფრაგმენტი (№ 15 სამარხში); **3 ისრისპირი**: ბრინჯაოსი, **სამფრთიანი** – 2 (№ 15 სამარხში), ძვლისა – 1 (№ 3 სამარხში); **სატევარი** – 1 (№ 15 სამარხში); **აკინაკი** – 1 (№ 15 სამარხში); **ცული** – 2 (№ 15 სამარხში) [Сланов 1983].

### **ქლივანა II (რუკაზე № 81)**

სოფ. ქლივანას (იხ. ზემოთ) ჩრდილოეთით 800 მ-ში შესწავლილია ძვ.წ VI-II სს-ის 30 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** ბუნიკით - 1 (№ 22, ე.წ. მეომრის სამარხში); **სატევარი** - 1 (№ 22, ე.წ. მეომრის სამარხში); **მუჯირა** – 1 (№ 1 სამარხში); **ცული** - 2 (№№ 1, 22-მეომრის სამარხებში) [Сланов 1986; Гаглоев, Сланов 1988].

### **ქუთაისი (რუკაზე № 82)**

(ტაბ. XLIII,8)

ქ. ქუთაისში, შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს **ქალკიდური მუზარადი**. ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში.

### **ლოუბანი (რუკაზე № 83)**

თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ლოუბნის ჩრდილო განაპირას, ადგილ საკრაველზე შესწავლილია ძვ.წ. IV-II სს-ის 26 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი** - 2. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტში [ამირანაშვილი 1997].

### **ღრმახევისთავი (რუკაზე № 84)**

(ტაბ. XLIII,4-5)

დმანისის მუნიციპალიტეტში, დმანისის ნაქალაქარის მახლობლად, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ვარდისუბნის მიდამოებში, ადგილ ღრმახევისთავზე შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 43 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 6. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **6 შუბისპირი**: **მომრგვალებულმხრებიანი** – 3 (№№ 74, 93, 108 სამარხებში), პირის ფორმა გაურკვეველია – 3 (№№ 71, 60, 113 სამარხებში); **ისრისპირი** - ბრინჯაოსი, **ორფრთიანი, დეზიანი** (№ 113 სამარხში) [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980].

### **ყანჩანთ სოფელი (რუკაზე № 85)**

დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოსლების მიმდებარე ტერიტორიაზე შესწავლილია ახ.წ. I-IV საუკუნეების 22 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტში, მზადდება გამოსაქვეყნებლად.

## ყანჩაეთი (რუკაზე № 86)

(ტაბ. XLIII,7,9-10)

სოფელ ყანჩაეთის (ახალგორის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში, ადგილ „ნიშავაკეზე“ ადგილობრივმა მოსახლეობამ შემთხვევით აღმოაჩინა ძვ.წ. VI-IV სს-ის სამარხი. სამარხში 8 საბრძოლო იარაღი დაფიქსირებული: **6 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** – 1, **რომბისებურპირიანი** – 1, დანარჩენი 4 შუბისპირის ფორმა გაურკვეველია; **მახვილი** – 1, დაჟანგული და დაშლილი; **ცული** – 1, **ტიპი II**, ქვეტიპი **ა**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში [გაგომიძე 1964].

## შავსაყდარა I (რუკაზე № 87)

(ტაბ. XLV,1-10)

თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთის შუა ნელზე, მის მარცხენა ნაპირას, სოფ. შავსაყდარას სამხრეთით, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, ტერასაზე შესწავლილია ძვ.წ. IV-III საუკუნეების 97 სამარხი, საიდანაც 8 დანგრეული იყო, დაკრძალვა ინდივიდუალურია. საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა 15 სამარხში. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **12 შუბისპირი: რომბისებურპირიანი** – 1 (№ 13 სამარხში), **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** – 1 (№ 15 სამარხში), **ვინროპირიანი** - 3 (№№ 16, 26, 34 სამარხებში); **მომრგვალებულმხრებიანი** - 2 (№№ 39, 60\* სამარხებში), ნაკლული – 4 (№№ 60, 79, 89, 95 სამარხებში), **ხიმტისებური** - 1 (№ 61 სამარხში); **2 მუჯირა – კონუსური** (№№ 4, 14 სამარხებში); **ცული** – **ტიპი I**, ქვეტიპი **გ** – 1 (№ 15 სამარხში); **2 ისრისპირი: ბრინჯაოსი, სამფრთიანი და მასრიანი** - 1 (№ 49 სამარხში), რკინის, **ორფრთიანი** - 1 (№ 61 სამარხში). მასალა ინახება თეთრინყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [მარგიშვილი, ნარიშვილი 2004; ლომთათიძე 1989; კვიციანიძე 1975; Тушишвили, Амиранашвили, Маргишвили 1987; Тушишвили, Маргишвили 1991].

## შავსაყდარა II (რუკაზე № 88)

თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, შავსაყდარა I-დან (იხ. ზემოთ) ჩრდილო-დასავლეთით 700 მეტრში შესწავლილია ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისის 16 სამარხი (აქედან 2 ცარიელი). იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1 (№6). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირის მასრა** - 2; **მახვილის ვადა** - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდში [მარგიშვილი 1992; Тушишвили, Амиранашвили, Маргишвили 1987; Тушишвили, Маргишვილი 1991].

## შაშიანი (რუკაზე № 89)

(ტაბ. XLI,11)

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. შაშიანში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. IV-II საუკუნეების დანგრეული სამარხი, რომელშიც სხვა მასალასთან ერთად რკინის ორი **შუბისპირი** იყო: **მომრგვალებულმხრებიანი** - 1; დაზიანებული და დაშლილი - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში.



## შორი (რუკაზე № 90)

(ტაბ. XLI,10)

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, შუა-საუკუნეების ნასოფლარის მიდამოებში, ადგილ შორზე შესწავლია ძვ.წ. VI-V საუკუნეების 22 სამარხი, რომელთაგან 1 სრულიად დანგრეული; დაკრძალვა ინდივიდუალურია. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **6 შუბი**, ფრაგმენტული (№1 თხრილიდან და №№ 6, 9, 11, 20, 22 სამარხებში); **ცული - ტიპი I**, ქვეტიპი **ბ** (№ 6 სამარხიდან) [ტყეშელაშვილი 1969].

## ჩხარი (რუკაზე № 91)

(ტაბ. XLIV,1-9)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხარის ჩრდილოეთ საზღვარზე, მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირას, „ოქონის გორის“ ახ.წ. II-III სს-ის სამაროვანზე გათხრილია 16 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5; იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 სატევარი: ორპირლესული**, წვერი და ტარის ფრაგმენტი - 1 (№ 4 სამარხში); ყუნწის ნაშთით, ვადასთან მოხრილი - 1 (№4 სამარხში); **სწორტარიანი, ქედიანი** (№ 14 სამარხში); **3 მახვილი: ორპირლესული** (№№ 0, 4, 14 სამარხებში); **3 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** (№№ 8, 13, 14 სამარხებში); **6 ისრისპირი: რკინის, სამფრთიანი, ყუნწიანი** (№ 0 სამარხში). მასალა ინახება თერჯოლის მუნიციპალურ მუზეუმში.

სოფ. ჩხარის სასკოლო მუზეუმში დაცულია შემთხვევით მოპოვებული, ახ.წ. I-II სს-ის, რკინის 4 **ტარგოლიანი მახვილი** [ბრაგვაძე 1997; ხარაბაძე 2003].

## ჩხიკვათა (რუკაზე № 92)

(ტაბ. XLIV,10)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხიკვათას ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებულია ძვ.წ. VI-V საუკუნის რკინის, **ვინროპირიანი შუბისპირი**. მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალურ მუზეუმში [კვიციანიძე 1975].

## ჩხორონყუ (რუკაზე № 93)

(ტაბ. XLIV,11-13)

ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში, მდ. ბუმეს (მდ. ოჩხამურის შენაკადი) მარცხენა სანაპიროზე შესწავლილია ახ.წ. II-III სს-ის 350 სამარხი-ურნა. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 მახვილი: ყუნწიანი, ორპირლესული; 6 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი - 2, ვინროპირიანი - 1**, გაურკვეველი ფორმის - **3**. ამავე ტერიტორიაზე შემთხვევითაა აღმოჩენილი რკინის **2 შუბისპირი, 2 სატევარი და 1 მახვილი**. მასალა ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში [Хоштариа1941; ფუთურიძე 1959].

## ციხისძირი (რუკაზე № 94)

(ტაბ. XLV,11-12)

სოფ. ციხისძირში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), პეტრას ციხის ჩრდილოეთით, ზღვისპირა დაბლობის ტერიტორიაზე შესწავლილ სამაროვანზე გათხრილია IV საუკუნის 14 სამარხი. საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა ორში. იარაღის

სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირი - მომრგვალებულმხრებიანი** – 1 (№1 სამარხში); **ცული** - ე.წ. **ნებელდური ტიპისა** - 1 (№ 1 სამარხთან); **სატევარი** - **ცალპირლესული** - 1 (№ 201 სამარხში) [ინაიშვილი1993].

### **ცხეთა (რუკაზე № 95)**

(ტაბ. XLV,13)

ცაგერის სამხრეთით, 15 კმ-ის მოშორებით, სოფელ ცხეთის (ცაგერის მუნიციპალიტეტი) მახლობლად შესწავლილია ანტიკური ხანის სხვადასხვა პერიოდის 15 ორმოსამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა – 4. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **შუბისპირები - მომრგვალებულმხრებიანი** 3 (№№ 10, 14 (ახ.წ. IV ს.) სამარხებში და XV თხრილში); **მუჯირა** - 3 (№ 12 სამარხში ძვ.წ. III-ი სს. - 2 ც., № 10 სამარხში – 1 ც.); **ისრისპირი** – რკინის, დეფორმირებული და ფრაგმენტული 3 ც. (№№ 2 (ახ.წ. IV ს.), 12 (ძვ.წ. III-ი სს.), 14 (ახ.წ. IV ს.) სამარხებში). მასალა ინახება ცაგერის მუზეუმში [სულავა 1996; სულავა 2014].

### **ძევრი (რუკაზე № 96)**

(ტაბ. XLVI,1-13)

სოფ. ძევრის (თერჯოლის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში: ძევრულჭესთან, „საგვარჯილეს“ მღვიმეში და მღვიმის სიახლოვეს, მდ. ძევრულას მარცხენა ნაპირთან, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ფანჩულიძის საკარმიდამო ნაკვეთზე, „ჩიხურასთან“, ე.წ. „კოხის ძირთან“ გათხრილ იქნა სხვადასხვა ტიპის სამარხები, რომლებიც ახ.წ. I-IV სს-ით თარიღდება. საბრძოლო იარაღი 12-ში დაფიქსირდა. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **8 შუბისპირი: მომრგვალებულმხრებიანი** - 4 (ძევრულჭესთან - 1, „ჩიხურასთან“ - 1, „კოხის ძირში“ - 2), **ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** -1 (საგვარჯილეს მღვიმესთან); პირის ფორმა გაურკვეველია - 3 (№№ 65, 73 „საგვარჯილეს“ მღვიმეში და ძევრულას მარცხენა ნაპირთან); **3 მახვილები: ტარგოლიანი** (ძევრულჭესთან – 1, ფანჩულიძის საკარმიდამო ნაკვეთში ორმოსამარხებიდან - 2); **სატევარი** - 2 (საგვარჯილეს მღვიმესთან); **ცული** - 1 (ძევრულჭესთან); **ისრისპირი**, ბრინჯაოსი - 1 (საგვარჯილეს მღვიმეში, №49 სამარხში). მასალის ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში [ფუთურიძე 1959; Куфтин 1950].

### **ნებელდა (რუკაზე № 97)**

(ტაბ. XLVII,1-30)

ნებელდა აფხაზეთის მთიანი რეგიონია, სადაც არქეოლოგიურად შესწავლილია ახ.წ. II-V სს-ის ექვსი ნეკროპოლისი, ძირითადად დარღვეულები; აქედან ხუთი შედარებით უკეთაა დაცული. ესენია: **აბგიძრახუს, ახიაცარახუს, აუახუმახუს, აღრახუს და ახაჩჩარახუს** სამაროვნები. ისინი განლაგებულია ნებელდის დასახლების (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე არსებული ბორცვების ფერდობებზე, რომლებიც ერთიმეორესთან 600 მეტრიდან 1 კილომეტრამდეა დაშორებული. ზემოთ ჩამოთვლილ პირველ ოთხ ბორცვზე გათხრილია 91 სამარხი, აქედან იარაღს შეიცავდა 25 [Трапш 1971], ხოლო მეხუთე ბორცვზე გათხარა 45 სამარხი, სადაც იარაღი დაფიქსირდა 18-ში [Шамба 1970].

**აბგიძრასუ:** 58 სამარხიდან იარაღს შეიცავდა 16 (№№ 3, 6, 9, 12, 13, 14, 27, 31, 35, 41, 43, 44, 47, 54, 57, 58). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **25 შუბისპირი:** ხიშტისებური – 1 (№ 14 სამარხში), მომრგვალებულმხრებიანი – 1 (№ 35 სამარხში); მომრგვალებულგვერდებიანი – 3 (№№ 3, 6 (2 ც.) სამარხებში); ვინროპირიანი – 5 (№№ 9 (2 ც.), 54 (2ც.), 58 სამარხებში); ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი – 15 (№№ 12 (2ც.), 13 (2 ც.), 27 (2 ც.), 31, 41 (2 ც.), 43 (2 ც.), 44, 47 (2ც.), 57 სამარხებში); **5 ცული:** რკინისა, ე.წ. ნებელდური ტიპის (№№ 9, 14, 43, 44, 58 სამარხებში); **6 მახვილი:** რკინისა, ორპირლესული, ყუნწიანი – 5 (№№ 12, 13, 14, 27, 44 სამარხებში), ცალპირლესული - 1(№ 47 სამარხში); **5 მახვილის სამხარილდე:** ვერცხლისა (№ 12 სამარხში), ბრინჯაოსი (№№ 12, 27 (2 ც.), 44 სამარხებში); **სატევარი – ორპირლესული - 1 (№ 44 სამარხში); 50 ისრისპირი:** რკინისა, ყუნწიანი,სამწახნაგა – 5 (№ 27 სამარხში), ყუნწიანი, სამფრთიანი, ვინროპირიანი – 18 (№№ 27 (15 ც.) სამარხში, № 54 (3 ც.) სამარხში), ყუნწიანი, ოთხწახნაგა - 26 (№ 44 სამარხში (1 ც.), № 54 სამარხში (25 ც.)), ბრტყელი, რომბული ფორმის - 1 (№ 44 სამარხში); ხის მშვილდის ძვლის გარსაკრავების ნაშთები (№ 44 სამარხში); ფარის ნაშთები: 6 უმბონი, რკინისა (№№ 6, 9, 27, 41, 43 სამარხებში), ბრინჯაოსი, მოოქრული (№12 სამარხში), რკინისა და ხის ოთხკუთხა ფარის რკინის გარსაკრავი ფირფიტები (№ 54 სამარხში), ხის ოთხკუთხა ფარის ნაშთები (№ 44 სამარხში).

**ახიაცარასუ:**13 სამარხიდან იარაღი იარაღს შეიცავდა 4 (№№ 2, 6, 8, 11). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **6 შუბისპირი:** რკინისა, ხიშტისებური - 1 (№ 6 სამარხში), მომრგვალებულგვერდიანი - 2 (№ 11 სამარხში), ვინროპირიანი - 1 (№6 სამარხში), დეფორმირებული - 2 (№ 6 სამარხში); **2 ცული,** რკინისა, ე.წ ნებელდური ტიპის (№№ 2, 6 სამარხებში); **2 მახვილი,** რკინისა, ორპირლესული, ყუნწიანი (№№ 6, 11 სამარხებში); **მახვილის სამხარილდე,** ბრინჯაოსი (№ 6 სამარხში); **16 ისრისპირი:** რკინისა, სამფრთიანი, ყუნწიანი - 1 (№ 2 სამარხში), სამფრთიანი, განიერი ფრთებით - 2 (№ 2 სამარხში); **სამწახნაგა და სამფრთიანი, ყუნწიანი - 10 (№ 6 სამარხში), ისრის ყუნწები - 3 (№ 11 სამარხში); ფარის უმბონი,** რკინისა - 1 (№ 2 სამარხში).

**აუახუამასუ:** 8 სამარხიდან იარაღს შეიცავდა 4 (№№ 2, 3, 4, 6). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **3 შუბისპირი:** რკინის, ხიშტისებური - 1 (№ 2 სამარხში), ვინროპირიანი - 2 (№№ 2, 4 სამარხებში); **2 ცული,** რკინისა, ე.წ. ნებელდური ტიპისა (№№ 3 და 6 სამარხებში).

**ალრასუ:** 12 სამარხია შესწავლილი, იარაღს შეიცავდა ორი (№№ 3, 8). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი –** რკინის, ვინროპირიანი (№№ 3, 8 სამარხებში); **2 ცული,** რკინისა, ე.წ. ნებელდური ტიპისა (№№ 3 და 8 სამარხებში).

**ახაჩჩარასუ:** სამაროვანზე გამოვლენილი სამარხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არ არის გამოქვეყნებული. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა (გამოქვეყნებული მასალის მიხედვით):**16 შუბისპირი:** ხიშტისებური – 3 (№№ 32, 43 სამარხებიდან და დარღვეული სამარხიდან), მომრგვალებულგვერდებიანი – 1 (№ 12 სამარხიდან), ვინროპირიანი – 4 (№№ 10 (2 ც.), 32 (2 ც.) სამარხში); **ნაგრძელებულ სამკუთხაპირიანი – 8 (№№ 14, 15 (3 ც.), 24 (2 ც.), 43 (2 ც.) სამარხებში); 6 ცული:** რკინისა, ე.წ. ნებელდური ტიპისა – 5 (№№ 15, 32, 42, 43 სამარხებიდან და დარღვეული სამარხიდან), ე.წ. ჩაქუჩისებრყუიანი - 1 (№ 44 სამარხიდან); **2 მახვილი:** რკინისა, ორპირლესული, ყუნწიანი - 1 (№10 სამარხში), ცალპირლესული - 1 (№ 43 სამარხში) [Трапш 1971; Шамба 1970].

## წითელი შუქურა (კრასნი მაიაკი) (რუკაზე № 98) (ტაბ. XLVIII,1-11)

ძეგლი მდებარეობს ქ. სოხუმის დასავლეთით, ქალაქის განაპირას, სოხუმის დაბლობის ფარგლებში განლაგებულ დასახლებაზე „კრასნი მაიაკ“ – წითელი შუქურა, სადაც გამოვლენილია 152 სამარხი - 113 ე.წ. უფროსი ჯგუფისა (ძვ.წ. VIII-V სს.) და 39 ე.წ. უმცროსი ჯგუფის (ძვ.წ. V-II სს.). სამარხები კრემაციულია [ნახევრად], სავარაუდოდ, თითო მიცვალებულით. უფროსი ჯგუფის 113 სამარხიდან იარაღს შეიცავდა 31 სამარხი, აქედან 11 სამარხი წინარეანტიკური ხანისაა. ე.წ. უმცროსი ჯგუფის 39 სამარხიდან კი საბრძოლო იარაღს შეიცავდა 3 სამარხი. იარაღის სახეობები და ტიპები: **29 შუბისპირი**: რკინის, **ვინროპირიანი** - 5 (უმცრ. ჯგ. № 1 სამარხში), **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** -12 (უმცრ. ჯგ. № 1 სამარხში, უფრ. ჯგ. №№ 4, 7(2 ც.), 11(3 ც.), 28(3 ც.), 88(2 ც.) სამარხებში), **მომრგვალებულგვერდებიანი** - 4 (უმცრ. ჯგ. №№ 1, 4, 26(2 ც.) სამარხებში), დაშლილი – 8 (№№ 82, 83, 84, 85 სამარხებში); **აკინაკი, პეპლისებურვადიანი** - 1 (უმცრ. ჯგ. № 1 სამარხში); **მახვილი**, ცალპირლესული – 1 (უმცრ. ჯგ. № 3 სამარხში); **2 ცული**: **ტიპი I**, ქვეტიპი **ბ** (უფრ. ჯგ. №№ 4 და 38 სამარხებში); **ფარის გარსაკრავი** – 1 (უფრ. ჯგ. № 7 სამარხში). მასალა სავარაუდოდ ინახება ან აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ან აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში [Траш 1969; კვირკველია 2001].

## წინანდალი (რუკაზე № 99) (ტაბ. L,8-11)

თელავის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირას, სოფ. წინანდალში 1925 (კატალოგის №№1-24), 1956 (კატალოგის №25) და 1968 (კატალოგის №№26-38) წლებში შეგროვდა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც სავარაუდოდ, სამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს. მასალის სავარაუდო თარიღი ძვ.წ. III-I საუკუნეები უნდა იყოს. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **27 შუბისპირი**: **მომრგვალებულ-მხრებიანი** – 9, **წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი** – 6, **რომბული** -1, **ხიშტისებური** – 1, დანარჩენი 10-ის ფორმა არ იკითხება; **10 დანა**: **მოხრილი**, **ტარიანი**, **ტარზე მანჭვლებით**. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ძირითად ფონდში [ქორიძე 1958].

## წინამური III (რუკაზე № 100)

წინამურის სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე შესწავლილია ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებული 28 სამარხი, აქედან საბრძოლო იარაღი დაფიქსირებულია სამში. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 შუბისპირი**: **მომრგვალებულმხრებიანი** (№ 6 სამარხში); **2 მუჯირა**: **კონუსური ფორმის** (№№ 1 და 5 სამარხებში). მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995].

## წნორი (რუკაზე № 101) (ტაბ. XLIX,1-18)

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირიდან 1,5 კმ-ის დაშორებით, წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მიდამოებში

გათხრილია ძვ.წ. IV საუკუნის 1 სამარხი. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **1 შუბისპირი: ვინროპირიანი; სატევარი -** რკინის, **ბრტყელგრეხილ? ტარიანი - 1; 33 ისრისპირი: ბრინჯაოსი, პირამიდული ფორმის, სამფრთიანი, დეზიანი - 1, პირამიდული ფორმის, სამფრთიანი, უდუზო - 1, რკინის, პირამიდული ფორმის, სამფრთიანი - 1, ძვლის, ნაგრძელეული პირამიდის ფორმის, ოთხნახნაგა, მრგვალლრუიანი - 26, ძვლის, შაშხანის ტყვიის ფორმის - 4; მშვილდის ბუდის (გორიტის) ფირფიტა, ბრინჯაოსი [მამაიაშვილი 1980].**

### **წყნეთი (რუკაზე № 102)**

(ტაბ. L,1)

დაბა წყნეთში შემთხვევით აღმოჩენილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების დანგრეული სამარხი, სადაც დაფიქსირდა რკინის **მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირი.** მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ძირითად ფონდში, № 6-23:1.

### **ჭერემი (რუკაზე № 103)**

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭერემის დასავლეთით 5 კმ-ში შესწავლილია III-IV საუკუნეების 14 სამარხი; აქედან იარაღს შეიცავდა 1 (№2 სამარხი). იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **სატევარი, დაჟანგული და დეფორმირებული, ყუნწიანი; შუბისპირი, დაჟანგული და დეფორმირებული, ქელიანი** [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984].

### **ჯიეთი (რუკაზე № 104)**

(ტაბ. L,2-4)

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინსოფელთან, მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირას, ადგილ ჯიეთში გათხრილია ახ.წ. I-IV საუკუნეების 29 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 3. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 სატევარი: რკინის, ორპირლესული, მკაფიოდ გამოკვეთილი ვადით (№№ 19, 26 სამარხებში); ისრისპირი -** რკინის, სამფრთიანი, გრძელმასრიანი - 1 (№ 19 სამარხში); **2 ცული: რკინის, ცალ მხარეს გაზიდული, ასიმეტრიული პირით -1(№ 26 სამარხში), ე.წ. ნებელდური ტიპის - 1 (№ 27 სამარხში).** მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში [სონდულაშვილი 2006].

### **ჯიმიტი (ივრისპირები) (რუკაზე № 105)**

(ტაბ. XLIX,19-27)

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჯიმიტის მიწებზე, სადულას ტბის ჩრდილოეთით გათხრილია (ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ივრისპირების სამარხები) ძვ.წ. IV საუკუნის 2 სამარხი, იარაღი აღმოჩნდა ორივეში. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა: **2 შუბისპირი: დაშლილი (№№ 1 და 2 სამარხებში); 9 ისრისპირი: ძვლის, პირამიდული, ოთხნახნაგა, ნიბოებდაშვებული - 7 (№ 1 სამარხში), ძვლის, ტყვიისებრი - 1 (№ 1 სამარხში), ბრინჯაოსი, სამფრთიანი - 1 (№1 სამარხში); მშვილდის ბუდის (გორიტის) ფირფიტა, ბრინჯაოსი - 1 (№1 სამარხში).** [მამაიაშვილი 1980].

## ძვ.წ. V-ახ.წ. IV საუკუნეების მეომართა სამარხები

ზემოთ, ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი ანტიკური ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები (106 პუნქტი), სადაც აღმოჩენილია საბრძოლო იარაღი და საჭურველი (ტაბ I, რუკა). ნამოსახლარებზე მიკვლეული იარაღი უმეტესად საბრძოლო მოქმედებებზე მიგვითითებს: ნგრევის ფენებში აღმოჩენილი ქვის ჭურვები, ალიზის კედლებში ჩარჩენილი ისრისპირები, როგორც წესი, მომხდურთა მოქმედებებზე მიგვანიშნებს, ხოლო ნაგებობებში მიკვლეული საჭურველი კი დამცველთა შეიარაღების შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ წარმოდგენას ვერ გვიქმნის იმდროინდელი სამხედროების სოციალურ თუ ქონებრივ მდგომარეობაზე. ასეთი ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ სამარხეული მასალის შესწავლის შედეგადაა შესაძლებელი. ამიტომ, ქვემოთ ყურადღებას სამაროვნებიდან მომდინარე მასალაზე გავამახვილებთ.

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებს შორის, ვარსიმაანთკარის სამაროვანი ერთ-ერთი გამორჩეულია. აქ ძვ.წ. VI-III სს-ის 166 სამარხია გათხრილი, სადაც იარაღი 66-ში დაფიქსირდა [იხ. მუხიგულაშვილი 2015:69-97]. გარდა იმისა, რომ ვარსიმაანთკარის სამაროვანი შესწავლილი სამარხებისა და იარაღის დიდი რაოდენობით გამოირჩევა (სავარაუდოდ, ყველა მამაკაცი შეიარაღებული დაუკრძალავთ), იგი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ აქ იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალულები. გვხვდება სრულად აღჭურვილი მეომრების სამარხები, სადაც ჩაყოლებულია შუბები, მახვილები, ფარი, აბჯარი და მუზარადი. ცხენების თანადაკრძალვა სამ სამარხშია გამოვლენილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხენებიან სამარხებში დაკრძალულები და სრული საბრძოლო კომპლექტით შეიარაღებულები №№ 18, 41, 53, 65, 105, 106 და 132 სამარხებიდან საბრძოლო ქვედანაყოფების მეთაურები იყვნენ, რომელთაც შედარებით მსუბუქად აღჭურვილი მეომრები ექვემდებარებოდნენ. აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე მხოლოდ შუბითა და დანით შეიარაღებული მეომრების სამარხებიცაა წარმოდგენილი, რაც მკვეთრ ქონებრივ განსხვავებაზე მიგვითითებს [იხ. მუხიგულაშვილი 2015].

ცხენის თანადაკრძალვის შემთხვევები ძვ.წ. V-IV საუკუნეების სხვა ძეგლებზეცაა გამოვლენილი: საირხის სამაროვანზე აღმოჩენილია ორი სამარხი ცხენების თანადაკრძალვით - აქედან ბრინჯაოს 5 ისრისპირი, შუბისპირის მასრები და აბჯრის ნაშთები № 8 სამარხშია, ხოლო № 5-ში კი მხოლოდ აბჯრის ნაშთებია (ქვაყრილში) [მახარაძე, წერეთელი 2007:64-66; ნადირაძე 1990:30]. ცხენის თანადაკრძალვის შემთხვევებია დადასტურებული ენაგეთის №№ 1 და 13, შუბებითა და ისრებით შეიარაღებული მეომრების სამარხებში [მარგიშვილი 1992:28-29, 68; მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:62]; ცხენი ჩაუყოლებიათ შავსაყდარა II-ის ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისის № 6 სამარხში, შუბისპირითა და მახვილით შეიარაღებული მეომრისათვისაც [მარგიშვილი 1992:6, 12-15]; არდასუბნის № 3 სამარხში [თუშიშვილი 1970:127-128.130-131], აგრეთვე წნორისა და ჯიმიტის სამარხებში [მამაიაშვილი 1980]. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს კომპლექსი, შეიარაღების გარდა, ისეთ ელემენტებსაც შეიცავს, რომელთა არსებობა დაკრძალულის მაღალ სტატუსზე მეტყველებს. უდავოდ მაღალი რანგის მეომრები დაუკრძალავთ ვანის № 9 სამარხსა (სადაც მეომარს სამი მხრიდან ჰქონდა შემოწყობილი 53 შუბი) იხ. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:202-211] და ეშერის „მეომარ-ქურუმის“ [Шахна 1980:47; Шахна 1972] სამარხებშიაც, რომელთა ინვენტარიც სიმდიდრითა და იარაღის სიუხვით გამოირ-

ჩვეა. აქვე უნდა აღინიშნოს ბალანის კრემაციული სამარხი, რომელიც ასევე გამოირჩეოდა მდიდრული ინვენტარითა და იარაღის სიმრავლით, რომელთა შორისაც ცხენის ბრინჯაოს საშუბლზე აღმოჩნდა [კვირკველია 2001ა:55, სურ.1-3].

საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის სამაროვნები არათანაბრადაა შესწავლილი. ზოგიერთი მხარე, მაგალითად, მცხეთისა და სოხუმის შემოგარენები, ხრამი-ალგეთისა და რიონ-ყვირილას ხეობები და ვანის „ქვეყანა“ უფრო ინტენსიურადაა გამოკვლეული (იხ. რუკა — ტაბ. I) და შესაბამისად, გარკვეული დასკვნების საშუალებას გვაძლევს.

საინტერესოა რიგითი მეომრების განსასვენებლებიც. ქვემო ქართლში 24 იარაღის შემცველი სამაროვანია მიკვლეული და მათ შორის - 22 ძვ.წ V-III საუკუნეებით თარიღდება. იარაღიანი ძეგლების ასეთი სიმრავლე და სიმჭიდროვე ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა (იხ. რუკა - ტაბ. I), ამიტომაც, ეს მხარე, კონკრეტული ეპოქის, კერძოდ კი ძვ.წ V-III სს-ის სურათის მეტ-ნაკლებად აღდგენის საშუალებას იძლევა.

დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლის V-I საუკუნეების მოსახლეობის შეიარაღება საკმაოდ მწირად გამოიყურება და მხოლოდ შეტევითი იარაღითაა წარმოდგენილი. მხოლოდ შეტევითი იარაღი ქონდათ ჩატანებული დანიანურებული ფენის, სავარაუდოდ მხედრული წარმომავლობის მიცვალებულებსაც შავსაყდარა I-დან, არდასუბნიდან და ენაგეთიდან, რომელთა სამარხებთან ცხენებია დაკრძალული.

საინტერესო შედეგებს იძლევა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლის მიზანი იყო გაგვერკვია, ქვემო ქართლის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის (მამაკაცების) რა პროცენტს ატანდნენ იარაღს სამარხებში.

მიჩნეული იყო, რომ ძვ.წ. IV საუკუნიდან ქართლის რიგით სამარხებში საბრძოლო იარაღის რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, რაც მცხეთის გაქალაქებას, იარაღის გაძვირებასა თუ მასზე კერძო საკუთრების გაჩენასა და მის მემკვიდრეობით გადაცემას, აგრეთვე ქართლში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს უკავშირდებოდა [ჯანაშია 1949:193-194; აფაქიძე 1963:224; გაგოშიძე 1964:9; დავლიანიძე 1983:173].

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, ალგეთის ხეობაში შესწავლილი ძეგლების მასალის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ რიგით სამაროვნებზე ყოველი მესამე ან მეოთხე მამაკაცი შეიარაღებული იყო დაკრძალული (ს. მარგიშვილის მოხსენება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1989 წელს) - შავსაყდარა I-ზე შესწავლილი 96 სამარხიდან რკინის საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა 15-ში, პაპიგორაზე 79-დან 8-ში, ენაგეთში 17-დან 2-ში.

ძვ.წ. IV-I საუკუნეების დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში, კერძოდ კი ქვემო ქართლში, იმდროინდელი სამყაროს სხვა ქვეყნების მსგავსი უნდა ყოფილიყო. პალეოდემოგრაფიული კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ რომის იმპერიაში მაღალი იყო ბავშვთა სიკვდილიანობა, ხოლო თუ ინდივიდი 10 წლის ასაკამდე არ გარდაიცვლებოდა, იგი საშუალოდ 47,5 წლამდე აღწევდა, მოხუცთა რაოდენობა კი დაახლოებით 6-8%-ის ტოლი იყო [იხ. Cokayne 2003:2,3 და იქ მითითებული ლიტერატურა]. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ქვემო ქართლში, სხალთის სამაროვანზე ჩატარებული პალეოანთროპოლოგიური კვლევები, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. IV ს-ის ამ სამაროვანზე დაკრძალულთა შორის 24% ბავშვი იყო. დაბალი იყო ასაკოვანი ადამიანების რაოდენობა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში 44,4 წელი იყო, ქალებში - 39,7 წელი [კილაძე 2007].

შესაძლებელია მიახლოებით გამოვითვალოთ ბრძოლისუნარიანი მამაკაცი-

ბის სამუალო რაოდენობა. თუკი ბავშვთა და მოხუცთა საერთო რაოდენობა 30%-ს უდრიდა, ხოლო ზრდასრულ მამაკაცთა და ქალთა შეფარდება თითქმის თანაბარი იყო, გამოდის, რომ ისინი შეადგენდნენ დარჩენილი მოსახლეობის 35-35 %-ს. ქვემოთ სწორედ ამ, სავარაუდო მონაცემების საფუძველზე იქნება დათვლილი სამაროვანზე დაკრძალული ბრძოლისუნარიანი, შეიარაღებული მამაკაცების პროცენტული რაოდენობა.

ქვემო ქართლის სამაროვნების ერთ ნაწილი, სადაც საბრძოლო იარაღის შემცველი სამარხების რაოდენობა მცირეა, დასკვნების გამოსატანად არ გამოდგება: არდასუბანში გათხრილია 3 [თუშიშვილი 1970:127-140], თაშბაში - 3 [გაგოშიძე 1982:57, 59], კიკეთში [დავლიანიძე 1983:39] და სანთაში - 2 [გაგოშიძე 1982:43,44], კოთიში - 8 [შატბერაშვილი 2005:43], მანგლისში - 3 [დავლიანიძე 1983:50].

ქვემო ქართლის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამაროვნების ერთ ჯგუფზე, რომლებზედაც, ოცზე ნაკლები სამარხია აღმოჩენილი, დაკრძალულ მამაკაცთა საერთო რაოდენობის შეფარდება იარაღიან სამარხების რაოდენობასთან შემდეგია: აბელიაში ძვ.წ. IV-III საუკუნის 16 სამარხიდან - 1-ში [კვიციანიძე 1975:13-14] (ყოველი მეექვსე), გარისის გორაზე - 13-დან 2-ში [კვიციანიძე 1975; ბოხოჩაძე 1963] (ყოველი მეორე), ასურეთში - 19-დან 3-ში [კვიციანიძე 1975:27, 42, 43] (ყოველი მეორე), ენაგეთში 17-დან 2-ში [მარგიშვილი 1992:28-29] (ყოველი მესამე), გომარეთში - 28-დან 2-ში [დავლიანიძე 1983:131-132] (ყოველი მეხუთე). ზუსტი ანთროპოლოგიური მონაცემები გვაქვს აბულმუგში [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008:20, 23, 66, 71, 75, 86,92], სადაც 17 მამაკაცია დაკრძალული, რომელთაგანაც 7 შეიარაღებულია.

შედარებით სრულად შესწავლილი სხვა ძეგლებიდან მომდინარე მასალა შემდეგ სურათს გვაძლევს: სხალთაში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2010], სადაც 60 სამარხიდან 28 მამაკაცია (აქ ანთროპოლოგიური სამუშაოები სრულადაა ჩატარებული), შეიარაღებულია 5 (18%). დანარჩენ ძეგლებზე დაკრძალულთა სქესი ან ნაწილობრივად განსაზღვრული, ან ანთროპოლოგიური სამუშაოები საერთოდ არ ჩატარებულა. ბეშთაშენში გათხრილი 61 სამარხიდან [მენაბდე, დავლიანიძე 1968:119 -126, 131-136] (სავარაუდოდ 21 მამაკაცი) 13-ში იარაღია (60%); ეცოზე [შატბერაშვილი 2005] ძვ.წ. IV საუკუნისა და IV-III საუკუნეების მიჯნის 101 სამარხიდან (სავარაუდოდ 35 მამაკაცი) იარაღი 11-შია (31%), დანარჩენ, ძვ.წ. III-II საუკუნეების 17 სამარხიდან 4-ში, ხოლო ძვ.წ. I საუკუნის 2 სამარხში არცერთი; ღრმხევისთავში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:141, 150,152166, 184,189] 55-დან (სავარაუდოდ 20 მამაკაცი) 6-ში (30%); პაპიგორაზე [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:39-60] 65-დან (სავარაუდოდ 18 მამაკაცი) 7-ში (39%); შავსაყდარა I-ზე [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 86-88, 92, 96, 98, 110, 119, 124, 126], 89-დან (სავარაუდოდ 31 მამაკაცი) 15-ში (48%); შორში [ტყეშელაშვილი 1969:48, 52, 54, 64, 67], 21-დან (სავარაუდოდ 7 მამაკაცი) 5-ში (71 %).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი, შეიარაღებული მიცვალებულეების მაღალი პროცენტით გამორჩეული ყველა სამაროვანი რიგითი „მეთემეების“ განსასვენებელს წარმოადგენს: მათი ინვენტარი სიმდიდრით არ გამოირჩევა და სამარხებში მხოლოდ თითო ან ორ-ორი საბრძოლო იარაღია ჩატანებული. სავარაუდოდ, სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენდნენ ქართლის ჯარის ძირითად ნაწილს, რომლებსაც მძიმედ აღჭურვილი, დანინაურებული ფენების წარმომად-




გენლები, შუასაუკუნეების ტერმინოლოგიით, „აზნაურები“ მეთაურობდნენ.

როგორც დავინახეთ, სამაროვნებზე დაკრძალულთა შეფარდება იარაღიანი სამარხების რაოდენობასთან განსხვავებულ რიცხვებს გვაძლევს, თუმცა შესაძლებელია გამოიყოს სამაროვნების ერთი ჯგუფი, სადაც შეიარაღებული მამაკაცების პროცენტული რაოდენობა მაღალია და 40-დან 60%-მდე აღწევს. უნდა ვთქვათ, რომ ეს მონაცემები მიახლოებითია და ზუსტად ვერ ასახავს იმ დროისათვის არსებულ რეალობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლები ქვემო ქართლში საკმაოდ ბევრია, დროის სხვადასხვა მონაკვეთების (ძვ.წ. V-IV, IV-III და II-I საუკუნეები) დემოგრაფიული სტატისტიკისათვისა და მისი ანალიზისათვის საკმაოდ მასალა მაინც არ მოგვეპოვება, რადგან სრულად არც ერთი სამაროვანი არაა შესწავლილი. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შესწავლილ ძეგლთა შორის შედარებით ცოტაა ძვ.წ. II-I საუკუნეების სამაროვნები (რითია ეს გამონეული – არასაკმარისი შესწავლითა თუ სხვა, საომარ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებით, ამ კითხვაზე მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უნდა გვიპასუხოს). დღევანდელი მონაცემების მიხედვით კი შემდეგი სურათი იხატება: ძვ.წ. V საუკუნიდან VI-III საუკუნეების მიჯნამდე შეიარაღებული მამაკაცების პროცენტული რაოდენობა მიახლოებით 30-დან 60%-მდე აღწევს. III საუკუნიდან მათი რაოდენობა კი თანდათანობით კლებულობს. მოგვიანო ხანიდან კი ჩვენთვის მხოლოდ ერთი, ყანჩაანთ სოფლის სამაროვანია ცნობილი, რომელიც ახალი შესწავლილია და მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იარაღიანი სამარხების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს და უმეტესწილად, მაღალი რანგის მეომართა სამარხებში ჩნდება.

საბრძოლო იარაღი არ ჩანს არმაზისხევის პიტიახშათა სამაროვანზე; აქ გვხვდება მცირე ზომის, ოქროთი და თვლებით გამშვენებული სატევრები თუ დანები, რაც უთუოდ ინსიგნიას წარმოადგენს [აფაქიძე და სხვ. 1955:ტაბ. I, III]. ოქროთი შემკული სატევარი დადასტურებულია ახ.წ. III-IV საუკუნეებით დათრილებული, მოდინახეს № 36 (22) სამარხში, რომელიც ინვენტარის სიმდიდრით (მათ შორის იარაღის სიმრავლით) გამოირჩევა და მაღალი რანგის არისტოკრატის განსასვენებლადაა მიჩნეული [ბრაგვაძე 2005:111]. მაღალი წარმომავლობის მხედრების სამარხებს ვხვდებით კლდეეთისა და ყინვალის ახ.წ. II-IV სს-ის სამარხებშიც [ლომთათიძე 1957:19, სურ. 2; ჩიხლაძე 2015]. მოდინახეს, კლდეეთისა და ყინვალის მეომარ-არისტოკრატთა სამარხებთან



ფოტო 5. სატევარ- ინსიგნიები.

Photo 6. Dagger - insignias.

შედარებით, უფრო დაბალი რანგისა ჩანან რგანსა და ჩხარში დაკრძალული მეომრები. რგანში აღმოჩენილია ცხენის 2 სამარხი, რომლებიც სხვა სამარხებს არ უკავშირდება. ამ სამაროვანზე 11 იარაღიანი სამარხია, რომელთა ინვენტარი საკმაოდ უხვი უნდა ყოფილიყო) [ბრაგვაძე 2000:107-151]. ასეთივე მონაცემები გვაქვს სტირფაზის სამაროვანზეც [Техов 1987:სურ. 42-3]. მეომრების სამარხებია ჩხარშიც, სადაც ახ.წ. II-III სს-ის სამაროვანზე გათხრილია 16 სამარხი, მათ შორის იარაღიანი ხუთია [ბრაგვაძე 1997]. სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო თავილონში დაკრძალული მეომარი, რომლის სამარხმა ჩვენამდე „განძის“ სახით მოაღწია, მასში ჯაჭვის პერანგისა და მუზარადის ფრაგმენტების გარდა, სატევრის ოქროს გარსაკრავის ფრაგმენტებიცაა, რაც გარკვეულწილად, არმაზისხევისა და მოდინახეს შემთხვევებს მოგვაგონებს [ფუთურიძე 1959:56].

იბერიის (resp. ქართლის) სამეფოში, ძვ.წ. III ს-დან უკვე ჩამოყალიბებულია სამხედრო არისტოკრატია და შესაძლოა ამიტომაც, რიგით სამაროვნებზე იარაღის აღმოჩენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები თუ გვხვდება. იბერიაში პროფესიონალი მეომრების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს დედოფლის გორის სასახლის კომპლექსში აღმოჩენილი იარაღ-საჭურველიც [Gagoshidze 2008:23-140]. დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან აღსანიშნავია ნებელდის III-IV საუკუნეების სამაროვნებიც, სადაც განსხვავებული ქონებრივი ცენზის მქონე ადამიანები იყვნენ დაკრძალულნი და რომელთა ნაწილი შეიარაღებული იყო [იხ. Трапш 1971; Шамба 1970].

## ბოლოსიტყვაობა

საქართველოს მიწაზე ისტორიული განვითარების თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. წინა თაობის გამოცდილება მომდევნო თაობებს გადაეცემოდა, რაც საზოგადოების განვითარებას განაპირობებდა. საუკუნეების მანძილზე ქართველებს საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად მუდმივად ბრძოლებში ჩაბმა უწევდათ. შესაბამისად, ისინი იძენდნენ სამხედრო გამოცდილებას, იხვეწებოდა სტრატეგია და ტაქტიკა, ვითარდებოდა შეიარაღება. დღევანდელი თაობისათვის ამ გამოცდილების ცოდნა აწმყოსა და მომავლის უკეთ შემეცნების საშუალებაა.

ანტიკურ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვეს კოლხეთისა და იბერიის სამეფოებმა, რომელთა საფუძველზეც შემდეგ ერთიანი საქართველო განვითარდა. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველური მოდგმის ხალხი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე მდინარეების – მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზში იყო განსახლებული. მათ გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ, კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსინიკები, სასპერები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, სანიგები; შემდეგ – ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი.

კოლხეთი და ნაწილობრივ იბერიაც მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. მრავალფეროვანი რელიეფი, ნოყიერი ნიადაგი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების განვითარების დადებით საფუძველს ქმნიდა, რაც საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური და სამხედრო განვითარების დონეზე აისახებოდა. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერიაში მდ. მტკვარზე ჩამოყალიბდა ერთობ თავისებური ისტორიულ-კულტურული არე. კოლხეთსა და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრაც და შეჯახებაც.

საქართველოს ისტორიულ განვითარებაში ნამყვანი როლი შეასრულა გეოგრაფიულმა გარემომ, რაზეც მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო-საწარმოო, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული, სამხედრო-სტრატეგიული და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი მდგომარეობაა დამოკიდებული.

მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი და იბერია თავისი ქედებით, ზეგნებით, ხეობებით, სერებით, ტაფობებით, ბორცვ-გორაკებით მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. მოსახლეობის მიერ მადნეულის დამუშავება-გამოყენებამ იმდროინდელი საზოგადოება განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა, რაც სამხედრო აღჭურვილობის გაუმჯობესებაზეც აისახა.

სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, ძნელად დასაძლევი მდინარეების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტიას იძლეოდა. სამხედრო მოქმედებისას არანაკლები მნიშვნელობა კლიმატსა და ნელინადის დროის გათვალისწინებას ენიჭებოდა. სამხედრო-საბრძოლო მოქმე-

დებებისას ადგილობრივი მებრძოლები ფლობდნენ და წარმატებით იყენებდნენ მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთა-გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორები უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა სამხედრო ძალის მოქმედებაზე. ისინი არ იცნობდნენ და ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრივი გარემოს ამ რესურსს. მომხდურები ადგილობრივი პირობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მონინალმდევის სამეურნეო-ეკონომიკურ რესურსებზე, რაოდენობაზე, კომუნიკაციურ და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებებზე, საზოგადოებრივ წყობაზე და სხვ. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, იბერია-კოლხეთში შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯარით, მაგალითად, მაკედონური ფალანგით მოქმედება. აქ უფრო კარგად განვრთნილი, ადგილობრივ გარემოზე ინფორმირებული, მობილური, მცირე რაზმებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. ადგილობრივი მოსახლეობის საბრძოლო მოქმედების ტაქტიკა კი სწორედ რელიეფის ზედმიწევნით მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული.

